

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სპეკალი

რეგენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი

№ 18

2024

E ISSN – 1987-8583

სამეცნიერო რედაქტორი: ნანა გაფრინდაშვილი

სარედაქციო საბჭო:

სარედაქციო საბჭო:

- ზაზა ალექსიძე (*საქართველო*), პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ვინფრიდ ბოედერი (*გერმანია*), ემერიტუსი პროფესორი, ოლდენბურგის უნივერსიტეტი
- იოსტ გიპერტი (*გერმანია*), პროფესორი, ემპირიული ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი
- რისმაგ გორდეზიანი (*საქართველო*), პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ლიუდმილა გრიცივი (*უკრაინა*) პროფესორი, უკრაინის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფილოლოგიის ინსტიტუტი
- დარეჯან თვალთვაძე (*საქართველო*) პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ქევინ თუითი (*კანადა*) ანთროპოლოგიის პროფესორი, მონრეალის უნივერსიტეტი
- ლუიჯი მაგაროტო (*იტალია*) პროფესორი, ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტი
- მარიამ მირესაშვილი (*საქართველო*) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ზაზა სხირტლაძე (*საქართველო*) პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბერნარდ უტიე (*საფრანგეთი*) ემერიტუსი პროფესორი, ჟენევის უნივერსიტეტი
- ნინო ქებაძე (*აშშ*) ასოცირებული პროფესორი, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტი
- გაგა შურღია (*იტალია*) ასოცირებული პროფესორი, ნეაპოლის უნივერსიტეტი
- ელგუჯა ხინთიბიძე (*საქართველო*) პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შტეფი ხოტივარი-იუნგერი (*გერმანია*) პროფესორი, ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი
- სტივენ ჯონსი (*აშშ*) ქართველოლოგიის პროგრამის დირექტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტი

- მიშელ ჰართმანი (*კანადა*) პროფესორი, მაკგილის უნივერსიტეტის ისლამის კვლევების ინსტიტუტი
- ალისა ჰარისი (*აშშ*) ემერიტუსი პროფესორი, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტი
- ირმა გრძელიძე (*საქართველო*) ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ალექსანდრე კარტოზია (*საქართველო*) პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ეკატერინე ნავროზაშვილი (*საქართველო*) ასოც. პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ნინო მგალობლიშვილი (*საქართველო*), პროფესორი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია
- ნათია ფუტყარაძე (*საქართველო*), ფილოლოგიის დოქტორი

გიორგი ლაბაძე

ძალაუფლების ბალანსის ანგლო-ამერიკული გამოცდილების ასახვა ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობაში

ამერიკული პოლიტიკური პრაქტიკის კოლონიური ფესვები

ამერიკული დემოკრატიის ორ საუკუნეზე ვრცელი ტრადიცია რამდენიმე განსხვავებულ ფაქტორს ეფუძნება, რომელთაგან, როგორც მკვლევარები, ასევე პრაქტიკოსი იურისტები და პოლიტიკოსები, გამოყოფენ ძალაუფლების შეკავებისა და გაწონასწორების სისტემას. ამის მაგალითია 2011 წლის 11 ოქტომბრის სენატის იურიდიული კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოსამართლე ანტონინ სკალიამ ამერიკული კონსტიტუციის ჭრილში მოსამართლის განსაკუთრებულ როლზე ისაუბრა. თავის გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა, თუ რატომ ფუნქციონირებს ჯერ კიდევ ამერიკული დემოკრატია და რა განასხვავებს მას ისეთი ავტორიტარული რეჟიმისგან, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, რომელსაც, ყველასთვის გასაკვირად, ადამიანის უფლებების ნაწილი ბრწყინვალედ ჰქონდა ჩამოყალიბებული. ა. სკალიას თქმით, ასეთი ქვეყნების კონსტიტუციების ყველაზე სერიოზული პრობლემა ხელისუფლების ცენტრალიზაციისგან თავის დაზღვევის მექანიზმების არქონაა, რაც თავად ადამიანის უფლებების ნაწილსაც, „როგორც დამფუძნებლები იტყოდნენ, უსარგებლო ქაღალდის გროვად აქცევს“ [Scalia, 2011]. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გამოსვლაში სკალია სწორედ ძალაუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ძალაუფლების გადანაწილებას გულისხმობს. ამ კონცეფციაზე მითითებისას, სკალია მოიხმობს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას, ასევე დამფუძნებელ მამებს, რომლებიც ძალაუფლების გამიჯვნის იდეას კონსტიტუციის შექმნამდეც მისდევდნენ. სწორედ ამაზე მიუთითებს ჯონ ადამსის 1776 წელს გამოქვეყნებული წერილი - „ფიქრები მმართველობის შესახებ“, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ „თუკი საკანონმდებლო ხელისუფლება ერთ ასამბლეაშია წარმოდგენილი და აღმასრულებელი მეორეში, ეს ორი ძალაუფლება შეეწინააღმდეგება და გააწონასწორებს ერთმანეთს“ [Adams, 1776].

მკვლევარებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ამერიკული სისტემის წარმომავლობა უშუალოდ კოლონისტებთან და ახალმოსახლეებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ამერიკის კონტინენტზე ძირითადად ინგლისიდან ჩავიდნენ. ამდენად, ინგლისში მიმდინარე ისტორიულმა პროცესებმა და მე-17 საუკუნის რევოლუციურმა ქარტეხილებმა ამერიკის

კოლონიებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინეს. ბევრ სხვასთან ერთად, ინგლისში განვითარებული მოვლენების ძირითადი მიზეზი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების უზურპაციის მცდელობა იყო, რაც თავის თავზე ზედმეტად მაღალი წარმოდგენის მქონე ჯეიმს I-ის მხრიდან პარლამენტის გარეშე გადასახადების დაწესებისა და კანონების მიღების მცდელობით გამოვლინდა [Beard... 1944:15]. ასევე, შემთხვევითი არ არის 1649 წელს კრომველის მიერ ძალაუფლების აღება, რომელმაც მეფე სიკვდილით დასაჯა და საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნა სცადა. პურიტანების ფართო მხარდაჭერით, მან გადაჭრით უთხრა უარი როგორც მეფეს, ასევე - ლორდთა პალატას და ძალაუფლება თემთა პალატას ჩააბარა. თავის მხრივ, კრომველის დიქტატურაც იმავე აღმასრულებელი ხელისუფლების უზურპაციის გამოვლინება იყო, რომელიც უფრო ფართო ძალაუფლებას ხალხსა და თემთა პალატას გადასცემდა. მონარქიის რესტავრაციის შემდგომ პურიტანები ამერიკის კოლონიებში გადასახლდნენ, რის შედეგადაც კოლონები უფრო მეტად დაემსგავსა ინგლისს [Schudson, 1999:14]. ამასთან ერთად, სახელოვანი რევოლუციიდან 1763 წლის პარიზის ზავამდე, იმპერიული მთავრობის ზეწოლის გაძლიერებამ ამერიკულ კოლონიებს ინგლისთან კიდევ უფრო მეტი მსგავსება შესძინა [Murrin, 1987:334]. ამდენად, პოლიტიკური მიდრეკილებები და იდეალებიც სწორედ ინგლისურ გავლენას დაეფუძნა და ბრიტანული კონსტიტუცია პოლიტიკის დიდებულ ინსტრუმენტად იქნა აღქმული [Schudson, 1999:15]. ეს უკანასკნელი კი, ამერიკის დამფუძნებელი მამებისთვის მეტად მისაბამი კანონებისა თუ სამართლებრივი ტრადიციების ერთობლიობა იყო, რადგან იგი სწორედ ძალაუფლების დანაწილებისა და სხვადასხვა შტოს შორის ბალანსის მექანიზმის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად, ავტოკრატიული მმართველობის თავიდან არიდების მოტივით. ამის ნათელი მაგალითია 1689 წელს ინგლისში მიღებული „ბილი უფლებათა შესახებ“, რომლის მიხედვითაც, *„კანონების შეჩერება ან აღსრულება სამეფო ძალაუფლების მხრიდან პარლამენტის თანხმობის გარეშე აკრძალული იყო“*. ასევე, *„გადასახადების აკრეფა მონარქის მიზნებისათვის პარლამენტის თანხმობის გარეშე უკანონოდ იყო მიჩნეული“* [Bill of Rights, 1689]. აღნიშნული დოკუმენტი ცალსახად მიუთითებს როგორც მონარქის ძალაუფლების შეკავების, ისე ორ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ, შტოს შორის ბალანსის შენარჩუნების შესახებ, რამაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკული კონსტიტუციის სულისკვეთების ჩამოყალიბებაში. ალექსის დე ტოკვილი ოსტატურად შენიშნავს, *„იმ ქვეყნის შვილებს, რომელშიც ფრაქციების დაპირისპირება საუკუნეებს ითვლის და სადაც ყველა პოლიტიკურმა ჯგუფმა თავის თავს წესად კანონის უზენაესობის პრინციპი დაუდგინა, პოლიტიკური განათლების მკაცრი სტილი ემიგრაციაშიც გამოჰყვათ. მათ დახვეწეს ეს*

ცოდნა ემიგრაციაში, რის შედეგადაც უფლებებისა და თავისუფლების პრინციპების არსი თავიანთ ვეროპელ თანამედროვეებზე უფრო მეტად გაითავისეს. პირველი ემიგრაციის პერიოდში, ქალაქური სისტემა, თავისუფალი ინსტიტუტების ეს ნაყოფიერი ჩანასახი, ღრმად იყო ფესვგადგმული ინგლისელთა წესჩვეულებებში; ამასთან ერთად, სახალხო სუვერენიტეტის დოქტრინა, რომელიც აღმოცენდა ტიუდორების მონარქიის წიაღში“ [Tocqueville, 2010:39]. თვითმმართველობის ამგვარი ტრადიციის მიუხედავად, რომელიც დღემდე ამერიკული საზოგადოების თვალნათელი მახასიათებელია, ძლიერი და სტაბილური ცენტრალური მთავრობის შექმნა, სულაც არ იყო მარტივი პროცესი. მეტიც, თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის ტრადიცია კიდევ უფრო ართულებდა კონსტიტუციის შედგენას რევოლუციური ომის შემდეგ, რისი მაგალითიც 1777-1783 წლებში მოქმედი კონფედერაციის მუხლებია, რომლებიც შტატებს სუვერენიტეტის დიდ პორციას სთავაზობდა. მაგალითისთვის, ამ დოკუმენტის მეორე მუხლი შტატებს აღწერს, როგორც „სუვერენულს, დამოუკიდებელსა და თავისუფალს ყველა უფლებაში“ [Articles..., 1777], რაც, 1787 წელს მიღებული კონსტიტუციისგან ბევრად განსხვავებული მოცემულობაა.

ძალაუფლების დანაწილების მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში

მიუხედავად ამერიკის კონსტიტუციის თითქმის 250-წლიანი არსებობისა, რაც მის მაღალ ლეგიტიმაციაზე მიუთითებს, მისი შექმნის პროცესი არ ყოფილა ადვილი, რადგან 13 შტატიდან უმეტესობას თავიანთი კერძო ინტერესი და ხედვა ჰქონდა მთავრობის მოწყობის შესახებ. როგორც შლომო სლომინი აღნიშნავს, კონსტიტუციურ კონვენტზე მრავალი ცნობილი დაპირისპირება გაიმართა, მაგალითად დიდ და პატარა შტატებს შორის, ფედერალისტთა და ნაციონალისტთა შორის, მონათმფლობელთა და არამონათმფლობელთა შორის და სხვ. [ამერიკის... 1986:37]. პედოვერის მიხედვით, ზოგიერთ შტატში, კონსტიტუციისთვის ხმის მიცემა იმდენად რთული პროცესი გამოდგა, რომ მის მომხრეებს „მჭერმეტყველების, ლოგიკისა და პოლიტიკური ანალიზის ნაკადულებად დაღვრა მოუწიათ“. ამის მიუხედავად, ნიუ იორკის ადგილობრივ ასამბლეაში კონსტიტუციას სულ რაღაც 27-30 ადამიანმა შეფარდებით დაუჭირეს მხარი [Padover, 1960:90]. ამ მიზნის მხარდაჭერისათვის, ალექსანდრ ჰამილტონმა, ჯეიმს მედისონმა და ჯონ ჯეიმ მცირე ჯგუფი შექმნეს, თავიანთ თავს ფედერალისტები უწოდეს და შეუდგნენ შტატების ერთიანობის მხარდამჭერი მოძრაობის გავრცელებას. იმავე პედოვერის მიხედვით, სამართლიანი იქნება, თუ ჯეიმს მედისონს განვიხილვით, როგორც დასავლური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან პოლიტიკურ მოაზროვნედ. [Padover, 1960:96]. სწორედ მედისონი იყო ის, ვინც კონსტიტუციის

უმეტესი ნაწილი თავად დაწერა, ხოლო 47-ე ფედერალისტური წერილი ძალაუფლების დანაწილების პრინციპს მიუძღვნა [Meany, 2018]. მითითებულ წერილში ვკითხულობთ, „როცა მთელი ძალაუფლება, მისი სამი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო – შტოს სახით თავმოყრილია ერთ ხელში, ასეთი ვითარება სამართლიანად იწოდება ტირანია, ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი მნიშვნელობით“... „ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება; უპრიანია, ისინი ერთმანეთისგან განკერძოებულად მოქმედებდნენ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას თავისუფალი მართვის სისტემის ბუნება იძლევა“ [The Federalist, 1961:327]. ძალაუფლების დანაწილების სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, ყველასთვის კარგად ცნობილი, შარლ ლუი დე მონტესკიეს ნააზრევიდან გადმოიტანეს, ვისთვისაც, „ბრიტანეთის პოლიტიკური წყობა ... იგივეა, რაც ჰომეროსი – დიდაქტიკოსი მწერლებისთვის, რომლებიც ეპიკურ პოემებს თხზავენ. ამ უკანასკნელთ ხომ უკვდავი ბარდის შემოქმედება იმ სრულყოფილ ნიმუშად მიაჩნიათ, საიდანაც ეპიკური ხელოვნების საწყისებსა და წესებს ხაპავენ! ზუსტად ასევე, ამ დიდ პოლიტიკურ კრიტიკოსს ინგლისის პოლიტიკური წყობა ნიმუშად დაუსახავს. ანდა თუ მისივე სიტყვებით ვიტყვით, მისთვის იგი სარკვეა პოლიტიკური თავისუფლებისა“ [The Federalist, 1961:324]. მედისონისთვის მონტესკიე ნამდვილი სიმბოლო იყო იმისა, თუ როგორ მიჰყოლოდა ამერიკა სამართლის ინგლისურ ფესვებს. საბოლოო ჯამში, ფედერალისტების ძალიხსმევამ შედეგად გამოიღო ის, რომ კონგრესი დაიყო ორ ნაწილად, რომელთაგან თითოეული განსხვავებული სისტემით აირჩევა, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს ხალხი, საარჩევნო კოლეგიის საშუალებით.

კონსტიტუციური არასტაბილურობა საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოში მძიმე პოლიტიკური ქარტეხილების პარალელურად, პირველი კონსტიტუციის მიღება მხოლოდ 1995 წელს მოხერხდა. თუმცა, დღემდე მან 3 ძირეული ცვლილება - ჯერ 2004, შემდეგ 2010 და ბოლოს, 2017 წელს - განიცადა. თითქმის ყველა ჯერზე საგრძნობლად იცვლებოდა მმართველობის სისტემა. დღევანდელი მდგომარეობით, 28 წლის განმავლობაში საქართველოს კონსტიტუცია 36-ჯერ შეიცვალა, როდესაც 240 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციამ სულ 27 ცვლილება განიცადა, რომელთაგან ორი მშრალი კანონის მიღება-გაუქმება იყო, ხოლო პირველი ათი, ბილი უფლებათა შესახებ.

აღსანიშნავია, საქართველოს კონსტიტუციის თითოეულ ცვლილებას საკმაოდ ფართო კრიტიკა ხვდებოდა ისეთი გავლენიანი ორგანიზაციისგან, როგორცაა ვენეციის კომისია. მაგალითისთვის, 2010 წლის ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტში, როდესაც საპრეზიდენტო სისტემა ნახევრად საპარლამენტოდ უნდა გადაკეთებულიყო, ვენეციის კომისიამ სწორედ ძალაუფლების დანაწილების პრინციპი დაიწუნა და განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა, მეტად გაძლიერებულიყო პარლამენტის ძალაუფლება. ეს იმიტომ, რომ მათ კარგად ესმით, თუ რამდენადაა მიდრეკილი ხელისუფლების უზურპაციისკენ აღმასრულებელი ხელისუფლება, რის საწინააღმდეგოდაც, პარლამენტის ძლიერი ბერკეტებია საჭირო. ვფიქრობ, უკანასკნელი ცვლილებებით, როდესაც პარლამენტის ძალაუფლება შედარებით გაძლიერდა, პრობლემას უკვე პრეზიდენტის როლის მეტისმეტად შემცირება წარმოადგენს, რომელსაც, თავის მხრივ, კარგი იქნებოდა, ერთგვარი ხალხის მანდატის გამომხატველი, დამაბალანსებელი როლი შეენარჩუნებინა. დღევანდელი მდგომარეობით, პრეზიდენტის როლი უმეტესად ნომინალური, სიმბოლურია და ვერ ახდენს სერიოზულ გავლენას სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებზე. ვფიქრობ, პრეზიდენტის ამგვარი ჩამოშორება ძალაუფლების ვერტიკალიდან დიდი შეცდომაა, რაც ძალაუფლების დანაწილების კონტექსტში შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში პრობლემურია, რომ პრეზიდენტს აღარ ირჩევს ხალხი. საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „*საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია*“ [საქართველოს...], ხოლო იმავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „*საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი*“ [საქართველოს...]. მართალია, საქართველომ მკაფიო ნაბიჯი გადადგა საპარლამენტო რესპუბლიკის მოწყობისკენ, თუმცა, თუკი პრეზიდენტი კვლავ ხალხის მიერ იქნებოდა არჩეული, მას უფრო მაღალი ლეგიტიმაცია ექნებოდა პოლიტიკურ პროცესში ჩასართავად. ამასთან, მიმდინარე მოწყობით გამოდის, რომ უშუალოდ ქართველი ხალხი ხელისუფლების მხოლოდ ერთ შტოს, საკანონმდებლოს ირჩევს, რაც შტოებს შორის ურთიერთგაწონასწორების მექანიზმის მოქმედების კუთხით, ძალაუფლების უზურპაციისკენ მიდრეკილი სახელმწიფოების მაგალითზე, ნამდვილად არასასურველია. მეტიც, ვენეციის კომისიის მიერ მითითებული საპარლამენტო კონტროლის ნაკლებობის გამო, პრეზიდენტს უნდა დარჩენოდა საკმარისი ძალაუფლება, ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დასაბალანსებლად. როგორც ჯეიმს მედისონი 51-ე ფედერალისტურ წერილში აღნიშნავს, „*პატივმოყვარეობას პატივმოყვარეობა უნდა*

დაუპირისპირდეს“ [The Federalist, 1961:349]. თუმცა, ამისათვის პრეზიდენტის შემთხვევაში, ჯერ საკმარისი ძალაუფლება და ლეგიტიმაციაა საჭირო. ამ არგუმენტის წონა კიდევ უფრო იმატებს, როდესაც სახეზე გვაქვს საქართველოს მსგავსი ჯერ კიდევ გარდამავალი დემოკრატია და დაბალი საპარლამენტო კონტროლის კულტურა, რაც მდგომარეობს სხვადასხვა ინტერესჯგუფის, სამთავრობო საათებისა და საგამომიებო კომისიების პასიურ მუშაობაში.

გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის არჩევის წესი მას მაღალ ლეგიტიმაციასა და მთავრობის დაბალანსების ამბიციას მისცემდა, არის რიგი მექანიზმები, რომელთა სწორად დაგეგმვის შემთხვევაშიც, ძალაუფლების დანაწილებისა და წონასწორობის პრინციპი უკეთ ამოქმედდებოდა. ასეთი შესაძლებლობაა პრეზიდენტის ვეტო, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციით იმდენად ბუტაფორიულია, რომ მისი ასეთი ფორმით არსებობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, პარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი“. გამოდის, პრეზიდენტის შენიშვნებს, იმავე ვეტოს მხოლოდ საზოგადოებრივი დისკუსიის შექმნის ფუნქცია აქვს და პარლამენტს შეუძლია მის მიერ დაწუნებული კანონი ხმების იმავე რაოდენობით, ხელმეორედ, სირთულეების გარეშე მიიღოს.

ქართული პოლიტიკური სისტემის კიდევ ერთი ნაკლი, რომლის გამოსწორებაც უფრო მეტად დააბალანსებდა ხელისუფლების შტოებს, არის ორპალატიანი პარლამენტის არარსებობა. საქართველოს კონსტიტუციას, 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის მიხედვითაც „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“ [საქართველოს...], დროებით აქვს გადადებული ორპალატიანი პარლამენტის შექმნა. ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ რატომ თვლიდნენ საჭიროდ ამერიკის დამფუძნებელი მამები ჯერ კიდევ ამერიკის კონსტიტუციამდელ პერიოდში ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოების ჩამოყალიბებას. საქართველოს შემთხვევაში კი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით საკმაოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, მეორე პალატას შეუძლია, მრავალპარტიულობის შესაძლებლობის გაჩენასთან ერთად, ერთგვარი დეცენტრალიზაციისა და პერიფერიების განვითარების ელემენტების ამოქმედება. ეს უკანასკნელი კი, რეგიონული თვითმმართველობის პრობლემების ფონზე, ვფიქრობ, ნამდვილად აუცილებელია.

ორპალატიანი პარლამენტის დადებითი მხარეები კიდევ უფრო უკეთ შეიძლება გამოჩნდეს, თუკი მისი საარჩევნო ციკლი არ დაემთხვევა რესპუბლიკის საბჭოსას. ასეთ შემთხვევაში, არჩევნების სიხშირე უფრო ანგარიშვალდებულს გახდის ხელისუფლების ორგანოებსა და პოლიტიკურ პარტიებს, რისი მაგალითიც სწორედ შეერთებული შტატების კონგრესია, ხოლო, მეორე მხრივ, გააჩენს რეგიონული პრობლემატიკის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების წინაშე წარმოჩენის უფრო მეტ შესაძლებლობას. დამატებით, პრეზიდენტის ვეტოს ფაქტობრივი არარსებობის ფონზე, პარლამენტის მეორე პალატას შეუძლია, გასწიოს საკანონმდებლო ზედამხედველის ფუნქციაც, რაც უკეთ ამოქმედდება ძალაუფლების წონასწორობის პრინციპსაც. ასე მაგალითად, თუკი რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების შედეგად ქვედა პალატა ნდობას გამოუცხადებს კონკრეტულ სამთავრობო ჯგუფს, ხოლო ეს უკანასკნელი ვერ გაამართლებს მას, სენატის მორიგ არჩევნებს (რომელიც ქვედა პალატის მორიგ არჩევნებამდე ჩატარდება) შეუძლია, შექმნას სამთავრობო ჯგუფის საწინააღმდეგო უმრავლესობა ზედა პალატაში, რომელიც, ამოქმედებს აქტიური ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების ფუნქციებს. ასეთი მრავალმხრივი პოლიტიკური პროცესი კი, ვფიქრობ, გაართულებს ძალაუფლების უზურპაციას, რაც ქართული პოლიტიკური სისტემის უმთავრესი მანკიერება და გამოწვევაა.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [ნანახია: 24/06/2024]
3. Adams J. Thoughts on government. 1776
4. <https://founders.archives.gov/documents/Adams/06-04-02-0026-0004>
5. Articles of Confederation 1777
6. <https://www.archives.gov/milestone-documents/articles-of-confederation>
7. Beard Ch., Beard M. A basic history of the United States. New York: Doran & Company, 1944
8. English Bill of Rights. 1689
9. https://avalon.law.yale.edu/17th_century/england.asp?ref=stanfordreview.org

10. Hamilton A., Madison J., Jay J. The Federalist. 1961
11. <http://www.federalistpapers.ge/index.php>

12. Meany P. The separation of powers: from Polybius to James Madison. 2018
13. <https://fee.org/articles/the-separation-of-powers-from-polybius-to-james-madison/>

14. Murrin J. A roof without walls: the dilemma of American national identity. University of North Carolina Press. 1987

15. Padover S. The genius of America. McGraw-Hill Book Company. 1960

16. Scalia A. American exceptionalism. 2011
https://www.youtube.com/watch?v=Ggz_gd--UO0

17. Tocqueville A. Democracy in America.-New York., 2010

დარეჯან თვალთვაძე

ჩვაბიანის ოთხთავი (H-1791 და მესტიის მუზეუმში დაცული მისი ფრაგმენტი (სიემ N 491)

სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ისტორიის შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანი წყაროა სვანეთში დაცული ხელნაწერები. მათი დიდი ნაწილი მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (სიემ) ინახება,¹ ნაწილი კი - სხვადასხვა სოფლის ეკლესიებში.²

სვანეთის მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერებიდან რამდენიმე კოდექსი ოთხთავის ტექსტს თითქმის სრულად შეიცავს. მათ შორისაა: სახარების უძველესი თარიღიანი ნუსხა - 897 წელს შატბერდში გადაწერილი ადიშის ოთხთავი (სიემ N478 (კ-82)).³ ასევე თარიღიანი, 1033 წელს ოშკში გადაწერილი მესტიის ოთხთავი (სიემ N1(კ-70); XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული მდიდრულად შემკული ლაფსყალდის სახარება (სიემ N482 (კ-71); შედარებით გვიანდელი, XIII საუკუნის ნუსხად მიჩნეული იენაშის ოთხთავი (სიემ N483 (კ-72); XIV საუკუნეში იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში გადაწერილი და ლაჰილის ეკლესიისთვის შეწირული სახარება (ლაჰილის ოთხთავი, სიემ N620, კ-75). სვანეთის მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერებიდან ორი თავ-ბოლონაკლული ნუსხაა: XI საუკუნის მანუსკრიპტი ტვიბერის ოთხთავი (სიემ N548 (კ-73) და XIII საუკუნით დათარიღებული ერთი ხელნაწერი სახარება, რომლის მხოლოდ 76 ფურცელი შემონახულა (სიემ. N 3381 (კ-64). მუზეუმში ასევე დაცულია სახარების ხელნაწერების რამდენიმე ფრაგმენტი: სიემ N8, (კ-37); სიემ N491(კ-8); სიემ N13 (1) (კ-4); სიემ N13 (2) (კ-4) [თვალთვაძე... 2018:41-55].

როგორც ჩანს, სვანეთში ბევრად მეტი ხელნაწერი სახარება ინახებოდა, ვიდრე დღეს არის აღნუსხული,⁴ რასაც მოწმობს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სვანეთში განხორციელებული ექსპედიციების შედეგების ამსახველი პუბლიკაციები,⁵ რომლებშიც დასახელებული ოთხთავის ხელნაწერებიდან ზოგიერთი დღეს სვანეთში აღარაა დაცული, მათი ერთი ნაწილი თბილისში, ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციაში ინახება;⁶ ზოგიერთი მათგანის სვანეთთან კავშირის შესახებ აღწერილობაშიც არის მითითებული⁷ (თუმცა არა ყოველთვის). ერთ დროს სვანეთში დაცული ხელნაწერების იდენტიფიცირებას ართულებს ისიც, რომ ცნობები (ხელნაწერის ზომები, მათში ფურცელთა რაოდენობა, შედგენილობა, შენახვის ადგილის დასახელება და სხვ.), რომლებსაც XIX-XX საუკუნეების მკვლევრები გვაწვდიან ხელნაწერთა შესახებ, ყოველთვის არ არის ერთგვაროვანი. გასათვალისწინებელია ისიც,

რომ ზოგიერთი ხელნაწერი დროთა განმავლობაში შეიძლება უფრო მეტად დაზიანებულიყო, ზოგი კი საერთოდ დაკარგულიყო.

ჩვაბიანის ოთხთავად სახელდებულმა 4-ფურცლიანმა ფრაგმენტმა, რომელიც მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება (სიემ N491, კ-8) და პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება, ჩვენი ყურადღება რამდენიმე წლის წინ მიიქცია, როცა ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში კოლეგებთან ერთად სვანეთში დაცული სახარება-ოთხთავის ხელნაწერების გასაცნობად მუზეუმს ვეწვიეთ. იქ დაცული ფრაგმენტების შესწავლისას დავადგინეთ, რომ ჩვაბიანურ ფრაგმენტში დაცულია იოანეს სახარების მე-16, მე-17 და მე-18 თავების რამდენიმე მუხლი და მასში წარმოდგენილი ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა [თვალთვაძე..., 2018:41-55]. ფრაგმენტის პირველადი კოდექსის იდენტიფიცირება მაშინ ვერ მოხერხდა.

სვანეთში დღემდე დაცული და სვანეთიდან ჩამოტანილი ხელნაწერი სახარებების კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ 1904 წელს ჟურნალ „Материалы по археологии Кавказа“-ს მე-10 ნომერში გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „სვანური ხელნაწერი სახარებები“ („Сванскія рукописныя Евангелія“), რომელშიც ავტორი მეტ-ნაკლები სისრულით აღწერს და მიმოიხილავს სვანეთის სხვადასხვა სოფელში დაცულ 10 ხელნაწერ სახარებას [Хаханов,1904:1-21]. ადიშის, მესტიის, ლაფსყალდის, ლახამულის, ლატალის, ლაშხვერის, უვალის სახარებებთან ერთად ალ. ხახანაშვილი ასახელებს სოფელ მუჟალში ნაპოვნ 3 ხელნაწერს, რომელთაც „მუჟალის სახარებებს“ („Мужалскія Евангелія“) უწოდებს [Хаханов 1904:18-19].

ალ. ხახანაშვილი მიერ აღწერილი ეს ხელნაწერები დღეს სვანეთში დაცულ სახარების კოდექსებს შორის არ ჩანს. როგორც გავარკვეეთ, მათგან ორი დღეს თბილისში, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში (ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია) ინახება (H-1870 და H-1871). ისინი 1921 წელს სვანეთიდან აკაკი შანიძეს ჩამოუტანია [H ფონდის...1950:256], ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებული ეტრატზე დაწერილი ხელნაწერი სახარების ბედი კი გაურკვეველია.

ალ. ხახანაშვილის ცნობით, მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში⁸ ნაპოვნი ეს ხელნაწერი, პერგამენტზე ნუსხურად ორ სვეტადაა ნაწერი და შეიცავს 151 ფურცელს, რომელთაგან 22 ფურცელი უჭირავს მათეს, 42 - მარკოზის, 68 - ლუკას და 20 ფურცელი - იოანეს სახარებას. მკვლევარი უთითებს ხელნაწერის ფურცლის ზომებს (20X15სმ.) და გვერდზე სტრიქონთა რაოდენობასაც (22

სტრიქონი). ალ. ხახანაშვილს მოჰყავს სახარებათა ბოლოს დართული მინაწერები, რომლებიც სახარებების დაწერასთან დაკავშირებული დეტალების, მათში მუხლებისა და თავების რაოდენობის შესახებ ცნობებს შეიცავს.⁹ აქვეყნებს რამდენიმე ანდერძსაც და აღნიშნავს, რომ მათი ნაწილი, არასწორად აქვს ამოკითხული დიმიტრი ბაქრაძეს, რომელსაც ალ. ხახანაშვილამდე (1860 წ.) უნახავს ეს ხელნაწერი [Бакрадзе, 1864:108].

ალ. ხახანაშვილის პუბლიკაციაში მოყვანილია ლუკას სახარების ბოლოს მიწერილი ანდერძის ტექსტიც, რომელიც ხელნაწერის დაწერის დროს განსაზღვრავს: „*მას ჟამსა დაიწერა ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს, ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათვის*“ [Хаханов 1904:18]. ცნობილია, რომ კილიკიის სომეხებმა ანტიოქია ორჯერ აიღეს: ერთხელ 1213 წელს, ხოლო მეორედ - 1216 წელს. სავარაუდოდ, ხელნაწერიც ამ წლებშია გადაწერილი (1213-1216 წწ). აქ დასახელებული გიორგი ბერი, კიდევ ერთ ანდერძშია მოხსენიებული: „*წმიდაო მარკოზ მახარებელო, მეოხ-ყავ გიორგი ბერსა ავად ცოდვილსა*“ [Хаханов, 1904:18].¹⁰

ალ. ხახანაშვილი წერს, რომ ხელნაწერს მის დროს უკვე აკლდა ის ფურცელი, რომელიც თავის დროზე უნახავს დიმიტრი ბაქრაძეს და რომელზედაც დაწერილი ყოფილა კიდევ ერთი ანდერძი: „*ლოცვა ყოველ (ყავთ) გიორგი ბერისათვის. დაიწერა მთასა საკვრველსა თორნესა წმიდისა სჰმეონისასა. ღმერთმან შეუნდვნენ ბასილსა დეკანოზსა დიდად მოღუწა (იგვაწა?). თქუნცა აკურთხეთ*“ [Бакрадзе, 1864 :108].¹¹

ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ გიორგი ბერის ანდერძს (რომელიც ხელნაწერის გადამწერი უნდა იყოს დ.თ.) მოჰყვება სხვა ტექსტიც, დაწერილი გადამწერისავე ხელით. მას კოდექსის ბოლო გვერდი უჭირავს და ბოლონაკლულია: „*მადლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ყოვლად წმიდასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყურებითა თჳსითა აურაცხელნი დიდებულნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვიარებთ და გუჭუწყა ჭეშმარიტება ამისი მართლმადიდებლობით ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ...*“ [Хаханов, 1904:18].¹²

ალ. ხახანაშვილის მიერ აღწერილი ეს ხელნაწერი („მუჟალის პირველი ოთხთავი“) დღეს სვანეთში დაცულ სახარების კოდექსებს შორის არ არის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს მანუსკრიპტი ალ. ხახანაშვილამდე ნანახი აქვს დიმიტრი ბაქრაძეს [Бакрадзе, 1864:108] და, ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ბერ ალექსი ბაქრაძესაც [თაყაიშვილი, 1937:249].¹³ 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთში მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში ე. თაყაიშვილი წერს, რომ მუჟალის თემში „*ებლა აღარ არის, მაგრამ დ. ბაქრაძის დროს აქ ყოფილა ეტრატის სახარება*“ [თაყაიშვილი, 1937:249].¹⁴

რა ბედი ეწია ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებულ ხელნაწერს?¹⁵

ჩვენი ყურადღება მიიქცია კოდექსის ანტიოქიასთან კავშირმა და მის ბოლო გვერდზე შემორჩენილმა ტექსტმა (იხ. ზემოთ: „*მადლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემად..*“), რომელიც ოთხთავის რამდენიმე სხვა ხელნაწერშიც გვხვდება (ჯერ-ჯერობით გამოვლენილია 5 ხელნაწერი). ყველა ეს ხელნაწერი სახარების გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ტექსტს შეიცავს და უკავშირდება ანტიოქიის სამწიგნობრო სკოლას. ტექსტი ოთხთავის პარატექსტული დანართია, პანეგირიკული ჰომილია (პირობითი სათაურით „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“) და ხაზს უსვამს „ცათა და ქუყანისა უზეშთაჲს წიგნად“ წოდებული სახარება-ოთხთავის განსაკუთრებულობას და გამორჩეულ მნიშვნელობას. აღნიშნული ტექსტის ავტორად მიიჩნევა XI საუკუნის II ნახევარში შავ მთაზე, კერძოდ, კალიპოსის მონასტერში მოღვაწე ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელყოფილი, რომელსაც 1060 წელს გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის „ახლადთარგმნილი სახარება“ (K-76) და რომლისთვისაც გადამწერის ანდერძთან ერთად ოთხთავის შესხმის ტექსტიც დაურთავს [სილოგავა, 1989: თვალთვაძე, 2010].¹⁶

„შესხმაჲ ოთხთავისაჲ“, კალიპოსის ოთხთავის გარდა (K-76, 151v-153r), ნაკლული სახით ერთვის შავ მთაზე გადაწერილ ვატიკანის ოთხთავს (Vat.Iber.1:574-567); მისი ოდნავ შემოკლებული ვერსია დართული აქვს XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ ქვათახევის ოთხთავსაც (A-357, 251r-155r), ფრაგმენტულად შემონახულია XIII საუკუნის ერთ სახარებაშიც A-37 (308r-309v) და ახლავს ასევე ანტიოქიური წარმომავლობის H-1791 ხელნაწერს (153 r), რომელიც 1213–1216 წლებით თარიღდება. ამ ხელნაწერებში დაცული „შესხმაჲ ოთხთავისაჲს“ ტექსტის შედარება მუჟალის პირველი ოთხთავის ბოლო გვერდზე წარმოდგენილ ტექსტის ფრაგმენტთან გვიჩვენებს, რომ ის ბასილი თორელყოფილის „შესხმის“ დასაწყისია. საინტერესოა, რომ ალ. ხახანაშვილის გამოქვეყნებული ტექსტი სწორედ იმ ადგილზე წყდება, რომელზეც H-1791-ში დაცული ტექსტი:

<p>„შესხმად ოთხთავისად“ მუჟალის პირველ ოთხთავში</p>	<p>„შესხმად ოთხთავისადს“ დასაწყისი K-76; Vat.Iber.1; A-357; A-37; H-1791-ში</p>
<p>„მადლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ყოვლადწმიდასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყუარებითა თვისითა აურაცხელნი დიდებულნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვიარებთ და გუჴუწყა ჭემმარიტებაჲ ამისი მართმადიდებლობით ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ“...</p>	<p>„მადლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ყოვლადწმიდასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყუარებითა თვისითა აურაცხელნი მადლნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვიარებთ და გუჴუწყა ჭემმარიტებაჲ მისი მართმადიდებლობით ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ¹⁷ ყოვლად წმიდისა, რომელიცა-ესე მოგუეთხრა ოთხთა მიერ მახარებელთა სულითა წმიდითა აღვსებულთა - მათეს, მარკოზის, ლუკას და იოვანეს, რომელი მეტყუელებს საკვრველებათა და ყოველთავე ღმრთეებასა და კაცებისა განგებულებასა მჴსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელი ყოველთავე ბრძანებათა შინა თვსთა დაამტკიცებს მამის თანა დაუსაბამოდსა და ყოვლად</p>

	<p><i>წმიდისა სულისა თანასწორობასა, თანადაუსაზამოებასა და სუფევასა თვისსა, რომელსა აღვიარებთ და ვადიდებთ თანა მამით და სულით წმიდიდითურთ სამგუამოვნებით და ერთღმრთეებით, რომელი სუფევს საუკუნითგან და უკუნითი უკუნისამდღს , ამინ...“</i></p>
--	--

ეჭვგარეშეა, რომ აქ ერთსა და იმავე ხელნაწერთან გვაქვს საქმე: ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებული ხელნაწერი არის ოთხთავის ის კოდექსი, რომელიც დღეს თბილისში, ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციაში (H ფონდი) ინახება 1791-ენომრით.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს H-1791 ხელნაწერში არა 151, არამედ 153 ფურცელია [H ფონდის...1950:218] და მისი ზომაც (21X15სმ.) მცირედ, მაგრამ განსხვავდება ალ. ხახანაშვილის მიერ მითითებული ზომებისაგან (20X15სმ), სხვა მრავალი მახასიათებელი აშკარად მიგვანიშნებს, რომ H-1791 ხელნაწერი ის ოთხთავია, რომელსაც ალ. ხახანაშვილი მუჟალის პირველ ოთხთავად აღწერს:

1. H-1791 ხელნაწერიც ნაწერია ეტრატზე ნუსხურად, ორ სვეტად და სვეტში 22 სტრიქონია;
2. მისი გადამწერიც გიორგი ბერია („გიორგი ბერსა, გლახ მწარედ ცოდვილსა, ულოცე მკითხველო, ღმრთისათჳს“ (H-1791, 153r);
3. გადაწერის ადგილი და დრო იგივეა, რაც დასტურდება ანდერძით, რომელიც დ. ბაქრაძეს, ა. ბაქრაძეს და ალ. ხახანაშვილსაც (დ. ბაქრაძეზე დაყრდნობით) მოჰყავთ და H-1791-ში 151v-ზეა წარმოდგენილი: „დაიწერა მას ჟამსა ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“; ამ ანდერძის მიხედვით ხელნაწერის თარიღად 1213-1216 წლები განისაზღვრება;
4. იდენტურია ხელნაწერი წიგნის შედგენილობა და მდგომარეობა: შეიცავს მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებებს ნაკლულად; ხელნაწერი უყდოა და დაფურცვლილი;
5. იდენტურია H-1791-ის და ალ. ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებული სახარებათა კოლოფონები (გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა);

6. და, როგორც ვნახეთ, იდენტურია H-1791-ში დაცული სახარების პარატექსტი, ე.წ. „შესხმად ოთხთავისად“ და მუჟალის პირველ ოთხთავის აღწერისას აღ. ხახანაშვილის მიერ ანდერძის გაგრძელებად მოყვანილი ტექსტი. ისინი ერთსა და იმავე ადგილზე წყდება (H-1791,153r).

ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს, რომ ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ აღწერილი და მუჟალის პირველ ოთხთავად წოდებული ხელნაწერი დღეს H ფონდში 1791-ე ნომრად დაცულ ხელნაწერად მივიჩნით.

უცნობია, როდის და ვინ ჩამოიტანა ეს ხელნაწერი თბილისში (ხელნაწერის აღწერილობაში მისი წარმომავლობის შესახებ არაფერია მითითებული), მაგრამ ფაქტია, რომ XX საუკუნის დასაწყისში ის ჯერ კიდევ მუჟალის თემის სოფელ ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის საკუთრება ყოფილა [თაყაიშვილი, 1937:249].¹⁹

H-1791 ხელნაწერი ნაკლულია. უყდო და დაშლილ კოდექსში ამოვარდნილია ფურცლები. რადგან მანუსკრიპტის სვანეთთან, კერძოდ კი, მუჟალის თემთან კავშირი დადგინდა, მისი დაკარგული ფურცლების ძებნა სვანეთის ამ სოფელთან დაკავშირებული ფრაგმენტებით უნდა დავიწყოთ. აქ კი, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს მესტიის მუზეუმში დაცული ჩვაბიანის ოთხთავად სახელდებული ოთხფურცლიანი ფრაგმენტი (სიემ N 491 (კ-8), რომელიც მუზეუმში მუჟალის თემის სოფელ ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიიდან მოხვედრილა. ეს ხელნაწერი, H-1791-ის მსგავსად, დაწერილია ეტრატზე,²⁰ ორ სვეტად და სვეტში 22 სტრიქონია. ისიც, როგორც H-1791, გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით, შავი ფერის მელნით და საზედაო ასოები სინგურით არის შესრულებული.²¹ ზოგიერთი განსაკუთრებით ლამაზად არის მოხატული. ორივეგან გვხვდება სინგურით დაწერილი ქანწილი. H-1791-ის მსგავსად ამ ფრაგმენტზეც კარგად ჩანს განკანონების კვალი. ორივეგან მარცხენა აშიებზე და სვეტებს შორის მიწერილია ევსების კანონების ნომერი და მუხლების სათვალავი („ამონიოსის სექციები“). აღსანიშნავია, რომ ქვედა აშიებზე ორივე ხელნაწერში მოთავსებულია სათანხმებელი, ე.წ. „განთესულები“, რომლებშიც მახარებლების სახელები სინგურით არის შესრულებული, ხოლო მუხლთა აღმნიშვნელი რიცხვები – შავი ფერის მელნით.

ჩვაბიანურ ფრაგმენტში დაცულია სახარების ის მუხლები, რომლებიც აკლია H-1791-ს (იოანეს სახარების მე-16, მე-17 და მე-18 თავების რამდენიმე მუხლი) და ორივე გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. ფრაგმენტისა და H-1791 ხელნაწერის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მესტიაში დაცული და ჩვაბიანის ოთხთავად წოდებული ფრაგმენტი H-1791

ხელნაწერის ნაწილია, რომელიც 1904 წელს ალ. ხახანაშვილმა მუჟალის პირველი ოთხთავად აღწერა, შემდეგ კი თბილისში, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში (H ფონდი) მოხვდა.

H-1791(65r)²²

ჩვაბიანის ოთხთავის ფრაგმენტი (სიემ N491 (კ-8),3v-4r.

1213-1216 წლებში სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, „მთასა საკურველსა თორნესა წმიდისა სკმეონისასა“ ბერი გიორგის მიერ გადაწერილი ეტრატის სახარება-ოთხთავის ხელნაწერი, არ ვიცით როდის და როგორ, მაგრამ სვანეთში მოხვდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, XX საუკუნის დასაწყისამდე ეს ხელნაწერი მუჟალის თემის სოფ. ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის კუთვნილება იყო; აქ ნახა ის 1860 წელს დ. ბაქრაძემ, 1904 წელს - ალ. ხახანაშვილმა. 1910 წლისთვის მისი დიდი ნაწილი (მინიმუმ 153 ფ.) მესტიაში ბესარიონ ნიჟარაძესთან ინახებოდა [თაყაიშვილი, 1937:307], შემდეგ კი ხელნაწერი თბილისში, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციაში მოხვედრილა და დღეს კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში 1791-ე ნომრად არის დაცული.

როგორც ჩანს, დაშლილი ხელნაწერის ნაწილი ჩვაბიანშივე დარჩა. 1895 წელს სწორედ ამ სოფელში, მღვდლის სახლში, უნახავს პრ. უვაროვას ხურჯინი, რომელიც სავსე იყო ეტრატზე დაწერილი, დაშლილი და დაზიანებული ძველი ხელნაწერებით [Уварова,1904:154], მათ შორის იყო, ალბათ, H-1791-ის ფრაგმენტებიც, საიდანაც შემორჩენილმა 4 ფურცელმა ბოლოს მესტიის მუზეუმში დაიდო ბინა. დღეს ჩვაბიანის ოთხთავად სწორედ ეს ოთხფურცლიანი ფრაგმენტი – სიემ N491 (კ-8) იწოდება [საქართველოს...2015:282]. მართებული იქნება, იგივე სახელი (ჩვაბიანის ოთხთავი) ეწოდოს H-1791 ხელნაწერსაც, რომელიც მესტიაში დაცულ ფრაგმენტთან ერთად უკვე არა 153, არამედ 157 ფურცელს შეიცავს.

[1]შევნიშნავთ, რომ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელნაწერების ვრცელი აღწერილობა, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს. იქ დაცული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა-კატალოგი გასული საუკუნის 70-იან წლებში შეადგინა აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა, რომელიც ხელნაწერი და ნაბეჭდი სახით ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მეცნიერის პირად არქივში (საქმე N369) [მეტრეველი, 2007]; სვანეთში დაცული ხელნაწერები, რომელთაც ახლავს მინაწერი საისტორიო საბუთები, მათ შორის, სახარების ხელნაწერებიც, აღწერა და 1986 წელს გამოსცა ვალერი სილოგავამ [სილოგავა, 1986]; სვანეთში შენახული სახარების ხელნაწერები მოხვდა 2015 წელს გამოცემულ საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგშიც [საქართველოს ... 2015: 279- 298].

[2]კერძოდ: სოფ. ქურაშის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში ინახება ქურაშის ოთხთავი; სოფ. ლახამულში - ლახამულის ოთხთავი; სოფ. ლახუმტის ეკლესიაში ინახება ლახუმტის აპრაკოსი, რომელშიც მათეს, ლუკასა და იოანეს სახარებების საკითხავებია წარმოდგენილი.

[3]უკანასკნელ წლებში სვანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერები ხელახლა გადაინომრა და მათი ამჟამინდელი ნუმერაცია ელენე მეტრეველის კატალოგის ნუმერაციას აღარ ემთხვევა. სვანეთის მუზეუმში დაცულ ხელნაწერებს ვუთითებთ მათი ახალი და ძველი ნუმერაციით: პირველ რიგში მითითებულია ხელნაწერის ახალი შიფრი, ფრჩხილებში კი მითითებულია ნომერი, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა ძველ კატალოგში. ძველი კატალოგი აღნიშნულია ლიტერით კ.

[4]1904 წელს ჟურალ „მოამბეში“ დაბეჭდილ სტატიაში ბესარიონ ნიჟარაძე წერდა: „*სამწუხაროდ, თავშივე უნდა აღვნიშნო, რომ სვანეთის ხელნაწერებისა ჩვენ დრომდე ერთი მეოთხედსღა თუ მოუღწევია; სამი მეოთხედი კი ან დრო-ჟამს მოუსპია ან და კერძო პირებს გაუტანიათ სვანეთიდან: ქუთაისს, ტფილისს, პეტერბურგსა და მოსკოვს და შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ მე მხოლოდ ამ ქალაქებში მეგულება*“ [ნიჟარაძე, 1904]. 1903 წელს „ივერიის“ 194-ე ნომერში (12 სექტემბერი) „თავისუფალი სვანის“ სახელით გამოქვეყნებულ წერილში ბესარიონ ნიჟარაძე ახსენებს სახარების 9 ხელნაწერს, რომელიც მას 11 წლის წინ (1892 წელს) დაწერილ წერილში („სვანეთის მანუსკრიპტები“) განუხილავს, მაგრამ დღემდე არ დაბეჭდილა [ნიჟარაძე, 1903].

[5]სვანეთის წერილობითი ძეგლების შეკრება და გამოცემა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. განსაკუთრებულია ამ საქმეში მ. ბროსეს, ი. ბართოლომეის, ნ. მარის, ბ. ნიჟარაძის და სხვათა წვლილი, მაგრამ სიძველეთა შესწავლის მიზნით სვანეთში მოწყობილი ექსპედიციებიდან უმნიშვნელოვანესი იყო 1860 წელს დიმიტრი ბაქრაძის, 1895 წელს გრაფინია პრასკოვია უვაროვას და 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციები. დ. ბაქრაძის ექსპედიციის ანგარიში გამოქვეყნდა 1864 წელს [Бакрадзе, 1864], 1895 წლის ექსპედიციის ანგარიში

დაიბეჭდა 1904 წელს [Уварова, 1904], 1910 წლის ექპედიციის ანგარიში კი - 1937 წელს [თაყაიშვილი, 1937].

[6]ასეთია, მაგალითად, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (A ფონდი) დაცული სახარების წინათონური რედაქციის ტექსტის შემცველი კოდექსები A-1699 (X ს); A-18 (XIII ს), ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციის ხელნაწერები: H-1741 (1048 წლის ე.წ. პალესტინური ოთხთავი), რომელსაც სწორედ იმის გამო, რომ ის უკანასკნელ ხანებში სვანეთში ბესარიონ ნიჟარაძესთან ინახებოდა, კ. კეკელიძე „სვანურ ოთხთავს“ უწოდებს [კეკელიძე, 1912:36]; H-1789 (XIII ს.); H-1836 (XIV-XV სს); H-1870 (XIII-XIV სს); H-1871 (XIX-XV სს); H-1872 (XIV-XV სს). ამ ხელნაწერების სვანეთთან კავშირს მათში დაცული სვანური საბუთები ცხადყოფენ [სილოგავა, 1986:36-60].

[7]მაგალითად, ასეთი მითითება აქვს ზემოთ დასახელებული ხელნაწერებიდან H ფონდის ორ ხელნაწერს: H-1871 და H-1872 , რომელებიც 1921 წელს აკაკი შანიძეს ჩამოუტანია სვანეთიდან [H ფონდის...1950:256].

[8]მაცხოვრის სახელობის ეკლესია მდებარეობს მუჟალის თემის სოფელ ჩვაბიანში.

[9]მაგალითად: „დაესრულა მათეს სახარებაჲ თავი ზ. აღიწერა იერუსალიმს ებრაელებრითა სიტყვთა მერვესა წელსა ქრისტეს ამადლებითგან“ [Хаханов, 1904: 18] (ხახანაშვილს სწორად ვერ ამოუკითხავს თავების რაოდენობა, უნდა იყოს: თავნი ტნე. დ. თ.).

[10]დ. ბაქრაძისგან განსხვავებით, რომელიც ანდერძში მოხსენიებული გიორგი ბერს გიორგი მთაწმიდელად მიიჩნევს (რასაც მოგვიანებით დაეთანხმა ე. თაყაიშვილიც), ალ. ხახანაშვილი მას გიორგი მთაწმიდელთან არ აიგივებს და მიუთითებს, რომ ხელნაწერის შექმნის თარიღი (1213-1216 წწ) არ ემთხვევა გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის პერიოდს.

[11]ალ. ხახანაშვილი ასწორებს ანდერძის რამდენიმე ადგილის დ. ბაქრაძისეულ წაკითხვას (ყოველ]ყავთ); მოღუწა]იგვაწა ?), თუმცა ეს მხოლოდ მისი კონიექტურაა, თავად ანდერძის ტექსტი ალ. ხახანაშვილს არ უნახავს. საყურადღებოა, რომ ამ ანდერძში დაკონკრეტებულია ხელნაწერის გადაწერის ადგილი - ესაა საკვირველი მთა, ანუ იგივე შავი მთა და იქ მდებარე წმინდა სვიმეონის თორნე („დაიწერა მთასა საკვრველსა, თორნესა წმიდისა სვმეონისასა“).

[12]შეგნიშნავთ, რომ ალ. ხახანაშვილის მიერ მოყვანილი ეს ტექსტი დაგვეხმარა სწორედ მის მიერ მუჟალის პირველ ოთხთავად აღწერილი სახარების იდენტიფიკაციაში.

[13]როგორც ჩანს, ის არ უნახავს 1895 წელს სვანეთში ექსპედიციის დროს პრ. უვაროვას, რომელიც 8 ხელნაწერ სახარებას ასახელებს [Уварова, 1904: 148], რომელთა შორის, მუჟალის ზემოთ დასახელებული ოთხთავი არ ჩანს.

[14]სინამდვილეში, როგორც ირკვევა, ე. თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი ნახა მესტიაში, ბესარიონ ნიჟარაძესთან [თაყაიშვილი, 1937:307], თუმცა დ. ბაქრაძისა და ალ. ხახანაშვილის მიერ აღწერილ მუჟალის პირველ ოთხთავთან მისი იდენტიფიცირება ვერ მოახერხა. საინტერესოა ე. თაყაიშვილის მიერ სქოლიოში მოყვანილი განმარტება, საიდანაც ჩანს, რომ სახარება მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში ინახებოდა: „ბერი ბაქრაძე ასე იხსენიებს ამ სახარებას: „მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში არს სახარება ესრეთ წარწერით: „მას ჟამსა დაიწერა სახარება ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოხია სომეხთა აიღეს. აღიწერა ხელითა გიორგი ბერისა შავმთასა (შუამთასა?) კალიპოსს“ [თაყაიშვილი, 1937:249, სქოლიო]. აღსანიშნავია, რომ ბერი ალექსი ბაქრაძის მიერ მოყვანილ ანდერძის ტექსტში ხელნაწერის გადაწერის ადგილად დასახელებული შავი მთა ე. თაყაიშვილის ეჭვს იწვევს და ფიქრობს, რომ შავი მთის ნაცვლად აქ შუამთა უნდა ეწეროს, მაგრამ ეს ეჭვი, ცხადია, უსაფუძვლოა, რასაც კარგად აჩვენებს იქვე კალიპოსის დასახელება („აღიწერა ხელითა გიორგი ბერისა შავმთასა, კალიპოსს“). კალიპოსის მონასტერი შავ მთის სავანეში მდებარეობდა.

[15]აღნიშნულ ხელნაწერს სვანეთიდან წამოღებულ და სხვადასხვა კოლექციაში მოხვედრილ მანუსკრიპტთა შორის არ ასახელებს ვ. სილოგავაც (სილოგავა, 1986:37).

[16]პარატექსტის ავტორის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა აზრიც, მაგ. თ.შურღაია მის ავტორად გიორგი მთაწმიდელს ასახელებს [შურღაია, 2006:165].

[17]აქ H-1791-ში ტექსტი წყდება.

[18]„ შესხმაჲ ოთხთავისაჲს“ სრული ტექსტი (K-76 -ის მიხედვით) გამოქვეყნებული აქვს ვ. სილოგავას [სილოგავა, 1989:153-165].

[19]ამ ხელნაწერს ე. თაყაიშვილი ეხება ნაშრომის იმ ნაწილშიც, რომელშიც ის მესტიაში ბესარიონ ნიჟარაძესთან ნახა ხელნაწერებს ჩამოთვლის და მოკლედ აღწერს [თაყაიშვილი, 1937:299-313]. სიაში

მე-10 ნომრად შეტანილი ხელნაწერის შესახებ იგი წერს: „სახარება ეტრატზე, 21X15 სმ, კარგი ნუსხა ხუცურის ხელით დაწერილი. ორ სვეტად, წითლურის მეთაურის ასოებით, უყდო, თავი და ბოლო აკლია, ხელი მე-12 საუკ. უნდა იყოს. ბოლოში უწერია: გიორგი ბერსა გლახ მწარეს ცოდვილსა ულოცე მკითხველო, ღმრთისათვის (აქ უნდა იგულისხმებოდეს გიორგი ათონელი)“ [იქვე, გვ. 307]. როგორც ჩანს, ხელნაწერი მუჟალიდან (ჩვაბიანიდან) მესტიაში ბესარიონ ნიჟარაძემ წამოიღო.

[20]ეტრატი, ძალიან დაზიანებული და დალაქავებულია. 1r იკითხება, 1v და 2r გადარეცხილია და ამოკითხვა მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შესაძლებელი, 2v და 3r შედარებით კარგად იკითხება, შუა ნაწილის გარდა, რომელიც ისეა გაშავებული, რომ ნაწერის ამოკითხვას შეუძლებელს ხდის. სოფ. ჩვაბიანის ტაძარში, რომელშიც ეს ხელნაწერი მუზეუმში მოხვედრამდე ინახებოდა, სახურავიდან წყალი ჩადიოდა. ეს გვერდები, სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს დასველდა და დალაქავდა. 3v და 4r ძლიერ დაზიანებულია, რის გამოც ნაწერის გარჩევა ალაგ-ალაგ ჭირს. შედარებით კარგად იკითხება 4v. [თვალთვაძე..., 2018: 47]

[21]რამდენიმე ადგილას საზედაო ასო გვიან უნდა იყოს სინგურით გაცხოველებული.

[22]ფოტო დაბეჭდილია ალბომში „თარიღიანი ქართული ხელნაწერები“ [თარიღიანი..., 2015:143]

ლიტერატურა:

თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს.-პარიზი.-1937

თარიღიანი ქართული ხელნაწერები (IX-XVI სს) / ალბომი შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, ქეთევან ასათიანმა, ბუბა კუდავამ, ელენე მაჭავარიანმა, თამარ ოთხმეზურმა, მზია სურგულაძემ, დალი ჩიტუნაშვილმა და თეიმურაზ ჯოჯუამ ზაზა ალექსიძისა და ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით. თარგმნა ნიკოლოზ ალექსიძემ. თბილისი, 2015

თვალთვაძე დ. დოქსოლოგიური ხასიათის ერთი თხზულება შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავის ხელნაწერებში. მოხსენების მასალები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2010

თვალთვაძე დ., კვიციანი ე. სვანეთის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერების ფრაგმენტები // თსუ ქართული ენის ინსტიტუტის შრომები: ქართველური ენათმეცნიერება. 2018. ტ. 5. გვ.41-55.

ნიჟარაძე ბ. სვანეთის მანუსკრიპტები // „ივერია. 1903. N 194 (12 სექტემბერი).

ნიჟარაძე ბ. სვანეთის ხელნაწერები: სახარებები // მოამბე. 1904. N9.

მეტრეველი ე. ქართული კულტურის დიდი კერა // ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ნაკვ. 1: (ეძღვნება ე. მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავს). თბ., 2007

საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი / შემდგენლები: გრ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ.კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, შალვა გლოველის რედაქციით. თბილისი.2015

სილოგავა ვ. სვანეთის წერილობითი ძეგლები. 1, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბილისი, 1986

სილოგავა ვ. XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი // მრავალთავი. XV. 1989. გვ. 153-165.

შურღია თ. ვატიკანის ოთხთავის თავგადასავალი // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა : №11/ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი. 2006

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა // საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია): ტომი IV/ შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ; კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. თბილისი.1950

Бакрадзе Д.З. Сванетія. Сванетия // Записки Кавказского отдела Императорского русского исторического общества. Книга VI. Тифлис. 1864

Кекелидзе К. С. Иерусалимский Канонарь VII века (Грузиская версия). Тифлис. 1912

Уварова, П. С. Поездка в Пшавию. Хевсуретию и Сванетию графини Уваровой: Материалы по археологии Кавказа. собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой : Вып. 10, Моск. археолог. о-во, Москва. 1904


Хаханов А.С. Сванскія рукописныя Евангелія: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой ; Вып. 10: Приложение, 1 (ст.1-21); Моск. археолог. о-во. Москва. 1904

კონსტანტინე (კოტე) ფიცხელაური

სახელმწიფოებრიობის სათავეებთან აღმოსავლეთ საქართველოში (იორ-ალაზნის ორმდინარეთის მაგალითზე)

სამხრეთ კავკასია, გეოგრაფიულად, მახლობელი აღმოსავლეთის განუყოფელი ნაწილია და მათი წარსულიც, თანაბარწილად, ერთობლიობაში უნდა განიხილებოდეს.


ეს კიდეც ერთხელ დაადასტურა, აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე ალაზნისა და იორს შორის მდებარე ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომელიც ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნის ბოლო ხანებით თარიღდება. ივრის ზეგნის ეს მონაკვეთი გეოგრაფიულად მთებით მკაცრად შემოსაზღვრული ნაყოფიერი ველებია, რომელთა საშუალო ნიშნული ზღვის დონიდან 600 მ. აღწევს, ირგვლივ მდებარე მთების საშუალო სიმაღლე კი 800 მ. ფარგლებშია. მისი მთელი ფართობი დაახლოებით 15 ჰექტარია. ზეგნის აქ მდებარე სამივე ველზე ამჟამად მკვეთრად ისახება მდინარეთა მშრალი კალაპოტები. მრავალი მონაცემის მიხედვით, ძვ. წ. X-XI საუკუნეებში ივრის ზეგნის ეს მონაკვეთი, როგორც ჩანს, ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა [ფიცხელაური, 2011: 10-50]



სურ. I. დიდი შირაქის ველზე არსებული არქეოლოგიური ობიექტები

გეოგრაფიულად ამ კარგად გამოკვეთილ ტერიტორიას ერთი მთავარი შემოსასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან, რომელიც ხეობაზე გადის და „გრძელი კარის“ ტოპონიმით არის ცნობილი.¹ მას ძვ. წ. X-IX სს. მძლავრი ციხე იცავს დიდი ქვის ბლოკებზე ამოყვანილი, ხუთი მეტრის სიგანის გალავნითა და ოთხკუთხა მასიური კოშკებით გამაგრებული ჭიშკრით [Furtwängler, Knauss, Motzenbäkcker, 1998: 309-364].

ივრის ზეგნის ამ მკვეთრად შემოსაზღვრულ მონაკვეთში, ველების ირგვლივ მდებარე მთა-გორებზე, წინა წლებში აღმოჩნდა 40-ზე მეტი, კარგად დაგეგმარებული მცირე, ორწილადი დასახლება - ციტადელით მთის თხემზე და ქვედა საცხოვრებელი უბნებით მთის ფერდობებზე, რომლებიც ცალ-ცალკე მძლავრი გალავნებითა და თავდაცვითი თხრილებით არის შემოსაზღვრული.




II – დიდი შირაქის ველზე მდებარე დიდნაურის ნაქალაქარი და მცირე დასახლებები

ყველა ეს დასახლება ერთი კულტურის ფარგლებში ექცევა და დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ცნობილია მათი სამაროვნებიც [Maicურაძე, 1988: 61-62; ასათიანი, მაისურაძე, 2001: 37-65].

ამ დასახლებების ცენტრალურ ნაწილში, ველზე, 2014 წელს, სატელიტური გადაღებების დეშიფრაციითა და მცირე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა გრანდიოზული,

როგორც ჩანს, ცენტრალური ქალაქის ნაშთები, რომელიც დაახლოებით 15 ჰა ფართობს მოიცავს. ნაქალაქარი სამეცნიერო ლიტერატურაში „დიდნაურის“ სახელწოდებით შევიდა.



III - დიდი შირაქის ველი. „დიდნაურის“ ნაქალაქარის მითითებით

ამ 15 ჰექტრიდან, ციტადელი 400X400 მეტრია, რომელსაც გარს რთული, წინააზიური ნაგებობების მსგავსი კონსტრუქციის, 7 მ. სიგანისა და სპეციალისტების გამოანგარიშებით, სულ მცირე 15 მ. სიმაღლის, 1,5 კმ. სიგრძის გალავანი უვლის.


დასავლეთის ფასადი



სამხრეთის ფასადი



V. დიდნაურის ნაქალაქრის გალავნის რეკონსტრუქციაარქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სამხრეთი გალავნის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ქალაქში შესასვლელი ერთ-ერთი კარიბჭე.



V - ნაქალაქარის სამხრეთით არსებული კარიბჭის გეგმა

მეტად არსებითია სამხრეთ გალავნის სიღრმეში, კარიბჭის დასავლეთით თიხით ნაგები სამსხვერპლო მაგდის აღმოჩენა, რომელიც აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭლისა და თიხის საბეჭდავის მიხედვით, ასევე, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით თარიღდება.



VI - სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩენილი სამსხვერპლო მაგიდადა

ზვერვითმა სამუშაოებმა კი მიანიშნა ქალაქის წყლით მომარაგების საიდუმლო გვირაბისა და დიდი სამაროვნის არსებობაზე.

ციტადელის ტერიტორიაზე, ასევე, მძლავრი გალავნით ორი დიდი ოთხკუთხა მონაკვეთია გამოყოფილი, რომლებიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდა. მას გარს უვლის 15 მ. სიგანის თავდაცვითი თხრილი, მისი ჩრდილო ნაწილი კი, მეორე განიერი გალავნით არის გარშემოვლებული.

ნაქალაქარის დასავლეთ ციტადელის ცენტრალური ნაწილის გათხრითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა წვრილი ქვის ღორღოვანი მასით მოპირკეთებული ქუჩა, რომლის მიმდებარედ დაფიქსირდა რიყის ქვით ნაშენი შენობის საძირკვლები.



VII - დიდნაურის ნაქალაქარი. მოკირწყლული ქუჩა და შენობების საძირკვლების კვალი

მოკირწყლული ქუჩის ქვეშ აღმოჩენილმა საკანალიზაციო ქსელმა მიანიშნა, რომ ამ პერიოდშიც აქ არსებული ჰიდროქსელი ჯერ კიდევ საკმაოდ წყალუხვი იყო². აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასახლებათა სისტემის ერთ-ერთ სამლოცველოზე ცხენებზემბმული საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი აღმოჩნდა, სამაროვნებზე კი, გათხრილ სამარხებში ყველა მამაკაცი მძლავრი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღით - მახვილით, სატევრით, შუბითა და ცულით იყო აღჭურვილი, რაც აქ მოსახლე საზოგადოების დიდ საბრძოლო პოტენციალზე მიანიშნებს.



VIII - ბრინჯაოს საბრძოლო ეტლის მოდელი და მეომრის სამარხი

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ივრის ზეგანზე, სამოსახლოებისგან მოშორებით არსებულ, ძვ. წ. X-IX სს. რელიგიური ცხოვრების ორ დიდ ცენტრში კოლოსალური რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, რაც ამ მხარეს და მის კულტურას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, პალეომეტალურგის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს ანიჭებს [ფიცხელაური, 2011: 106-122]

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე, რომელსაც ძირითადად ეკუთვნის „დიდნაურის“ ნაქალაქარი და სამაროვანი, როგორც წესი, ძალიან იშვიათია და შეიძლება ითქვას, რომ იორ-ალაზნის აუზის ძეგლებისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ღია წაბლისფრად გამოწვა. დიდნაურის ნაქალაქარისა და სამაროვნისთვის კი მსგავსი კეციანი თიხის ჭურჭელი ერთ-ერთ დამახასიათებელ სახედ უნდა მივიჩნიოთ. მათი ფორმები ჩვეულებრივ ადგილობრივი ფორმებისაა და არ გვაძლევს საშუალებას ისინი შემოტანილ ნაკეთობებს მივაკუთვნოთ. კიდევ მეტი, როგორც ნაქალაქარზე, ისე სამაროვანზე, არც თუ იშვიათად გვხვდება ჩალისფერ წერნაქში ამოვლებული, წაბლისფრად გამომწვარი ეს ჭურჭლები, რაც ამ დროის კავკასიის სამეთუნეო ნაწარმისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი და ჯერჯერობით მხოლოდ დიდნაურის ძეგლებზე დაფიქსირდა. თიხის ჭურჭლის შემკობის ეს ტექნიკა არც თუ იშვიათია წინააზიის თანადროული ძეგლებისათვის, რაც გვაძლევს შესაძლებლობას სამხრეთ კავკასიაში თიხის ჭურჭლის შემკობის ეს ტექნიკა სწორედ წინააზიური ძეგლებიდან, კონკრეტულად ხეთური თიხის ნაკეთობებიდან ნასესხებად ვივარაუდოთ.

შესაძლოა, მსგავს კავშირებზე მიგვითითებდეს სიახლეები თიხის ჭურჭლის ფორმებშიც. კერძოდ, ჰერეთის პლატოზე, დიდნაურის ნაქალაქარსა და ნაზარლების ერთ-ერთ ცენტრალურ დასახლებაზე ძალიან ხშირად გვხვდება ძვ. წ. XIII საუკუნის ტიპური ადგილობრივი ფორმების თიხის ჭურჭლის მხარზე მიძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ზემოთ შევიწროებული და აცქვეტილი ყურები. მსგავსი ფორმის ყურები ახასიათებს ხეთურ ნაკეთობებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიელი ხელოსანი კარგად იცნობდა ხეთურ სამეთუნეო ნაწარმს და მისთვის დამახასიათებელი ის დეტალები, როგორებიცაა: ჭურჭლის წერნაქით დაფარვა, ზეაწეული ყურები, თიხის ჭურჭლის ცხოველების ქანდაკებებით შემკობა და სხვა. ამან კავკასიელი მეწარმის მოწონება დაიმსახურა, რაც შემდგომ ადგილობრივ ნაწარმზე იქნა გადმოტანილი.

ერთდროულად ნაქალაქარის ტერიტორიიდან გვაქვს სამეთუნეო ნაწარმის ბევრი ფრაგმენტი, რომლებიც თავისი ხარისხით, დამუშავებითა და გარეგნული იერით აშკარად არაა ადგილობრივი.


შესაძლოა, ხეთელ მეთუნეებთან კავშირზე მიუთითებდეს ისიც, რომ ამ დროს კერამიკულ ნაწარმში ჰერეთის ტერიტორიაზე დამახასიათებელ ნიშნად იქცევა თიხის ჭურჭლის მხარზე ცხოველური ქანდაკებების გამოძერწვა, რაც ხეთებთან თიხის ჭურჭლის შემკობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია, რომელსაც რიტუალური დატვირთვაც უნდა ჰქონდეს.

ყოველივე ეს თითქოს ადასტურებს აქ მოსახლე საზოგადოების გაერთიანებას ერთ სოციალ-
ეკონომიკურ და დასაშვებია პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც მცირე სახელმწიფოებრივი
წარმონაქმნის ყველა ნიშანს ატარებს.



IX - დიდნაურის სამაროვანზე და ნაქალაქარზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი

ამ ვარაუდს მხარს უჭერს ივრის ზეგნის დასავლეთ ნაწილში, დავით გარეჯის მთიანეთში კონცენტრირებული ძვ. წ. X-IX სს. დიდი დასახლებები რეგულარული გეგმარებით და მძლავრი თავდაცვითი ნაგებობებით, რომლებიც აქაც მცირე სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.



X - უდაბნოს პროტოქალაქები

როგორც ცნობილია, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. წ. XII-XI საუკუნეების ე. წ. „ზნელი პერიოდის“ შემდგომ, ძვ. წ. X-IX საუკუნეებში მასობრივად ჩნდება მცირე სახელმწიფოები. ივრის ზეგანზე ამ აღმოჩენების შემდგომ დასაშვებია ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაც ძველი აღმოსავლეთის ორგანულ ნაწილად მივიჩნიოთ, რადგან აქაც, როგორც ჩანს, მსგავსი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა.

დასკვნები და საკვლევია საკითხები:

სპეციალისტთა დაკვირვებით, ივრის ზეგანზე აღმოჩენილი ნაქალაქარი „დიდნაური“ ძვ. წ. IX საუკუნეში მძლავრი მიწისძვრის შედეგად არის განადგურებული, რაც აქ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას განსაკუთრებით პერსპექტიულს ხდის.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ აღმოჩენების პროგრამული კვლევა სამხრეთ კავკასიის და შესაძლოა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბითაც, წარსულის ფუნდამენტური პრობლემის ახლებური გააზრების საფუძვლად იქცეს.

მიუხედავად სამომავლო საკვლევ საკითხების სიუხვისა, არსებული მონაცემები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ივრის ზეგანზე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მცხოვრები საზოგადოება ატარებდა ადრეული სახელმწიფოებრივი ფორმირების მკვეთრად გამოხატულ ნიშნებს. მის ეკონომიკურ თუ სოციალურ განვითარებას დიდწილად ხელს უწყობდა დღევანდელთან შედარებით სრულიად განსხვავებული ბუნებრივი გარემო. მხოლოდ კომპლექსურად, ისტორიულ ბუნებრივ გარემოსთან შესაბამისობაში, უნდა იქნეს განხილული მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტი.

იორ-ალაზნის ტერიტორია, ისტორიული ჰერეთი, დღევანდელი კახეთია. მისი უძველესი წარსულის კვლევას უაღრესად დიდი ეროვნული დატვირთვა აქვს. ეს განაპირობა საქართველოს ამ მხარეში არსებულმა რიგმა მოუგვარებელმა პრობლემამ, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებს და ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეში მცხოვრები საზოგადოების წარმომადგენლობის კახელების ეთნოკულტურული კუთვნილების საკითხს.

[1] „გრძელი კარის“ თანამედროვე არეალია სოფ. გამარჯვებიდან, დედოფლისწყაროს შესასვლელამდე.

[2] 2018-19 წლებში, შოთა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის კულტურული მემკვიდრეობა და გარემოს მიერ განხორციელდა შირაქის ველის ჰიდროგრაფიული ქსელის მოდელირება და საველე გეომორფოლოგიური კვლევები. შეგროვდა მრავალმხრივი მასალა, რომელიც შემდგომ უფრო მასშტაბურ კვლევებს უყრის საფუძველს, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მნიშვნელოვანი ლაბორატორიულ და ანალიტიკურ სამუშაოებს, სტრატეგრაფიული ფენების და არქეოლოგიური მასალის ანალიზის კუთხით.

ლიტერატურა :

ასათიანი ნ., მასურაძე ბ. დედოფლისწყაროს რაიონის გორასამარხები // არქეოლოგიური კრებული III. XXII – XXVI. თბილისი.2001

ფიცხელაური კ. ნაზარლების სამაროვნის მორფოლოგია : ხორნაბუჯი 1. თბილისი.2011

A. Furtwängler., F. Knauss. Archäologische Expedition in Kachetien. 1997-1998

Motzenbäkcker I. Ausgrabungen in Širaki. Eurasia Antigua. Band 4. 1998

Маисурадзе В. Ширакская архелогическая экспедиция. Полевые археологические исследования. 1988

ნინო დონაძე

რელიგიური ტოლერანტობის გაღვივება ისტორიის სწავლებისას თანამედროვე შეერთებულ შტატებსა და საქართველოში

სტატიაში განხილულია ისტორიის სწავლების როლი რელიგიური ტოლერანტობის გაღვივებაში თანამედროვე შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. ეს საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ისტორიულად ორივე ქვეყანა ტოლერანტულია, თუმცა დღესდღეობით დისკრიმინაციის შემთხვევებს მრავლად ვხვდებით. სტატია მიზნად ისახავს როგორც დისკრიმინაციის მიზეზების განხილვას, ასევე იმას, თუ რა როლს ასრულებს განათლება რელიგიური ტოლერანტობის გაღვივებაში. კვლევა ეყრდნობა, როგორც საქართველოს განათლების სამინისტროს, ასევე სხვადასხვა შტატის მიერ მიღებული სოციალური მეცნიერებების სასწავლო პროგრამებს, ისტორიის სახელმძღვანელოებს. ასევე, სტატიაში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ შეერთებულ შტატებსა და საქართველოში.

შეერთებულ შტატებში რელიგიური მრავალფეროვნებაა, მისთვის დამახასიათებელია რელიგიური პლურალიზმი და მას რელიგიის თავისუფლების ტრადიცია აქვს. ისტორიულად იგი რელიგიური ტოლერანტობის ადგილად ითვლება, თუმცა, ყოველთვის ტოლერანტული არ იყო განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანების მიმართ. სხვადასხვა რელიგიური ჯგუფი, რომელიც ამერიკის მიწაზე მოვიდა, რელიგიურ თავისუფლებას ეძებდა და არა ტოლერანტობას. ამერიკელი მწერალი და მეცნიერი ლუის ბ. რაითი აღნიშნავდა, რომ ახალ მიწაზე მოსულ რელიგიურ ჯგუფებს სურდათ, რომ თავისუფლები ყოფილიყვნენ სხვა რელიგიური ჯგუფების ან არამეგობრულად განწყობილი ხელისუფლების ჩარევისგან [Nardo, 2010:10]. მართალია, მილიონობით ადამიანმა იპოვა „საღნოი ლუმელი“, სადაც არსებობდა რწმენის თავისუფლება, თუმცა, პრობლემაა ის, რომ რელიგიის ისტორია ამერიკაში ზოგჯერ შემადრწუნებელი და სისხლიანი იყო, ზოგი ისტორია კი სასკოლო წიგნებში გადმოცემული არ იყო [Davis, 2010], თუმცა, ამისდა მიუხედავად, ისტორიის სწავლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტოლერანტობის დამკვიდრებაში.

მაგალითად, უცნობია ჰუგენოტების ისტორია, რომლებიც 1564 წელს (დააარსეს ფორტ კეროლაინის კოლონია) ჩავიდნენ ახალ მიწაზე რელიგიური თავისუფლების საძიებლად (ესპანელებმა დახოცეს). ესპანელმა სარდალმა, პედრო მენენდეს დე ავილესმა, ესპანეთის მეფეს, ფილიპე II-ს (1527-1598 წწ.), მისწერა, რომ მათ ჩამოახრჩვეს ყველა, ვინც იპოვეს ჰუგენოტთა კოლონიაში, რადგან ისინი ამაზრზენ

ლუთერანულ დოქტრინას ავრცელებდნენ. ამგვარად, ევროპელი ქრისტიანების პირველი შეხვედრა ამერიკის მიწაზე საკმაოდ სასტიკი იყო [Davis, 2010].

ნიუ ინგლანდის კოლონიებიდან ყველაზე არატოლერანტულად შესაძლოა მასაჩუსეტსის ყურის კოლონია მივიჩნიოთ. პურიტანები, რომლებიც ამ კოლონიაში ცხოვრობდნენ, არ იყვნენ ტოლერანტულები სხვა რელიგიური ხედვის მიმართ. მაგალითად, მასაჩუსეტსში მიიღეს კანონი (1658 წ.), რომლის თანახმად, კოლონიიდან განდევნილი კვაკერები თუ დაბრუნდებოდნენ, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ამის შემდეგ, ბოსტონში (1659-1661 წწ.) ოთხი კვაკერი ჩამოახრჩვეს [Nardo, 2010:9]. ხოლო, ცნობილი დისიდენტები, როჯერ უილიამსი და ენ ჰაჩინსონი, თეოლოგიასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო, მასაჩუსეტსიდან განდევნეს, რომლებმაც როდ-აილენდის კოლონია დაარსეს. მათ ფართოდ გაუღეს კარი იმ პლურალიზმს, რომელსაც ტოლერანტობას უწოდებდნენ [Espinosa, 2009:3]. ეს იყო პირველი კოლონია, სადაც რელიგიური თავისუფლება ყველას ენიჭებოდა [History, 2018]. რელიგიური ტოლერანტობა ცენტრალური კოლონიებისთვის უფრო მეტად იყო დამახასიათებელი. მაგალითად, პენსილვანიის კოლონიის დამაარსებელი უილიამ პენი, ცდილობდა ხალხის თავისუფლების გაფართოებას (1680-იანი წლები), რაც გულისხმობდა რელიგიის თავისუფლებასაც [Bridges, 2008:45]. ხოლო, მერილენდის კოლონიაში (სამხრეთის კოლონია), სადაც კათოლიკეები ცხოვრობდნენ, 1640 წლის შემდეგ პურიტანთა რაოდენობა სწრაფად გაიზარდა [Sweet, 1953:33]. ტოლერანტული დამოკიდებულების გაძლიერების მიზნით, „შემწყნარებლობის კანონი“ (1649 წ.) მიიღეს. იგი მსახურების უფლებას აძლევდა პროტესტანტებსა და კათოლიკეებს. მართალია, მოგვიანებით კანონი გაუქმდა, მაგრამ ეს იყო რელიგიური თავისუფლებისკენ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი [History, 2009].

აქედან გამომდინარე, კოლონიურ ამერიკაში ვხვდებით როგორც ტოლერანტულ, ასევე, სასტიკ დამოკიდებულებას სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის. საიდან გაჩნდა სიძულვილი ახალმოსახლეთა შორის ამერიკაში? იმისათვის, რომ ამ შეკითხვას პასუხი გავცეთ, უნდა გავეცნოთ რელიგიური ჯგუფების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას 1500-1600-იანი წლების ევროპაში [Nardo, 2010:10]. მას შემდეგ, რაც მარტინ ლუთერმა რეფორმაციული მოძრაობა დაიწყო, ევროპა დაიყო კათოლიკეებად და პროტესტანტებად. პროტესტანტების მიმართ სასტიკი მოპყრობის არაერთი მაგალითია საფრანგეთში, რელიგიურმა დაპირისპირებამ კულმინაციას „ბართლომეს ღამეს“ (1572 წ.) მიაღწია, როდესაც კათოლიკეებმა ჰუგენოტები დახოცეს [Nardo, 2010:10-12].

მართალია, კოლონიურ ამერიკაში ვხვდებით არატოლერანტობის შემთხვევებს, თუმცა „დიდმა გამოღვიძებამ“ (1720-1750 წწ.) რელიგიური იდეები და ღვთისმსახურება შეცვალა. რელიგიურმა შეკრებებმა ყველა ადამიანი გააერთიანა - ინტელექტუალი ლიდერები, ღარიბი მოსახლეობა, თავისუფალი, დამონებული აფრიკელები და ა.შ. ასეთი თანაბარი ჩართულობა იმ დროისთვის იშვიათი იყო [Hill...2003:252]. ცენტრალური კოლონიები, სადაც „დიდი გამოღვიძება“ დაიწყო, გამოირჩეოდა რელიგიური მრავალფეროვნებით, ხოლო „დიდმა გამოღვიძებამ“ მრავალფეროვნება კიდევ უფრო მეტად შეჰმატა. ამ მოძრაობამ პურიტანიზმს დომინანტური მდგომარეობა დააკარგვინა და ხელი შეუწყო მეთოდისა და ბაპტიზმის გავრცელებას. მან ნიადაგი მოამზადა რევოლუციის დასაწყებად, რასაც ახალი სახელმწიფოს შექმნა და საფუძვლიანი ცვლილებები მოჰყვა [ზაქარიაძე, 2018:43].

რელიგიური თავისუფლებისა და ტოლერანტობის უნიკალური ერთიანობა შეერთებული შტატების მამა-დამაარსებლებმა ფუნდამენტურ დოკუმენტებში ასახეს. ვირჯინიის გუბერნატორმა, თომას ჯეფერსონმა, შეიმუშავა კანონპროექტი (1779 წ.), რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის თანასწორობას განურჩევლად მრწამსისა, ასევე, იმ ხალხის თანასწორობასაც, რომლებიც არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ იყვნენ [Bridges, 2008:152]. მედისონს სურდა, რომ ჯეფერსონის იდეა ქვეყნის კანონი გამხადარიყო, ამიტომ, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-6 მუხლში წერია, რომ თანამდებობის დაკავებისთვის რომელიმე რელიგიისადმი ერთგულება არ უნდა განიხილებოდეს როგორც წინაპირობა [Davis, 2010]. გარდა ამისა, ვირჯინიაში მიღებული კანონის შთაგონებით მიიღეს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც კრძალავს რომელიმე რელიგიის დაკანონებას და მოქალაქეებს თავისუფალი აღმსარებლობის უფლებას აძლევს [Harris, 2009].

„დიდი გამოღვიძება“ და სხვა რელიგიური ტოლერანტობის ან არატოლერანტობის შემთხვევები აღწერილია მასაჩუსეტსის, ნიუ-იორკის, კალიფორნიისა და ჰავაის შტატების სოციალური კვლევების სასწავლო გეგმაში.

მასაჩუსეტსის ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმაში ტოლერანტობა განმარტებულია, როგორც ამერიკული დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი. მოსწავლეებმა პირველად წყაროებზე დაყრდნობით უნდა ჩაატარონ კვლევა, ტექსტის ანალიზი და პრეზენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ არის გამოხატული დემოკრატიის პრინციპები იმ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზე შეერთებული შტატები შეიქმნა [Massachusetts..., 2018:164].

კალიფორნიის სოციალური მეცნიერებების ძველი სასწავლო გეგმის მიხედვით, მე-5 კლასში ისწავლებოდა პირველი დიდი გამოღვიძების მნიშვნელობა, რომელმაც რელიგიური ტოლერანტობა წარმოშვა [California..., 2000:18]. ეს საკითხი გადმოცემულია სახელმძღვანელოში „შეხედულებები, რომლებმაც ახალი ერი შექმნა“. მოცემული დავალებების შესრულებით მოსწავლეებმა უნდა გამოიმუშაონ კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ ფაქტებისა და მოსაზრებების, ფაქტებისა და მოგონილი ამბების ერთმანეთისგან გარჩევას, პირველადი და მეორეული წყაროების ერთმანეთთან შედარებას, ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზების, შედეგების ამოცნობას და ა.შ. გარდა ამისა, მოსწავლემ უნდა გამოიმუშაოს ისეთი უნარი, როგორცაა ჩართულობა. მას უნდა შეეძლოს პრობლემის მოგვარება და იმოქმედოს, როგორც პასუხისმგებლიანმა მოქალაქემ [Hill...2003:19]. ერთ-ერთი გაკვეთილის, რომლის თემაა „ცხოვრება ცენტრალურ კოლონიებში“, დასაწყისში დასმულია საკვანძო შეკითხვა - როგორ მიიზიდა რელიგიურმა ტოლერანტობამ სხვადასხვა კულტურის ხალხი ცენტრალურ კოლონიებში? მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიასა და „დიდ გამოღვიძებას“ [Hill...2003:251-252]. გაკვეთილის ბოლოს მოცემულია შემდეგი სახის დავალება - კრიტიკული აზროვნება - მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას: რატომ ფიქრობ, რომ „დიდ გამოღვიძებას“ კოლონიებში რელიგიურ ცხოვრებაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა? [Hill...2003: 255]. განახლებულ პროგრამაში „დიდი გამოღვიძება“ აღარ არის მოხსენიებული, თუმცა სასწავლო გეგმა რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრებას მიზნად ისახავს, მოსწავლეები შეისწავლიან რელიგიური ტოლერანტობისა და რელიგიური თავისუფლების პრობლემებს კოლონიურ ამერიკაში. მაგალითად, მათ უნდა შეაფასონ რელიგიური თავისუფლების დონე პურიტანულ მასაჩუსეტსში [Croddey...2016:25].

2016 წლამდე კალიფორნიის განათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის მიხედვით მე-11 კლასში ისწავლებოდა რელიგიური არატოლერანტობის შემთხვევები, მაგალითად, მორმონების დევნა, ანტიკათოლიკური განწყობა და ანტისემიტიზმი [California..., 2000:48]. განახლებულ სასწავლო გეგმაში მხოლოდ ანტისემიტიზმი გვხვდება.

რაც შეეხება ჰავაის შტატს, სოციალური კვლევების სასწავლო გეგმის მიხედვით, მე-5 კლასში ისწავლება რელიგიური ტოლერანტობა და არატოლერანტობა, მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, თუ რა როლი ითამაშა რელიგიამ ადრეულ კოლონიურ საზოგადოებაში [Hawaii..., 2018:9].

ნიუ-იორკის სოციალური კვლევების სასწავლო სახელმძღვანელოს მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ „მეიფლაუერის ბილი“ და „მერილენდის შემწყნარებლობის კანონი“ [New York..., 2017:34]. ეს საკითხები მოცემულია სახელმძღვანელოში „ამერიკული ხედვა“ (მე-12 კლასი). აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მრავლად არის მოცემული სხვადასხვა სახის დავალება. გაკვეთილი, რომელიც ეხება პილიგრიმების ჩამოსვლას ახალ მიწაზე, მოსწავლეები უნდა გაეცნონ პირველად წყაროს - „მეიფლაუერის ბილს“ და უპასუხოთ მთავარ შეკითხვას - ახსენით, რა მიზანს ისახავს „მეიფლაუერის ბილი“? ამ დავალებას ეწოდება გაანალიზება. გაკვეთილს თან ახლავს აქტივობა - ერთობლივი სწავლა - მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად განიხილავენ „მერილენდის შემწყნარებლობის კანონის“ მნიშვნელობას. იმ დროისათვის არც კოლონიებში და არც ინგლისში არ არსებობდა ასეთი კანონი. როდესაც მერილენდში პროტესტანტების რაოდენობის ზრდა დაიწყო, კოლონიის ლიდერებს სურდათ, დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ კათოლიკეები რელიგიურ ტოლერანტობას გამოიჩენდნენ ამ კანონის მიღებით. „მერილენდის შემწყნარებლობის კანონმა“ ხელი შეუწყო რელიგიური თავისუფლების პრეცედენტის შექმნას ამერიკაში. ამის პარალელურად როდ-აილენდში არსებობდა წესდება, რომელიც რელიგიური თავისუფლების გარანტიას იძლეოდა [McGraw-Hill...2010:28].

2017 და 2019 წლებში „პიუს კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შეერთებულ შტატებში ყველაზე მეტი დისკრიმინაციის შემთხვევა მუსლიმების მიმართ ის არის, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა განაპირობა [Masci, 2019]. ტერაქტიდან ოცი წლის შემდეგაც კი ამერიკელი მუსლიმების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების შემთხვევები მზარდია - სხვადასხვა შტატში მრავლად არის მუსლიმთა დაშინების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები. მუსლიმებს მოიხსნიებენ ეპითეტით - „ტერორისტი“ [Southern..., 2011].

ტერაქტის შემდეგ პრეზიდენტმა ჯორჯ უ. ბუშმა მუსლიმების მიმართ სიმულვილი დაგმო და განაცხადა, „ტერორიზმის სახე ისლამის რეალური რწმენა არ არის. ისლამი მშვიდობაა“ [Bush, 2002]. ხოლო პრეზიდენტი ბარაკ ო. ობამა არ იყენებდა სიტყვებს „ისლამური ტერორიზმი“ და ფიქრობდა, რომ ისინი არა რელიგიური ლიდერები, არამედ ტერორისტები იყვნენ [Dilanian, 2016]. პრეზიდენტობის დროს, რელიგიური ტოლერანტობის წახალისების მიზნით, იგი ბალტიმორში მეჩეთს ესტუმრა. მისი ქმედება დონალდ ტრამპმა გააკრიტიკა. „მას შეუძლია ბევრ ადგილს ესტუმროს და მან მეჩეთი აირჩია“ (2016 წლის 3 თებერვალი). საპრეზიდენტო კამპანიის დროს ტრამპმა არაერთი განცხადება გააკეთა მუსლიმების შესახებ, რაც ცხადყოფს, რომ იგი

ტერორიზმსა და ისლამს ერთმანეთთან აიგივებდა. მაგალითად, ტრამპმა ფლორიდაში ყოფნის დროს (2016 წლის 19 სექტემბერი) ხალხს მიმართა: „*ისლამური ტერორისტული თავდასხმა მოხდა მინესოტაში, ქალაქ ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსიში, რაც უკიდურესად ღია საიმეორაციო სისტემით არის გამოწვეული*“ [Johnson..., 2017]. 2018 წელს ტრამპმა რამადანის დროს ელჩებსა და დიპლომატებს სადილზე უმასპინძლა, რაც გააპროტესტეს მუსლიმთა სამოქალაქო უფლებების დამცველმა ჯგუფებმა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ტრამპის ცხარე რიტორიკამ მუსლიმი ამერიკელების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევები გაზარდა [NBC News, 2018]. რაც შეეხება პრეზიდენტ ბაიდენს, 2022 წლის 2 მაისს მან განაცხადა, „*ჩვენ ვხედავთ, რომ მთელ მსოფლიოში მრავალი მუსლიმი ძალადობის სამიზნე არის. დისკრიმინაცია და რწმენის გამო ხალხის ჩაგვრა დაუშვებელია*“ [The White House, 2022]. ტრამპისაგან განსხვავებით, ვფიქრობ, ბუმის, ობამასა და ბაიდენის განცხადებები და ქმედებები ადასტურებს იმას, რომ დადებით როლს თამაშობდნენ მუსლიმთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ისინი ამერიკელ ხალხს ეუბნებიან, რომ ისლამი ტერორიზმი არ არის.

კალიფორნია, ოკლაჰომა, მასაჩუსეტსი, პენსილვანია, ნიუ-იორკი, ეს ის შტატებია, რომელთა სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმა ისლამის სწავლებას ითვალისწინებს. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კალიფორნიაში მე-7 კლასში ისწავლება მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია. მოსწავლეები შეისწავლიან ისლამის წარმოშობას, მუჰამედის ცხოვრებასა და მის სწავლებებს. მოსწავლეები პირველად წყაროს - „ყურანს“ ეცნობიან. ასევე, „ჰადისს“, რომელშიც გადმოცემულია მუჰამედის გამონათქვამები. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოში აღწერილია, მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, არაბთა ადრეული დაპყრობები. არაბები დაპყრობილი ხალხების მიმართ ტოლერანტობას იჩენდნენ, რამაც ისლამის გავრცელება გამოიწვია. იგი სხვადასხვა კულტურის რელიგიად იქცა. აღნიშნული თავის ბოლოს მოცემულია დავალება - შეფასება, მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას - მუსლიმთა ტოლერანტობამ ხელი შეუწყო თუ შეზღუდა ისლამის გავრცელება? [Burstein...2006:83]

გარდა ამისა, მოსწავლეები შეისწავლიან მე-10 საუკუნის კლასიკური შარიათის ტექსტის ნაწილს და მცირე ჯგუფში განიხილავენ, თუ რას გადმოსცემს მოცემული ტექსტი ადრეული ისლამური ცივილიზაციის შესახებ. მათ შესაძლოა ჩაატარონ კვლევა და წარმოადგინონ პრეზენტაცია - კლასიკური შარიათის გავლენა თანამედროვე ისლამური სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაზე. ასევე, ისწავლება ოსმალთა სულთანის, სულეიმანის (კანონმდებელი) (1520-1566 წწ.)

პოლიტიკა. მან იმ დროისათვის არსებული კანონები ისლამურ კანონს - შარიათს შეუთავსა და ერთიანი სამართლებრივი კოდექსი მიიღო, რომელიც აკანონებდა რელიგიურ ტოლერანტობას ქრისტიანებისა და ებრაელების მიმართ ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში [Croddy..., 2016:39].

როგორც კალიფორნიის, ასევე, მასაჩუსეტსის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, სხვადასხვა რელიგიის რწმენათა სისტემის სწავლებას, მათ შორის ისლამის. აქვე მოცემულია ყურანის რამდენიმე სურა, როგორც პირველდი წყარო [Massachusetts Department..., 2018:141]. ნიუ იორკის სოციალური მეცნიერებების სასწავლო გეგმის მიხედვით, იგივე საკითხები ისწავლება, მე-6 და მე-9 კლასებში.

სახელმძღვანელოში „ამერიკული ხედვა“ გაკვეთილის თემაა - „ტერორიზმთან ომი იწყება“, რომლის ერთ-ერთი ქვეთავია: „შუა აღმოსავლეთის ტერორიზმი და შეერთებული შტატები“. 1920-იან წლებში, როდესაც შეერთებული შტატების ეკონომიკისთვის ნავთობი მნიშვნელოვანი გახდა, ქვეყანამ შუა აღმოსავლეთში ნავთობის ინდუსტრიაში ფულის დაბანდება დაიწყო, რაც წარმატებული აღმოჩნდა. ამას დასავლური იდეების გავრცელება მოჰყვა, რაც ბევრი მუსლიმისთვის მიუღებელი იყო, რადგან მათ თავიანთი ტრადიციული ღირებულებების შესუსტების ეშინოდათ. გაჩნდა ახალი მოძრაობა, რომელიც „ყურანის“ მკაცრ ინტერპრეტაციას ახდენს და ისლამის ტრადიციულ კანონებს უბრუნდება, რასაც ისლამური ფუნდამენტალიზმი ეწოდება. მათი მიზანია წმინდა ისლამური საზოგადოების შექმნა, მიზნების მისაღწევად კი ტერორიზმს იყენებენ [McGraw-Hill..., 2010:1038]. 2001 წლის 7 ოქტომბერს შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში ალ ქაიდასა და თალიბანის სამხედრო ძალების დაბომბვა დაიწყო. სწორედ ამ დროს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განმარტა - ისლამი ჩვენი მტერი არ არის, არც ავღანელი ხალხი, ამიტომ შეერთებული შტატები ავღანელ ლტოლვილებს საკვებს და მედიკამენტებს გაუგზავნის [McGraw-Hill..., 2010:1041].

როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოშიც დისკრიმინაციის ყველაზე მეტი შემთხვევა მუსლიმი მოსახლეობის მიმართ ფიქსირდება [ღია საზოგადოების ფონდი, 2021], ასევე, მრავლად არის არატოლერანტული დამოკიდებულების ფაქტები სხვა რელიგიური ხედვის მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში რელიგიური შემწყნარებლობა აქტუალური საკითხია.

2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ - „რელიგიის თავისუფლება - სახელწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა“- აჩვენა, რომ საჯარო სკოლებში დისკრიმინაციის შემთხვევებს და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევებს სისტემატური ხასიათი აქვს [მიქელაძე..., 2016:134]. რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევაში იგულისხმება საგაკვეთილო პროცესის დროს

კოლექტიური ლოცვა, ასევე, მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ სკოლის კურთხევა და ა.შ. გარდა იმისა, რომ ირღვევა რელიგიური ნეიტრალიტეტი, ასევე, ზოგადი განათლების კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, რელიგიური რიტუალის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება [საქართველოს პარლამენტი, 2005]. კვლევამ აჩვენა მასწავლებლთა მიერ მოსწავლეთა შეურაცხყოფის ფაქტები, რომლებიც რელიგიური ნიშნით იყო გამოწვეული. არაერთი შემთხვევაა აჭარაში ისლამისა და მისი მიმდევრების შეურაცხყოფის, მაგალითად, ერთი მოსწავლე იხსენებს ისტორიის გაკვეთილებს და ამბობს, რომ ისლამს „მთრეულ რელიგიას“ უწოდებენ. გარდა ამისა, მასწავლებლები ეროვნებასა და აღმსარებლობას ერთმანეთთან აიგივებენ, კვლევის მიხედვით, მასწავლებლები ბავშვებს უსვამდნენ შეკითხვას - ქართველი ხარ? დადებითი პასუხის შემთხვევაში ეუბნებოდნენ, რომ თუ ქართველია, მაშასადამე, ქრისტიანი უნდა იყოს [მიქელაძე..., 2016:148-149], რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგია მძლავრია [მიქელაძე..., 2016:131].

მართალია, დღეს შეუწყნარებლობის ბევრ ფაქტს ვაწყდებით, თუმცა საქართველო ისტორიულად ტოლერანტული ქვეყანაა, რასაც მოწმობს დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. ისტორიული წყაროები მოგვითხრობს, რომ იგი პატივს სცემდა მუსლიმთა ცხოვრების წესს და მეჩეთში ლოცვებსაც ესწრებოდა. შემწყნარებლური პოლიტიკა დავით აღმაშენებლის მემკვიდრემ, დემეტრე I-მა გააგრძელა. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი მოგვითხრობს დემეტრე I-ის შემწყნარებლური დამოკიდებულების შესახებ მუსლიმების მიმართ [ვაშაყმაძე, 2017:80]. აღსანიშნავია, ასევე, ერეკლე II-ის ტოლერანტული დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიმართ. იმ დროს ქართლ-კახეთში ცხოვრობდნენ მუსლიმები, ლათინური და სომხური წესის კათოლიკეები, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები და ა.შ. მისი მეფობის დროს რელიგიურ დაპირისპირებებს მასობრივი ხასიათი არასდროს არ მიუღია [ზარდაველიძე, 2018:100].

შეიძლება დავსვათ შეკითხვა - ისტორიულად ტოლერანტულ ქვეყანაში რატომ არის რელიგიური შეუწყნარებლობის მრავალი ფაქტი დღეს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს [საქართველოს..., 1995]. მიზეზის ძებნა, ვფიქრობ, საბჭოთა პერიოდიდან უნდა დავიწყოთ, ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში რელიგიის შესახებ მცდარი შეხედულებები სწორედ საბჭოთა კავშირის დროს ჩამოაყალიბდა, სადაც არ არსებობდა რელიგიური ტოლერანტობა და რელიგია იდეენებოდა [ვაშაყმაძე, 2017:80]. მიუხედავად

იმისა, რომ საბჭოთა კანონი კრძალავდა მოქალაქეთა დევნას მათი რწმენის გამო [ჩიქოვანი, 1969:390], რეალობა საპირისპიროზე მეტყველებდა - საბჭოთა კავშირში რელიგიების დევნასა და ისტორიული ძეგლების განადგურებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა [ვაშაყმაძე, 2017:80]. გარდა ამისა, მიზეზი უნდა ვეძებოთ 1990-იანი წლების საქართველოშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მძლავრია საქართველოში ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმი - ეთნიკურობა აღმსარებლობასთან არის გაიგივებული, რაც 1990-იან წლებში გაჩნდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვებმა, „ვინც არ არის მართლმადიდებელი, ის ქართველი არ არის“, ბიძგი მისცა არატოლერანტული დამოკიდებულების გაჩენას განსხვავებული აღმსარებლობის ხალხის მიმართ [ვაშაყმაძე, 2017:44], არა მხოლოდ 1990-იან წლებში, არამედ დღესაც, რასაც არაერთი კვლევა ადასტურებს.

ხალხის მსოფლმხედველობისა და ღირებულებების, კერძოდ კი, რელიგიური ტოლერანტობის ფორმირებაში, ვფიქრობ, განათლებას მნიშვნელოვანი როლი უნდა ჰქონდეს. საქართველოში კი რელიგიური დისკრიმინაციის შემთხვევებს ვაწყდებით სასწავლო დაწესებულებებში. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-13 მუხლში, რომელიც ეხება ნეიტრალურობასა და არადისკრიმინაციულობას, ვკითხულობთ, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს შემწყნარებლობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა [საქართველოს პარლამენტი, 2005]. ამიტომ, საქართველოში ხორცილდება რეფორმა (2018 წლიდან), რომლის ქვეპროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ არის და მისი მიზანია იმ ღირებულებების დამკვიდრება, რაც ზოგადი განათლების შესახებ კანონში არის აღწერილი [საქართველოს განათლებისა..., 2018]. კანონის მე-3 მუხლში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს სამოქალაქო ცნობიერება, რომელიც ემყარება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს [საქართველოს..., 2005].

საინტერესოა, საქართველოში რა როლს ასრულებს ისტორიის სწავლება რელიგიური ტოლერანტობის გაღვივებაში. მაგალითად, მე-8 კლასის სახელმძღვანელოში (2020 წ.) გაკვეთილის თემა ეხება იმას, თუ რატომ გაიხლიჩა ქრისტიანული ეკლესია მე-11 საუკუნეში, სადაც მოცემულია პირველადი წყაროები - მე-9 საუკუნეში მოღვაწე წმ. ილარიონის მიერ კონსტანტინოპოლისა და რომის მოლოცვა, ხოლო მეორე წყარო იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების შესახებ არის, თუ როგორ გაუწიეს დახმარება რომაელ ბერებს. ორივე წყაროს გაანალიზების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს - რაზე მიანიშნებს ილარიონის მიერ კონსტანტინოპოლისა და რომის

სიწმინდეების თანაბრად მოლოცვა, ასევე, ქართველი ბერების რომელი ბერებისადმი კეთილგანწყობა. ხოლო, დამატებითი დავალება კვლევითია, მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ მინი-კონფერენცია შემდეგ თემაზე - „ქრისტიანობა მე-11 საუკუნეში და დღეს“. კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად, რომლებმაც უნდა მოიძიონ ინფორმაცია რომისა და ბიზანტიის ეკლესიის შესახებ მე-11 საუკუნეში და დღეს, ასევე, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ და განიხილონ მისი დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის მიმართ. მოსწავლეებმა პრეზენტაციის შემდეგ უნდა გამართონ დისკუსია რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ და დაასაბუთონ, თუ რატომ არის დაუშვებელი რელიგიური შუღლის გაღვივება. გაკვეთილს თან ახლავს აუდიომასალა - საქართველოს კათალიკოს პატრიარქისა და რომის პაპის მიმართვა (2016 წ.) [სურგულაძე..., 2020:85].

მე-9 კლასის სახელმძღვანელოში (2021 წ.) ერთ-ერთი გაკვეთილის თემა ასეთია - „რატომ გახდა საქართველო კულტურათა გზაჯვარედინი?“ პირველადი წყაროების ანალიზის საფუძველზე, მოსწავლეები შეისწავლიან თბილისის მოსახლეობის მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, სერგო ფარაჯანოვის მონათხრობი თბილისის მრავალკონფესიურობის შესახებ: „*თბილისის ერთ მოედანზე დგას სომხური, რუსული, ქართული ეკლესიები, ებრაული სინაგოგა და მუსლიმური მეჩეთი*“ [ახმეტელი..., 2021:412]. ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მიმართვა (2003 წ.), რომ დედა ეკლესია კარჩაკეტილობას არ ქადაგებს და ჩვენი ტრადიციისთვის შეუმწყნარებლობა მიუღებელია უცხო ერებისა და სხვა აღმსარებლობის ადამიანების მიმართ. ისტორიულად საქართველოში არასდროს არ ყოფილა ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით დევნა [ახმეტელი..., 2021:415]. რაც შეეხება დავალებებს, მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვას - რას გულისხმობს კათალიკოს პატრიარქი სიტყვა კარჩაკეტილობაში და მოსწავლემ უნდა მოამზადოს პროექტი საქართველო, როგორც მრავალეროვნული და მრავალკონფესიური სახელმწიფოს შესახებ.

მე-11 კლასის სახელმძღვანელოში რამდენიმე თავი დავით აღმაშენებლის მეფობის ხანას ეთმობა. მოცემულია არაბი ისტორიკოსების, ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ჩანაწერები დავით აღმაშენებლის დამოკიდებულების შესახებ მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. ალ-ფარიკის ცნობით, დავით აღმაშენებელმა დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ცხოვრობდა მუსლიმი მოსახლეობა, არავის არ უნდა ჰყოლოდა ან არ უნდა დაეკლა ღორი, ასევე, მეფემ მუსლიმებს თავისუფლად ლოცვის უფლება მისცა. ხოლო, ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი ყოველ პარასკევს მეჩეთს სტუმრობდა და ყურანის კითხვას უსმენდა. იგი მუსლიმ მოსახლეობას მეტად სცემდა პატივს, ვიდრე თავად ისლამის მიმდევრები. ამგვარად, ეს ორი წყარო ადასტურებს დავით აღმაშენებლის

შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მუსლიმი მოსახლეობის მიმართ [კილურაძე..., 2012:297]. მოსწავლეებმა მოცემულ წყაროებზე დაყრდნობით უნდა შეაფასონ დავითის პოლიტიკა არაქართული მოსახლეობის მიმართ [კილურაძე..., 2012:300]. იმავე წყაროების უფრო ვრცელი ვერსია გვხვდება ახალ სახელმძღვანელოშიც, რომელიც 2023 წელს არის გრიფირებული (გამომცემლობა „დიოგენე“, მე-11 კლასის საქართველოს ისტორია), თუმცა დავალება შეცვლილი არ არის - მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ დავით აღმაშენებლის ტოლერანტობის შესახებ [ახმეტელი..., 2023:36].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისტორიულად შეერთებული შტატებიცა და საქართველოც ტოლერანტული ქვეყნებია და ვფიქრობ, რომ ტოლერანტობა ამერიკელებისა და ქართველების საერთო ღირებულებაა. რაც შეეხება განათლების, კერძოდ ისტორიის სწავლების როლს ტოლერანტობის დამკვიდრებაში, ამერიკულ სახელმძღვანელოებში აღწერილია ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც შეერთებულ შტატებში რელიგიური ტოლერანტობა ჩამოაყალიბა, თუმცა რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევების სწავლებას ზოგი შტატის სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს, რასაც ვერ ვიტყვით კალიფორნიასა და ჰავაიზე. ვფიქრობ, არატოლერანტობის შემთხვევების სწავლება მეტად შეუწყობს ხელს ტოლერანტი მოქალაქის აღზრდას. მიუხედავად იმისა, რომ განათლება დადებით როლს თამაშობს მუსლიმთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათ მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები კვლავ არის, რაც, ამერიკელ მუსლიმთა აზრით, ტრამპის რიტორიკით არის განპირობებული. 2017 წელს „პიუს კვლევითი ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამერიკელი მუსლიმების დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ტრამპი მათ მიმართ არამეგობრულად იყო განწყობილი, ხოლო ამერიკელ მუსლიმთა ნახევარი მიიჩნევდა, რომ მათთვის შეერთებულ შტატებში ცხოვრება გართულდა [Pew Research Center, 2017].

რაც შეეხება ქართულ სახელმძღვანელოებს, ვფიქრობ, მე-8 და მე-9 კლასის წიგნებისაგან განსხვავებით, მე-11 კლასის სახელმძღვანელოს (როგორც ძველის, ასევე ახალი გამოცემის) უარყოფითი მხარე ის არის, რომ მოცემული არ არის კვლევითი დავალებები, ყოველი გაკვეთილის ბოლოს დასმულია შეკითხვები, რომელთა უმრავლესობა ფაქტობრივი მასალის ცოდნას ამოწმებს. დავით აღმაშენებლის ტოლერანტული დამოკიდებულება, რაც ამ სახელმძღვანელოშია გადმოცემული, დღევანდელი გადმოსახედიდან უნდა განიხილებოდეს, არის თუ არა ქართველი ხალხი ისეთივე ტოლერანტი მუსლიმთა მიმართ, როგორც აღმაშენებლის მეფობის დროს.

დღესდღეობით, მუსლიმების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების დამკვიდრება, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია, რასაც ზემოთ აღნიშნული კვლევა ადასტურებს. ამერიკული გამოცდილებიდან შესაძლებელია გავიზიაროთ აქტივობები, განსაკუთრებით კი მასაჩუსეტსის სასწავლო გეგმაში ასახული დავალებები, როგორებიცაა - კვლევის ჩატარება და მულტიმედიური პრეზენტაციების მომზადება, რაც შეეხება წყაროების ანალიზს, გვხვდება როგორც ამერიულ, ასევე ქართულ სახელმძღვანელოებშიც.

გარდა ამისა, საქართველოში მოსწავლეები განათლებას ტოლერანტულ გარემოში უნდა იღებდნენ. ვგულისხმობ, მასწავლებლების ტოლერანტულ დამოკიდებულებას განსხვავებული რწმენის მქონე ხალხის მიმართ, რაც ტოლერანტობას წახალისებს და მოსწავლეებს მაგალითს მისცემს. საჭიროა მომავალი მასწავლებლების სათანადოდ მომზადება, ხოლო იმ მასწავლებლების გადამზადება, რომლებიც მრავალი წელია, სკოლაში ასწავლიან. „მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის მიხედვით, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას [საქართველოს..., 2010]. მასწავლებლის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში განათლების სამინისტრომ უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დისკრიმინაციის შემთხვევებს.

კვლევებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ აღნიშნული დისკრიმინაციის შემთხვევები ცხადყოფს, რომ საქართველოში ტოლერანტობის, როგორც სამოქალაქო ღირებულების მნიშვნელობა გააზრებული არ არის. „Tolerare“, რომელიც ლათინური სიტყვაა და თმენას, მოთმენას ნიშნავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის დემოკრატიული ქვეყნებისთვის, ვინაიდან დემოკრატია მოქალაქეებს თმენის ვალდებულებას აკისრებს [გიგინეიშვილი, 2015]. სწორედ ეს ვალდებულება არ არის გააზრებული საქართველოში. მომავალმა თაობებმა უნდა ისწავლონ, ტოლერანტობის, როგორც თმენის მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებას.

ლიტერატურა :

ახმეტელი ნ. ლორთქიფანიძე ბ. მურდულია ნ. ჯანელიძე ო. სადუნიშვილი ა. ჩივაძე დ.

საქართველოს ისტორი : XI კლასი. მოსწავლის წიგნი. თბილისი: დიოგენე. 2023

<https://diogene.ge/ka/saxelmzgvaneloebi> (9 06. 2024).

ახმეტელი ნ. ლორთქიფანიძე ბ. ფირცხალავა ნ. ისტორია: მე-9 კლასი. თბილისი: დიოგენე. 2021

<https://shorturl.at/cdhmM> (20.04.2022).

ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები. 2018

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/306678> (20.01.2022).

გიგინეიშვილი ლ. ტოლერანტობის იდეა და ლიტერატურა. 2015

<https://www.youtube.com/watch?v=7VGhDInWzZo> (20.04.2023).

ვაშაყმაძე ზ. ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისთვის - რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში. 2017

<https://religion.gov.ge/inter-religiuri-konferencia/inter-religiuri-konferencia-ii-religiuri-tolerantoba-saqartvelosi-2017w> (20.01. 2022).

ზაქარიაძე ა. ამერიკული ფილოსოფია. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

კილურაძე ნ., სანიკიძე გ., გორდეზიანი ლ., ფირცხალავა ლ. გაჩეჩილაძე რ. ასათიანი ნ. ისტორია: მე-11 კლასი. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა, 2012

მიქელაძე თ. ბეგაძე მ. გვრიტიშვილი ე. ჩუთლაშვილი ქ. სუხიშვილი ნ. სართანია ქ. რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასაკულარული პოლიტიკის კრიტიკა. 2016

<https://socialjustice.org.ge/ka/products/kvleva-religiis-tavisufleba-sakhelmtsifos-diskriminatsiuli-da-arasekularuli-politikis-kritika> (20.09.2022).

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ - მუხლი 18. 2005
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94#!> (20 01.2022).

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. 1995
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> (20. 01.2022).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პროგრამის კონცეფცია - „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა“. 2018
<https://mes.gov.ge/uploads/files/zogadi-ganatilebis-xelshecyoba.pdf> (20. 04.2022).

სურგულაძე მ. კეკელია ვ. მე-8 კლასის ისტორია. თბილისი: ლოგოს პრესი, 2020
<http://www.logospress.ge/saxelmzgvaneloebi.htm> (20. 04.2022).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის დამტკიცების შესახებ. 2010
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0> (20. 09.2022).

ღია საზოგადოების ფონდი. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. 2021
ifo- <https://rb.gy/tdk1t> (23.04.2021).

ჩიქოვანი ჯ. სსრკ ისტორია მე-8 კლასის სახემძღვანლო. თბილისი: სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფ გამომცემლობა,1969

Burstein M. S. Shek R. World History Medieval to Early Modern Times, 7th Grade. 2006

<https://www.chino.k12.ca.us/Page/45102> (15.04.2022).

Bush W. G. Backgrounder: The President's Quotes On Islam. 2002

<https://georgewbush-whitehouse.archives.gov/infocus/ramadan/islam.html> (20.04.2022).

Bridges K. Freedom in America. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall. 2008

<https://archive.org/details/freedominamerica0000brid/page/138/mode/2up> (15.01. 2022).

Croddy M. Dogget K. Huss D. Civic-Learning Compendium for the California History-Social Science Framework. 2016

https://resources.finalsite.net/images/v1692311176/stancoeorg/a4szklnhvzotdyn66sly/CivicLearningCompendium_CCSS_FINAL.pdf (15.04.2022).

Davis C. K. America's True History of Religious Tolerance. 2010

<https://www.smithsonianmag.com/history/americas-true-history-of-religious-tolerance-61312684/> (10.01.2022).

Dilanian K. Why Won't Obama Say Radical Islam? 2016

<https://www.nbcnews.com/storyline/orlando-nightclub-massacre/why-won-t-obama-say-radical-islam-n591196> (20.04. 2022).

Espinosa G. Religion and the American Presidency: George Washington to George W. Bush with commentary and primary sources. New York: Columbia University Press, 2009.

https://archive.org/details/religionamerican0000unse_n6r0/mode/1up (15.01. 2022).

Hill M. Berson J. M. Howard C. T. Porter H. P. Larson E. B. Reflections The United States: Making A New Nation. 2003

<https://www.scribd.com/document/376661826/Reflections-Making-a-New-Nation> (15.01. 2022).

Harris, M. Virginia Statute for Religious Freedom. 2009

<https://www.mtsu.edu/first-amendment/article/880/virginia-statute-for-religious-freedom> (15.01. 2022).

Massachusetts Department of Elementary and Secondary Education. History and Social Science Framework. Massachusetts Curriculum Framework. 2018. <https://www.doe.mass.edu/instruction/literacy-humanities.html> (15.04. 2021).

Hawaii State Department of Education. Hawaii Core Standards for Social Studies. 2018

<https://www.hawaiipublicschools.org/TeachingAndLearning/StudentLearning/Pages/standards.aspx> (15.04. 2021).

Freedom of Religion. History. August 21. 2018

https://www.history.com/topics/united-states-constitution/freedom-of-religion#section_4 (15.04. 2022).

Maryland. History 2009

<https://www.history.com/topics/us-states/maryland> (15.01. 2022).

Johnson J. Hauslohner A. 'I Think Islam Hates Us': A Timeline of Trump's Comments about Islam and Muslims. 2017

<https://www.washingtonpost.com/news/post-politics/wp/2017/05/20/i-think-islam-hates-us-a-timeline-of-trumps-comments-about-islam-and-muslims/> (20.04. 2022).

McGraw-Hill, G. Appleby J. The American Vision Textbook U.S. History. 2010

<https://www.yonkerspublicschools.org/Page/17908> (20.04. 2022).

Masci D. Many Americans See Religious Discrimination in U.S. – Especially Against Muslims. 2019

<https://www.pewresearch.org/fact-tank/2019/05/17/many-americans-see-religious-discrimination-in-u-s-especially-against-muslims/> (20.04. 2022).

NBC News. Trump Hosts First Iftar Dinner, Recognizes Islam as “One of the World’s Great Religions”. 2018

<https://www.nbcnews.com/politics/white-house/trump-hosts-first-iftar-dinner-recognizes-islam-one-world-s-n880841> (20.04. 2022).

Nardo D. Religious Beliefs in Colonial America. Farmington Hills, MI: Lucent Books/Gale Cengage Learning 2010

<https://archive.org/details/religiousbeliefs0000nard/page/8/mode/2up> (10.01.2022).

New York State Education Department. New York Social Studies Framework, Grades 9-12. 2017

<http://www.nysed.gov/curriculum-instruction/k-12-social-studies-framework> (15.04.2021).

Pew Research Center. U.S. Muslims Concerned About Their Place in Society, but Continue to Believe in the American Dream. 2017

<https://www.pewresearch.org/religion/2017/07/26/findings-from-pew-research-centers-2017-survey-of-us-muslims/> (15.04.2021).

Southern Poverty Law Center. Anti-Muslim Incidents Since SEPT. 11, 2001.

<https://www.splcenter.org/news/2011/03/29/anti-muslim-incidents-sept-11-2001> (20.04. 2022).

Sweet W. W. Religion in colonial America. New York: C. Scribner's. Sons. 1953

<https://archive.org/details/religionincoloni0000swee/page/33/mode/2up> (15.01.2022).

The California Department of Education. History – Social Science Content Standards for California Public Schools. 2000

https://www.lakebalboacollegeprep.com/apps/pages/index.jsp?uREC_ID=2133435&type=d&pREC_ID=2183920 (15.01.2022).

The White House. Remarks by President Biden at a Reception to Celebrate Eid al-Fitr. 2022

<https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2022/05/02/remarks-by-president-biden-at-a-reception-to-celebrate-eid-al-fitr/> (15.06. 2022).

The White House. Remarks by President Biden at a Reception to Celebrate Eid al-Fitr. 2022

<https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2022/05/02/remarks-by-president-biden-at-a-reception-to-celebrate-eid-al-fitr/> (15.06. 2022).

პავლიკა ჯაგუნავა

აშშ-ის ეკონომიკური ინტერესები საქართველოში (XX საუკუნის დასაწყისი)

აშშ-ის მხრიდან საქართველოს ეკონომიკური პოტენციალით დაინტერესებას იმდენივე ხნის ისტორია გააჩნია, რამდენიც ქართულ-ამერიკულ კონტაქტებს. შეიძლება ითქვას, რომ პირველივე ამერიკელები, ვინც აქ იმოგზაურეს, დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოთი, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზისა და მადნეულის მქონე ადგილით. მაგალითად, ჯორჯ დიტსონი, რომელმაც საქართველოში 1847-48 წლებში იმოგზაურა თავისი მოგზაურობის ამსახველ დღიურებში ხშირად საუბრობს კავკასიის, კერძოდ, საქართველოს სავაჭრო პოტენციალზე, ის დიდ ყურადღებას აქცევს შავი ზღვის პორტებს. ერთგან აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთთან ვაჭრობას შავ ზღვაზე მდებარე პორტი – რედუტ-კალე ამარტივებსო. გრაფ ვორონცოვთან შეხვედრისას კი აქტიურად მიმოიხილავდა შავ ზღვაზე ვაჭრობის საკითხს [Ditson, 1850]. XIX საუკუნეში საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ბევრს საუბრობდნენ სხვა ამერიკელი მოგზაურებიც: ილაის სმითი და ჰარისონ გრეი ოტის დუაითი ნაშრომში „მისიონერული ძიებები სომხეთში“, უილიამ კიორტისი მოგზაურების დღიურებში სათაურით „შავი ზღვის გარშემო“; აგრეთვე, XIX საუკუნის სხვა ამერიკელი მოგზაურები [ჯაგუნავა..., 2021].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აშშ-ის ეროვნული ინტერესი იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ეკონომიკური სარგებლის პოვნა. აშშ-ის მიზანია ამერიკული კომპანიების მსოფლიო ბაზარზე აქტიური გასვლა და სადავეების ხელში აღება, რაც, რა თქმა უნდა, ავტომატურად მოიტანდა პოლიტიკურ გავლენასაც. შეერთებული შტატების მზარდი ინტერესი საგარეო ბაზრის მიმართ ნაწილობრივ განპირობებული იყო 1870-იანი წლებისა და 1890-იანი წლების ეკონომიკური კრიზისით, რომელსაც შედეგად მოხმარების შემცირება და ჭარბწარმოება მოჰყვა. 1880 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უილიამ ევარტსი ამბობდა: *„ჩვენ ვავითარებდით გადამამუშავებელ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, ვიდრე შიდა პირობებმა არ გვიბიძგა, გაგვეხედა გარეთ“*. შეერთებული შტატები საჭიროებდა საგარეო ბაზრის გაფართოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში *„საკუთარი ქონი გაგუდავდა“* [ჯენტლესონი, 2015:131].

XIX საუკუნის მიწურულს, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ბათუმში, მანამდე კი ოდესაში, აშშ-ის საკონსულოები გაიხსნა. თავისი წარმომადგენლობის ბათუმში წარგზავნა დამოწმებაა იმ ფაქტისა, რომ აშშ-ის რეგიონში მზარდი ინტერესები გააჩნდა. საკონსულო აგენტი

ნებისმიერ შემთხვევაში აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების წარმომადგენელი იყო და არის დღემდე. აშშ-ის ერთ-ერთმა ელჩმა არგენტინაში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის იყო „საკუთარი ერის ბიზნესის მთავარი ლობისტი“ [ჯენტლესონი, 2015:62]. ასე იყო საქართველოს შემთხვევაშიც.

საქართველოთი დაინტერესება აშშ-ს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სარბიელზე განსაკუთრებით აქტიური და თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო 1917-1918 წლებიდან, როდესაც ჯერ კავკასია გახდა რუსეთისგან დამოუკიდებელი, ხოლო 1918 წლის მაისში კავკასიის რეგიონში 3 ახალი სახელმწიფო - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი - აღმოცენდა. ამერიკელებმა გაააქტიურეს დიპლომატიური ხიდეები, წარგზავნეს მისიები კავკასიის რეგიონში, თუმცა, აშშ-ს მკაფიო მხარდაჭერა საქართველოსადმი არ გამოუხატავს, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა, აშშ-ისთვის ეკონომიკურად არახელსაყრელი იყო საქართველოს სოციალისტური მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, დაკანონდა კერძო საკუთრების, მათ შორის, უცხოური კომპანიების ხელთ არსებული სხვადასხვა სიმდიდრის ნაციონალიზაცია, კომპენსაციის გარეშე; ასევე, გასათვალისწინებელია, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამერიკელებს მემარცხენე იდეოლოგიის – სოციალიზმისადმი, განსაკუთრებით კი, აღნიშნულ დროს, როდესაც კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, აშშ-ს დიდი მხარდაჭერა ჰქონოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, თუკი მის ხელისუფლებაში არა სოციალ-დემოკრატები, არამედ ეროვნულ-დემოკრატები იქნებოდნენ.

ამერიკის ეკონომიკური ინტერესები მთელ კავკასიასა და მის ბუნებრივ წიაღისეულზე ვრცელდებოდა, თუმცა, საქართველოს გარეშე შეუძლებელი იყო აქედან ამ წიაღისეულის გატანა.

სავაჭრო ნედლეულის მთავარი გამტარი საქართველოს გზა იყო: კავკასიის რკინიგზა, რომელიც ბაქოს ნავთობის გარდა, სხვასავაჭრო ნედლეულის გატანის, ბაქოს ნავთობის ექსპორტირების მთავარი საშუალება იყო ბაქო-ბათუმის ნავთობსადენთან ერთად. როგორც ცნობილია, რუსეთი მე-19 საუკუნისათვის ნავთობის მთავარი მომმარაგებელი იყო მსოფლიოში, 1916 წლისათვის კი მისი მარაგის 81 %-ს ბაქოს ნავთობი შეადგენდა [Gillette, 1973:478]. ფოთისა და ბათუმის ნავსადგურიდან ხდებოდა ჭიათურის მანგანუმის (რომელიც საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდა) გატანაც; სწორედ ეს ორი პორტი უნდა ყოფილიყო სხვა საშუალებების (სპილენძი თუ სხვ.) გატანის არხი. გარდა ამისა, კავკასიის რეგიონის მთავარი სავაჭრო ჰაზის ფუნქციას ქალაქი „ტიფლისი“ ასრულებდა.

შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსადმი ეკონომიკური დაინტერესება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც არამხოლოდ არაოფიციალური წრეები ინტერესდებოდნენ ამ საკითხით, არამედ აშშ-ის ოფიციალური სახელმწიფო უწყებები ადგენენ დოკუმენტებს, რომლებშიც დაწვრილებითაა საუბარი საქართველოს შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკას ქალაქ ბათუმში საკონსულო ჰქონდა გახსნილი (ბათუმის კონსული სახელმწიფო მდივანს ექვემდებარებოდა), რომლის მოვალეობაშიც შედიოდა სახელმწიფო დეპარტამენტის რეგულარულად ინფორმირება რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ეკონომიკურ ჭრილში. გარდა ამისა, კონსულები, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ კერძო კომპანიათა ინტერესებს ლობირებდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ბათუმში ამერიკის ვიცე-კონსული უილიამ ჰორვუდ სტიუარტი რამდენიმე კომპანიისათვის მუშაობდა; კერძოდ, ასეთი კომპანიები იყო Mac-Andrew Forbes Company, F. A. Matinevich & Co და კიდევ რამდენიმე ბრიტანული ფირმა. სტიუარტი, აგრეთვე, ლობირებდა ამერიკული სპილენძის მომპოვებელთა ინტერესებს კავკასიის რეგიონში [The United States Department of State/Papers... 2011:1293]. კონსულების საქმიანობის დეტალებს ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით. მანამდე კი განვიხილოთ, თუ რაში იყენებდნენ აშშ-ის სამთავრობო უწყებები ამ ინფორმაციას, რომლებიც, საბოლოოდ, აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის ერთ-ერთ განყოფილებაში – „საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბიუროში“ – იყრიდა თავს.

„საგარეო და საშინაო ვაჭრობის ბიურო“ იყო ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად ადევნებდა თვალს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. უწყება მიზნად ისახავდა ამერიკული კომპანიების საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობას. მაგალითად, 1923 წლისთვის „ბიუროს“ ექსპორტიორთა რიგებში 15 000-მდე ამერიკული კომპანია იყო გაწევრიანებული, რომლებიც ყოველდღიურად ათასობით შეკითხვით მიმართავდნენ; შეკითხვები, რა თქმა უნდა, შეეხებოდა საგარეო ვაჭრობის საკითხებს, რომელთა გამოკვლევაც, თავის მხრივ, ბიუროს თანამშრომლებს ევალებოდათ. თუკი კონკრეტული ფირმა დაინტერესდებოდა ქვანახშირის საგარეო ვაჭრობის კონკრეტული დეტალებით, ბიუროს უნდა მოეძიებინა ინფორმაცია და მიეწოდებინა მეწარმისათვის [Klein, 1923:132.]. შესაბამისად, „საგარეო და საშინაო ვაჭრობის ბიურო“, რომელიც დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში სხვადასხვა სახელებით ფუნქციონირებდა, სახელმწიფო ინტერესების ფარგლებში თანამშრომლობდა სხვა უწყებებთან და აგროვებდა ინფორმაციას მსოფლიოს კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხსენებული ბიურო ამერიკის კომპანიებისთვის სამთავრობო საინფორმაციო სერვისის უწყება იყო, რომლის მიზანიც ამერიკულ კომპანიათა ნაწარმის ექსპორტირების ხელშეწყობა იყო; აღნიშნული ორგანიზაციის შორსმიმავალ გეგმას ამერიკის ეკონომიკური წინსვლა და მსოფლიოში აშშ-ის სავაჭრო ეკონომიკური ჰეგემონია უნდა მოეტანა.

ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა უცხოეთში სხვადასხვა ქალაქში განთავსებულ ამერიკის საკონსულოებთან. ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ ამერიკულ კომპანიას თავისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება უშუალოდ კონსულთან კომუნიკაციის შედეგად შეეძლო მიეღო, რაც დროში საკმაოდ იწელებოდა და სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ბიურომ ეს საქმე გაამარტივა – ის ერთიანად იღებდა ინფორმაციას ყველა საკონსულოდან და შესაბამის დოკუმენტებს ანბანურად ან სხვა მეთოდით ალაგებდა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა საჭირო ინფორმაციის მომზადებას დაინტერესებული ამერიკული კომპანიებისთვის, *„მაგალითად, ინფორმაციის მიღების მიზნით, ნიუ იორკელმა მეწარმემ შესაძლოა მისწეროს ინდოეთში, კალკუტაში ამერიკის გენერალურ კონსულს ან სავაჭრო აგენტს, ამ დროს მას შეუძლია ბიუროში დარეკოს და 10 წუთში მიიღოს სასურველი ინფორმაცია“* [Klein, 1923:133].

უნდა ითქვას, რომ „ბიურო“ აშშ-ის საგარეო უწყებიდან იღებდა ხსენებულ ინფორმაციას სავაჭრო ინტერესებისათვის, რაც მკაფიოდ გამოკვეთდა საკონსულოს მრავალმხრივ ფუნქციებს, რომლებიც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ოდენ სავაჭო-ეკონომიკური საკითხების მეთვალყურეობით. აშშ-ის კონსული, რა თქმა უნდა, თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარების შესახებაც აწვდიდა ინფორმაციას.

აღნიშნული ბიურო და მისი პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ პირთა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. საგარეო სავაჭრო საქმიანობის მიზნით ჯერ კიდევ პირველმა პრეზიდენტმა – ჯორჯ ვაშინგტონმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარგზავნა სავაჭრო აგენტები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყობოთ საგარეო ვაჭრობისათვის. აშშ-ის სავაჭრო სამსახური (The U.S. Commercial Service) დღემდე მოქმედებს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლები; მისი ძირითადი ფუნქცია ამერიკული კომპანიების საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობაა [Kumar, 2017].

საგარეო და საშინაო ვაჭრობის ბიურო, როგორც აღვნიშნეთ, საკონსულოებისგან ყოველდღიურად იღებდა რეპორტებს, მათ შორის საქართველოში – ბათუმისა და, მოგვიანებით, თბილისის

საკონსულოებისგან. ამის მაგალითია თბილისში აშშ-ის ვიცე-კონსულის ჰუკერ დულითლის რეპორტი, რომელიც აღინუსხა და გამოიცა სავაჭრო დეპარტამენტის მიერ. დულითლის აღნიშნული რეპორტი 1920 წლის 1 ივლისით თარიღდება. რეპორტში აღნიშნულია, რომ ტრანსკავკასიის რეგიონი, რომელიც აქამდე გეოგრაფიულად და ეკონომიკურად გაერთიანებულ სუბიექტს წარმოადგენდა დაიშალა და მის ადგილას სამი ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა [Doolittle, 1920:1].

დულითლი ამ რეპორტში საუბრობს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ის აღნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა სამ კლასად იყოფა, ესენია: 1) ფეოდალური არისტოკრატის ნარჩენები, რომლებიც კავკასიელ პრინცებად იწოდებიან (ქართული არისტოკრატის ტიტულატურის გამოსახატად ამერიკელები ხშირად იყენებენ სიტყვას „Prince“, რაც ამ შემთხვევაში თავადს ნიშნავს პ.ჯ.). 2) ქალაქების ბურჟუაზია. სავაჭრო მაღაზიების მფლობელები და ვაჭრები. თბილისში ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ძირითადად, სომხები არიან, ქართველი ვაჭრები შედარებით პატარა ქალაქში ცხოვრობენ. 3) გლეხები, რომლებიც ქართველთა უმრავლესობას შეადგენენ, სოფლის მეურნეობითა და მეცხვარეობა-მეცხოველეობით არიან დაკავებულნი [Doolittle, 1920:1].

აქვე დულითლი საუბრობს ქართული ბონის გაუფასურებაზე: ის ანგარიშში წერს, რომ ქართული ბონი 1919 წლის დასაწყისიდან იმავე წლის დასასრულამდე ოქროს ფასთან მიმართებით 20-დან 200-მდე გაიზარდა, რაც კუპიურის გაუფასურების წარმოუდგენელი სისწრაფეა. დულითლი მიიჩნევს, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ხელისუფლების ჩარევა იყო, რომელმაც მთელი წიაღისეულის კონფისკაცია მოახდინა (ნაციონალიზაცია) და სამთავრობო მონოპოლია დაამყარა იმპორტსა და ექსპორტზე. დულითლი წერს, რომ დევალვაცია ჭარბი ფულის ოდენობიდან იყო გამოწვეული, გარდა ამისა, მისი აზრით, ქაღალდის გაუფასურების მიზეზი მანუფაქტურისა და რესურსების არ ქონა, შესაბამისად, ვაჭრობის შემცირება იყო [Doolittle, 1920:2].

დულითლის ანგარიშის ძირითადი არსი საქართველოს სოციალისტური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკაა. დულითლი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის მიზეზი სახელმწიფოს არასწორი ნაბიჯებითაა გამოწვეული, ამის მაგალითებად ამერიკელ კონსულს მოჰყავს სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის მდიდარი წიაღისეულის ნაციონალიზაცია და ექსპორტსა და ვაჭრობაზე სახელმწიფოს მონოპოლიზაცია.

დულითლს საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა საფუძვლიანად აქვს შესწავლილი; მის მიერ შედგენილ ანგარიშებში ვლინდება აღნიშნული მოხელის ერუდიცია და ეკონომიკური განათლება. ამკარაა, რომ ის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკისა და კაპიტალიზმის მიმდევარია, სწორედ აქედან გამომდინარე აკრიტიკებს საქართველოს სოციალისტურ ხელისუფლებას. აკრიტიკებს რა საბანკო სისტემას, წერს, რომ აქაური ბანკები რუსეთის იმპერიის დროინდელი ნარჩენებია, რომლებიც, ძირითადად, ნაციონალიზდა და გაიპარცვა [Doolittle, 1920:3].

დულითლი თავის ანგარიშში განსაკუთრებით უსვამს ხაზს ბათუმის პორტის მნიშვნელობას. მისი აზრით, ბაქოს ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე გასატანად ბათუმს „სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს“. მისი თქმით რამდენიმე სახაზო გემმა 1919 წ., უკვე დაიწყო ნავთობის რეგულარული გადაზიდვა, მათ შორის გემმა Paquet line მარსელიდან, The Cunard Line ბრიტანული პორტიდან, Lloyd Trentino იტალიიდან და Green Star Line მა ნიუ იორკიდან [Doolittle, 1920:4].

დულითლი ანგარიშში ყურადღებას ამახვილებდა სოფლის მეურნეობაზე, ის წერდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 90 % სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული; ასევე, აღნიშნავდა, რომ მოძველებულ და პრიმიტიულ სამუშაო იარაღების გამოყენების გამო არც ეს სფერო იყო პოპულარული [Doolittle, 1920:5].

დულითლი ანგარიშში გასცემს რეკომენდაციებს ამერიკული კომპანიებისათვის. ის მიუთითებს იმ სავაჭრო პროდუქტებზე, რომლებიც რეგიონში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამერიკელი ვიცე-კონსული წერს, რომ რეგიონი ომის შემდეგ დაიცალა უცხოური კომპანიებისაგან, რამაც ადგილობრივი ბაზარი გამოათავისუფლა ახალი კომპანიებისათვის; მისი ვარაუდით, რეგიონი მიმზიდველი ადგილი იქნებოდა პირველადი მოხმარებისა და ფუფუნების საგნების გასაყიდად. ის, აგრეთვე, მიუთითებს რომ რეგიონში დიდი მოთხოვნაა შემდეგ ნაწარმზე: ქაღალდი, წამლები, ტანისამოსი, ქიმიური ნაწარმი, ტყავის ნაწარმი და ა.შ.; დულითლი ფიქრობს, რომ ამერიკელებს შეუძლიათ აღნიშნული ბაზრის ათვისება [Doolittle, 1920:6].

ანგარიშის ბოლოს დულითლს დეტალურად აქვს აღწერილი ყველა ის მასალა, საქონელი, ნივთი თუ პროდუქტი, რომლებზეც საქართველოში იყო მოთხოვნა, შესაბამისად, ამერიკულ კომპანიებს შეეძლოთ მიწოდება და გაყიდვა [Doolittle, 1920:7].

დულითლის ანგარიშების მსგავსი რეპორტი მანამდეც ხშირად იგზავნებოდა შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის საგარეო და საშინაო ვაჭრობის ბიუროში. მაგალითად, 1919 წლის 1 სექტემბერს ვინმე ბორის ბაიევსკი აგზავნის ანგარიშს, რომლითაც ამერიკის უწყებას აწვდის დეტალურ ეკონომიკურ მონაცემებს კავკასიის შესახებ. როგორც ჩანს, ბორის ბაიევსკი ამერიკის საკონსულოს თანამშრომელი, ან რაიმე სახის აგენტი იყო. ბაიევსკი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ინფორმაციას ეკონომიკური პოტენციალის შესახებ აშშ-ის კონსულები არაერთი ოფიციალური საშუალებით აგროვებენ. სავარაუდოდ, შესაბამის კონსულებს ხელი მიუწვდებოდათ როგორც სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად წარმოებულ დოკუმენტებზე (აღწერები და ა.შ.), ასევე, სხვა სახის მასალებზე, ნაშრომებსა თუ სხვ. [Baievski, 1919].

თავის ანგარიშში ბაიევსკი დეტალურად აღწერს კავკასიასა და საქართველოში შექმნილ ვითარებას, გეოგრაფიული მდებარეობიდან დაწყებული ეკონომიკური პოტენციალის სტატისტიკის ჩათვლით. მისი რეპორტის სკრუპულოზურობის ხაზგასასმელად მოგვყავს რამდენიმე ციტატა: *„ცხოველებს შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე, ლენკორანთან ახლოს ბინადრობს ვეფხვი და პანთერა. მთიან ნაწილში შეხვდებით ბიზონს, ჯიხვს, ღორს, მელიებს, ჩრდილოეთის ირმებს, ანტილოპას და ა.შ. დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონის შემოგარენში მრავლადაა ხოხობი. მთლიანობაში აქ 400 სახეობის ფრინველი ბინადრობს“* [Baievski, 1919:3].

დოკუმენტში დაწვრილებითაა აღწერილი კავკასიის მოსახლეობაც; მაგალითად, ერთგან ავტორი აღნიშნავს, რომ ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, 1915 წლის 1 იანვრისათვის ბათუმის ოლქის დახასიათება შემდეგი იყო: მოსახლეობის რაოდენობა – 186 000, ფართობი – 2 693 კვადრატული მილი; მოსახლეობის სიმჭიდროვე – 69 ადამიანი კვადრატულ მილზე. ქუთაისის გუბერნიასთან დაკავშირებით ავტორის ცნობები შემდეგია: ფართობი: 8 145 კვადრატული მილი, მოსახლეობა – 1 070 300; მოსახლეობის სიმჭიდროვე – 130 ადამიანი კვადრატულ მილზე. სოხუმის ოლქი: ფართობი – 2545 კვადრატული მილი, მოსახლეობა – 147 600, სიმჭიდროვე – 58 ადამიანი კვ. მილზე. თბილისის გუბერნია – ფართობი – 15 776 კვადრატული მილი, მოსახლეობა – 1 394 800, სიმჭიდროვე 88 ადამიანი კვ. მილზე. მისი მონაცემებით იმ დროს საქართველოს მოსახლეობა სოხუმისა და ბათუმის ოლქებსა და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, საერთო რაოდენობით, 2 798 700 ადამიანს შეადგენდა [Baievski, 1919:3].

ანგარიშში სტატისტიკურადაა შესწავლილი განათლების სისტემაც. მაგალითად, ავტორის ცნობით (რომელიც, ავტორისავე მტკიცებით, სახელმწიფო დოკუმენტების მასალებს ეყრდნობა), 1913

წლისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში 3 938-მდე სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც 302 640 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის, 199 439 – ვაჟი და 103 201 კი – გოგონა. სამხრეთ კავკასიაში კი, მისივე მონაცემებით, 2 965 სკოლაში 132 904 ვაჟი და 41 815 გოგონა იღებდა განათლებას [Baievski, 1919:4].

ანგარიში შეიცავს დეტალურ ცნობებს რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. ამ ცნობის მიხედვით, კავკასიის რეგიონი რუსეთის თამბაქოს მარაგის 69 პროცენტის მწარმოებელი იყო. ავტორი აღნიშნავს, რომ, მაგალითად, სოხუმის ოლქში თურქულ თესლზე მოყვანილი თამბაქო რუსეთის მთელი მარაგის 30 პროცენტს შეადგენდა; აღნიშნული საკითხები დეტალურად აქვს ცხრილში აღწერილი პლანტატორთა რაოდენობისა და რეგიონული პლანტაციების ფართობის მიხედვით [Baievski, 1919:7].

აქვე აღნიშნულია, რომ 1913 წლისათვის კავკასიაში 190 000 აკრის ფართობის ვენახები იყო, სადაც 40 000 000 გალონ ღვინოს აწარმოებენო (წლიურად, 1913 წელს), ხსენებული ფართობიდან 31 124 დესეტინა ქუთაისის გუბერნიაზე მოდის, 32 485 – თბილისის გუბერნიაზე, 3098 – სოხუმის, 1469 – ბათუმის ოლქის. აქვე ნათქვამია, რომ *„აქ წარმოებული ღვინო საუცხოო ხარისხისაა, და იქ, სადაც თანამედროვე ქიმიის მიღწევებს იყენებენ წარმოებაში, ღვინის ხარისხი არაფრით ჩამოუვარდება ფრანგულ და იტალიურ ღვინოს“* [Baievski, 1919:7-8].

ანგარიშში, ასევე, ყურადღებაა გამახვილებული ბათუმის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიაში ჩაის ინდუსტრიის პროგრესზე; აქ აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1895 წელს ჩაის პლანტაციები მხოლოდ 6 აკრ ტერიტორიაზე იყო გაშენებული, 1913 წელს კი 2 210 აკრამდე გაიზარდაო. მისივე შენიშვნით, მიმდინარე პერიოდისათვის, მხოლოდ 85 ფუნტი ჩაი მოიკრიფა 1895 წელს, 1913 წელს ის 1 220 000 ფუნტამდე გაიზარდაო. ავტორი აქვე უთითებს, რომ ჩაის წარმოება აქ ჯერ ექსპერიმენტების სტადიაზეა, თუმცა უახლოეს მომავალში დიდი წარმატებები ექნებაო [Baievski, 1919:8].

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კავკასიიდან შეერთებული შტატების მიმართულებით სხვადასხვა პროდუქტის ექსპორტირება ხდებოდა. მაგალითად აქ აღნიშნულია, რომ 1913 წელს კავკასიიდან შტატების მიმართულებით 848 581 \$-ის ღირებულების მატყლის პროდუქცია იქნა ჩატანილი, 1914 წელს კავკასიიდან აშშ-ში 608 825 დოლარის ღირებულების იგივე პროდუქცია ჩაიტანეს [Baievski, 1919:10]. ანგარიშში აღნიშნულია, რომ, ხშირ შემთხვევებში, კავკასიიდან ექსპორტირებული პროდუქტი რეექსპორტით ხვდება აშშ-ში, მაგალითად კავკასიის რეგიონიდან

გატანილი ზღვის პროდუქტების ნაწილი გერმანიაში გადის, საიდანაც ხვდება აშშ-ში, აღნიშნავს ავტორი [Baievski, 1919:13].

დოკუმენტში საუბარია, რომ ამერიკელები განსაკუთრებით დაინტერესდნენ გურიის რეგიონით ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით: აღნიშნულია, რომ კავკასიაში ერთ-ერთი ადგილი, სადაც ნავთობი მოიპოვება არის გურია, რომელიც ზღვასთან სიახლოვის გამო საინტერესოა თავისი მდებარეობით [Baievski, 1919:14].

ავტორის ინფორმაციით ჭიათურის მანგანუმი მსოფლიოს უმდიდრესი საბადოა. აქ რუსმა გეოლოგებმა დაითვალეს, რომ ჭიათურის მადარობის რესურსი 1 070 000 000 ტონა მანგანუმია, რაც, ავტორის შენიშვნით, ევროპისა და აშშ-ის მარაგს ნახევარი საუკუნით შეავსებდა. „თანაც – ხაზს უსვამს ავტორი – ჭიათურის მადნის ხარისხი უმაღლესი ხარისხისაა“ [Baievski, 1919:21].

ჭიათურის მანგანუმს მნიშვნელობის ნათლად აღსაქმელად მოგვყავს ანგარიშში მოცემული რიცხვები: 1914 წლისათვის მსოფლიოში მანგანეცის 2 უდიდესი ექსპორტიორი ქვეყანა იყო რუსეთი და ინდოეთი. ამავე წელს ინდოეთიდან 693 824 ტონა მანგანეცი იქნა გატანილი, რუსეთში კი ამ წელს 737 300 ტონა მანგანუმი მოიპოვეს, რუსეთის მანგანეცის უდიდესი ნაწილი კი სწორედ ჭიათურის მანგანეცზე მოდიოდა. ცნობისთვის, აშშ-ს მაჩვენებელი ამ წელს 2 077 ტონა მანგანუმი იყო [Baievski, 1919:24].

აღსანიშნავია ანგარიშის ავტორის მითითება გარკვეულ ცნობათა წყაროდ დავით ღამბაშიძის წიგნის – „საქართველოსა და კავკასიის მინერალური რესურსები – მარგანეცის ინდუსტრია საქართველოში“ – გამოყენების შესახებ, რომელიც ლონდონში გამოიცა 1919 წელს [Baievski, 1919:24].

მაიევსკის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წყლის ენერჯის პოტენციალს რეგიონში, განსაკუთრებით კი – საქართველოში. ავტორი შენიშნავს რესურსების არასათანადო გამოყენების შესახებაც და მაგალითად მოჰყავს თბილისის შემთხვევა: „თბილისში 18 ელექტროსადგურია, რომელთაგანაც ნაწილი ბელგიურ კომპანიას – Belgian Tramway co-სა და ადგილობრივ წარჩინებულებს ეკუთვნის. გორის ელექტროსადგური ვინმე „პრინც ამილახვარს“ ეკუთვნისო, აღნიშნავს ავტორი. ქუთაისში 2 ასეთი ელექტროსადგურია მდინარე რიონზე მოწყობილი – აღნიშნულია აქვე. სინათლის ენერჯის გამომუშავების მიზნით მსგავსი ელექტროსადგურები აჯამეთს, ბორჯომს, ახალციხეს, ბათუმსა და ახალქალაქს აქვსო, აგრეთვე, სოხუმს 600 ცხენის ძალის მქონე ელექტროსადგური ამარაგებსო. აქვე აღნიშნულია, რომ ელექტროენერჯის წარმოება

მნიშვნელოვნად წასწევდა წინ ქვეყანის მანუფაქტურისა თუ მადნის წარმოების სხვადასხვა საქმეს [Baievski, 1919:40].

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ ანგარიშებში დეტალურადაა ჩამოთვლილი და დახასიათებული კავკასიის რეგიონის მასშტაბით არსებული ბუნებრივი წიაღისეული, დაწყებული ნავთობით, დასრულებული ანტიმონიტით. ავტორები ამერიკულ კომპანიებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ მადნეულის წარმოების და კომერციის შესახებ. აქვე დეტალურად არის დახასიათებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები (მატყლი, თამბაქო და სხვ.).

ამგვარად, ბათუმის საკონსულოს თანამშრომლები თუ სხვა სახის აგენტები სიღრმისეულ ინფორმაციას აგზავნიდნენ აშშ-ის სახელმწიფო უწყებებში, რომლებსაც, თავის მხრივ, ამერიკულ კომპანიათა ინფორმირების ვალდებულება ჰქონდათ; ამას თავისი კონკრეტული გამოხატულებაც ჰქონდა ბათუმის პორტში, თბილისსა თუ სხვა ქართულ ქალაქებში ამერიკელ ვაჭართა ყოფნა ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა. ბათუმში რეგულარულად ჩამოდიოდა ამერიკული სავაჭრო საქონლით დატვირთული გემი. 1914 წელს კავკასიის რეგიონში 4-4.5 მილიონი დოლარის ღირებულების ამერიკული საქონელი იქნა შემოტანილი, სანაცვლოდ კი აქედან აშშ-ში გატანილ იქნა 2 238 000-დან 2 738 000 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი [Baievski, 1919:43]. ბათუმის პორტიდან აშშ-ს მიმართულებით 1913 წელს გაიტანეს ხე-ტყის მასალები, ღვინო (მცირე რაოდენობით), თამბაქო, ნუში, კაკალი და ა.შ. ამ ყველაფერს – აშშ-ისკენ გატანილ ექსპორტს, მის ფასსა თუ რაოდენობას დეტალურად აღწერდა ამერიკის საკონსულო წარმომადგენლობა ბათუმში [Baievski, 1919:43]. ზემოთ ხსენებულ ანგარიშში ბორის ბაიევსკი წერდა, რომ ბათუმში ამერიკის კონსულს 1919 წლისათვის მობილიზებული ჰქონდა 1 მილიონი დოლარი, „რათა ხელი შეეწყოს კავკასიიდან სხვადასხვა პროდუქციის ექსპორტირებისთვის აშშ-ში“. როგორც ჩანს, ამ დროს ამერიკელებთან მჭიდრო სავაჭრო კავშირი ჰქონდათ თბილისელ სომეხ ვაჭრებს, რომლებსაც თბილისში 750 000 დოლარის ღირებულების საქონელი მოემზადებინათ გამოსატანად. თავის მხრივ, ამერიკა ცდილობდა, იმავე ღირებულების ამერიკული საქონლის მობილიზებას, რათა შემდგარიყო ე.წ. ბარტერი. მისი აზრით, ბარტერი ყველაზე ხელსაყრელი სავაჭრო გზა უნდა იყოს ამერიკასა და კავკასიას შორის, რადგან რეგიონში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ადგილობრივი ვალუტის კურსი სწრაფად იცვლებოდა და უფასურდებოდა, სწორედ აქედან გამომდინარე, ამ პირობებში ამერიკელებისთვის ვაჭრობის უკეთესი ფორმა საქონლის გაცვლა უნდა იყოს [Baievski, 1919:54-55].

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სწორედ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში გაუჩნდა ინტერესი საქართველოსადმი მისი ეკონომიკური რესურსების გამო; ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. ბაიევსკის ხსენებულ ანგარიშში ერთ მნიშვნელოვან და ყურადსაღებ ფრაზას წავაწყდებით – „Large grazing interests could be developed in the Caucasus“ [Baievski, 1919:55]. რომელიც, შესაძლოა, განიმარტოს და გაგებულ იქნას შემდეგნაირად: „მომგებიანი ინტერესები შეიძლება განვითარდეს კავკასიის მიმართ“. ჩემი აზრით, სწორედ ეს ფრაზა გამოხატავს აშშ-ის დამოკიდებულებას საქართველოსა და ზოგადად კავკასიისადმი. ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენდნენ გარკვეული ჯგუფები; საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალურობას; ასეთი ჯგუფის წევრები შეიძლება ყოფილიყვნენ უცხო ქვეყნების მთავრობათა მიერ დაქირავებული გავლენიანი ადამიანები – ლობისტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმოდათ ამერიკულ საზოგადოებაში; ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ პოლიტიკოსები – კონგრესმენები თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლები, აგრეთვე, სხვადასხვა იურიდიული ფირმის წარმომადგენლები. საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ გარკვეული თემები, მათ შორის: ამერიკელი ებრაელები, ამერიკელი ბერძნები, ამერიკელი სომხები და ა.შ. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ ამერიკისა და მშობლიური ქვეყნების ურთიერთობებზე. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ, აგრეთვე, ეკონომიკური ჯგუფები, იმ პერიოდში არსებული სხვადასხვა ბიზნესკორპორაცია, მაგალითად, ნავთობმწარმოებელი ამერიკული გიგანტი კომპანია Standard Oil [ჯენტლესონი, 2015:68-69].

არაერთი მკვლევრის თანახმად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სხვადასხვა კორპორაცია. ამის ნათელი მაგალითი იყო აშშ-ის პოლიტიკა და დამოკიდებულება გვატემალასა და ირანისადმი; ცნობილია, თუ როგორ ჩამოაგდეს თანამდებობიდან ირანის პრემიერ-მინისტრი – მოჰამედ მოსადეყი ამერიკულმა ძალებმა 1953 წელს, რადგან ეს უკანასკნელი გეგმავდა ნავთობკომპანიების ნაციონალიზაციას; ნაცვლად მოსადეყისა, ირანში ხელისუფლებაში ამერიკელებმა მოიყვანეს შაჰი, რომელიც ამერიკელთა გათვლით ნაციონალიზებულ კომპანიებს ამერიკელებს დაუბრუნებდა [ჯენტლესონი, 2015:176]. ბრიუს ჯენტლესონის აზრით, „ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას გადაწყვეტი ფაქტორი მრავალეროვნული კორპორაციების, დიდი ბანკებისა და მსოფლიო კაპიტალიზმის სხვა ლიდერების ინტერესები იყო“ [ჯენტლესონი, 2015:176].

კვლევა განხორციელდა (PHDF-21-1547) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ლიტერატურა:

ჯენტლესონი ბ. ამერიკის საგარეო პოლიტიკა. თბილისი : ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2015

ჯაგუნავა პ., ნოდია ი. ამერიკელი მოგზაურები საქართველოში (XIX საუკუნის I ნახევარი). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

Baievski B.

Supplement to commerce reports, daily consular and trade reports, issued by the bureau of foreign and domestic commerce, department of commerce. November 3, 1919. Washington, D.C.

Curtis W. E. Around the Black Sea - Asia minor, Armenia, Caucasus, Circassia, Daghestan, The Crimea, Roumania. New York: Hodder & Stoughton, George H. Doran Company, 1911

Ditson, G. L. Circassia, or, a tour to the Caucasus. New York: Strixger & townsexd. 1850

Doolittle H. A. Supplement to commerce reports, daily consular and trade reports, issued by the bureau of foreign and domestic commerce, department of commerce. November 10, 1920. Washington, D.C.

Gillette P. S. American Capital in the Contest for Soviet Oil, 1920-23. Soviet Studies. 24 (4). 1973

Klein J. Work of the Bureau of foreign and domestic commerce. Advocate of Peace through Justice, 85 (4). 1923

Kumar A. M. The U.S. Commercial Service: Serving SMEs and U.S. businesses around the 2017 world. https://www.huffpost.com/entry/the-us-commercial-service_b_14106484

Smith E. Dwight H. G. O. Missionary researches in Armenia: including a journey through Asia minor, and into Georgia and Persia, with a visit to the Nestorian and Chaldean Christians of Oormiah and Salmas. London: George Wightman, paternoster row. 1834

The United States Department of State/Papers relating to the foreign relations of the United States with the annual message of the president transmitted to Congress December 3, 1906. Foreign Relations of the United States. University of Wisconsin Digital Collections. <http://images.library.wisc.edu/FRUS/EFacs/1906/reference/frus.frus1906v02.i0020.pdf>

ჯულია ბენიძე

მცხეთისა და მისი შემოგარენის სიძველეები დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის საარქივო მასალებში

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის (1855-1936 წწ.) პირად არქივში დაცული მასალები, აგრეთვე პერიოდულ პრესაში მის მიერ გამოქვეყნებული საგაზეთო წერილები, ცხადყოფს, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა, მრავალმხრივი ინტერესების მქონე სასულიერო პირის მრავალწლიანი საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო. ამ საკითხის მნიშვნელოვნებას სწავლული სასულიერო პირისთვის შეკრებილი მასალების სიმრავლეც ადასტურებს. ჩანს, რომ პოლიევქტოს კარბელაშვილი ქართული სიძველეებით ადრეული პერიოდიდანვე დაინტერესებულა - მის მიერ 1870-იანი წლებიდან გაკეთებულ ჩანაწერებსა და საგაზეთო წერილებში მოიპოვება მათი აღწერები. უმთავრესად „ივერიასა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ პირველ საგაზეთო წერილებში, პოლიევქტოს კარბელაშვილისთვის მნიშვნელოვანი იყო გადმოცემა ამ სიძველეთან დაკავშირებული გადმოცემები თუ თქმულებები, რომლებიც თავადვე მოუსმენია და ჩაუნიშნავს - *„ბევრჯელ თქმულა, რომ ქართველებმა ერთხელ მიღებულის ჩვეულების, ერთხელ შეძენილის შთაბეჭდილების დაცვა მტკიცედ იციანო დიდ ხანს. რამდენი ჩვეულება, რამდენი ზნეობის გამომხატველი ნაკვეთები არიან ქართველობაში საშვილიშვილოდ შთანერგილნი! რამდენი რამე აქვს ქართველს კაცს, რითაც კი შეუძლიან მას თვისი მამულის წარსული გააცნოს ქვეყანას!..“* [ჭალელი, 1876:1].

სწორედ ამგვარ, წინაპართაგან გადმოცემულ თქმულებებს აღწერს პოლიევქტოს კარბელაშვილი ეკლესია-მონასტრების, ციხესიმაგრეებისა თუ სხვა სიძველეთან დაკავშირებით - მათი სახელწოდებების, აგებისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ისტორიული მოვლენების შესახებ (კლდე-მაღალას ციხე, დროება, 1875, №38, გვ.1-2; №39, გვ.1-3; ყვავის საყდარი, გადმოზრუნებული საყდარი, დროება, 1875, №73, გვ.1).

ისტორიული ლეგენდების გადმოცემასთან ერთად, მოგვიანებით პოლიევქტოს კარბელაშვილის ნაშრომებში ჩნდება ინტერესი სიძველეთა აღწერის, მათი იმჟამინდელი გარეგნული იერ-სახის დაფიქსირების და მათზე დაცული წარწერების შესახებ.

საქართველოს ისტორიის, მისი მრავალფეროვანი კულტურის წარმომჩენი ნივთიერი ძეგლების მოძიების, შესწავლისა და დაცვის სურვილმა განაპირობა ის ექსპედიციები, რომლებსაც პოლიევქტოს

კარბელაშვილი ახორციელებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში - ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, ლეჩხუმსა და სვანეთში. იმჟამად მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო და სიძველეთა დამცველი საზოგადოებების დავალებით თუ საკუთარი ინიციატივით, პოლიევქტოს კარბელაშვილმა ინახულა არაერთი ეკლესია-მონასტერი და აღნუსხა იქ დაცული სიწმინდეები. მართალია, ამ საქმეს იმჟამად არაერთი ქართველი მკვლევარი ახორციელებდა, მაგრამ სწავლული სასულიერო პირის სამოგზაურო დღიურებში მოიპოვება ძეგლების აღწერები, რომლებიც საზოგადოებას პირველად მისი ჩანაწერებით უნდა გაეცნო, თუმცა, ამა თუ იმ მიზეზთა გამო, მას ეს ვერ მოუხერხებია და დღესაც ამ რიგის ბევრი მასალა გამოუქვეყნებელი რჩება.

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის საქესპედიციო მასალების ნაწილი თარიღიანია. შესაბამისად, ცნობილი ხდება, რა დროს და სად იმოგზაურა მან, რა აღწერა. მასალების ნაწილი უთარილოა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ძირითადად შესაძლებელი ხდება მოგზაურობის მიახლოებითი პერიოდების განსაზღვრა, რადგან ახალი მასალების შეკრების კვალად პოლიევქტოს კარბელაშვილი ცდილობდა, მის მიერ თავმოყრილი მონაცემები საზოგადოებისთვისაც მალევე გაეზიარებინა, რისთვისაც იგი პერიოდულ პრესას მიმართავდა.

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ პოლიევქტოს კარბელაშვილი ერთსა და იმავე კუთხეს და მის ძეგლებს რამდენჯერმე სტუმრობდა, ახალ მასალებს ინიშნავდა და ადრე მოპოვებულ მონაცემებს ავსებდა. მისი მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტები საკმაოდ მოცულობითია, თუმცა, უმეტესწილად ტექსტები ნაკლებია და აღწერები სრული სახით არ შემორჩენილა; ამის გამო ისინი სრულად ვერ ასახავს სწავლული სასულიერო პირის მიერ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ თავმოყრილ და დამუშავებულ მასალებს.

მოცულობასთან ერთად მრავალგვარია შეგროვებული მასალების ხასიათიც. მკვლევარი აღწერს ეკლესიების ხუროთმოძღვრებას და მოხატულობას; პალეოგრაფიული სიზუსტით გადმოაქვს ფასადებზე დაცული ლაპიდარული წარწერები; იხაზავს ეკლესია-მონასტრების გეგმებს; ასრულებს ფასადებზე შემორჩენილი ჩუქურთმებისა და ორნამენტების, აგრეთვე, ინტერიერში არსებული ფრესკების ჩანახატებს; აღწერს ხელნაწერებს - მათ შედგენილობასა და მინიატიურებს. ამ აღწერილობებს თან ერთვის ანდერძ-მინაწერთა ტექსტები და მათი საისტორიო ანალიზი; აღნუსხულია ხატები, ჯვრები, საღვთისმსახურო ნივთები და ეკლესიაში დაცული სხვა სიძველეები და მათი წარწერები (მაგ. იარალი, დროშები და სხვ.). ამასთანავე, გადმოწერილი აქვს ეკლესიაში და მის გარშემო არსებული საფლავების ეპიტაფიები.

თავმოყრილი მასალების გამოსაცემად მომზადებისას, როგორც წესი, პოლიექტოს კარბელაშვილი კომენტარებს ამატებდა. იმ პერიოდისთვის ცნობილ საისტორიო წყაროებში იგი ეძებდა მონაცემებს ეკლესიების, აგრეთვე, ლაპიდარულ და ფრესკულ წარწერებში, ისევე როგორც ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულ პირთა შესახებ, იმოწმებდა საქართველოს ისტორიის პირველწყაროებს, იმავდროულად კი ეცნობოდა როგორც თანადროულ, ისე ადრეული პერიოდის ქართველ თუ უცხოელ მოგზაურთა, სიძველეთა მოყვარულთა და მეცნიერთა მიერ მოპოვებულ მასალებს, რომლებსაც ადარებდა საკუთარ აღწერებს, დაკვირვებებსა და დასკვნებს.

პოლიექტოს კარბელაშვილის ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ძველ დედაქალაქს - მცხეთას და მის სიძველეებს. 1883 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „საქართველოს ძველი ისტორიისთვის“ მას მოჰყავს ხალხური გადმოცემა სახელწოდება „მცხეთის“ წარმოშობის შესახებ – „...ჩვენი ძველი დედა ქალაქის, „მცხეთის“ წოდებაც ეგრევეა გაურკვეველი. რეხის ხეობაზე ს. ჭალაში მე მაქვს გაგონილი ამ წოდების აღსნა: „- ძველად მეფეებს, მთავრებს სასულიერო, პირნი ერთურთ დალოცავდნენ ხოლმეოდ თავზე ზეთს სცხებდნენო (ძველი იუდიანელების მეფედ დამტკიცება ზეგარდმო მადლით, თავზე ზეთის ცხებით იქმნებოდა). საქართველოს მეფეთა და მთავრების გაბატონება მცხეთაში სრულ-იქმნებოდაო. მეფედ, ანუ მთავრად აღრჩეული მივიდოდა წინაშე ერისა და ეტყოდაო: „მცხეთ თავსა ჩემსა ზეთიო!“. აქედან წარმოსდგა „მცხეთავი“ [კარბელაშვილი, 1883: 3].

მცხეთისა და მისი შემოგარენის სიძველეთაგან ჩანაწერების მოცულობით გამოირჩევა შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსის შესახებ პოლიექტოს კარბელაშვილის მიერ თავმოყრილი მასალები. იგი აღწერს სამონასტრო კომპლექსის ნაგებობების ფასადებზე არსებულ ლაპიდარულ წარწერებს (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი: დასავლეთი შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერა, 1668 წ. - მოხსენიებული არიან გივი იოთამის ძე ამილახვარი, მეუღლე მისი თამარ ბატონისშვილი და ძეები - ანდუყაფარი და დემეტრე; მხედრული წარწერა სამხრეთი შესასვლელის თავზე, 1733 წ. - მოხსენიებულია გივი ამილახვარი; წარწერა ჩრდილოეთ ფასადზე - მოხსენიებული არიან გივი ამილახვარი და მეუღლე მისი, ორბელისშვილის ასული ზანგუა); მონასტერში დაცულ სიძველეებს, მათზე არსებული წარწერებით (ენქერი, ასომთავრული წარწერით - მოხსენიებული არიან ლევან დადიანი, მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი და მათი ძე, ალექსანდრე; გულანი, 1706 წ., მინიატიურებით და მინაწერებით - მოხსენიებულია დამკვეთი, ნიკოლოზ ამილახორისშვილი; წმ.

ეგრემ ასურის თხზულებების შემცველი ხელნაწერი, 1803 წ. - მინაწერში მოხსენიებულია მისი შემწირველი დავით ბატონიშვილი; წმ. იოანე სინელის „კლემასი“, მინაწერით - მოხსენიებულია ანჩისხატის დეკანოზი გიორგი; ძველი ტრაპეზის სამხრეთ კედელში ჩატანებულ ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა - მოხსენიებულია გაბრიელი), აგრეთვე, ღვთისმშობლის მიძინებისა და წმ. სამების ტაძართა ინტერიერში დაცულ განსასვენებელთა ეპიტაფიებს (1695-1841 წლების თხუთმეტი ეპიტაფია).

პოლიევქტოს კარბელაშვილის სამოგზაურო უბის წიგნაკებში არაა მითითებული შიომღვიმის მონასტერში ყოფნის თარიღები, თუმცა 1891 წელს გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილში „მასალად ამილახვართა ისტორიისა, ა) წარწერანი ხატებზე და კედლებზედ - ს. ჭალასა, შიო-მღვიმესა და ქ. ტფილისში შეკრებილნი“, ავტორს შეტანილი აქვს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფასადებზე დაცული ლაპიდარული წარწერები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მონასტერი მას 1890-იანი წლების დასაწყისამდე უნდა ენახა

მოცულობითია წილკნის საკათედრო ტაძრის შესახებ გამოქვეყნებული მასალებიც [წილკნის ტაძარი, *ივერია*, #131 1894:1-3]. პოლიევქტოს კარბელაშვილი მოკლედ ახასიათებს კომპლექსში შემავალ ნაგებობებს; აღწერს მთავარ ტაძარს, მის გეგმას, ზომებს, იერსახეს, შიდა სივრცეს; აღნიშნავს, რომ ერთ დროს მთლიანად ფრესკებით გამშვენებული კედლები იმხანად კირით ყოფილა შეთეთრებული, თუმცა გუმბათში შემონახული იყო მაცხოვრის ნახევარფიგურა, ირგვლივ შემოყოლებული ასომთავრული წარწერით. ამას გარდა, ნარკვევში დახასიათებულია ეკლესიის კანკელი; საგანგებო ყურადღება ეთმობა ღვთისმშობლის ხატს - მოტანილია მისი 1779 წლის საექტიტორო წარწერა, ჩამოთვლილია ხატისთვის შეწირული ნივთები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს წმ. ისე წილკნელის განსასვენებელზე, აგრეთვე, ეკლესიაში დაცულ სიძველეებზე (საწინამძღვრო დროშა, წარწერით - მოხსენიებულია ყაფლან ბარათაშვილის ასული როდამი; გარდამოხსნა, ასომთავრული წარწერით - მოხსენიებული არიან თეიმურაზ ბატონიშვილი და მისი მეუღლე ქეთევან ორბელისშვილი, 1686 წ.; ომოფორი, ასომთავრული წარწერით - მოხსენიებულია როდამ ორბელისშვილი, 1660 წ.; ენქერი, წარწერით - მოხსენიებული არიან თეიმურაზ ბატონიშვილი და მისი მეუღლე ქეთევან ორბელისშვილი; მეორე ენქერი, წარწერით - მოხსენიებული არიან იოანე მუხრანბატონი და მისი მეუღლე ქეთევანი; გინგილა, წარწერით - მოხსენიებული არიან თეიმურაზი და მისი თანამეცხედრე ქეთევანი); სამღვდელმთავრო არწივი, წარწერით - მოხსენიებულია იოანე წილკნელი; მიტრა, რუსული წარწერით - მოხსენიებულია

მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ბაგრატიონი, 1762 წ.; ნაბეჭდი სახარება, მინაწერით - მოხსენიებული არიან გერვასი მაჭავარიანი, წილკნელი მიტროპოლიტი და სამთავნელი ეპისკოპოსი; ეტრატზე ნაწერი, მოხატული სახარება - სხვადასხვა პირის მოსახსენებელი მინაწერებით; ეტრატზე ნაწერი მეორე სახარება, მოჭედბეჭდვით, წარწერით - სხვადასხვა პირის მოსახსენებლებით).

პოლიევქტოს კარბელაშვილს უნახავს ძეგვის ეკლესიაც და ჩაუნიშნავს მის ფასადზე არსებული ასომთავრულით შესრულებული ლაპიდარული წარწერა (მოხსენიებული არიან ნიკოლოზ იოთამის ძე ამილახვარი; ნადირა და პეტრე მჭედლის ძეები. სეა, ფონდი 1461, საქმე 128, გვ.31).

* * *

მცხეთისა და მისი შემოგარენის სიძველეთა შორის პოლიევქტოს კარბელაშვილი, ცხადია, გამორჩევით იყო დაინტერესებული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრით. სწავლული სასულიერო პირის საველე უბის წიგნაკში მასალები საკათედრო ტაძრისა და იქ დაცულ სიწმინდეთა შესახებ ფრაგმენტულად, რამდენიმე გვერდის სახითღა შემორჩენილი. შესაძლებელია, განისაზღვროს ამ ჩანაწერების შექმნის პერიოდი - 1899-1900 წლები - დრო, როდესაც იმჟამინდელ საზოგადოებაში წამოჭრილი იყო საკითხი სვეტიცხოვლის ტაძრის განახლების თაობაზე.

1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა არქიტექტორ კ. ტატიშჩევის შენიშვნა მცხეთის საკათედრო ტაძრის მიმდებარე მდგომარეობის შესახებ - „...გარეგანი მხარე ტაძრისა მთლად დამახინჯებულია. სჩანს ტაძარი შეუკეთებია კალატოზს, რომელსაც არა სცოდნია ძველი ქართული ხელოვნება, ზოგან კალატოზს ქართული თაღები რომაულ თაღებად შეუცვლია, მაგრამ ეს თაღები არც რომაულსა ჰგავს. ზოგან თაღები მთლად მოუშლია და მის მაგიერ გაუკეთებია სწორე კედელი. ბურული გაკეთებული ძველს ქართულს გემოვნებაზედ, იმდენად ცუდად ყოფილა მოვლილი, რომ ტაძარში ავდრის დროს წყალი ჩადის, რის გამოც ტაძრის გუმბათი დახეთქულა, კირი ჩამოცვივნულა და დიდრონი ქვები და აგურები საცაა ჩამოინგრევა; იატაკი ხომ იმდენად გაფუჭებულა, რომ ცუდად ქვით დაფენილს ქუჩას მოგვაგონებს. გუმბათი და თაღები ნესტიანია, ფანჯრები იმდენად გაფუჭებულა, რომ ტაძარში ფრინველები შეფრინდებიან ხოლმე. სამწუხარო სურათს წარმოადგენს ის გალესილი ნაწილები ტაძრისა, საიდანაც ცოტათღა მოსჩანს ძველი ხელოვნების მხატვრობა. ეზოში რამდენიმე დაქცეული სახლი სდგას, თვით ეზო სავსეა ნაგავით, მიუმატეთ ამას ვიღაც ბრიყვების მიერ ნაჩხაპნები, რომელიც მრავლად ატყვია კედლების გარეთა პირს და თქვენს თვალს წარმოუდგება სრული სამწუხარო სურათი ამ ძველის-ძველის ტაძრისა“ [მცხეთის ტაძარი, 1895:2].

XIX საუკუნის მანძილზე სარესტავრაციო სამუშაოები სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარზე რამდენჯერმე ჩატარდა. 1840-იან წლებში, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორის, რიპარდის ხელმძღვანელობით ტაძარი ქვის ლორფინით გადაიხურა; მოგვიანებით, 1860-1870-იან წლებში გადახურვა განახლდა [დოლიძე... 1990:259-260]; თუმცა, 1898 წლის 15 დეკემბერს, საკათედრო ტაძრის მღვდელი პლ. ხუროშვილი გაზეთ „ივერიას“ ატყობინებდა, რომ ძლიერი თოვლის გამო ნაგებობის სახურავი ჩამონგრეულა და შედეგად, ინტერიერში წყალი ჩაედინებოდა [ახალი ამბავი..., 1898:1].

ამ საკითხს საზოგადოებაც მაშინვე გამოეხმაურა. შედეგ მცხეთის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტი, ეგზარქოს ფლაბიანეს (გოროდეკი, 1898-1901 წწ.) თავმჯდომარეობით. ახრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ტაძრის გადახურვასთან დაკავშირებულმა საკითხმა [ახალი ამბავი..., 1899:2].

საბოლოოდ, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის გადახურვა ქვის ფილებით გადაწყდა. ამასთანავე, კომისიამ განიზრახა ტაძრის შესახებ ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომის მომზადება, რომლის განსახორციელებაც კომისიის წევრს, ყოვლადუსამღვდელოესის ლეონიდეს მიერ მოწვეულ სწავლულს, ანტონ ნატროშვილს დაევალა.

შედეგად, 1900 წელს გამოიცა ნაშრომი Мцхет и его собор Свѣти-Цховели. Историко-археологическое описание. წიგნის პირველი ნაწილი ეთმობა მცხეთასა და მის სიძველეებს, მეორე ნაწილში განხილულია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და მისი ისტორია.

ნაშრომს წამმღვარებულ წინასიტყვაობაში ავტორი მოიხსენებს იმ პირებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მის მომზადებაში. მათ შორის დასახელებულია მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი, რომელიც, წიგნის ავტორის მითითებით, მასთან ერთად არაერთხელ სწვევია საკათედრო ტაძარს ძველი წარწერების გადმოსაღებად“ [Натроев, 1900:3-4].

სვეტიცხოვლის ტაძრის განახლების საკითხს პოლიევქტოს კარბელაშვილი იმთავითვე აქტიურად გამოეხმაურა და მას მიუძღვნა საგანგებო წერილი, რომელშიც აღნიშნავდა - „რა დიდმნიშვნელოვანია მცხეთის სვეტი-ცხოვლის საკათალიკოზო ტაძარი ქართველთათვის, ამის შესახებ ბევრი ითქვა დღემდე. საიმოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქართველთა ეროვნულ თავისებურობის დედაბოძის განახლების საქმემ უიმისოთ ძილით დათენთილნი, მძიმენი, უთადარიგონი როგორღაც გამოგვაფხიზლა, თვალები მოგვაშენეტინა და სამოქმედოდ აგვიძგერა გული. აგერ შესდგა კომიტეტი და გააბა ღალადი დიდი საქრისტიანო ერისა შორის შემწეობისათვის: ჰმართავს ზედი-ზედ კრებას

ასაწონ-დასაწონად ყოველის წვრილმანის გარემოებისა, რათა განახლების საქმე უკეთ, საშვილიშვილოდ გამოსაყენებლად იქმნას მოწყობილი; აარსებს თვით სვეტიცხოვლის დღევანდელ ტაძრის მეცნიერულად შესწავლის საქმეს რაოდენადმე გასაადვილებლად განზრახულის განახლებისა; იწვევს ყოველ ქართველს მონაწილეობის მისაღებად ამ დიდ საქმეში, გააბა დიდი მიწერ-მოწერა შესაწევარის მოსაკრებად და სხ., ...“ [კარბელაშვილი, 1899:2-3].

პოლიევქტოს კარბელაშვილის საველე წიგნაკებში დაცული ფრაგმენტული ჩანაწერების მიხედვით, წარწერებთან ერთად მას ჩაუხატავს საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთი ფასადის რელიეფები. მის პირად არქივში დაცული ჩანაწერები სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ ფრაგმენტულია და სრულ სურათს არ იძლევა. ცხადია, არაერთხელ ნანახი ტაძარი მას საგულდაგულოდ უნდა დაეთვალიერებინა და აღწერა. მიუხედავად ამისა, სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილი, საგანგებოდ მომზადებული ნარკვევი დღეისთვის ცნობილ მისეულ მასალებში არ ჩანს.

უბის წიგნაკში დაცული ფრაგმენტული მასალებით პოლიევქტოს კარბელაშვილს აღუწერია:

აღმოსავლეთი ფასადის მხედრული წარწერა (მოხსენიებულია ნიკოლოზ მაღალაძე) - სეა. ფონდი 1461, საქმე 128, ფ.52r;

სამხრეთი ფასადის მხედრული წარწერა (მოხსენიებულია ნიკოლოზ იოთამის ძე ამილახვარი, 1685 წ.) - სეა. ფონდი 1461, საქმე 128, ფ. 29r;

ჩრდილოეთ ფასადზე, მთავარი სარკმლის ზემოთ არსებული ასომთავრული საადმშენებლო წარწერები - სეა. ფონდი 1461, საქმე 48, უბის წიგნაკი №1;

ჩრდილოეთი ფასადის რელიეფები - მაცხოვარი; ხელი და გონიო - სეა. ფონდი 1461, საქმე 48, უბის წიგნაკი №1;

ფრესკული წარწერა (მოხსენიებული არიან კათოლიკოსი ნიკოლოზი და მხატვარი გრიგოლ გულჯავარასშვილი) - სეა. ფონდი 1461, საქმე 128, ფ. 52r;

სიწმინდეები:

ვერცხლის შანდალი, წარწერით (მოხსენიებული არიან თეიმურაზი და ელენე) - სეა. ფონდი 1461, საქმე 128, ფ. 1v;

გარდამოხსნა, ასომთავრული წარწერით (მოხსენიებული არიან გივი იოთამის ძე ამილახვარი და მეუღლე მისი თამარ ბატონისშვილი) - სეა. ფონდი 1461, საქმე 128, გვ. 28r-v;

ამას გარდა, პოლიევეტოს კარბელაშვილის პირად არქივში არის მოკლე ნარკვევი სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ - სეა. ფონდი 1461, საქმე 143, ფ. 9r-v.

დეკანოზი პოლიევეტოს კარბელაშვილი

სვეტიცხოველი, მცხეთაში

დედამიწაზედ მცხოვრებ სხვა და სხვა მოდგმის ხალხს ყველას თავი მოაქვს საკუთარი შემოქმედებით (კულტურით). მათგან საქართველომ დიდი ხანია თავმოწონებით წარუდგინა კაცობრიობას გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ შოთასი, მაგრამ განა მარტო ვეფხის ტყაოსანია ქართველთათვის თავმოსაწონებელი? ქართველ ერს აქვს თავმოსაწონებელი ბევრი რამ: თავისებური სამშობლო ენა, ძველი-ახალი მწერლობა, თავის უებრო ანბანით, საერო-სასულიერო კილოები, ხუროთმოძღვრება და სხ.

დიდმნიშვნელოვანი წარსულის პატრონია საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა სვეტიცხოვლის ტაძრით. ათას ხუთასი წლის განმავლობაში ქართველ ერთან ერთათ გაიარა ტანჯვაში ბარბაროსთა მიერ და დღეს კიდევ ყელმოღერებით გვიყურებს და ბევრს რამეს გვაყვედრის სვეტიცხოველი...

1. მისს გარშემო ყველა ქართლის მცხოვრებლებმა იციან - სვეტიცხოველი ვახტანგ გორგასალმა ააშენაო. ქართლის ძველი მატიაწეებიც ამას მოგვითხრობენ.

2. თვით სვეტიცხოვლის ტაძარში, სვეტის მაღლა თაღზე დახატულია XI საუკ. ტაძრის საფუძვლის ჩაგდება, მეფე ვახტანგ გვირგვინით, ოდნავ წელში მოხრილი და ორი გაწვდილი ხელით დასავლეთისაკენ, კლდის ქვა უჭირავს აქ მდინარ მოსხმული და წელში მოხრილი კათალიკოზი მიქელ ჯვარსა სწერს მარჯვენა ხელით.¹

3. ვახტანგი დახატულია იერუსალიმში ჯვარის მონასტერში XI ს. პროხორეს მიერ განახლების დროს. ეს მხატვრობა გადმოიღო პლ. იოსელიანმა 1849 წ. იერუსალიმში ყოფნის დროს და დაბეჭდა 1852 წ. იონა მროველის მოგზაურობაში. ამ ორი გამოხატულების სახე ვახტანგის ერთი და იგივეა პირწმინდათ...

4. 1899 წ. სვეტის ცხოვლის ტაძრის ჩრდილოეთით ჰქონდა გაკეთებული ხარაჩო სიამოვნებით გავსწიე თბილისით, თუმცა მაშინედბნენ - არ გადმოვარდე, არა აიტეხო რაო.²

მცხეთის სვეტისცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზედ არის მხედრული წარწერა:

ქ. მეფობასა გიორგისასა ქ. ჩ[~]ნ ქართლის კათალიკოზმან ამილახორის იოთამის ძემან პატრონმან ნიკოლაოზ განგიახლე მეორედ კედელი ესე შენ ცათა მობაძავსა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა და სვეტსა ცხოველსა ცოდვათა ჩვენთა საოხად, რათა მცველ-მფარველ მექმნე დღესა მას განკითხვისასა. ქკს ტოგ (1685 წ.).

ჩრდილოეთით, ეს დაბლაა:

xli monisa

ar[~]sks Z[~]Á S[~]d[~]T

ჯვარის მარჯვნივ ყვითელ ქვაზედ გამოქანდაკებული მაცხოვარი

Ás †† ade m†l Á

ჩრდილოეთით, ეს მაღლაა

w:. nbiTa:. RisTa ganaxlda samire ese brZnbiTa qmrq melqizedegiTa S[~]e u mona Sni am[~]si gal[~]tzni oTxni a[~]n

სვეტისცხოვლის შანდალი ვერცხლისა, 1 გირვანქა წონით, წარწერით:

ქ. სძალი მეფისა ელენესი ვედრ-ვარ სვეტსა ცხოველსა, თვით თეიმურაზ მეფის ძე განეროს ვნებას ყოველსა³

მცხეთის სვეტისცხოვლის ოქრომკედით საუცხოვო ხელოვნებით ნაკერს გარდამოხსნაზედ აწერია ხუცური ასომთავრულით:

ქ. ზ მეუფეო ყოველთაო, რომელმან ჯვარი ივნე შენისა მრავლითა მოწყალებითა და ფრიადითა სიმდაბლითა ხორცი შეიმოსე, ვითარცა კაცმან და შენ ხარ ძე ღ[~]ისა მხოლოდშობილი მამისაგან და თანასწორი სულის წმიდითურთ, ვნებაჲ დაითმინე, ჯვარცმა და გარდამოხსნა ჯვარისა მიერ და შეიგრაგნე ვ[~]ა მკუდარი, და დაფლვა, რათა აღადგინო მკუდარნი საუკუნითგან უკუნისამდე. შეწევნითა ღ[~]ისათა კელვყავით და შევაკერინეთ წმ. ესე გარდამოხსნა ჩვენ იოთამ ამილახორის შვილმან გივმან და თანა მეცხედრემან ჩვენმან ქართველ კელმწიფის შაჰნაოზ მეფის ასულმან

ბატონისშვილმან თამარ ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და ძეთა ჩვენთა წარსამართებელად და აღსაზრდელად და შემოგწირეთ საყდარსა ყ~დ წმინდისა შენისა. ყ~დ წ~აო ლ~ის მშობელო, მცველ და მფარველ გვეყავ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა, ამინ.

[1] მხატვრობა მე ვნახე 1900 წ. (შენიშვნა - პ. კ.)

[2] ამ ადგილზე ტექსტი წყდება და გაგრძელება აღარ ჩანს.

[3] იხ. ნატროვისა „Мцхетъ...“, გვ. 429 (შენიშვნა - პ. კ.)

ილუსტრაცია - ჩრდილოეთ ფასადი, მთავარი სარკმლის ზემოთ არსებული ასომთავრული სააღმშენებლო წარწერები. ჩრდილოეთი ფასადის რელიეფები - მაცხოვარი; ხელი და გონიო. სეა, ფონდი 1461, საქმე 48, უბის წიგნაკი №1.

ლიტერატურა :

ჭალელი პ. [კარბელაშვილი პ.] ს. ჭალის ჯვარ-პატიოსანი და მისი დღეობა // დროება. №67. 1876

ახალი ამბავი [შემდეგს სამწუხარო ამბავს გვამცნობს...] // ივერია. 1898. №268.

ახალი ამბავი [საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ორდინარი...] // ივერია. 1899. №241.

დოლიძე ვ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. V. (გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები). თბილისი. 1990

კარბელაშვილი პ. საქართველოს ძველი ისტორიისათვის // დროება. №20. 1883

კარბელაშვილი პ. დიდი საქმე (ზ-ნ მონადირაშვილის კონცერტის შესახებ) // ივერია. №74. 1899

კარბელაშვილი პ. სვეტიცხოველი. საქართველოს ეროვნული არქივი ფონდი 1461. საქმეები №№ 48, 128, 143. 1899-1900

მცხეთის ტაძარი // ივერია. №152. 1895

Натроев А. Мцхета и его собор Свѣти-Цховели: Историко-археологическое описание. Тифлис. 1900

თეა შურღაია

შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა და აღმოსავლური კონტექსტი

შესავალი

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი ფაქტია, რომ ქართულ ლიტერატურას ქვაკუთხედად ქრისტიანული მსოფლმხედველობა დაედო, ქრისტიანობა იქცა მის მთავარ საყრდენად. მაშინაც კი, როცა აღმოსავლური კულტურული ექსპანსიის მსხვერპლი ხდებოდა, აღმოსავლურობის დაძლევის ტენდენცია [რ. სირაძე] ქართული ლიტერატურის განმსაზღვრელი ნიშანი იყო. ამდენად, რა საზომითა თუ მეთოდოლოგიითაც არ უნდა მივუდგეთ შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას, მისი ორი მარკერი - ქრისტიანული საფუძველი და აღმოსავლურობის დაძლევის ტენდენცია - უცვლელი რჩება.

გარკვეული თვალსაზრისით, ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი კუთვნილების საკითხი დღეს აქტუალურ პოლიტიკურ დილემასაც შეგვიძლია დავუკავშიროთ - საქართველო დასავლეთია თუ აღმოსავლეთი - და ჩვენი ევროპული ორიენტაციის ერთ-ერთ არგუმენტად განვიხილოთ. „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითიც იკმარებს იმის საჩვენებლად, თუ როგორ ორგანულად და ჰარმონიულად შეიძლება შენივთდეს დასავლური მსოფლმხედველობა აღმოსავლური ესთეტიკის ელემენტებთან და შედეგად იშვას ორიგინალური „სხვა“.

ჩვენი მეცნიერების მრავალმხრივმა და ღრმა კვლევებმა შექმნა მყარი ნიადაგი, რათა ქართული მწერლობის შესწავლის კონტექსტი კიდევ უფრო გაფართოვდეს და მიეცეს კროსკულტურული და ინტერკულტურული მიმართულება; განისაზღვროს მისი რეგიონული და გლობალური ღირებულება; თვალსაჩინო გახდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ქართული მონაცემები იმ კულტურულ-ცივილიზაციური არეალისთვის, რომელშიც ვითარდებოდა ჩვენი ერის მხატვრული შემოქმედება ან რომელთანაც მას სხვადასხვა ეპოქაში უხდებოდა შეხება; როგორც კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის მწერლობამ, რა „კულტურული ინფორმაცია“ შეითვისა, გადაამუშავა და შემოუნახა დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომელიც შეავსებს მათ ლიტერატურათა შესახებ დღეს არსებულ წარმოდგენებსა და ცნობებს.

I. შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის „კულტურული მეხსიერების“ მნიშვნელობა გლობალურ კონტექსტში

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის მიერ შემონახული „კულტურული მემკვიდრეობა“ თუ მისი „კულტურტრეგერული ფუნქცია“ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, როგორ იყო ჩაწეული კაცობრიობის მხატვრული შემოქმედების ქსოვილში ქართული „ორნამენტი“, სამი ძეგლის დასახელებაც იკმარებს - „ვისრამიანი“, „ბალავარიანი“ და „ქილილა და დამანა“.

იშვიათია ის დახმარება, რაც ქართულმა „ვისრამიანმა“ და მისმა ქართველმა მკვლევრებმა გაუწიეს ფახრ ედ-დინ გორგანის (მე-11 ს.) სამიჯნურო ეპოსს „ვის ო რამინს“. ქართული ხელნაწერების მონაცემების დახმარებით, ირანისტებმა მ. თოდუამ და ა. გვახარიამ დაადგინეს და 1970 წელს თეირანში გამოსცეს ორიგინალის აკადემიური ტექსტი. ირანელი მკვლევარი, მ. როუშანი, რომელსაც ეკუთვნის „ვის ო რამინის“ უკანასკნელი კრიტიკული გამოცემა, წინასიტყვაობაში [Roushan, 2007: 7-18] აღიარებს ქართული თარგმანის დიდ და, ზოგჯერ, გადამწყვეტ მნიშვნელობას ორიგინალის ტექსტის დასადგენად; აღნიშნავს ქართველი მკვლევრების მიერ სპარსულ ტექსტში შეტანილ საგულისხმო შესწორებებს, რომელთაც დიდად ემადლიერება. თუკი გავიხსენებთ მოსაზრებებს გორგანის პოემასა და „ტრისტან და იზოლდას“ შორის არსებულ პარალელებზე, დასავლეთ-აღმოსავლეთის ლიტერატურული კონტაქტების ჭრილში ქართული „ვისრამიანის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ორი ქართული რედაქციის - ვრცელი („ცხორებაი იოდასაფისა“, მე-9-10 სს.) და მოკლე („სიბრძნე ბალაჰვარისა“, მე-11 ს.) სახით შემონახულმა „ბალავარიანმა“ დიდი როლი შეასრულა სიუჟეტის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გავრცელების საქმეში.¹

მესამეს - „ქილილა და დამანას“ - აღმოსავლეთში „ხეტიალის“ საკმაოდ შთამბეჭდავი და ხანგრძლივი ისტორია აქვს: დაიბადა ინდოეთში („პანჩატანტრა“). სანსკრიტიდან ითარგმნა საშუალო სპარსულზე, იქიდან - არაბულზე; არაბულიდან - ახალ სპარსულზე. ქართული „ქილილა და დამანა“ გვიანდელი სპარსული ვერსიიდან (ჰოსეინ იბნ ალი ქაშეფი, გ. 1504) იქნა გადმოღებული.

ეს სამი მაგალითი საკმარისია, რათა ცხადად დავინახოთ ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი როლი აღმოსავლური ლიტერატურის მიგრაციულ პროცესებსა და მათ ტექსტოლოგიურ შესწავლაში.² ამდენად, ამ ლიტერატურის სერიოზული კვლევა ორივე - აღმოსავლური და დასავლური - კონტექსტის გათვალისწინებასა და მეცნიერ-ორიენტალისტების აქტიურ ჩართულობას საჭიროებს.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციაზე საუბრისას რ. სირაძე შენიშნავს, რომ ამ პრობლემისთვის „გასათვალისწინებელია ე.წ. აღმოსავლურ-ქრისტიანული (აღმოსავლურ-ევროპული) კულტურულ-ისტორიული რეგიონის რაობა“ [სირაძე, 2021:7]. დავამატებდი, რომ შუა საუკუნეების ქართული მწერლობის ადეკვატური ანალიზისთვის აღმოსავლური კონტექსტის, ჩვენთვის ისტორიულად ნაცნობი აღმოსავლეთის რაობის ცოდნაც ასევე აუცილებელია. ეს მტკიცება განსაკუთრებით რელევანტურია ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებისთვის, მით უფრო, როცა საქმე საერო მწერლობას ეხება.

II. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები

ცნობილია, რომ, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკურ-რელიგიური მტრობისა, მეზობელ დამპყრობლებთან ლიტერატურული ურთიერთობის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია საქართველოს სპარსეთთან ჰქონდა. სხვადასხვა პერიოდში სპარსული იყო ის უცხო ენა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფლობდა, განათლებული ქართველები დედანში კითხულობდნენ (ან ორიგინალიდან თარგმნიდნენ) კლასიკური სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. ამიტომ სპარსულთან შესაძლო პარალელებისა თუ კონტაქტის ანალიზისას ლიტერატურის კრიტიკოსს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს რამდენიმე ფაქტი:

1. ირანულმა ენებმა, რომელთაგან ერთ-ერთი სპარსულია, განვითარების დიდი გზა განვლო და საფუძვლიანად იცვალა სახე. ძველი ირანული ენების ეპოქა - ძვ. წ. VI-III სს. მოიცავდა, საშუალო ირანული ენებისა - ძვ.წ. IV-დან ახ. წ. IX-მდე, ხოლო ახალი ირანული ენების ეპოქა X საუკუნიდან დაიწყო. ქართულ ირანისტიკაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება იყო და არის ირანულ ენებთან ქართველური ენების კონტაქტების შესწავლა. უკვე გარკვეულია, რომ ამ ორ ოჯახს შორის ურთიერთობა ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ. მ. ანდრონიკაშვილს შენიშნული აქვს, რომ კონტაქტები ირანული ენების განვითარების ყველა ეტაპზეა საგულვეტელი [ანდრონიკაშვილი, 1966:11]. რა თქმა უნდა, ეს ლინგვისტური მასალა დიდ სამსახურს უწევს ქართულ თხზულებებზე მომუშავე ტექსტოლოგს.

თუ ამ ქრონოლოგიას თვალს გავადევნებთ, დავინახავთ, რომ სხვა იყო ვარსკენის თანმხლები „მზაკვარი სპარსის“ მშობლიური ენა, ხოლო ის ტექსტი, რომელსაც „ვისრამიანის“ მთარგმნელი ან რუსთაველი დედანში კითხულობდნენ, სხვა სპარსულით დაიწერა.

2. საკითხის სირთულე ამით არ ამოიწურება. ფენომენი, რომელსაც ჩვენ „სპარსული მწერლობის“ სახელით მოვიხსენიებთ, თავად არის სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული პლასტების შემცველი და სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურასა თუ ფოლკლორთან წილნაყარი. გავიხსენებ ირანელი მწერლისა და ინტელექტუალის, მოჰამადალი ესლამი ნოდუმანის სიტყვებს:

„ირანი და საბერძნეთი ის ორი სახელმწიფო იყო, რომელთაც პირველად გააცნეს და ერთმანეთს დააკავშირეს აღმოსავლეთი და დასავლეთი [...] ეს ორი იმ დროის ორ ძირითად ცივილიზაციად მიიჩნეოდა [...]. ამის შემდეგაც, პართელებისა და სასანელების დროს, ირანი ბერძნული ცივილიზაციის მემკვიდრის - რომის იმპერიის - მეზობელი, მეგობარი და მეტოქე გახდა. ამ ორს ჰქონდა განაწილებული იმ დროისთვის ცნობილი მსოფლიო“ [ესლამი ნოდუმანი, 2004: 92-93].

ზემოხსენებულ ორ ძველ ცივილიზაციას შორის ლიტერატურული გაცვლის პროცესი არაერთ მკვლევარს უქცევია განხილვის საგნად.³ ამჯერად ი. კალადის ერთ-ერთ დასკვნას დავიმოწმებ: *„უნსურის პოემის წყაროს დაზუსტებამ... დაასაბუთა ასეთი [ირანისა და ბერძნული სამყაროს კულტურული] კონტაქტების არსებობა არა მხოლოდ მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში [...], არამედ აგრეთვე ლიტერატურის სფეროშიც“* [კალადე, 2011:58]. მაშასადამე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევისას, შესაძლოა, ირანის ანტიკურ სამყაროსთან კავშირის კვალის ამოცნობაც საჭირო გახდეს. ცხადია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ამ ორივე სამყაროსთან ინდივიდუალური კონტაქტიც ჰქონდა.

3. ინდო-ირანულ, მით უფრო, საშუალო ირანული ენობრივი ეპოქის ლიტერატურათა საერთო ფესვები, მათი შემდგომი კავშირები არაბულ ლიტერატურასთან, ის ფაქტორებია, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპარსული მწერლობის ან მისი გავლენის (უშუალო თუ შუალობითის) ანალიზისას. ასევე, ძველი ირანული რელიგიების (ზოროასტრიზმი, მითრაიზმი) ცოდნა ჩვენს ჰერმენევტიკულ თვალსაწიერს საგრძნობლად გაზრდის.⁴ აქვე გავიხსენებ, რომ ჩვენამდე მოღწეული საშუალო სპარსული ძეგლების რაოდენობა მწირია. ზოგიერთი მათგანი არაბულმა, ხშირად ირანელის მიერ შესრულებულმა, თარგმანმა გადაარჩინა დავიწყებას.

4. აღარაფერს ვამბობ ისლამური პერიოდის კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაზე (ამ ეპოქაში პოეზია ჭარბობს), რომელიც არაბული არუდის სისტემის მარწუხებში ექცევა და თემების, ჟანრების და ა.შ. თავსმოხვეულ კანონებს ემორჩილება. ბუნებრივია, ამ პერიოდის ფაქტობრივი მასალაც მრავალ დანაშრევს შეიცავს. ნიშანდობლივია მ. ესლამი ნოდუმანის შეფასება: *„...ირანი ორკულტუროვანი*

ქვეყანა გახდა. ვგულისხმობ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ფესვები ძველი კულტურისა, რომლის ნაშთებიც ისლამურ მოძღვრებასთან თანაარსებობს“ [ესლამი ნოდუშანი, 2004:10-11].

რაკი აღმოსავლური საერო ლიტერატურა უმეტესად ირანის გზით ანუ სპარსული „სახით“ შემოდიოდა საქართველოში, ბუნებრივია, ქართველის აღქმაში ეს მრავალშრიანი მწერლობა პირდაპირ სპარსულთან ასოცირდებოდა. ფაქტობრივად, „აღმოსავლური კონტექსტი“, უპირველესად, სპარსულ კონტექსტს გულისხმობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საერო მწერლობის ჩვენამდე მოღწეული ადრეული ძეგლები იმთავითვე „სპარსულობაში ექვმიტანილი“ იყო და პირიქით. ქართველ მკვლევრებს იმის მტკიცება უხდებოდათ, რომ ჩვენი შუა საუკუნეების ლიტერატურის ესა თუ ის გამორჩეული ძეგლი (მათ შორის, „ვეფხისტყაოსანი“) არ არის სპარსულიდან გადმოქართულებული. ამის საპირისპიროდ, ფახრ ედ-დინ გორგანის „ვის ო რამინის“ ქართული „ტყუპისცალი“ მეცხრამეტე საუკუნემდე ორიგინალურ ძეგლად მიიჩნეოდა.

ამ ფაქტორმა, რასაკვირველია, განაპირობა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევით დაინტერესებული ჩვენი მეცნიერების დამოკიდებულება. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ორი ხაზი გამოიკვეთა: ქართველოლოგები, ძირითადად, ცდილობდნენ, ამა თუ იმ ძეგლის სპარსული წარმომავლობის არგუმენტების გაქარწყლებას (ზოგჯერ გააფთრებითაც კი), ირანისტების თვალს კი შეუმჩნეველი არ რჩებოდა ნებისმიერი მსგავსება თუ ალუზია სპარსულ (ზოგადად, აღმოსავლურ) მწერლობასთან. ამიტომ მათი დასკვნები ხშირად ურთიერთგამომრიცხავია. ალბათ, ეს არც არის გასაკვირი, მაშინ, როცა ასე გადაიხლართა აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთთან ჯერ კიდევ ელინური ხანიდან მოყოლებული, შუა საუკუნეების ჩათვლით. „არ არსებობდა ჩინური კედელი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურას, კერძოდ, მწერლობას შორის. არსებობს მხოლოდ ურთიერთობის სხვადასხვა ფორმათა მრავალფეროვნება“ [გვახარია, 2019:17].

დღეს ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ანუ უფრო ვრცელი თვალსაწიერით, უნდა შევხედოთ ქართულ-სპარსულ (და, ზოგადად, აღმოსავლურ) ლიტერატურულ პარალელებს, რათა გამოირიცხოს კრიტიკოსთა მიკერძოებულობა და/ან მათი პოზიციების მკვეთრი განსხვავება. ქართული მწერლობა დასავლურს ან აღმოსავლურს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ, ხშირად ამ ლიტერატურათა ჯანსაღი გამზიარებელი და გადამამუშავებელი იყო.

5. ცალკე, სულ სხვა ტიპის მსჯელობას მოითხოვს აღმოსავლური ზღაპრებისა და არაკების მნიშვნელობა ჩვენი საერო მწერლობისთვის. დასავლეთში „არაბული ღამეების“ სახელწოდებით

ცნობილი „ათას ერთი ღამე“, ერთი ჩარჩოთი გაერთიანებული ზღაპრებით, სარაინდო თუ სამიჯნურო რომანებით, ხალხური ნოველებით და მისთ., მისი გენეზისის შესახებ უკვე საუკუნეების წინ გამოთქმული მოსაზრებებით (ვგულისხმობ მასში სპარსული, ინდური, ბერძნული წყაროების მითითებას თავად არაბი ავტორების მიერ [წერეთელი, 1969: 3-14]) ამ დებულების ერთ-ერთ საბუთად გამოდგება. აქვე გავიხსენებ ორიენტალისტიკაში არაერთგზის გამოთქმულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ კავკასიაში ირანული მითები და ზეპირგადმოცემები ძველი დროიდანვე ვრცელდებოდა. ერთ-ერთი ასეთია ლეგენდა მთაზე მიჯაჭვულ ბევრასბ აჟიდაჰაკის შესახებ. ეს გადმოცემები გვხვდება როგორც სომხურ წყაროებში, ასევე ლეონტი მროველთან, რომელიც ამ ინფორმაციის „წყაროსაც“ უთითებს: „ესევეთარ წერილ არს ცხოვრებათა სპარსთასა“.⁵

ამასთან დაკავშირებით, გავიზიარებ ზ. კიკნაძის სინანულს, გამოთქმულს „ამირანიანის“ თაობაზე მსჯელობისას:

„დასანანია, რომ საქართველოში, უძველესი დამწერლობის ქვეყანაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე არ უცდიათ ხალხური ეპოსების ჩაწერა. ჩვენს წერილობით ძეგლებში მათი არსებობის მხოლოდ ფრაგმენტული კვალი შეიძლება დავადასტუროთ. იმ ხანამდე, როცა მათი ჩაწერის ინტერესი გაჩნდა, ქართული ხალხური ეპოსი არასრულყოფილი, ფრაგმენტული, შეიძლება ითქვას, დეგრადირებული სახით იყო მოღწეული. რა სახე ჰქონდა მას კლასიკურ, ეპიკური შემოქმედების აპოგეაში, ჩვენთვის სამუდამოდ უცნობი რჩება“ [კიკნაძე, 2023: 5].

ბედის ირონიით, ბერნარდე ნეაპოლელის მიერ მე-17 საუკუნეში ჩაწერილი „ქართული ზღაპრები“ ისევ სპარსულ ლიტერატურასა და ფოლკლორთან არის წილნაყარი.⁶ კრებული ერთ-ერთ მკვლევარს, ლ. კოტაშვილს, ამ ზღაპრების უმეტესობაში დაცული აღმოსავლური რეალიების სიჭარბე აფიქრებინებს, რომ ეს ტექსტები ლიტერატურული წარმომავლობის უნდა იყოს, ზოგი მათგანი კი თარგმნილადაც შეიძლება ჩაითვალოს [კოტაშვილი, 1980: 8].

ეს ვითარება თვალნათლივ წარმოაჩენს სპარსული ხალხური პროზის მნიშვნელობას ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის და, ზოგადად, ქართული საერო მწერლობის რეგიონალური და გლობალური კონტექსტისთვის. ამ საკითხს ეძღვნება ა. გვახარიას ორი მონოგრაფია⁷. ავტორის მიერ დასმული ზოგიერთი საკითხის კვლევა დღესაც საჭირობოტო და პერსპექტიულია.

III. დასთანები და ქართული საერო მწერლობა.

Dāstān //dastān სპარსული სიტყვაა, რომელიც, ზოგადად, „ამბავს“ ნიშნავს. ასე ეწოდება, მაგალითად, „მაჰნამეს“ ცალკეულ ეპიზოდებს. ფახრ ედ-დინ გორგანიც „ვის ო რამინის“ ამბავს დასთანად მოიხსენიებს. ხალხური დასთან გულისხმობს საზღაპრო პროზას, ხალხურ რომანს, ნოველათა კრებულებს. უპირატესად ანონიმურია, ზოგჯერ მიეწერება კონკრეტულ პიროვნებას [გვახარია, 1968].

სპარსული ხალხური დასთანების განვითარებაში პირობითად ორ პერიოდს გამოჰყოფენ: 1. მე-11-13 საუკუნეები და 2. მე-16-18 საუკუნეები. საგულისხმოა, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში (მე-12-13 სს.) დასავლურ ლიტერატურაშიც ჩნდება ხალხური რომანი საგმირო, სამიჯნურო და ზღაპრული ელემენტებით, ხოლო მე-16 საუკუნიდან პოპულარული ხდება პროზაული ძეგლების ხალხური გადამუშავება. ფაქტობრივად, დასავლეთსა და აღმოსავლეთში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს შორის ტიპოლოგიურად მსგავსი ვითარებაა.

ხალხური დასთანები ჟანრული მრავალფეროვნებითა და გავრცელების შთამბეჭქდავი არეალით გამოირჩევა. ინდოეთშიც, ქვეყანაში, რომელიც ადრე თავად წარმოადგენდა საერთაშორისოდ გავრცელებული სიუჟეტების წყაროს, დასთანების უმეტესობა ირანიდან შევიდა [Борщевский, 1963]. უ. მარცოლფისთვის სპარსული ხალხური რომანი ბერძნული, სპარსულ-ინდური და არაბული თხრობის ტრადიციებიდან მომდინარე ელემენტების სპეციფიკური ამაღამაა. „...შესაძლოა, ბერძნულ წვლილს რომანი და ფანტაზია შეადგენდა, მაშინ, როცა სპარსული ტრადიცია ტრაგიკულს გამოკვეთდა, ხოლო არაბული ტრადიცია - სარაინდო ელემენტს (თუმცა რაინდობა ისლამამდელო სპარსული იდეალის - ჯავანმარდობის - მნიშვნელოვან გავრძელებას წარმოადგენდა)“ [Marzolph, 1999: 281].

ჯ.რუბანოვიჩი თვლის, რომ თემატურად და სტრუქტურულად დასთანები ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების ციკლებს ეფუძნება, რომლებიც იმავე სახელის გმირების ირგვლივ იყრიდა თავს, მრავალრიცხოვანი თხრობის პროცესში ზეპირად გადაეცემოდა. გარკვეულ მომენტში ეს ყველაფერი ერთ ციკლად ერთიან ჩარჩოში გაერთიანდა [Rubanovich, 2022: 838].

ხალხური დასთანების აღიარებული მკვლევარი უილიამ ჰანავი მათ popular romance-ს ანუ ხალხურ რომანებს უწოდებდა, რომელიც პროფესიონალმა მთქმელებმა (მთხრობელებმა) შექმნეს, დაამუშავეს და გაავრცელეს. მართლაც, ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა მოწმობს, რომ ხალხური დასთანები მჭიდროდაა დაკავშირებული მათი შესრულების ფორმასთან - ზეპირ თხრობასთან. ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდები.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული დასთანების წარმომავლობის თაობაზე - დაღმავალი გზით წარმოიქმნა ისინი თუ აღმავალით ანუ მხატვრული ლიტერატურიდან გადავიდა ხალხურში თუ პირიქით. ა. გვხარიასთვის ორივე გზა დასაშვებია. იგი თვლის, რომ დასთანები ლიტერატურასა და ფოლკლორს შორის შუალედურ პოზიციას იკავებენ, უფრო ხშირად კი „ფეხი წერილობითი ჟანრისკენ წაუცდებათ“. მეცნიერის აზრით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასკვნის გამოტანისას დიდი სიფრთხილე გვმართებს და არც ტიპოლოგიური დამთხვევები უნდა გამოვრიცხოთ.

როგორც ჩვენი მწერლობის განვითარების ისტორია ცხადყოფს, სპარსული ხალხური რომანი ანუ ხალხური დასთან - ერთგვარი ხიდი საერო ლიტერატურასა და ფოლკლორს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის - ქართველთა გემოვნებას კარგად მოერგო. ქართველების დასთანებით დაინტერესებას, ჩანს, საგმირო-პატრიოტული სულისკვეთების ნაწარმოებების მიმართ მათი მოთხოვნილება განაპირობებდა. „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები მე-15-18 საუკუნეებშია შემუშავებული. ამ ძეგლის პოპულარობამ საქართველოში კიდევ უფრო ნოყიერი ნიადაგი შექმნა სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიების შემუშავება-გავრცელებაში. ამაზე მიუთითებს პატრი ბერნარდე ნეაპოლელის წუხილიც, რომელიც შენიშნავდა, რომ გონიერი და კაცთმოყვარე ქართველები „სულიერ საგნებში უსწავლელები“ არიან, სწავლა-დარიგება არ უყვართ, „არამედ მიზიდულნი არიან ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედ“ [თამარაშვილი, 1902: 682-683]. კაპუცინელი ბერი სწორედ დასთანის ტიპის თხზულებებს ჩამოთვლის, რომლებიც „შაჰნამესა“ და მისი მიბადვების ქართულ ვერსიებს უკავშირდება. ასეთი გემოვნება მდგრადი აღმოჩნდა და მოგვიანებით ამ ტიპის ორიგინალურ (თუ ასეთად მიჩნეულ) თხზულებებსაც ვხვდებით, მაგალითად, „რუსუდანთანს“⁸, რომელშიც აშკარაა „სპარსული ამბის“ კვალი. ეს თხზულებაც ჩარჩოშია მოქცეული და შიგ ჩართულია 12 სხვადასხვა ამბავი.

ითვლება, რომ აღმოსავლურ ხალხურ დასთანებს შორის უძველესია ამბავი ჰამზას შესახებ. ს. ბლეჟბერნის შეფასებით, ინდო-ირანული კულტურისთვის უმნიშვნელოვანესი ეს თხზულება ისლამამდელი და ისლამური თემებისა და სპარსული ზღაპრების ლიტერატურული სინთეზია; ეს ამბები იმდენად მრავალფეროვანია, რომ გაცილებით ადვილია, დაასახელო, თუ რა არ ჩაუდენია ამირ ჰამზას, ვიდრე ჩამოთვალო, რა ჩაიდინა. ეს დასთან შუა საუკუნეების ქართული ძეგლისთვისაც აქტუალური აღმოჩნდა.

„ჰამზანამეს“ ყველა დასთანზე უფრო მარტივი სტრუქტურა აქვს და, ამასთან, „შაჰნამეს“ უდიდეს და პირდაპირ გავლენას განიცდის [Hanaway]. ეს გავლენა ადრევე შეამჩნია დ. კობიძემ, რომელმაც „ამირანდარეჯანიანი“ შეუდარა „შაჰნამესა“ და მის მიბაძვა-გაგრძელებების ტექსტებს.⁹ აღსანიშნავია, რომ საენციკლოპედიო სტატიაში, რომელიც ეძღვნება „ჰამზანამეს“ (იგივე „ყესიეე ჰამზე“, „რომზე ჰამზე“, „დასთანე ამირ ჰამზე“, მისი ლექსითი ვერსია *Šāḥeb-Qerān-nāma*), ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, რომელშიც ავტორი ამ დასთანის სხვაენოვან ვერსიებზე საუბრობს, აღნიშნავს: „*ქართული ვერსიის ინგლისური თარგმანისთვის იხ.: Mose Khoneli, Amir Darejian, tr. R. G. Stevenson, Oxford, 1958*“ [Hanaway, 2003]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასთანების ცნობილი ექსპერტი „ამირანდარეჯანიანს“ ამ პოპულარული ხალხური რომანის ქართულ ვერსიად მიიჩნევს. *Encyclopædia Iranica* ავტორიტეტული გამოცემა, მას მისათითებლად, სავარაუდოდ, ბევრი ავტორი გამოიყენებს. ჰამზას ამბის გავრცელების თაობაზე საუბრისას, ფ.პრიტჩეტი აღნიშნავს, რომ ის მალევე ითარგმნა არაბულ ენაზე, არსებობს მე-12 საუკუნის ქართული¹⁰ და მე-15 საუკუნის თურქული ოცდაოთხწიგნიანი ვერსია¹¹. ასახელებს მე-16 საუკუნის მალაიურ, იავურ და სხვ. ვერსიებს [Pritchett, 1991]. ამ ინფორმაციას თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ნ.ს.ჩანი [Chann, 2009: 96].

მაშასადამე, მიუხედავად ქართველი მეცნიერების უცხოელ მკვლევრებთან გამართული პოლემიკისა,¹² „ამირანდარეჯანიანის“ „ჰამზანამედან“ მომდინარეობის თაობაზე მოსაზრება უცხოელ ავტორებთან ჯერჯერობით არ გადასინჯულა. ეს კი ქართველი მკვლევრებისგან მეტ აქტიურობას, ამ ძეგლის თაობაზე საერთაშორისო მასშტაბით ინფორმაციის გავრცელებას მოითხოვს, რათა ხსენებულ აღმოსავლურ დასთანსა და „ამირანდარეჯანიანს“ შორის ტოლობის ნიშანი არ დაისვას.

თუმცა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ „ამირანდარეჯანიანის“ რაობა, მისი ადგილი შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში. ამისთვის აღმოსავლური ხალხური პროზის კარგი ცოდნა, აღმოსავლური კონტექსტის გაანალიზება აუცილებელია. რ. სირამისთვის „ამირანდარეჯანიანი“ სარაინდო რომანია, რომელშიც „*მძლავრად ვლინდება სპარსული სახისმეტყველება. არის ქრისტიანული ნაკადიც, მითოსიც, მაგრამ ყველაფერი „ემორჩილება“ ერთიან მხატვრობას, სარაინდო ესთეტიკას*“ [სირამე, 2021: 26].

გასათვალისწინებელია მ. თოდუას თვალსაზრისი: „*შემორჩენილი „ამირანდარეჯანიანის“ საეჭვო შედგენილობა, სტილი და ლექსიკა შეიძლება იმაზე უთითებდეს, რომ იგი ძველი, მე-11-12 საუკუნეებში უკვე არსებული (შეიძლება ლექსითი) ვერსიის გადმოკეთებაა. ჩვენთვის ცნობილი ვერსია უფრო გვიანდელი ჩანს, რომელსაც ბევრი აღმოსავლური დასთან, მათ შორის, „ყისაიათე*

ჰამზას“ ამბები გარეგანად“ [თოდუა, 1975:150]. მ. თოდუამ ისიც გაარკვია, რომ ბერნარდე ნეაპოლელის კოლეჯიაში, ზღაპრებთან ერთად აღმოჩენილი „ამირანდარეჯანიანის“ 17 ტაეპი ემთხვევა გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ ცნობილ ტექსტს და ნაწილობრივ ავსებს მანამდე არსებულ ხარვეზს (965 და 966 სტროფებს შორის).

საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საყურადღებოა ერთი ცნობა, რომელიც ეხება „ჰამზანამეს“ გავრცელებას დიდ მოგოლთა იმპერიაში. დიდი იმპერატორის, აქბარის (მეფობდა 1556-1605 წწ.) კარის მემატთანე გვიამბობს, რომ ჰამზას თავგადასავალი თორმეტი წიგნი (კარი) იყო (ხაზგასმა ჩემია - თ.შ.), ხოლო ბრძენმა მხატვრებმა ამ ამბების, სულ ცოტა, ათას ოთხასი განსაცვიფრებელი ილუსტრაცია შექმნეს.¹³

ბუნებრივად გვახსენდება სავარსამიძის სიტყვები „ამირანდარეჯანიანიდან“, რომლისთვისაც არაერთ მკვლევარს მიუქცევია ყურადღება: „და მოახსენა: „ათორმეტნი კარნი არიან პატრონისა ჩემისანი და სხუათა მრავალთა ჭაბუკთანი, და ამას წელიწადსა ერთსა გასრულდეს ნუთუ ვითა, ამად რომელ მე უბნობა აღარ შემიძლია“ [მოსე ხონელი, 1967, 29:1-4]. არ არის გამორიცხული, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი თუ შემდგენელი იცნობდა „ჰამზანამეს“ ერთ-ერთ ადაპტაციას, რომელიც ახლოს იდგა ინდოეთში გავრცელებულ ვერსიასა თუ რედაქციასთან. მე-15 საუკუნის თურქული 24-კარიანი ტექსტის მიმართება სპარსულ-ინდურ „ჰამზანამესთან“, ასევე, ინფორმაციული იქნება.¹⁴

კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას მინაწერზე, რომელიც ბერნარდე ნეაპოლელის ნუსხას აქვს: მინაწერის თანახმად, ეს ქართული პოემა-ზღაპარი დიდტანიან სპარსულ რვეულში (ხაზგასმა ჩემია - თ.შ.) იყო ძალიან ლამაზი ხელით ჩაწერილი. რა თქმა უნდა, გამორიცხულია, კაპუცინელ მისიონერს იმპერატორ აქბარის ნუსხის მსგავსი ძვირფასი რამ ჰქონოდა ხელთ, მაგრამ შესაძლოა, ეს დიდტანიანი რვეული აღმოსავლეთში ასე პოპულარული „ჰამზანამეს“ ტიპის (ან თავად ამ დასთანის) ამბების კრებული ყოფილიყო, რომელსაც ხალხური მთხრობელი (ნაყალი, ყისახანი და მისთ.) იყენებდა. ასეა თუ ისე, სპარსულ რვეულში ქართული „ამირანდარეჯანიანის“ ფრაგმენტის აღმოჩენას რაღაც მიზეზი უთუოდ ექნებოდა. ვარაუდების გამოთქმა კიდევ შეიძლება.

თუკი გავიხსენებთ, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის უმეტესი ნაწილი თხრობაა, რომელსაც მსმენელი ჰყავს („ისმენდი, მეფეთ-მეფეო!“), ეს ძეგლი ამ ნიშნითაც ენათესავება ხალხურ დასთანს. თუმცა, ამ ნათესაობის უფრო მნიშვნელოვან არგუმენტად გამოდგება დასთანების ჟანრის

თხზულებების ტოპიკის, სიუჟეტიკისა და რიტორიკის ძლიერი მსგავსება: „დასთანებში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით უძეო მეფეს, ლოცვა-გაცემის შედეგად შეძენილ უფლისწულს, ნადირობის დროს უცნაური ქურციკის გამოჩენას, ლამაზი ასულის სურათს, ვაჭრად გადაცმას, დევებისა და ფერიების შემწეობას თუ მეტოქეობას, მტრის „კიტრივით ორად გაპობას“, გურზისა და შუბის მარჯვედ ქნევას, ჯადოსნურ რაშს, გემთა მსხვრევას და ა.შ.“ [გვახარია, 1973: 90].

რაც ზემოთ ხალხური დასთანების შესახებ ითქვა, საყურადღებოა იმ ქართული ძეგლების კვლევისას, რომელთანაც პარალელები იკვეთება. ამდენად, გასათვალისწინებელია სპარსული მწერლობის ერთი თავისებურება, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე: „[სპარსული] კლასიკური ლიტერატურა არ იკითხებოდა მხოლოდ - ალბათ, არც უპირატესად - ინდივიდუალურად. კლასიკის ხმამაღლა კითხვა, ტექსტის დამახსოვრება, ციტირება, ხელახლა თხრობა და სხვადასხვა გზით ზეპირად შესრულება [...] მიღებული პრაქტიკა იყო“ [Marzolph, 2010:xliv].

აღმოსავლელი მთხრობელების („ნაყალ“, „რავიანე ახბარ“, „შაჰნამეხან“, „ყესეხან“ / „ყისახან“ და მისთ.) ინსტუტუტი ვრცელ მსჯელობას საჭიროებს.¹⁵ უ. მარცოლფის ციტირებულ მოსაზრებას კი ის ფაქტიც ამყარებს, რომ, აღმოსავლური, მათ შორის, სპარსული ტრადიცია, მთხრობელზე მითითებას მოითხოვს („ასე გადმოგვცემენ ამბების მთხრობელები / ნაყალები“ და მისთ.). ეს კი არა მარტო ხალხურ დასთანებში, არამედ კლასიკურ ლიტერატურაშიც მიღებული ხერხი იყო. ერთ მაგალითს დავჯერდები. „ვისრამიანის“ სპარსულ ორიგინალში გამიჯნურებული წყვილის ამბის თხრობა ასე იწყება:

Neveshteh yāftam andar samarhā

Ze goft-e raviān andar khabarhā

[Gorgānī, 1970: 31-1; Roushan, 2007: 41-1].

ვპოვე ნაწერი გადმოცემათა შორის,

*მთხრობელთა ნათქვამ თქმულებათა შორის.*¹⁶

ეს ბეითი (მრჩობლელი) ქართულ „ვისრამიანში“ არ არის. მთარგმნელმა ის ზედმეტად მიიჩნია, ისევე, როგორც სპარსული ტექსტის პირველი რამდენიმე თავი ანუ ტრადიციული აღმოსავლური დასაწყისი.¹⁷ ფახრ ედ-დინ გორგანის ამ ბეითში ორმაგი „მტკიცებულება“ მოაქვს თავისი ამბისთვის:

1. ეს არის „ნაწერი“ ანუ მაღალი სანდოობის საბუთი და 2. „მთხრობელთა ნათქვამი“ ანუ მათ მიერ

ჩვენამდე მოტანილი მამა-პაპათა გადმოცემა. ქართველმა მთარგმნელმა ეს აღმოსავლური ტრადიცია არ გამოიყენა.

ამბების თხრობისა და მთხრობლების აღმოსავლურმა ტრადიციამ, შესაძლოა, კიდევ არაერთი კითხვის პასუხი მოგვცეს, მათ შორის, დაგვეხმაროს ამა თუ იმ ქართული ძეგლის ჟანრული თავისებურებების დადგენის თუ მისი დათარიღების საქმეში.

„ვის ო რამინის“ მაგალითი კი იმის საბუთადაც გამოდგება, თუ როგორ „ცხრილავს“ ქართველი „ავტორ-მთარგმნელი“ (ნ.მარის ტერმინია) ორიგინალის ტექსტს და ქართული საზოგადოებისთვის მისაღებ ყალიბში აქცევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში კვლავ გამძაფრდა ინტერესი გორგანის „ვის ო რამინის“ მიმართ, რაც ქართულ „ვისრამიანს“ კიდევ ერთხელ მოაქცევს უცხოელი მკვლევრების ინტერესის არეში. ამ კონტექსტში აღსანიშნავია კამერონ კროსის ბოლოდროინდელი ნაშრომები, რომლებიც გორგანის პოემის მრავალმხრივ, მათ შორის, ჟანრის თეორიის თვალთახედვით შესწავლას, მისი მომდევნო ცხოვრების (nachleben) თვალის გადევნებას გულისხმობს. როგორც ჩანს, ამ ინტერესის ერთ-ერთი მიზანია ძეგლის შესახებ დამკვიდრებული მოსაზრებების გადასინჯვა, მათ შორის, თხზულების პოპულარობისა და მიუღებლობის მიზეზების ახლებური გააზრება. ამ მხრივ, „ვისრამიანის“ ექსპერტებს კიდევ ერთხელ ეძლევათ საშუალება, წარმოაჩინონ ამ ძეგლის დიდი მნიშვნელობა ახალი სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი სამიჯნურო რომანის, ფახრ ედ-დინ გორგანის „ვის ო რამინის“ კვლევისთვის და ამ გზით კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს შუა საუკუნეების ქართული მწერლობის მონაცემების როლი მსოფლიო ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

IV. დასკვნა

შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის პრობლემატიკის შესწავლა ორივე - დასავლური და აღმოსავლური - კონტექსტის გათვალისწინებას საჭიროებს. დასავლეთთან ცივილიზაციური ერთიანობის აღიარებასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ აღმოსავლურ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტების კვალი ქართულ მწერლობაში; სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურულ ურთიერთობებს სხვადასხვა ეპოქაში და მათ გამოძახილს ჩვენში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, როგორ მოქმედებდა ქართული „ეროვნული ფილტრი“ უცხოური ლიტერატურის მოძალების პირობებში - რას განაგდებდა, რას გადაამუშავებდა

და როგორ ითვისებდა დანარჩენს. ჩვენი მწერლობა არ განვითარებულა რეგიონალური და გლობალური კონტექსტისგან მოწყვეტით. საჭიროა ამ კონტექსტებში ქართული ლიტერატურის მიერ შესრულებული ფუნქციისა და წვლილის ადეკვატურად წარმოჩენა, ახსნა და პოპულარიზაცია. ამისთვის აუცილებელია ახლებური კონცეპტუალური მიდგომა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შუა საუკუნეების ქართული მწერლობის რაობის მკაფიოდ გარკვევას; მისი ორივე - აღმოსავლურ და დასავლურ - სამყაროსთან უშუალო თუ გაშუალებული კონტაქტის შედეგად შექმნილი კულტურული რეალობის ობიექტურ შეფასებას; ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ნაწილად წარმოდგენას და არა უცხოურისგან უპირობო გამიჯვნას ეროვნულობის დასამტკიცებლად; იმის გაცნობიერებას, რომ ჩვენი სიტყვიერი შემოქმედება არა მხოლოდ გავლენის (აღმოსავლური თუ დასავლური) ობიექტი, არამედ ზოგჯერ ამ ორი სამყაროს დამაკავშირებელი იყო.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-660]

[1] ა. გვახარია „ბალავარიანის“ გავრცელების პროცესში თარგმანის გამორიცხვას მართებულად არ მიიჩნევს, რადგან, მისი დაკვირვებით, ზოგჯერ აშკარად თარგმანთან უნდა გვექონდეს საქმე - ხან ზუსტთან, ხან კი თავისუფალთან [გვახარია, 1985:154]. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. როუმანი ამ ძეგლზეც მუშაობდა. როცა მას პირადად შევხვდი, ქართული ვერსიების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდა. 2014 წელს ჯალილ ნოუზარიმ სპარსულ ენაზე თარგმნა და თეირანში გამოსცა „ბალავარიანის“ დ. ლანგისეული ინგლისური თარგმანი (D.M.Lang, The Balavariani. A Buddhist Tale from the Christian East). ამდენად, ირანის სამეცნიერო წრეებისთვის ეს თხზულება უკვე ხელმისაწვდომია.

[2] პუბლიკაციაში ძირითად ყურადღებას საერო მწერლობაზე გადავიტან და არ შევხვები აღმოსავლურ-ქრისტიანულ ლიტერატურასთან კავშირებს. ამ უკანასკნელის თაობაზე საცნობარო ინფორმაციისთვის იხ.: ლ. მენაბდე, „ქართულ-ახლოაღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობანი“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, N2, გვ. 15-31.

[3] ბერძნულ-სპარსული ორმხრივი სესხების საინტერესო ჰიპოთეზა იხ.: Davis, Dick. Panthea's Children: Hellenistic Novels and Medieval Persian Romances. Costa Mesa, California: Mazda Publishers, 2000.

[4]ეს ცოდნა სასარგებლო იქნება როგორც ჰაგიოგრაფიული ძეგლების (მაგ.: ევსტათი მცხეთელის, აბიბოს ნეკრესელის მარტვილობები), ასევე, საერო მწერლობის (მაგ.: „ვისრამიანი“) კულტურულ-რელიგიური რეალიების ანალიზისას. ამ საკითხის მნიშვნელობა კარგად ჩანს მ. მამაცაშვილის მონოგრაფიაში „ვის ო რამინ“ და ქართული ვისრამიანი (თბილისი: მეცნიერება, 1977), რომელშიც ავტორი სპარსული ძეგლის პართულ წარმომავლობას ვარაუდობს და, ამასთან, ტექსტთან დაკავშირებით არაერთ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს.

[5]იხ.: ა. გვახარია, დავით აღმაშენებლის ეპოქა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ჩასახვა, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, II, 2001. თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ.129-138; ამავე ავტორის „ქართულ-სპარსული ლიტერატურის ურთიერთობის სათავეებთან“, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, 1995. თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 254-265.

[6]საყურადღებოა კრებულში აღმოჩენილი „ამირანდარეჯანიანის“ გალექსილი ვერსიის ფრაგმენტი. ამ და „ამირანდარეჯანიანის“ ზოგ სხვა საკითხზე მნიშვნელოვანია მაგალი თოდუას მიერ გამოთქმული მოსაზრებები [თოდუა, 1975].

[7]„სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები“ [გვახარია, 1968] და „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“ [გვახარია, 1973].

[8]დ.კობიძე ამ ძეგლს არ განიხილავდა ხალხურ პროზად და მკვლევრებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა: „ჩვენ გვიძნელდება, მაგალითად, მე-16-17 საუკუნეების ქართული პროზის განვითარების თვალსაზრისით ისეთი საინტერესო თხზულება, როგორც „რუსუდანიანია“, რომლის ავტორი თუ ავტორები დღემდე უცნობია, ხალხური პროზის ფარგლებში შემოვიტანოთ...“ [კობიძე, 1978: 201].

[9]კობიძე დ., „ამირან-დარეჯანიანის სადაურობისთვის“, ლიტერატურული ძიებანი, 2, 1944, გვ. 249-266; იგივე იხ. წიგნში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, 1, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1984, გვ. 453-468.

[10]წყაროდ მითითებულია: D.M.Lang and G.M. Meredith-Owens, Amiran-Darejaniani; A Georgian Romance and its English Rendering.

[11] ფოლკლორის საკითხებისთვის მნიშვნელოვანია თურქული ზეპირსიტყვიერების მონაცემებიც. „დესტანი“ (შდრ. აჭარ. დესტანი) ანუ დასტანი აქაც პოპულარული ჟანრია.

[12] იხ. მაგ.: Lang, D.M. and Meredith-Owens, G.M. Amiran-Darejaniani; A Georgian Romance and its English Rendering, Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, Vol. 22, No. 1/3 (1959), pp. 454-490; ბარამიძე, ა. „ამირან-დარეჯანიანის გარშემო“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1960, N1, გვ. 260-268 და სხვ. ირანიტ ნ. დარსაველიძის წერილი ამ დასტანის ქართული ვერსიის ლექსიკოლოგიურ შესწავლას ისახავს მიზნად, რაც გარკვეულწილად ეხმარება ძირითადი საკითხის სიღრმისეულ შესწავლას. იხ.: დარსაველიძე, ნ., „რამდენიმე შენიშვნა „ყისაიე ამირ ჰამზას“ აღმოსავლური ლექსიკის შესახებ“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, N2, გვ. 88-100.

[13] ეს ცნობილი ხელნაწერი დიდი მოგოლების იმპერიის ხელოვნების უმაღლეს მიღწევად მიიჩნევა. ნადირ შაჰის მიერ ინდოეთიდან (1739 წ.) წამოღებული მთელი ნადავლიდან, ერთადერთი, რისი დაბრუნებაც ითხოვა იმპერატორმა მუჰამად შაჰმა, ეს „ჰამზანამეს“ ილუსტრირებული ხელნაწერი იყო. ინფორმაცია დამოწმებულია ფ. პრიტჩეტის დასახ. ნაშრომიდან.

[14] „ამირ ჰამზე საჰბეყარანისა და ამრ ვამიეს დასტანი“ [Farsai, 1991], რომელიც ხელთ მქონდა და 24 ამბისგან შედგება, არ არის აკადემიური გამოცემა. ამ გამოცემასთან „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის შედარებას ხელშესახები შედეგი არ მოუცია და ა. ბარამიძის, მ. თოდუას და სხვ. დასკვნებში კორექტივი არ შეუტანია.

[15] ა. გვახარიას მონოგრაფიის [1973] მესამე თავი ყისახანთა ინსტიტუტს ეძღვნება. იხ., აგრეთვე, კ. კუცია, „გუსან-მგოსანთა ხელოვნების საკითხისათვის“, აღმოსავლური კულტურა, 1980, გვ. 54-69. დღეისთვის ამ საკითხზე ახალი ფაქტობრივი მასალა და კვლევები დაგროვდა, რაც უფრო ფართო კულტურული კონტექსტისა და მეტი დეტალების გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

[16] ეს ბეითი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგთან უნებურ ასოციაციას იწვევს.

[17] გამოტოვებული თავები (90 ბეითი ანუ 180 სტრიქონი), კერძოდ, თავი პირველი - ქება უფლისა - მნიშვნელოვანია აღმოსავლური პროლოგის გამოძახილის კვლევისთვის შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში.

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან: წიგნი 1.
თბილისი.1966

გვახარია ალ. სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, ბახთიარ-ნამე.
თბილისი,1968

გვახარია ალ. სპარსული პროზის ისტორიიდან. თბილისი, 1973

გვახარია ალ. „ბალავარიანის“ სპარსული ვერსიები. თბილისი,1985

გვახარია ალ. დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურული პარალელები და ამ ურთიერთობის
გვირგვინი გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ // აღმოსავლეთმცოდნეობა. N 8. 2019

ესლამი ნოდუშანი მ. ადამიანობა და თანამდებობა / სპარსულიდან თარგმნა თ. შურღაიამ.
თბილისი, 2004

თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902

თოდუა მ. „ამირანდარეჯანიანის“ ზოგი საკითხი // ქართულ-სპარსული ეტიუდები: II.
თბილისი, 1975

კალაძე ი. ორი უძველესი ხელნაწერის ბედი კულტურათა კვების გზაზე // კადმოსი. N 3.
თბილისი, 2011

კიკნაძე ზ. „ამირანიანი“ : (ილიაუნის გზამკვლევი). თბილისი, 2023

კობიძე დ. ქართულ-სპარსული ხალხური პროზის შესწავლის საკითხები // ქართულ-
სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი . III. თბილისი.1978

კოტაშვილი ლ. ბერნარდოსეული კოლექციის XVII ს. ზღაპრები. თბილისი. 1980

მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი / გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელაშვილმა. თბილისი.1967

სირაძე რ. ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს. თბილისი. 2021

წერეთელი გ. „ათას ერთი ღამის გამო“ (წინასიტყვაობა) // ათას ერთი ღამე : ტ. 1. თბილისი.1969

Blackburn S. Hamzanama.

<https://static-gcs.edit.site/users-files/08a2e99a94cad3b38243740cba35c89d/35-hamzanama.pdf?dl=1>

Chann, N-S. Lord of the Auspicious Conjunction: Origins of the Şahib-Qirān. Iran and Caucasus, 13. 2009

Farsai, M. (Ed.) Dāstān-e amīr hamze sāhebqerān va ‘amr vāmyye tahīe va tanzīm. Tehran. 1991 (1370)

Fakhr Al-Dīn Gorgānī. Vīs va Rāmīn. Persian critical text composed from the Persian and Georgian oldest manuscripts by Magali A.Todua and Alexander A. Gwakharia. Tehran. 1970

Hanaway W. L. Jr. ḤAMZA-NĀMA. Encyclopædia Iranica, XI/6, 649. 2003

<http://www.iranicaonline.org/articles/hamza-nama-i>

Marzolph U. A Treasury of Formulaic Narrative: The Persian Popular Romance Ḥosein-e Kord, Oral Tradition, 14/2. 1999

Marzolph U. The Study of Popular Literature in the Persian Context. Oral Literature of Iranian Languages. Kurdish, Pashto, Balochi, Ossetic, Persian & Tajik. London. (A History of Persian Literature. ed. E. Yarshater. vol. 18. Companion vol. 2), xxxv-xlvi. 2010

Pritchett W. F. *The Romance Tradition in Urdu*, NY. 1991
https://franpritchett.com/00litlinks/hamzah/intro2_india.pdf

Roushan M. (Ed). *Vīs o Rāmīn*. Fakhr ed-dīn as'ad Gorgānī. Tehrān. 2007 (1386)

Rubanovich J. *Telling a Different Story: Redeployment of the Narrative Alexander Tradition in a Medieval Persian Dāstān*. *Iranian Studies* 55. doi:10.1017/irn.2022.2.

Борщевский Ю. Предисловие : Плутовка из Багдада / Перевод Ю.Борщевского, Н.Османо́ва, Н.Туманович. Москва, 1963

კოტე ლომიძე

ფატმანის სახის რეცეფცია ტიცინ ტაბიძის სონეტში

ალექსანდრე ჩოჩია (ალექსანდრე აბაშელი), ლიტერატურული ფსევდონიმით ხომალდელი, 1922 წელს ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალ "ხომალდში" აქვეყნებს წერილს. პუბლიკაციის ერთი ნაწილი ეთმობა 1921 წელს ნიკო ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემულ "კრებულ N1-ს". აღნიშნული გამოცემის განხილვისას ხომალდელი შეეხება მელიტონ კელენჯერიძის ნაშრომს "ვეფხის-ტყაოსნის" ტიპები". დასახელებული ნაშრომის მიმოხილვისას ალექსანდრე აბაშელი შენიშნავს: "საინტერესოა აგრეთვე ცდა ფატმანის პიროვნების რეაბილიტაციისა" [ხომალდელი, 1922:96]. ამ ფრაზას მოსდევს რეცენზენტის რემარკა: "უნდა ითქვას, რომ პირველად ფატმანის გამართლება თავს იდო პოეტმა ტიცინ ტაბიძემ ერთ თავის ლექსში" [ხომალდელი, 1922:96].¹ აღსანიშნავია, რომ ფატმანი ტიცინ ტაბიძის ორ ლექსში იხსენიება,² ხომალდელი აქ გულისხმობს ტიცინის ლექსს "ფატმან-ხათუნ", რადგან მეორე ტექსტი, რომლის სახელწოდებაცაა "ირემი აქებს იალალს", 1926 წლით თარიღდება. კრიტიკოსის ეს შენიშვნა საინტერესოა იმ კუთხით, რომ აჩვენებს, დაახლოებით როგორი იყო ტიცინის ნაწარმოების თანადროული აღქმა. სონეტს ვიმოწმებ სრულად:

"ჩემ სულს ასარკებს მოგონება ცხელი ასულის,

ფატმან-ხათუნი ელანდება ძილშიც ხარბ თვალებს.

მიყვარს ეს ლანდი მაშინაც კი, როცა მაწვალებს,

შეიძლებოდეს დაბრუნება ნეტა წარსულის...

მუტრიბ მომღერალთ ისმის ქება აქ სიყვარულის,

ალიონამდე ჰკოცნის ფატმან ავსებულ ყანწებს

და კუროების ქარავნები ამტვერებენ გ ზებს,

ელთან ნახვას ნდომისაგან ფერ გადასულის.

არ დაიღლება მისი ტუჩი კოცნით არასდროს,

სულსაც მიინდობს, რომ ღალატით შემდეგ დაღადროს.

მისთვის ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი.

ფატმან, ოცნებით სცხოვრობს სული შენ ცხელ საბანში,

ის შენი ტყვეა, როგორც თავვი სინის ხაფანგში,

ის ქედანია ავ ძერასთან ომ გადახდილი"

[ტაბიძე, 2015:64].

ტიციან ტაბიძე 1916 წელს მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში იოსებ გრიშაშვილს სწერდა: *"ეს სონეტი, რომელიც აქვე გეგზავნება, ღირსია "ლეილას" კოცნის"* [ცისფერყანწელები, 2018:65]. 1917 წელს კრებული "ლეილა" იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით მართლაც გამოვიდა, მაგრამ ტიციანის ლექსის გარეშე [ლეილა, 1917]. წერილი კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს ინახავს, ცისფერყანწელი სონეტების ციკლის დაწერას გეგმავდა: "ის ("ფატმან ხათუნი"³ — კ. ლ.) ერთი სონეტია "სონეტების გვირგვინიდან" [ცისფერყანწელები, 2018:65].

სონეტების გვირგვინი სონეტების ციკლის რთულ სახეობას წარმოადგენს: *"სონეტების გვირგვინი შედგება 15 სონეტისგან. ამათში მთავარია ერთი სონეტი, გვირგვინის ყველა შინაარსის შემაჯამებელი, რომელსაც მაგისტრალი ეწოდება... ყველა სონეტი აიგება მაგისტრალის 14 ტაეზზე"* [მიქაძე, 1974:139]. მიზეზი უცნობია, მაგრამ ტიციანმა ვერ განახორციელა „სონეტების გვირგვინის“ დაწერის იდეა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, სონეტის ფართო გავრცელების მიუხედავად, "სონეტების გვირგვინი" არ შექმნილა გასული საუკუნის 10-20-იან წლებში⁴, ქართულად პირველი „სონეტების გვირგვინი“ 1975 წელს დაიწერა [ბარბაქაძე, 2018:154]. რაც შეეხება ტიციანის სურვილს, როგორც აღვნიშნე, პოეტი ამ ლექსს მოსკოვიდან აგზავნის 1916 წლის მიწურულს. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში, შეიძლება ითქვას, სონეტების გვირგვინების მიმართ ინტერესი არნახულადაა გაზრდილი: *"1911-1920 წლებში, როგორც „სონეტების გვირგვინის“ ცნობილი მკვლევარი ვ. ტიუკინი გვაუწყებს, რუსეთში 11 გვირგვინი გამოქვეყნდა, რომელთა ავტორები მყარი სალექსო ფორმების აღიარებულ ოსტატებთან: კ. ბალმონტსა, ნ. შულგოვსკისა და მ. ვოლოშინთან ერთად იყვნენ ი. კრიჩევსკი, ნ. ობოლენსკი, ა. არხანგელსკი და სხვ."* [ბარბაქაძე... 2019-2020:76]. ამ ფონზე ტიციანის სურვილი — დაწერა სონეტების გვირგვინი — უფრო ნათელი ხდება. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ტ. ტაბიძე 1917 წელს, ი. გრიშაშვილისთვის წერილის გაგზავნიდან მალევე, უგზავნის „ფატმანს“ და სწერს ვალერიან გაფრინდაშვილს: *"მაქს ვოლაშინმა გამოაფინა*

სურათებათ "სონეტების გვირგვინი" [ცისფერყანწელები, 2018:73]. მაქსიმილიან ვოლოშინი არის პოეტი და მხატვარი. როგორც მიუთითებენ, "რუსულ პოეზიაში ყველაზე ადრეული ორიგინალური "სონეტების გვირგვინები" კუთვნიან ვიაჩესლავ ივანოვსა და მაქსიმილიან ვოლოშინს (1909)" [ზარბაქაძე... 2019-2020:76].

უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც, ცნობილია, რომ ავანგარდისტულ კრებულში "ფანტასტიკური დუქანი" გამოქვეყნდა ტიცინის ზემოხსენებული ლექსი. კრებულში სონეტის სათაურია "ეფემერი მასკარადი", ქვესათაური — "ფატმანი" [მელნიკოვა, 1917, 1918, 1919:127]. თუ ვიფიქრებთ, რომ ტიცინს ამ დროისთვისაც არ აუღია ხელი პოეტური ციკლის დაწერის იდეაზე, მაშინ "ეფემერი მასკარადი" შესაძლოა პოეტს სწორედ "სონეტების გვირგვინის" სათაურად ჰქონდა მოაზრებული.

მაშასადამე, განსახილველი ტექსტი პოეტს ჩაფიქრებული ჰქონდა "სონეტების გვირგვინის" შემადგენელ ნაწილად, ხოლო თავად სონეტების ციკლის რთული სახეობის შექმნა, სავარაუდოდ, ცისფერყანწელს რუს მოდერნისტთა შორის არსებულმა სონეტების ციკლის შექმნის ერთგვარმა ტენდენციამ შთააგონა.

ვალერი ბრიუსოვის "სონეტების გვირგვინი", რომლის სახელწოდებაცაა "საბედისწერო წყება" (Роковой ряд), დაწერილია 1916 წლის 22 მაისს [ბრიუსოვი, 1973:303-310]. ამასთანავე, გვირგვინის თითოეული სონეტს სათაურად აქვს ქალის სახელი ("ლელია", "ტალია", "მანია" და ა. შ.); ამ ყოველივეს გათვალისწინებით კი, შეიძლება გვევარაუდა, რომ ტიცინის "ფატმანი" შთაგონებულია რუსი მოდერნისტის სონეტით, რადგან ცისფერყანწელის წერილი, რომელსაც გრიშაშვილს უგზავნის ლექსითურთ, დათარიღებულია 1916 წლის 24 დეკემბრით და, რაც მთავარია, ტიცინის სონეტი სიახლოვეს ამჟღავნებს ვ. ბრიუსოვის ლექსთან მოტივის თვალსაზრისითაც; მიუხედავად ამისა, უშუალო გავლენაზე მაინც ვერ ვისაუბრებთ, რადგან ვ. ბრიუსოვის ტექსტის 1918 წლამდე პუბლიკაციას ვერ მივაგენი (გამოქვეყნებულია 1918 წელს "ვეჩერნიე ვედომოსტის" აპრილის ნომერში და ამავე წელს გამოცემულ ერთ-ერთ კრებულში).⁵ თუმცა, როგორც აღვნიშნე, სონეტებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება.

ტ. ტაბიძის ტექსტი არის ე. წ. ფრანგული სონეტი (კატრენების სქემა: abba abba, ტერცეტების სქემა: ccd eed) და მისი შიდა ფორმა პირობითად რამდენიმე ნაწილად შეიძლება დავყოთ. ზოგადად, როგორც ლექსმცოდნეები მიუთითებენ, სონეტის „პირველ კატრენში წარმოჩენილი თემა მეორე კატრენში კონკრეტდება. ტერცეტებში გარდატეხა იწყება და თემის საბოლოო გადაწყვეტა ხდება“ [ხინთიბიძე,

2009:316]. ეს სქემა ტიციანის „ფატმანს“ რომ მივუსადაგოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: დასაწყისში ლირიკულ გმირს ახსენდება ქალი, შემდეგ კატრენში ლექსის ობიექტის სამოქმედო სივრცეა ნაჩვენები — მოგონება შინაარსს იძენს, პირველი ტერცეტი ეთმობა ლირიკული გმირის მიერ მიძღვნის ობიექტის შეფასებას, ხოლო უკანასკნელ სტროფში გამოყენებულია რიტორიკული მიმართვა — ლირიკული გმირი ტრფობისა თუ ნდომის ობიექტს „მორჩილებას“ უცხადებს. საანალიზო სონეტის შიდა ფორმა პირობითად კიდევ ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს, პირველი ნაწილი (პირველი კატრენი, მეორე ტერცეტი) ეთმობა ლირიკული გმირის სუბიექტური განცდების ჩვენებას, ხოლო მეორე ნაწილში გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ რემინისცენცია (მეორე კატრენი და პირველი ტერცეტი).

„სიმბოლისტური პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტის — სარკის — ანარეკლით იგი (ფატმანი — კ. ლ.) შემოდის ტიციან ტაბიძის სონეტში „ფატმან-ხათუნი“ თავისი ორმაგი სახით“[ბარბაქაძე, 2012:107]. მართლაც, პირველივე ტაეპში ყურადღებას იქცევს ზმნის ოკაზიონალური ფორმა „ასარკებს“ („ჩემ სულს ასარკებს მოგონება ცხელი ასულის“). ეს ლექსემა იშვიათია ქართულ ენაში.⁶ ტიციანის შემდგომ აღნიშნული ზმნა სამჯერ გამოუყენებია შალვა კარმელს (ლექსები: „არიანა“, „თხელი ტუჩები“, „დეზ’ესსენტს“), ხოლო ტიციანამდე, ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მხოლოდ ერთხელ გვხვდება ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ, ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობაში“:

„უმანკოება ყოველსა შინა წმიდა

სწმედს და მზინვარედ სუფთა ჰყოფს გონებასა,

ასარკებს ღმერთსა, არსებას აიგივებს,

ესე იგი არს, ვითარიც შეჰქმნა ღმერთმან,

რწმენითთა სჯულთა სცავს განუგმობელად-რე“

[ბაგრატიონი, 1980:201].

დადასტურება ვერ მოხერხდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ტიციანი იცნობდა ანტონის „წყობილსიტყვაობას“, რომელიც 1853 წელს გამოსცა პლატონ იოსელიანმა. ივანე ლოლაშვილის განმარტებით, „უმანკოება...ასარკებს ღმერთსა“ ნიშნავს „უმანკოება ღმერთს აჩენს“ [ბაგრატიონი, 1980:399]. საინტერესოა, რომ სიტყვა, რომელსაც ანტონ კათალიკოსი იამბიკოში უმანკოების

დახასიათებისთვის იყენებს, ტიცინთან საპირისპირო ფენომენის, ვნების წამლევავი ძალისადმი მიძღვნილ სონეტში გვხვდება.

რატომ აირჩია ტიცინ ტაბიქემ ასახვის ობიექტად ფატმანი, ალექსანდრე აბაშელის სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომ იღო თავს ფატმანის გამართლება? ფატმანს მართლაც ჰქონდა „თავი სამართლებელი“. მისდამი დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს აკაკი წერეთლის სიტყვები: *„ქვეყნის დაცემის დროს-კი ფატმანები, საძაგლები არიან და ქვეყანას ბევრ ვნებას აძლევენ. დღეს უფრო ვრცლათ ლაპარაკი ფატმანებზე მოუხერხებელია, რადგანაც... რადგანაც... თვითონ მიხვდებით რადგანაც... მისთვის, რომ საკვირველი სარკე და სასწორია საზოგადოებისთვის“* [წერეთელი, 1898:54]. როგორც მრავალჯერ შეუნიშნავთ, აკაკი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს საკუთარი ეპოქის თვალთახედვით განიხილავს, რუსთაველის გმირების დახმარებით წინ წამოსწევს სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეთიკურ პრობლემებს. ამ შემთხვევაში ფატმანის დახასიათებისას მორალური ასპექტია წამყვანი. როგორც აკაკის სიტყვებიდან ჩანს, იგი უკმაყოფილოა თანამედროვე ქალების ქცევით, რაც ზოგადად თანადროული საზოგადოებით უკმაყოფილებას გულისხმობს, რადგან აკაკისავე სიტყვებით: *„რომელიმე ხალხის, რომელიმე ტომის, ასაწონათ და დასაფასებლად სრულიად საკმაო არის მათი ქალების გაცნობა“* [წერეთელი, 1960:161]. აკაკი წერეთელი აქ შემთხვევით არ მიხსენებია, აბზაცის დასაწყისში დასმული კითხვისთვის დამაჯერებელი პასუხის გასაცემად საჭიროდ მიმაჩნია აკაკის პოზიციის განხილვა.

აკაკი ქალთა ზნეობის საკითხს არაერთ ნაწარმოებში უტრიალებს. *„როცა ქართველ ქალებზე ჩამოვარდება ხოლმე საუბარი, ჩვენ სასაფლაოებისკენ ვიწვევთ და გადასულ დედებს ვიგონებთ“* [წერეთელი 1961: 485], — ამ სიტყვებში კარგად ჩანს მწერლის პოზიცია. იგი არა მარტო პუბლიცისტური წერილებით, ლექსებითაც ხშირად ეხმიანება ქართველი ქალის არასახარბიელო ზნეობრივ მდგომარეობას („ალბომში. ახლანდელ ქალებს“, „თანამედროვე ქალი“, „ბოდვა“ და ა. შ.). აკაკი წერს დრამატულ პოემას „თამარ ცბიერი“, რომელშიც ზნეობრივ მანკიერებას, ვნების აყოლას, ამხელს. *„თამარ ცბიერში“ აკაკიმ, როგორც მას სჩვეოდა, თანამედროვე პრობლემას რომანტიზებული ისტორიის სიღრმეში გაიტანა და ამ ხერხით გამოთქვა მანკიერ აწმყოსთან დაპირისპირებული თავისი თვალსაზრისი: მხოლოდ ბიოლოგიური ინსტინქტებით, ჟინის კარნახით მცხოვრები საზოგადოება და ქვეყანა განწირულია* [დოიაშვილი, 2008:63]. „თანამედროვე პრობლემაში“ მკვლევარი გულისხმობს „ახალ ეთიკას“, ცხოვრების წარმავლობის გამო წუთით ტკბობის ფილოსოფიას, რომელიც *„საქართველოშიც იკიდებდა ფეხს და დიდ საფრთხეს უქმნიდა ჩვენი*

არსებობის საფუძველთა საფუძველს — ოჯახს, ქალის ზნეობას.⁷ აკაკი გულისტკივილით უმზერდა ქართველ ქალს, სააშვიკო ინტრიგებით გართულს, უდარდელად რომ ამბობდა: „სამშობლო რასა მიქვია, / მეწყერსაც წაულიაო“ [დოიაშვილი, 2008:63]. თეიმურაზ დოიაშვილი წერილში „კადნიერი ინტენცია“ პარალელს ავლებს აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერსა“ და გალაკტიონის ადრეულ პოეტურ ნაწარმოებ „თასს“ შორის. როგორც მკვლევარი წერს, ორი დედოფლის — თამარისა და რუსუდანის — დაუოკებელი ვნებათაღელვის ამბავი თითქმის იგივეობრივ ფონზეა მოთხრობილი. გარდა ამისა, მკვლევრის შეფასებით, გალაკტიონის ბალადაში „მთავარ პერსონაჟთა ტიპოლოგიურ და ფუნქციურ ანალოგიასთან ერთად გამეორებულია ცენტრალური სცენის — თამარისა და გოჩას შეხვედრის — სქემა და, რაც მთავარია, არსი მათი საუბრისა“ [დოიაშვილი, 2008:63]. მთავარი და კონცეპტუალური სხვაობა ამ ორ ნაწარმოებს შორის არის ის, რომ „თამარ ცბიერის“ ფინალში მრუში დედოფალი, სანამ საწამლავს დალევს, ცოდვებს ინანიებს:

„წარსული ჩემი ბნელში მავალი

გადავაცოლე შემცდარ გულისთქმას,

მაგრამ უეცრად ბუნებაცვლილი

აწვემონები უმაღლეს აღთქმას.“

რაც შეეხება გალაკტიონის პერსონაჟს, „გალაკტიონის რუსუდანიც, ჭაბუკის მიერ უარყოფილი, თამარივით, თავს იწამლავს, მაგრამ თვითმკვლელობის აზრობრივი შინაარსი აქ სრულიად სხვაა. მხილება, გაკიცხვა-შეგონება რჩება ხმად მლაღადებლისა, ვერ აღწევს პერსონაჟის ცნობიერების სიღრმეში, ამიტომ არც ცოდვილი ცხოვრების გადაფასების სურვილი ჩნდება. უარყოფილი დედოფლის გულში მხოლოდ ახალგაზრდობადაკარგული ქალის სინანული, მარცხის საბედისწერო ტკივილია. წავიდა ის დრო, „როცა ბევრს ყმაწვილს მისი ეშხით არ ჰქონდა ძილი“, „ეხლა აღარ აქვს ძველი ეშხი და სილამაზე“ [დოიაშვილი, 2008:62]. მკვლევრის მითითებით, გალაკტიონის ფიქრი ვნების, როგორც უზენაესი ფასეულობის, აპოლოგიაზეა კონცენტრირებული. „ვნება, როგორც ასეთი, ღირებულებით სისტემაში სიცოცხლეზე მაღლაა დაყენებული“ [დოიაშვილი, 2008:62].⁸ თ. დოიაშვილის დასკვნით, „გალაკტიონის ბალადა წარმოადგენს შეფარულ პოლემიკას აკაკის „თამარ ცბიერის“ კონცეფციასთან, ეროვნული იდეალების საწინააღმდეგოდ გალაკტიონთან შემოტანილია „წუთის ფილოსოფია“.⁹

დასაწყისში ვახსენე, რომ ტიციანის „სონეტების გვირგვინის“ შემადგენელ ნაწილად ჩაფიქრებული ლექსი სიახლოვეს ამჟღავნებს ვალერი ბრიუსოვის „სონეტების გვირგვინთან“ „საბედისწერო წყება“. სანამ ამ ლექსებს შორის არსებულ მსგავსებაზე ორიოდ სიტყვას ვიტყვოდე, უნდა აღვნიშნო, რომ თ. დოიაშვილის ზემოხსენებულ სტატიაში გალაკტიონის „თასში“ არეკლილი მსოფლგანცდა დაკავშირებულია ვალერი ბრიუსოვსა და ზოგადად ევროპულ და რუსულ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მსოფლგანცდასთან, აქვე დამოწმებულია რუსი მოდერნისტის 1904 წელს გამოქვეყნებული სტატია „ვნება“: *„ვნება ბრწყინვალე ყვავილია, რომელიც ჩვენი სხეულიდან, როგორც თესლიდან, ისე ამოიზრდება. ვნების წადილით ქანცგაყვეტილი სხეული მტვრად იქცევა, ისე კვდება, იღუპება, რომ არ ენანება სიკვდილი. ვნება შეფასებას არ ექვემდებარება, ადამიანი ვერაფერს შეცვლის მასში. ჩვენმა დრომ, რომელმაც წმინდაჰყო ვნება, პირველად მისცა ხელოვანთ შესაძლებლობა, გამოესახათ იგი სირცხვილის გარეშე, თავის საქმეში დარწმუნებულთ... უმანკოება არის სიბრძნე ვნებაში, ვნების სიწმინდის შეგნება. სცოდავს ის, ვინც ვნებიან გრძნობას ზერელედ აფასებს“*[დოიაშვილი, 2008:64-65]. სტატიაში გამოთქმული თვალსაზრისი არეკლილია ვალერი ბრიუსოვის ეროტიკულ ბალადებში (რომლებშიც ვნების უზენაესობის იდეაა წარმოჩენილი), რომლებიც შესულია 1904 წელს გამოცემულ წიგნში „Urbi et Orbi“.

ვნების ესთეტიკა ტიციანის „ფატმანშიც“ თვალშისაცემია — კუროები და ნდომისაგან ფერგადასული ფატმანი, რომლის ტუჩიც კოცნისაგან არ იღლება. ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ წიგნში სონეტი ამგვარად სრულდება:

„ფატმან, ოცნებით სცხოვრობს სული შენ ცხელ საბანში,

ის შენი ტყვეა, როგორც თავი სინის ხაფანგში,

ის ქედანია ავ ძერასთან ომ გადახდილი“

[ტაბიძე, 2015:64].

განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს „ფანტასტიკურ დუქანში“ გამოქვეყნებული „ეფემერი მასკარადი. ფატმანი“:

„ფატმან, ოცნებით სცხოვრობს სული შენ ცხელ საბანში:

ყვითელი თავი მომწყვდეული რკინის ხაფანგში.

მეც გზას მინათებს მარტო ერთი ვნების წადილი“

[მელნიკოვა, 1917, 1918, 1919:127].

ასეთი ცვლილებით, გარდა ევფონიური გაუმჯობესებისა, ნაგულისხმევი და ლამის ყველა სტრიქონში გამოხატული ვნება, შეიძლება ითქვას, უკვე „ლექსიკალიზებულიცაა“. ისევე, როგორც ტიცინთან, ვ. ბრიუსოვის „სონეტების გვირგვინშიც“ ლირიკული გმირი იხსენებს წარსულს, რუსი მოდერნისტი პოეტის „სონეტების გვირგვინის“ თითოეულ სონეტს ჰყავს კონკრეტული ადრესატი, ფატმანისგან განსხვავებით, რეალური ქალი [გორელიკი 2020]. ვნება, კოცნა, წარსულის გახსენება, შეყვარებული პოეტი — ესაა ის, რაც ვალერი ბრიუსოვის „სონეტების გვირგვინს“ „ფატმანთან“ ამსგავსებს. ბრიუსოვის ამ ციკლის გარდა, „ფატმანის“ ატმოსფერო სიახლოვეს ამჟღავნებს ბრიუსოვისავე კლეოპატრასადმი მიძღვნილ ლექსებთან.

გრიგოლ რობაქიძე 1918 წელს გამოქვეყნებულ სტატიამ „ქართული მოდერნიზმი“ მიუთითებს „ეროტიკული ფსიქიკის ქალების“ ნაკლებობაზე ქართულ ლიტერატურაში: *„ქართული პოეზიის მამაკაცურ შემოქმედებაში ეროტიკულის კვდომა მიმდინარეობდა (რუსთაველს გამოვრიცხავ)“* [რობაქიძე, 2014:534-535]. სწორედ რუსთაველია ის ტრადიცია, რომელსაც ეყრდნობა ტიცინი ეროტიზმის გამოსახვაში. *„[ქართველმა ქალმა] არც სიყვარულის ახსნა იცის (იგი ამაყად გულდახურულია), არც სექსუალური გაფურჩქვნა, (ის ასექსუალურია, ამორძალისეულად სიმშაგის გადმონაშთების გამო): – ქართველმა ქალმა არ იცის ნამდვილი „რომანი“* [რობაქიძე, 2014:534]. „ვეფხისტყაოსნის“ ფატმანი კი საწინააღმდეგოა აქ დახასიათებული ქართველი ქალისა, ამიტომაც აღმოჩნდება ინიციატივიანი და ვნებიანი ვაჭართუხუცესის ცოლი, რომელსაც „ნამდვილი რომანის“ არცოდნას კაცი ვერ დასწამებს, მოდერნისტულ ლექსში. ის, რაც *„შუა საუკუნეების/რუსთაველისეული სიყვარულის კონცეფციისათვის არ, თუ ნაკლებადთავსებადია, საინტერესო და მიმზიდველია მოდერნიზმის ეპოქაში“* [ლეთოდიანი, 2017:138].

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ფატმანს, იგი სრულიად გამორჩეული პერსონაჟია პოემისა. რუსთველოლოგიაში არაერთი აზრი გამოთქმულა ფატმანის სახის შესახებ. ავტორთა ერთი ნაწილი მას თავაშვებულ და გარყვნილ ქალად წარმოაჩენს, მკვლევართა მეორე ნაწილში შეინიშნება ფატმანის მიჯნურობის იდეალიზაციის ტენდენცია და არსებობს მესამე, ზომიერი პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ფატმანს სიმპათიით ხატავს რუსთველი, მაგრამ საჩოთირო მხარეებიც თვალშისაცემია [ბარამიძე, 1979:3]. რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებ ვერც ფატმანის გაიდულებსა და

ვერც მისი სახის მარგინალიზების ტენდენციას, სავსებით მისაღებია მკვლევართა მესამე ნაწილის თვალსაზრისი, რომელიც ორ უკიდურესობას შორისაა მოქცეული. მართლაც, ფატმანი, ერთი მხრივ, არის ქალი, რომელიც „გულს ერთს არ აჯერებს“, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი არის „ღრმა ბუნების“ ქალი, რომელსაც „რღაც შინაგანი სევდა, ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა აწუხებს“ [კარბელაშვილი, 2017:26], იგია პერსონაჟი, რომლის შესახებაც ტარიელი ამბობს: „ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია“ (1428). თუ რუსთველის ფატმანს შევუპირისპირებთ ტიცინის პერსონაჟს, დავინახავთ, რომ ცისფერყანწელთან დაჩრდილულია ფატმანის ბუნების პოზიტიური მხარე. რომ არ ვითვალისწინებდეთ მოდერნიზმის ესთეტიკას, ვიტყვით, რომ ფატმანის სახის რეცეფცია ტიცინთან ერთგვარად ტრაფარეტულიც კია. ლექსში ფატმანის სახე იქმნება ორი კომპონენტის შერწყმით, რუსთველის პოემაში ზედაპირზე არსებულ ფატმანის ვნებიანობას დამატებული აქვს მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ახალი ეთიკით ნასაზრდოები სიყვარულის გაიდიალება. ფაქტობრივად, ტიცინის ფატმანის სახეში გაერთიანებულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული ორი უკიდურესი თვალსაზრისი — მოდერნიზმის მიერ დახატული ფატმანი თავაშვებულია და ამავდროულად რომანტიზებულია მისეული სიყვარულის ფორმა, რუსთველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უგულო სიყვარული“.

ფატმანის სახის რეცეფციას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვხვდებით მეორე კატრენსა და პირველ ტერცეტში. ტიცინ ტაბიძესთან „ვეფხისტყაოსნის“ ვაჭართა ქარავნები ქცეულია კუროების ქარავნებად, რომელთა მოტივაცია არა აღებმიცემობა, არამედ ნდომისაგან ფერგადასული ფატმანის ხილვაა. თავის მხრივ, ფატმანიც არავის ტოვებს „უპატივცემულოდ“, მისი ტუჩი კოცნისგან არ იღლება, მისი ნდომა განურჩეველი („მისთვის ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი“) და ეფემერულია (მალევე ღალატით ღადრავს მინდობილ სულებს). ფატმანის სახის ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთან არსებული ზედაპირული მსგავსებაა. სონეტის ანტურაჟი („მუტრიბ მომღერალთ ისმის ქება აქ სიყვარულის“) ფატმანის რუსთველისეულ დახასიათებას გვახსენებს („მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი“ (1065)¹⁰), ხოლო კუროების ქარავნები მოგვაგონებს, ერთი მხრივ, ვაჭართა ქარავნებს და, მეორე მხრივ, ფატმანის კუროს, ფატმანის ვაცს („იგი იყო ჩემი ვაცი“ (1192)). მართალია, რუსთველის პოემაში ფატმანის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ქმარს არ სჯერდება და ერთი საყვარლის (ჭაშნაგირის) გვერდით მეორე საყვარელსაც (ავთანდილს) გაიჩენს, მაგრამ მკითხველს მაინც არ რჩება შთაბეჭდილება, რომ ფატმანის სექსუალური სურვილები ზღვარდაუდებელია. ამის მიუხედავად,

უნდა ითქვას, რომ პირველ ტერცეტში გამოხატული განწყობა ნასაზრდოებია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფით, რომელიც მოთავსებულია თავში „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება“. რუსთველი ამბობს, უმჯობესია დიაცისაგან შორს ყოფნა, რადგან:

„გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,

მართ ანაზდად გილალატებს, - გაჰკვეთს, რასცა დაესობის“(1069).

სწორედ ამ სტრიქონებითაა დავალებული ტიცინის ტაევი: *„სულსაც მიინდობს, რომ ლალატით შემდეგ დაღადროს.“* როგორც აღვნიშნე, რუსთველის ფატმანი ამბივალენტურია და ტიცინის ფატმანის სახეში კი გარკვეულწილად ცალმხრივობა შეინიშნება. ამ ფაქტს უკეთ გაგვაზრებინებს ფატმანის არქექტივის გახსენება. ზაზა ხინთიბიძე სტატიაში „იყო თუ არა ჰომეროსის ეპოსი ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო რუსთველისთვის?!“ ასაბუთებს, რომ ფატმანის სახე ჰომეროსის კირკეს რეცეფციითაა შექმნილი[ხინთიბიძე, 2011:267-278]. კირკე, რომელიც გრძნეული ღვთაებაა, ჰომეროსის ეპოსში ავლენს ხასიათის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებს. მიუთითებენ, რომ მოგვიანო ხანის ავტორები კირკეს სახეს ცალმხრივად წარმოაჩენენ, მაგალითად, აპოლონიოს როდოსელთან იგი დადებითი ფუნქციითაა, ხოლო ვერგილიუსსა და ოვიდიუსთან უარყოფითად ხასიათდება. გარდა ამისა, კირკეს სახემ მოგვიანებით დემითოლოგიზაციაც განიცადა და გრძნეული ქალღმერთი ზოგიერთ ავტორთან (მაგ., ჰერაკლიტოს პარადოქსოგრაფოსთან) ჰეტერად იქცა, მის სახეში ეროტიკულ-სექსუალური მოტივი გახდა წამყვანი [ერქომაიშვილი 2002:137]. ვფიქრობ, ტიცინის ფატმანის სახეშიც შესამჩნევია როგორც რუსთველის ფატმანის წინასახე (კირკე), ისე ჰეტერას არქექტივი — სონეტში მის ქმარშვილიანობასა და „მეოჯახეობაზე“ სიტყვაც არაა თქმული.

ტიციან ტაბიძის ლექსის ვალერი ბრიუსოვის შემოქმედებასთან მიმართებას რომ დავუბრუნდეთ, ჩემი აზრით, ცისფერყანწელის ეს სონეტი დაწერილია რუსული კულტურის მიმართ უპირატესობის შეგნებით. კერძოდ, ტიცინ ტაბიძე მიიჩნევს, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ძველ პოეზიასთან კავშირი გაწყდა. ბესიკი „კრაზანებმა“ გააგდეს ქართული ბალიდან. ცისფერყანწელს თერგდალეულთა დაპირისპირება წინა თაობასთან „ძველი ქართულის და ახალი რუსულის იდეოლოგიების“ ბრძოლად წარმოუდგენია. ტიცინის სიტყვებით: *„თანდათან მაგრდება ჩვენში გავლენა რუსული ხელოვნების, რომელსაც შორეული კავშირი ქონდა ნამდვილ ხელოვნებასთან და არაფერი საერთო არ ქონია კერძოთ ქართულთან“*[ტაბიძე, 1916:13]. ეს ერთგვარი შეუთავსებლობა

ჩანს არა მხოლოდ მე-19 საუკუნის რუსული მწერლობის, არამედ რუსი სიმბოლისტების მიმართაც: „რუსის სიმბოლისტებმაც გაათავეს ისევ „კალმეკური ხლისტობით“ [ტაბიძე, 1916:13]. ტიცვიანი რუსული ხელოვნების „საბედისწერო ბედი“ ახსნას ცოტა ძუნწად და მცირედი ბუნდოვანებით გვთავაზობს, მაგრამ, ვფიქრობ, სათქმელი მაინც აშკარაა. როგორც იგი წერს, საბედისწერო ბედი გამოწვეულია რუსეთის არასახარბიელო კულტურული წარსულით და ფიქრი იმისა, რომ „რუსეთი მაინც აღადგენს ელინიზმს და რუსული კულტურა შეიქმნება „სობორული“, ფუჭია, რადგან წარსული ბურუსის განჭვრეტის შედეგად ელინური კულტურა კი არა, ყვითელი მონგოლები მოჩანან [ტაბიძე, 1916:13-14]. უპირატესობის შეგნება, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი, მდგომარეობს იმაში, რომ ტიცვიან ტაბიძეს, რუსებისგან განსხვავებით, საკუთარ წარსულში ეგულება აღორძინების პოტენციალი და არ სჭირდება ელინური კულტურისა თუ ელინიზმის, ჰეტერებისა თუ კლეოპატრას, პოეტიზაცია. საქართველო საკუთარი მწერლობის რენესანსს ვერ დაუკავშირებს რუსეთს, იმ კულტურულ გარემოს, რომელიც წარსულისათვის „ცბიერი რიდის“ მოცილების შემდგომ აღორძინებისათვის საგულისხმოს ვერაფერს დაინახავს. ცისფერყანწელის თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანია“ ის ტრადიცია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ქართული რენესანსი. სწორედ ამ იდეის ხორცშესხმას წარმოადგენს სონეტი „ჭატმან-ხათუნ“.

კვლევა (PHDF-21-914) ხორციელდება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

[1] ტიცვიანამდე ფატმანის „რეაბილიტირებას“ თუ „გამართლებას“ ვხვდებით ჭოლა ლომთათიძის მოთხრობაში „უბის წიგნიდან“: „*მე ვიცნობ ფატმანს და მიყვარს მე ის... და ამასთან იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ცოტათი უსამართლოდ არ მოპყრობოდეს მას ჩვენი დიდი პოეტი... მაშ რა ქნას ამ სისხლითა და ხორციით სავსე ქალმა, თუ ქმარი არ შეხვდა შესაფერი!.. უსამართლობაა, როცა ნესტანისა და თინათინის სხივში უნდათ გააქრონ ფატმანი, დიდი უსამართლობაა...*“

(http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/chola_lontatidze/ubis%20cignidan.pdf)

[2] ვსარგებლობ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნით: ტიცვიან ტაბიძე, წიგნი I, პოეზია, თარგმანები, თბილისი, 2015.

[3] სონეტის სათაური წერილში ასეთი მართლწერითაა. სტატიაში ლექსის სათაურის ყველა მართლწერა ტიცვიანისეულია.

[4]ამ მხრივ საინტერესოა ვალერიან გაფრინდაშვილის შენიშვნა: „არცერთ პოეზიაში არ არის იმდენი მრავალსახეობა სონეტისა, როგორც ჩვენს პოეზიაში. გადაბრუნებული — ყირამალა სონეტი, კოჭლი სონეტი, ტიპიურია ჩვენი პოეზიისთვის. ჯერ არ არის ქართულ პოეზიაში „სონეტების გვირგვინი“ [გაფრინდაშვილი, 2011:19].

[5]<https://fantlab.ru/work1274016>

[6]ქართული ენის არცერთი ლექსიკონი არ იცნობს ამ ფორმას. განმარტებით ლექსიკონში გვხვდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ასარკავს, ასარკდება, გადაისარკება, ამოსარკული, ასარკვა, ასარკული, გაისარკება, გადასარკვა, გადასარკული, გასარკავს, გასარკვა, დასარკული.

[7]ტენდენციის უკეთ გასააზრებლად მოვიყვან ივანე გომართელის სიტყვებს, რომელსაც წერს 1902 წელს გაზეთ კვალში: „ყოველგვარი დაწესებულება, რომელიც ადამიანში ავითარებს ეგოისტურ გრძნობებს, მარტო თავის თავისთვის ზრუნვის აუცილებლობას.. დღეს დროს გადასულ და მავნე დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს, ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიც“ [გომართელი, 1966:284].

[8]ქართულ ლიტერატურაში ახალი ტენდენციის შესახებ ჯერ კიდევ ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა 1915 წელს: „ტრადიცია, ზნეობა, და ყველა მათი მსგავსი, ერთი დაკვირვებით მთლად დაილეწება, და მარად მღვიძარე მადა ადამიანისა, კვლავ ხორცს შემოველება ვნების სუროდ. შოთას „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი, ნურვინ გარევთ ერთმანეთში, გესმისთ ჩემი ნაუბარიო,“ არ ისმინა შ. არაგვისპირელმა, არ მიიღო, და შოთას ჰაეროვან — ტურფა მიჯნურობას ამგვარი წინააღმდეგი სახე დაუყენა: „მხოლოდ ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი, არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგებაო“ [კოტეტიშვილი, 1915:6].

[9]ამ ე. წ. წუთის ფილოსოფიის უკიდურესი გამოვლინება ცნობილია „ჭიქა წყლის თეორიით“, რომლის კარგი ილუსტრაციაა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოები „პირველი დედა“ [კუპრეიშვილი 2019:46, 50].

[10]„ვეფხისტყაოსანს“ ვიმოწმებ შემდეგი გამოცემიდან: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1966 (სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი).

ლიტერატურა:

ბაგრატიონი ა. წყობილსიტყვაობა. თბილისი.1980

ბარამიძე ალ. ფატმანის სახის გარშემო // ლიტერატურის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია: მოხსენებათა თეზისები.1979

ბარბაქაძე თ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა და გმირთა სახეების ინტერპრეტაცია თანამედროვე ქართულ ლირიკაში // VI საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012

ბარბაქაძე თ. სონეტი საქართველოში. ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში : ნაწილი 1. თბილისი. 2018

ბარბაქაძე თ., შამანიძე შ. ბენედიქტ ლედებურის სონეტების გვირგვინი „ქარის წისქვილი“ ქართულად // ლიტერატურული ძიებანი. XL. 2019-2020

ბრიუსოვი ვ. Стихотворения 1909-1917: Том 2. 1973

გაფრინდაშვილი ვ. სონეტის პრობლემა: 1910-1920-იანი წლების ჟურნალები: მეორე წიგნი. თბილისი.2011

გომართელი ივ. რჩეული თხზულებანი ორ ტომად: ტომი 1. თბილისი, 1966

გორელიკი ბ. მ. „Неназванная“ муза Валерия Брюсова. Южноафриканский эпилог // Литературный факт. № 3 (17). 2020

დოიაშვილი თ. კადნიერი ინტენცია. გალაკტიონოლოგია: IV. თბილისი, 2008

ერქომაიშვილი მ. კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში. თბილისი, 2002

კარბელაშვილი მ. ქალის კონცეპტი „ვეფხისტყაოსანში“ ევროპული კონტექსტით // რუსთველოლოგია: VIII. თბილისი, 2017

კოტეტიშვილი ვ. შავი წიგნი // თეატრი და ცხოვრება. #17. 1915

კუპრეიშვილი ნ. ეროსიდან ეროტიზმამდე. 2019

ლეთოდიანი გ. ფატმანის სახის რემინისცენცია ტიცთან ტაბიძესთან // რუსთველოლოგია: VIII. თბილისი, 2017

მელნიკოვა ს. გ. Фантастический Кабачек. Тифлис. 1917, 1918, 1919

მიქაძე გ. ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან. თბილისი, 1974

რობაქიძე გრ. ქართული მოდერნიზმი: ომი და კულტურა, 2014

ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანწებით“. ცისფერი ყანწები: 2. ქუთაისი, 1916

ტაბიძე ტ. პოეზია, თარგმანები: წიგნი I. თბილისი.ლიტერატურის მუზეუმი. 2015

ცისფერყანწელები. მიმოწერა. წიგნი 1. თბილისი, 2018

წერეთელი აკ. „სამი ლექცია „ვეფხვის-ტყავოსანზე“. აკაკის კრებული. VI, 1898

წერეთელი აკ. თხზულებათა სრული კრებული. XII. საბჭოთა საქართველო. თბილისი, 1960

წერეთელი აკ. თხზულებათა სრული კრებული. XIII. საბჭოთა საქართველო. თბილისი, 1961

ხინთიბიძე აკ. ქართული ლექსის ისტორია და თეორია. თბილისი, 2009

ხინთიბიძე ზ. იყო თუ არა ჰომეროსის ეპოსი ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო რუსთველისათვის. მეხუთე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. გვ. 267-278. თბილისი, 2011

ხომალდელი ბიბლიოგრაფია. ხომალდი. # 4-5, 1922

სოფიო მენტეშაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ დღემდე შეუსწავლელი ხელნაწერი – A-627

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ დოგმატური ხასიათის თხზულებაა, რომელშიც დიალოგის, კითხვა-პასუხის ფორმით გადმოცემულია ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმატები და განკუთვნილია ყრმათა და უსწავლელ ბერთა კატეხიზაციისთვის.

თხზულების ტექსტოლოგიური პრობლემატიკა შეისწავლა ივანე ლოლაშვილმა. მკვლევარმა გამოავლინა ტექსტის შემცველი 21 ხელნაწერი [ლოლაშვილი, 1959: 105-106] და გამოყო ოთხი რედაქცია, რომლებიც შესაბამისი ლიტერებით აღნიშნა:

A რედაქცია – ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული რედაქცია (S-2951; 1790 წ.)

- B რედაქცია – ავტოგრაფული რედაქცია (A-303; 1701 წ.)
- E რედაქცია – ნიკოლოზ ორბელიანისეული რედაქცია (H-581; 1725-1729 წწ.)
- T რედაქცია – ვახუშტი ბატონიშვილისეული რედაქცია (H-108; 1750 წ.)

საგულისხმოა, რომ რედაქციათა შორის სხვაობებს დოგმატური საფუძველი¹ აქვს: B რედაქცია გამოხატავს კათოლიკურ პოზიციას სულიწმინდის გამომავლობისა და პაპის უზენაესობის შესახებ, E და T რედაქციებში ჩანს მართლმადიდებლური დოგმატური პოზიცია, A რედაქცია კი „კონფესიურად ნეიტრალურია“.²

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რედაქციებს შორის არსებული უმთავრესი სხვაობები.

N1

B რედაქცია	A რედაქცია	E რედაქცია	T რედაქცია
1. „ოდეს იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სული წმიდა, რამეთუ მამა	1. „ოდეს იყო მამა, მაშინ ძე და მაშინ სული წმიდა, რამეთუ მამა უშობელ არს, ძე –	1. „ოდეს იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სული წმიდაა, რამეთუ მამა	1. „ოდეს იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სული წმიდა. მამა უშობელ არს, ძე – მამისაგან შობილი და

<p>უშობელ არს, ხოლო მე – მამისაგან შობილ და სული წმიდა – მამისაგან და ძისაგან გამოსული“.</p>	<p>შობილ და სული წმიდა – გამოსულ“.</p>	<p>უშობელ არს, ხოლო მე – მამისაგან შობილ, და სული წმიდა – მამისაგან გამოსრულ“.</p>	<p>სული წმინდა – მამისაგან გამოსული“.</p>
<p>2. „მ.:³ ვინ დაადგინა რომის პაპი ეკლესიის თავად? ყ.:⁴ თვით ქრისტემან, ოდეს ჰრქვა პეტრეს მათეს სახარების ივ თავსა შინა: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა ბჭენი</p>	<p>2. მუხლები რომის პაპის უზენაესობის შესახებ ამოღებულ ია.</p>	<p>2. მუხლები რომის პაპის უზენაესობის შესახებ ამოღებულ ია.</p>	<p>2. „მ.: ვინ განაჩინა ეკლესიისა მორჩილება ...? ყ.: თვით ქრისტემან, ოდეს რქვა პეტრესა და პირსა შინა პეტრესსა – ყოველთა მოციქულთა(...) მათეს მე-16 თავსა შინა: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან“.</p>

<p>ჯოჯობეთისა ნი ვერ ერედიან“.</p>			
--	--	--	--

თხზულების ოთხი ძირითადი რედაქციიდან ამოსავალია B რედაქცია, რომლის რედაქტირების შედეგად წარმოიშვა E და T რედაქციები. რაც შეეხება A რედაქციას, მიუხედავად იმისა, რომ, ივანე ლოლაშვილის აზრით, ისიც საბას ხელიდანაა გამოსული, მისი და B რედაქციის ტექსტების შედარება აჩვენებს, რომ, დიდი ალბათობით, ჩაჩიკაშვილისეული ვერსიაც (A), სხვათა მსგავსად, ავტოგრაფული რედაქციის (B) საფუძვლიანი გადაკეთების შედეგი უნდა იყოს.

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის კიდევ ერთი მკვლევარი, მერაბ ლაღანიძე, ერთ-ერთ სტატიაში „სამოთხის კარის“ შესახებ წერს: „არც ისე დიდი ხნის წინათ, ..., გაკვრით გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, არსებობდეს „სამოთხის კარის“ კიდევ ერთი, მეხუთე რედაქცია, ... რომელიც მზეჭაბუკ ორბელიანს შეუქმნია ... საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა „სამოთხის კარის“ არც ეს შესაძლო უცნობი რედაქცია, რომელიც მოთავსებულია თხზულების კვლევისას აქამდე გაუთვალისწინებელ ხელნაწერში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-627) და არც ამ რედაქციის მიმართება დანარჩენ, აქამდე ცნობილ რედაქციებთან“⁵ [ლაღანიძე, 2009: 147]. თავის მხრივ, მ. ლაღანიძე ეყრდნობოდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილის ცნობას A-627-ში მზეჭაბუკ ორბელიანისეული ტექსტის არსებობის შესახებ [კოჭლამაზაშვილი... 1999: 162].

კვლევის მიზანია, წინარე ტექსტოლოგიური კვლევებისას აქამდე გაუთვალისწინებელ ხელნაწერში (A-627) დაცული ტექსტისა და არსებული რედაქციების ურთიერთმიმართების დადგენა. საამისოდ გამოყენებულია ემპირიული (ხელნაწერი ტექსტის გადმოწერა), კომპარატივისტული (რედაქციათა ურთიერთმიმართების კვლევა), ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

A-627 სასულიერო თხზულებათა კრებულია, რომელიც 1758-1760 წლებით თარიღდება. გადაწერილია მხედრულად მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ.

საინტერესოა, რატომ არ იყო ეს ხელნაწერი გათვალისწინებული ივანე ლოლაშვილის ფუნდამენტურ კვლევაში. საფიქრებელია, ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ A ფონდის ხელნაწერთა

ნაწილის ქართულენოვანი აღწერილობა დღემდე არ არის გამოცემული. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ხელნაწერთა რუსულენოვანი აღწერილობა ჯერ კიდევ 1902 წელს, ანუ ივანე ლოლაშვილის მონოგრაფიის გამოცემამდე 57 წლით ადრე, გამოსცა თედო ჟორდანიამ.⁶ მასში შესულია A-627-იც. როგორც ჩანს, ივანე ლოლაშვილი არ იცნობდა ამ შრომას. სხვაგვარად აუხსენელია, რატომ არ უნდა გაეთვალისწინებინა 21 სხვა ხელნაწერთან ერთად ეს ხელნაწერიც.

ხელნაწერზე დართულ ანდერძში ნათქვამია:

„ესე სარწმუნოების წიგნი ბატონის საბა ბიძის ჩემისაგან გაკეთებული იყო და მე, მზეჭაბუკ ორბელიანმან, ვინადგან ვიხილე რა ესე, რამეთუ იყო ახლსა(!) კმასა ზედა ნამოდღვრის, რაოდენსაცა ჩემი უმეცარი გონება მისწვდებოდა, დავშვერ და განვმარე(!) მართალსა სარწმუნოებასა ზედა, ხოლო რომელიცა საზოგადო იყო და მართლმდღეობა, მივიღე იგი და შემოვკრიბე, ხოლო რომელიცა სახლ-მტყუარისა და საცთურ მექონ იყო, განვყარე იგი და მტერითგან მაცხოვარება მოვსთვალ“.

აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც თხზულების გადამწერი/რედაქტორი ანდერძში აღიარებს, რომ ტექსტი მის მიერაა გადაკეთებული და საბას ხელიდან გამოსულად არ მოიხსენიებს. აქედან ვიგებთ, რომ მზეჭაბუკ ორბელიანს რედაქტორული მუშაობა ჩაუტარებია და ტექსტი გაუწმენდია „მართალი სარწმუნოების“ საწინააღმდეგო დებულებებისგან, როგორც თვითონ ამბობს, „საცთურებისაგან“ – მან „ახალ ხმასა ზედა ნამოდღვრი“ განმარტა მართალი სარწმუნოების მიხედვით, საცდური და „სახლ-ნატყუარი“ განაგდო და დატოვა „საზოგადო და „მართლმოდღვრება“.

საინტერესოა, კონკრეტულად რა ცვლილებები შეიტანა მზეჭაბუკ ორბელიანმა თხზულების ტექსტში და რომელი რედაქციებით ისარგებლა?

ამის დასადგენად განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

1. მზეჭაბუკისეულ ვერსიასა და არსებულ რედაქციებში გამოვყავით და ერთმანეთს შევადარეთ რედაქციული სხვაობების შემცველი მუხლები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ მზეჭაბუკისეული ტექსტი ნამდვილად მართლმადიდებლური თვალსაზრისითაა ნასწორები.
2. A-627-ში დაცული ტექსტი ასევე შევადარეთ მართლმადიდებლური თვალსაზრისით ნასწორებ დანარჩენ რედაქციებს: E-სა და T-ს.

3. მზექაბუკისეულ ვერსიაში პაპის უზენაესობის დოგმატის წინააღმდეგ პოლემიკის არარსებობამ ცალსახად გამოავლინა სხვაობა მასა და ვახუშტი ბატონიშვილისეულ T რედაქციას შორის, რის გამოც A-627-ის ტექსტი დეტალურად შევადარეთ E რედაქციას.

4. მზექაბუკისეული ტექსტისა და E რედაქციის შედარებამ ცხადყო, რომ მასში სწორედ E რედაქციის მსგავსადაა გადაწყვეტილი ძირითადი დოგმატური საკითხები: ერთი მხრივ, სულიწმინდის მამისაგან გამომავლობაა ხაზგასმული, მეორე მხრივ კი, ამოღებულია რომის პაპისადმი მორჩილების მუხლები და იგი ოთხი პატრიარქისადმი მორჩილების ქადაგებითაა შეცვლილი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (N2) წარმოდგენილია პარალელური ადგილები ნიკოლოზ ორბელიანისეული (E) და მზექაბუკ ორბელიანისეული ვერსიებიდან.

N2

ნიკოლოზ ორბელიანისეული რედაქცია (H-581)	მზექაბუკ ორბელიანისეული ვერსია (A-627)
1. „ოდეს იყო მამა, მაშინვე – ძე და მაშინვე – სული წმიდაა, რამეთუ მამა უშობელ არს, ხოლო ძე – მამისაგან შობილ, და სული წმიდაა – მამისაგან გამოსრულ“.	1. „ოდეს იყო მამა, მაშინვე – ძე და მაშინვე – სულიწმინდა, რამეთუ მამა უშობელ არს, ძე – მამისაგან შობილი და სული წმინდა – მამისაგან გამომავალი“.
2. „ოდესცა იქმნა სული ჩვენი, მუნთუქესვე – გონება, სიბრძნე და სიტყვა, რამეთუ გონებისაგან იშვების სიბრძნე და გონებისა და სიბრძნისაგან გამოვალს სიტყვა“.	2. „ოდესცა იქმნა სული ჩვენი, მუნთუქესვე – გონება, სიტყვა და სული, რამეთუ გონებისაგან იშვების სიტყვა და სულიცა გონებისაგან გამოვალს“.
3. „ვინათგან შეიყვარა ქრისტემან სძალი თვისი წმიდაა ეკლესია და ბრძანა ერთი შესაკრებელი ყოველთა	3. „მე ესეც მრწამს, რომ ეკლესია ერთი არის, რომელ არს შემოკრება ყოველთა მართლმორწმუნეთა ქრისტანთა (sic!),

მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, და რომელმანცა ნათელ-იღოს და რწმენეს მართალი სარწმუნოება იესო ქრისტესი, მათგან ჯერ-არს მორჩილება წმიდათა ოთხთა პატრიარქთა კონსტანტინეპოლეს ხარისხითა მსხდომარეთა“.	რომელნიც ნათელ ღებულ არიან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა და ქვეყანაზე ემორჩილებიან ოთხთა პატრიარქთა, ვითარცა ქრისტესა მაგიერთა“.
---	---

საყურადღებოა ცხრილში მოცემული მე-2 მუხლი, რომელიც საინტერესო სურათს გვიჩვენებს. სავარაუდოდ, ეს მუხლი E რედაქციაში შემთხვევით ჩარჩა, რადგან მასში სულიწმინდის გამომავლობის კათოლიკური დოგმატია გადმოცემული. მუხლში გადატანილი მნიშვნელობითაა საუბარი მამაზე, ძესა და სულიწმინდაზე: „გონებისაგან იშვების სიბრძნე და გონებისა და სიბრძნისაგან გამოვალს სიტყვა“ (აქ „გონება“ მამაა, „სიბრძნე“ – ძე, „სიტყვა“ კი – სულიწმინდა. გამოდის, რომ მამისგან იშვება ძე, მამისა და ძისაგან კი – სულიწმინდა). მზექაბუკთან ეს ადგილიც მართლმადიდებლური თვალსაზრისითაა გასწორებული: „გონებისაგან იშვების სიტყვა და სულიცა გონებისაგან გამოვალს“ (ანუ მამისაგან იშვება ძე და სულიწმინდაც მამისაგან გამოდის).

გარდა ამისა, მზექაბუკისეული ვერსიისა და E რედაქციის შედარების საფუძველზე გაირკვა, რომ B რედაქციასთან ერთად, მზექაბუკს ნიკოლოზ ორბელიანისეული რედაქციითაც უნდა ესარგებლა. ამას ადასტურებს ტექსტის ის მონაკვეთები, რომლებიც B რედაქციიდან გადახვევის დროს ზუსტად მიჰყვება E რედაქციის ტექსტს. მაგალითად, იქ, სადაც შვიდ საიდუმლოზეა მსჯელობა, E რედაქცია გარკვეულ განსხვავებებს აჩვენებს. კერძოდ, თავდაპირველად B-ს მსგავსად ასახელებს შვიდი საიდუმლოს რიგითობას, მათი განმარტებისას კი, რატომღაც, ადგილებს უცვლის რამდენიმე საიდუმლოს და არღვევს B რედაქციაში არსებულ რიგითობას (მაგალითად, მეხუთე საიდუმლოდ ასახელებს მღვდლის კურთხევას, როდესაც რიგით მეხუთე B-ში ზეთის კურთხევას; მეექვსე საიდუმლოდ სახელდება ქორწინებას, როდესაც B-ში ამ ადგილას მღვდლის კურთხევას; მეშვიდე საიდუმლოს უწოდებს სნეულის ზეთის კურთხევას, როდესაც B-ში აქ ქორწინებაა). მზექაბუკისეულ ტექსტში საიდუმლოთა რიგითობა ზუსტად ემთხვევა E-ში მოცემულ თანმიმდევრობას. ცხადია, ამას უბრალო დამთხვევას ვერ მივაწერთ, რადგან შეუძლებელია ამ ტიპის ცვლილებები ორივე ტექსტში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომხდარიყო.

იშვიათად, თუმცა მაინც არის საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც მზექაბუკისეული ტექსტი B-ს უჭერს მხარს და არა – E-ს. ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოთქმული ამყარებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ A-627-ის ტექსტი, B რედაქციის გარდა, იცნობს და სარგებლობს E რედაქციითაც.

ჩნდება კითხვა: თუკი მზექაბუკ ორბელიანს B-ს სწორებისას მართლმადიდებლურად უკვე ნასწორები E რედაქცია წინ ედო, რატომ ამბობს თავის ანდერძში, რომ „ფრიად დაშვრა“, რათა საბასეული ტექსტი გაემართა?

გასათვალისწინებელია, რომ არც ერთი სხვა დანარჩენი რედაქციის ანდერძის ავტორი თავისი რედაქტორული საქმიანობის შესახებ სიმართლეს არ ამბობს. მათი ანდერძების მიხედვით გამოდის, რომ ყველა ვერსიის ავტორი თავად სულხან-საბაა, რაც, ცხადია, სიმართლეს არ შეესაბამება. მზექაბუკმა ორი რედაქციის კომპილაციით შექმნა თავისი ვერსია, რომელიც, სხვათა შორის, გარკვეული ენობრივი თავისებურებებითაც გამოირჩევა. ტექსტში ჩანს არქაული ენობრივი ფორმების გათანამედროვეებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამარტივების ტენდენცია, თუმცა, ამის მიუხედავად, მთლიან ტექსტში მაინც ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი ფორმები დომინირებს.

საბოლოოდ, კვლევის ძირითადი დასკვნები ასეთია:

„სამოთხის კარის“ მზექაბუკ ორბელიანისეული ვერსია ერთადერთი ტექსტია, რომლის ანდერძშიც გადამწერი/რედაქტორი აღიარებს, რომ მან გადააკეთა და „გამართა“ სულხან-საბას შრომა (ყველა სხვა შემთხვევაში ანდერძების ავტორები ამტკიცებენ, რომ ტექსტი სულხან-საბას ხელიდანაა გამოსული);

- A-627-ში დაცული ტექსტი მართლმადიდებლური თვალსაზრისით ნასწორები ტექსტია, რადგან უმთავრესი საკითხები სწორედ მართლმადიდებლური დოგმატური პოზიციიდანაა გადაწყვეტილი, ამასთანავე, ის ყველაზე ახლოს დგას ნიკოლოზ ორბელიანისეულ E რედაქციასთან, სხვა რედაქციებისგან კი მეტ-ნაკლებად განსხვავდება;
- A-627-ში არსებული ტექსტის B და E რედაქციებთან შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ მზექაბუკ ორბელიანს უნდა ესარგებლა როგორც უშუალოდ ავტოგრაფული (B), ისე ნიკოლოზ ორბელიანისეული (E) რედაქციითაც;
- უშუალოდ E რედაქციასთან მიმართებით ტექსტი არ იძლევა ისეთ კონცეპტუალურ განსხვავებას, რომ ის დამოუკიდებელ რედაქციად მივიჩნიოთ.

[1] იგულისხმება დოგმატები სულიწმინდის გამომავლობისა და პაპის უზენაესობის შესახებ. როგორც ცნობილია, მართლმადიდებლობა აღიარებს სულიწმინდის მამისაგან გამომავლობას, ხოლო კათოლიციზმი მიიჩნევს, რომ იგი გამოდის მამისაგან და ძისაგან. გარდა ამისა, კათოლიციზმის მიხედვით, პაპი დედამიწაზე ქრისტეს მონაცვლე და მისი ერთადერთი მემკვიდრეა, რის გამოც საეკლესიო და ზნეობრივ საკითხებში უცდომელია, რასაც არ აღიარებს მართლმადიდებლობა.

[2] ივანე ლოლაშვილის ტერმინი

[3] მოძღვარი

[4] ყრმა

[5] ხაზგასმა ეკუთვნის სტატიის ავტორს.

[6] იხ.: Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства, составленное Ф. Д. Жордания, Кн. 2, Церк. музей, N9, Тифлис, 1902.

ლიტერატურა:

კოჭლამაზაშვილი ე., ღამბაშიძე ა. ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი. მრავალთავი // ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი: ტომი XVIII / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი, 1999

ლოლაშვილი ი. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713 წწ.) / საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 1959

ღაღანიძე მ. „სამოთხის კარის“ ტექსტის ისტორია: წყაროები, რედაქციები, კონფესიური პოზიციები. სულხან-საბა ორბელიანი – 350. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2009

ხვთისო მამისიმედიშვილი

აფხაზური მისტიკის რეპრეზენტაცია გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის იდუმალება, ბუნდოვანება და სიმბოლური მხატვრული სახეებით მეტყველება. ეს სახე-სიმბოლოები ავტორის პოეტური შთაგონების ნაყოფია და ნაწილიც ხალხური სიტყვიერებიდან იღებს სათავეს. მათი გაგებისა თუ გააზრების გარეშე შეუძლებელია გალაკტიონ ტაბიძის „მოჯადოებულ პოეზიის სასახლეში“ შებიჯება. თუმცა გ. ტაბიძის ლექსების შეცნობა და პოეტის შემოქმედებით სამყაროსთან ზიარება, მის პოეზიას იდუმალებას მაინც არასოდეს დაუკარგავს. „ის დარჩება ისეთივე საიდუმლოდ, როგორიც იყო“ [კიკნაძე, 2015: 208].

გ. ტაბიძის უაღრესად მდიდარი და მრავალსახოვანი პოეზიის შესასწავლად ერთ-ერთ გასაღებს სწორედ ფოლკლორული შემოქმედება წარმოადგენს. პოეტი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ხალხურ სიტყვიერებასა და ხალხურ რიტუალებს. გ. ტაბიძის პოეზიაში ფოლკლორული მოტივების მკვლევარი ა. სპარსიაშვილი აღნიშნავს, რომ „გალაკტიონ ტაბიძე ის შემოქმედია, ვისი ლირიკაც ეროვნული ხალხური შემოქმედების პურიტა და მარილით არის ნასაზრდოები“ [სპარსიაშვილი, 1989: 5]. პოეტის ლირიკაში უხვად ჩნდება სხვადასხვა შინაარსის არაერთი ფოლკლორული ელემენტი და სიმბოლო, რომლებიც ლექსებში ძირითადად წარმოდგენილია ალუზიებისა და პოეტური რემინისცენციების სახით. გ. ტაბიძე ხალხურ ნაწარმოებებსა თუ რიტუალებთან დაკავშირებული ამ ბუნდოვანი მინიშნებებით ქმნის პოეტურ ასოციაციას და მათ იყენებს მთავარი სათქმელის გამოსახატად.

ფოლკლორული წარმომავლობის სახე-სიმბოლოების სიმდიდრით გამოირჩევა გ. ტაბიძის ოთხსტროფიანი ლექსი „პირველ თაველებს“, რომელიც პოეტის შემოქმედების ხალხურ ტრადიციასთან კავშირს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ლექსი გაჯერებულია მითოლოგიური სიმბოლიზმის შემცველი ტაეპებით: „პირველი თაველების დღესასწაული“, აივნების ყვავილებით მორთვა, ღამით ტყეში ნუგეშის ყვავილის ძებნა, მთებში განძის ძიება, დილით ირმების ჯირითით დევნა და სხვ. პოეტი ლექსის დასაწყისში ვარდებით მორთულ-მოკაზმული აივნების ჩვენებით ქმნის საზიემო და სადღესასწაულო განწყობას:

„ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს

მოსასწაულე ვარდთა დაგებით,

აივნებს მალე აყვავილებს

რტოების ნოხი და ფარდაგები“ [ტაბიძე 2014: 200].

პირველი სტროფი ლექსის ერთგვარ ექსპოზიციურ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც სიტყვების „ვდღესასწაულობთ“ და „მოსასწაულეს“ მონაცვლეობა მკითხველს სასწაულის მოლოდინითა და საზეიმო, ამაღლებული განწყობით აღვსებს. ცხადია, რომ ლექსი მითოლოგიებით საკრალურ დროს, რომელიც მივიწყებულ დღესასწაულსა და საიდუმლო რიტუალს ასახავს. გ. ტაბიძემ „პირველ თაველებს“ ზამთარში, 1920 წლის 12 დეკემბერს, დაწერა, მაგრამ იგი ეხება პირველყვავილობას, ბუნების ძალთა აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულს. პოეტურ ნაწარმოებში მნიშვნელოვან ეფექტს ქმნის დღესასწაულისთვის დამახასიათებელი გუნდური ელემენტი, რადგან მასში გუნდ-გუნდად მონაწილეობენ ქალები და ვაჟები. საგულისხმოა, რომ „პირველ თაველებს“ რიტუალური პროცესის მხოლოდ ნაწილს - ღამისა და განთიადის მსვლელობას წარმოგვიდგენს. ისევე როგორც საიდუმლო რელიგიურ რიტუალს ახასიათებს, ლექსშიც ქალებისა და ვაჟების როლი დიფერენცირებულია: დღესასწაულის წინა ღამეს ქალები ნუგეშის ყვავილის საძებნელად ტყეში მიდიან:

„ქალები ღამით წავედით ტყეში,

თვალეებში ფეთქდა ელვა წყაროთა,

ყვავილს, რომელსაც ჰქვია - ნუგეში,

ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა“ [ტაბიძე, 2014: 200].

სტროფში გაჟღერებული მეტაფორით - „თვალეებში ფეთქდა ელვა წყაროთა“ - გ. ტაბიძე დღესასწაულის სიწმინდეზე, მედლეობეთა რწმენასა და უმანკოებაზე მიუთითებს. მთლიანობაში გ. ტაბიძე მისთვის დამახასიათებელი სიმბოლური მინიშნებებითა და მხატვრული ნიუანსებით ქმნის საზეიმო გარემოს და მკითხველი საკრალურ სფეროში გადაჰყავს, თუმცა დღესასწაულის დაფარულ მნიშვნელობას ავტორი ბოლომდე არ ამხელს და არ ააშკარავებს, რადგან მისტერია ისეთი საიდუმლო იყო, რომელსაც საფარველი არ უნდა ახდოდა.

ლექსის მიხედვით, საგაზაფხულო დღესასწაულის პერსონაჟ ვაჟებს საკუთარი როლი აქვთ შესასრულებელი. თუ ქალების გუნდი ტყეში ღამით ნუგეშის ყვავილს დაეძებს, ვაჟების გუნდი მთაში ხაზინის, იმავე განძის საპოვნელად მიდის:

„ვაჟნი ეძებდნენ მთებში ხაზინას,

თოფების ბოლი ცრემლებს გვადენდა“ [ტაბიძე, 2014: 200].

რა არის ნუგეშის ყვავილი, ან რა იგულისხმება ხაზინაში, განძში, რომლებსაც ღამით ქალები და ვაჟები ტყეში დაეძებენ? ნუგეშის ყვავილიც და განძიც, ორივე მხატვრულ-მითოლოგიური სიმბოლოებია. მათში რომ კაცთაგან უხილავი და უცნობი საიდუმლო მოიაზრება, ამას აკაკი წერეთლის „სულიკოც“ ადასტურებს. როგორც გ. ტაბიძის ლექსში, ასევე აკაკის „სულიკოში“ არის რაღაც „ზერაციონალური სუბსტანციის“ ძებნის მოტივი. გ. ტაბიძის ლექსში გვხვდება „ნუგეშის ყვავილის“ ძებნა, ხოლო აკაკი წერეთლის „სულიკოში“ საყვარლის საფლავის ძებნა. ორივე ლექსში დასტურდება ყვავილის, კერძოდ, ვარდის სიმბოლო. ლექსი „პირველ თაველებს“ ახსენებს მოსასწაულე ვარდებს, ხოლო „სულიკოც“ - ეკალში ამოსულ ვარდს, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი დაკარგული ღმერთის პოვნის სიმბოლოდ მოიაზრებს [ზაქარაძე, 2013: 244]. აკაკი წერეთლის ლექსში ლირიკული გმირი საყვარელს ვარდში, ბულბულსა და ვარსკვლავში პოულობს, რაც მას უდიდეს სიხარულს ანიჭებს. გ. ტაბიძის ლექსში კი მისტერიის მონაწილე ქალებს ღამით ნუგეშის ყვავილის ძებნა ახარებთ, რომელიც, როგორც აკაკისთან, ასევე გალაკტიონთან ზებუნებრივ, ზეციურ, ტრანსცენდენტურ ძალას განასახიერებს.

ლექს „პირველ თაველებს“ განსაკუთრებული საკრალიზმით მსჭვალავს განძის ძიების მოტივი, რადგან განძი მითოლოგიაში სიწმინდის უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური ტრადიციის მიხედვით, ადამიანები განძს, კერძოდ, ოქროსა და ვერცხლის საგნებს, ჯვარს, მფარველ ღვთისშვილს სწირავდნენ და ჯვრის სამსახურს ახმარდნენ. ფშავ-ხევსურული ანდრეზებიდან ცნობილია, რომ განძს ჯვარი პატრონობს და უფრო მეტიც, ზ. კიკნაძის აზრით, განძი, როგორც კვრივი მატერიის უმაღლესი გამოვლინება, ღვთისშვილის, იმავე მფარველი წმინდანის, ზეციური არსების ერთ-ერთი ნიშანიც არის [კიკნაძე A, 2016: 119]. განძი სამალავებში ინახებოდა, რადგან ის საკრალურ რეალობასა და ზეციურ არსებას განსახიერებდა და რიგითი ადამიანებისთვის დაფარული და მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო. სამალავები, რომლებსაც, გადმოცემების მიხედვით, გველი ან სხვა რომელიმე მითოლოგიური არსება იცავდა,

განძს განსაკუთრებულ იდუმალებას ანიჭებდა. კულტმსახური და მეგანძური განძს ყველას თვალწინ მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე გამოაბრძანებდა. დღესასწაულზე განძთან, როგორც თვალშეუდგამ სიწმინდესთან მიახლოვება, ტრადიციის მიხედვით, მხოლოდ განწმენდილ და ნამარხულევ მამაკაცებს შეეძლოთ. გალაკტიონის ლექსშიც ვაჟები განძის საძებნელად დღესასწაულზე მიდიოდნენ: „ვაჟნი ეძებდნენ მთებში ხაზინას“. განძისა და ნუგეშის ყვავილის საპოვნელად მთაზე პროცესიული სვლა სიმბოლურად ღმერთისკენ მიმავალ გზაზე მიუთითებს და სიწმინდის ახალ საფეხურზე გადანაცვლებას განასახიერებს.

მთა ხალხურ მითოლოგიურ ტრადიციაში სიწმინდით არის შემოსილი. მფარველ წმინდანთა და ზეციურ არსებათა საბრძანისი, კავკასიის ხალხთა ტრადიციების მიხედვით, მაღალი მთების მწვერვალებზეა აღმართული. მთა განასახიერებს ცისა და მიწის კავშირს და სამყაროს შუაგულის მითოლოგიის შინაარსსაც ითავსებს. ხოლო ის მთა, სადაც „ვაჟნი ეძებდნენ... ხაზინას“, კოსმიური მთის კონოტაციასაც შეიცავს, რადგან იქ განძი ინახება. ასეთ მთას, ხალხური მითოსური იმაგინაციით, ძირი ქვესკნელში უდგას და მისი წვერი ცას სწვდება. მითოსში მთისკენ, საკრალური სივრცისკენ მიმავალი გზა „რთულ გზად“ არის მიჩნეული, რადგან ეს არის ღმერთებისკენ მიმავალი გზა. ხოლო საკრალურ ცენტრთან მიახლოება, როგორც მ. ელიადე აღნიშნავს, არის კურთხევისა და ინიციაციის ტოლფასი [ელიადე, 2017: 38].

ქალთა და ვაჟათა გუნდი ნუგეშის ყვავილსა და განძს ტყეში ღამით დაეძებს. ძველ საბერძნეთშიც ელევსინური სადღესასწაულო პროცესიებიც ღამით ტარდებოდა, რომელიც დემეტრას მიერ ჰადესში გატაცებულ პერსეფონეს ძებნას განასახიერებდა. დიდ დღესასწაულებზე ღამის თევამ, მღვიძარებამ და ლიტანიამ ქრისტიანულ რელიგიაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ლექსის მიხედვით, როგორც ქალების, ისე ვაჟების გუნდმა ღამე თეთრად გაათია. ლირიკული გმირის სიტყვებით,

„თოფების ბოლი ცრემლებს გვადენდა,

არ დაგვასვენეს, არც დაგვაძინეს

და ასე კიდევ შემოგვათენდა“ [ტაბიძე, 2014: 200].

თოფების სროლის ცერემონია საგაზაფხულო დღესასწაულის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო და სიმბოლურად უნდა განასახიერებდეს დემონების, ათასგვარი უბედურების, ავადმყოფობისა და ცოდვების ყოველწლიურ განდევნას. მ. ელიადეს განმარტებით, დემონების

განდევნა ხმაურის, ყვირილისა და ბრაზუნის საშუალებით ცნობილი იყო მრავალი ხალხის ტრადიციაში [ელიადე, 2017: 79]. გ. ტაბიძის ლექსშიც თოფის სროლა რიტუალური ქმედების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ.

ლექსის ფინალური სტროფი ირმების დევნის პროცესს ასახავს. ირემი საკრალური ცხოველია, რომელიც მითოსში ზებუნებრივ არსებას განასახიერებს. ოსურ ეპოსში მზის ასული აცირუხსი ოქროსბეწვიანი ირმის სახით ევლინება სოსლანს და ჭაბუკი საიდუმლო გამოქვაბულთან მიჰყავს [ნართები, 1988: 143]. ირმის დევნა გავრცელებული სიუჟეტია მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში, ისევე როგორც ირმის კვალზე განძის აღმოჩენა. მცხეთელ მამასახლისთა ძმისწული ფარნავაზი, ლეონტი მროველის მიხედვით, ირემმა მიიყვანა გამოქვაბულთან, სადაც საიდუმლო საგანძური ინახებოდა. ფარნავაზისგან დაჭრილი ირემი სწორედ გამოქვაბულის სიახლოვეს დაეცა: „მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა“ [ქართლის ცხოვრება, 1955: 22]. ლექსი „პირველ თაველებს“ ფინალურ სტროფში ირმის დევნისა და დაჭრილი ირმის კვნესით გამოწვეულ განცდას გადმოგვცემს:

„ავშალეთ მთაში მტევნები ფუტკრის,

ვაჟები ირმებს სდევდნენ ჯირითით.

უცებ... მახლობლად დაჭრილი ნუკრის

მოგვესმა კვნესა და ჩვენ ვტიროდით“ [ტაბიძე, 2014: 200].

ცხადია, გ. ტაბიძის ამ პოეტური ნაწარმოების უკანასკნელი სტროფი, შეიძლება ფარნავაზის ნადირობის ერთგვარ პოეტურ რემინისცენციად აღვიქვათ, მით უფრო, რომ ლექსში გაჟღერებულია განძის ძიების მოტივი. „განძისკენ გზის გამკვალავი კი, - ზ. კიკნაძის აზრით, - არ არის უბრალო ცხოველი“ [კიკნაძე B, 2016: 22]. რადგან ირემი მითოსში ზებუნებრივ არსებებს განასახიერებს, ვფიქრობ, დაჭრილი ირმის (ნუკრის) კვნესაც, რომელიც დღესასწაულის მონაწილეებს აატირებს, საიდუმლო რიტუალის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც კვლევამ აჩვენა, გ. ტაბიძის ლექსს საფუძვლად უდევს ბუნების ძალთა აღორძინებისა და აღდგომის ძველი აფხაზური ხალხური დღესასწაული, რომელიც გაზაფხულზე იმართებოდა. აღნიშნული დღესასწაულის შესახებ პუბლიკაცია დაიბეჭდა 1871 წელს სანკტ-პეტერბურგში წიგნში: „История войны и владычество русских на Кавказе, т. I, Очерк Кавказа и народов его населяющих, кн.

II, Закавказье“. წიგნის ავტორი არის რუსი აკადემიკოსი, მეფის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი დუბროვინი. მისი ცნობით, ყოველ გაზაფხულზე მთიელი აფხაზები პირველ ყვავილობას ზეიმობდნენ. დღესასწაულის წინა ღამეს ახალგაზრდა ქალები ხუთყურა ყვავილის საპოვნელად, ხოლო ყმაწვილი ბიჭები ხაზინის საძებნელად ტყეში მიდიოდნენ (молодые люди искали кладов). ახალგაზრდა ქალებს ტყისკენ გალობითა და ღვთის დიდებით მოხუცებულ დედაკაცთა გუნდი უძღვებოდა. იმ ღამეს დღესასწაულის მონაწილენი ტყეში ატარებდნენ, ხოლო დილით, როცა მზის პირველი სხივები მთის მწვერვალებს გაანათებდა, ყველანი ღვთისადმი აღვლენილი სადიდებლებით ყვავილებით მორთულ სოფელში ბრუნდებოდნენ. მათ წინ თავზე მუხის ფოთლების გვირგვინით შემკული უხუცესი მოუძლოდათ, რომელიც საზვარაკო ირემზე იჯდა, უკან ქალები და კაცები მოსდევდნენ. ყოველ ქალს თან ყვავილი, ან ხის ტოტი უნდა მიეტანა და იმ სამსხვერპლოს ფეხით დაედო, რომელზედაც ზვარაკი უნდა შეეწირათ. შესაწირავს მოჰყვებოდა ჯირითობა და ყაბახი, და ვინც გაიმარჯვებდა, იმას სამსხვერპლოსთან მდებარე ყვავილი ერგებოდა [Дубровин, 1871: 19].

აფხაზური პირველყვავილობის საგაზაფხულო დღესასწაულის შესახებ ნ. დუბროვინის ცნობა თავის დროზე თარგმნა და თავის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში შეიტანა ი. ჯავახიშვილმა. ი. ჯავახიშვილი პირველყვავილობის აფხაზურ დღესასწაულს ხის კულტთან აკავშირებს [ჯავახიშვილი, 1928: 87], რადგან ყველგან, ძველ მითოლოგიებსა და ქრისტიანულ ტრადიციაშიც, წმინდა ადგილზე ამოსული კოსმიური, რიტუალური ხე ცისა და მიწის კავშირს გამოხატავდა.

აფხაზური თქმულების მიხედვით, პირველყვავილობის სადღესასწაულო პროცესიას, რომელიც დილით ტყიდან ბრუნდებოდა, წინ საზვარაკო ირემზე ამხედრებული უხუცესი უძღვებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზური რიტუალი იმ საკრალურ ვითარებას ასახავს, როცა მფარველ წმინდანს მსხვერპლად ირემს სწირავდნენ. ზ. კიკნაძის აზრით, „რეალობაში ირმის მსხვერპლშეწირვა არასოდეს მომხდარა, მაგრამ მოხდა ერთხელ საკრალურ ისტორიაში და ადამიანი გაოცებით იხსენებს ამ ამბავს“ [კიკნაძე B, 2016: 208]. ქართულ ფოლკლორში არის ტექსტების მთელი ციკლი, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ მოხდა მსხვერპლშეწირვის რიტუალში ეპოქალური გარდატეხა და ირმის ხარით ჩანაცვლება. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი ჯუდიჩე მილანელი იცნობს ილორის სალოცავში ირმის მსხვერპლად შეწირვის ლეგენდას. იგი ილორის წმინდა გიორგის სალოცავში ირმის ხარით ჩანაცვლების განსხვავებულ მიზეზს ასახელებს: „ამბობენ, წმინდანს ჯერ თურმე მოჰყავდა ირემი, მაგრამ ვინაიდან (ჩემი აზრით) ირემი ძნელი დასაჭერია, იგი ხარით შეცვალეს“ [დონ

ჯუზეპე... 1964: 97]. ილორის წმინდა გიორგის აფხაზები „ილირნიხას“ (ილორის ხატს, სალოცავს) უწოდებდნენ და მას, დიდრიფშნიხასთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სალოცავად მიიჩნევდნენ.

აფხაზურ პირველყვავილობის რიტუალში მონაწილე მუხის ფოთლების გვირგვინით დამშვენებული უხუცესი, ირემზე ამხედრებული, იმ ზეციურ არსებას განასახიერებს, რომელიც დღესასწაულისთვის სალოცავს სამსხვერპლო ზვარაკად ირემს უგზავნიდა.

აფხაზური პირველყვავილობის საგაზაფხულო დღესასწაული უკავშირდება წელიწადის განახლების რიტუალს, რომელიც მრავალი ხალხის ტრადიციაში ყოველ გაზაფხულზე ტარდებოდა, რადგან, როგორც მ. ელიადე აღნიშნავს, სამყარო მოითხოვს პერიოდულ განახლებას, შეკეთებასა და გამაგრებას. „სამყაროს განახლება კი შესაძლებელია მხოლოდ იმის გამოვლინებით, რაც უკვდავებმა გააკეთეს მას ჟამსა შინა შესაქმეს რომ იმეორებდნენ“ [ელიადე, 2009: 42]. მაშასადამე, სამყაროს განახლების მითიურ-რიტუალური სცენარი უდევს საფუძვლად აფხაზურ პირველყვავილობის დღესასწაულს, რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური ცერემონია. საგაზაფხულო დღესასწაულში რიტუალურად მონაწილეობდნენ ზეციური არსებები. ისინი სიმბოლურად იქ ყოფნით აკურთხებდნენ სამყაროს, რომელიც კიდევ უფრო მტკიცე და განახლებული უნდა გამხდარიყო. ამრიგად, აფხაზური პირველყვავილობის დღესასწაული ატარებდა საიდუმლო რელიგიური რიტუალის - მისტერიის - სახეს, რომელშიც იკვეთება საღვთისმსახურო მოქმედება და ამკარად ჩანს ღვთაება თუ წმინდანი, როგორც საიდუმლო რელიგიური რიტუალის პერსონაჟი. რიტუალის საშუალებით ადამიანი აწმყოში აბრუნებს მითში გადმოცემულ ამბავს. რიტუალის მონაწილე საზოგადოება იმყოფება არა ჩვენს ისტორიულ ქრონოლოგიურ დროში, არამედ ზებუნებრივ არსებათა დროში, „მას ჟამს“, როცა ყველაფერი პირველად იქმნებოდა და ყველა მოვლენა პირველად ხდებოდა. ამიტომაც ეს დრო სიწმიდით არის მოსილი. რიტუალის საშუალებით ადამიანები „აწმყოში“ იკავებენ ადგილს ზებუნებრივი არსებებისა და წინაპრების გვერდით, რაც მათ სულიერად ამაღლებს.

ნ. დუბროვინის ცნობით, აფხაზურ პირველყვავილობის დღესასწაულს ერქვა „მანიჩ-ჩეკან“ (*маныч-чекань*) [Дубровин, 1871: 19]. ამ სიტყვის ეტიმოლოგია არც აფხაზური და არც ქართველური ენების მონაცემებით არ იხსნება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სხვა ტრადიციაშიც დასტურდება დღესასწაულის სახელწოდებად ნასესხები სახელი. მაგალითად, ცნობილი ბაბილონური საგაზაფხულო დღესასწაულის - „აქითუს“ - ეტიმოლოგია არ იხსნება არც შუმერული და არც

აქადური ენის მონაცემებით. სავარაუდოდ, მისი სახელწოდება, უცხო ენიდან უნდა შესულიყო შუმერულ-აქადურ ტრადიციაში.

ბუნების ძალთა აღორძინების აფხაზური დღესასწაული ხალხური დრამის უძველეს ელემენტებს შეიცავდა და, როგორც ჩანს, მას ჰქონდა თავისი მითოლოგიური სცენარი, რომელიც თანდათან დავიწყებას მიეცა. თანამედროვე აფხაზები აღნიშნულ დღესასწაულს არ იცნობენ.

ძნელი არ არის, რომ გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“ აფხაზური პირველყვავილობის დღესასწაულის არქეტიპები დავინახოთ: 1. ორივე ასახავს პირველყვავილობის საგაზაფხულო რიტუალს, რომელსაც გ. ტაბიძე უწოდებს „პირველი თაველების“ დღესასწაულს; 2. ორივეგან ახალგაზრდა ქალები დღესასწაულის ღამეს ტყეში მიდიან; 3. აფხაზური დღესასწაულის მიხედვით, ქალების ტყეში წასვლის მიზანი იყო „ხუთყურა ყვავილის“ ძებნა; ხოლო გ. ტაბიძის მიხედვით, - „ნუგეშის ყვავილის“ პოვნა; 4. როგორც გ. ტაბიძის ლექსის, ასევე აფხაზური დღესასწაულის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ღამით ტყეში (გალაკტიონთან - მთებში) ვაჟების მიერ „ხაზინის“ ძებნა; 5. მართალია, დღესასწაულის დილის სცენა აფხაზურ რიტუალსა და გ. ტაბიძის ლექსში მეტ-ნაკლებად განსხვავდება, მაგრამ ორივეს აერთიანებს საკრალური ცხოველის - ირმის მოტივი, რომელიც ორივეგან ზეციურ არსებას, ზერაციონალურ სუბსტანციას განასახიერებს.

ამრიგად, გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“ ვხვდებით ძველი აფხაზური მისტიკის რეპრეზენტაციას, რომელსაც პოეტმა უაღრესად მაღალი მხატვრული ოსტატობით შეუნარჩუნა დღესასწაულის განწყობა, ღრმა იდუმალეობა და საკრალური დატვირთვა.

გ. ტაბიძე თავისი პოეტური შემოქმედების ადრეული პერიოდიდანვე დაინტერესდა აფხაზური ფოლკლორითა და აფხაზური ტრადიციებით. დედის ხაზით გ. ტაბიძე ენათესავებოდა აფხაზეთის მთავრებს - შერვაშიძეებს. როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისი დიდედის, გურული ქალის ბერიძის დედა შერვაშიძის ასული ყოფილა. „ამგვარადო, - წერდა თავის ავტობიოგრაფიაში გ. ტაბიძე, - ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულის და იმერელის“. გ. ტაბიძე აფხაზებს ქართველების მონათასავე ხალხად მიიჩნევდა. დიდი მგოსნის შემოქმედებაში პოპულარულია აფხაზური მოტივები. ამ თემას უძღვნა პოეტმა შემდეგი ლექსები: „აფხაზეთო, აფხაზეთო“, „ქალაქი წყალქვეშ“, „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“, „აფხაზეთის წვიმა მიყვარს“ და სხვ. როგორც გაირკვა, გ. ტაბიძეს ლექსი „პირველ თაველებს“ ასევე აფხაზურ ხალხურ მოტივებზე შეუქმნია. აფხაზურ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების თვალსაზრისით, გ. ტაბიძის ლექსი „პირველ

თაველებს“ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. აფხაზური ფოლკლორის კვლევა, სავარაუდოდ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კიდევ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოჰყვანს ნათელს.

ლიტერატურა:

ბაქრაძე ავ. სულიკო. აკაკი ბაქრაძე სკოლას. თბილისი, 2013

ელაიდე მ. მითის ასპექტები. თბილისი, 2009

ელაიდე მ. მარადიული დაბრუნების მითი. არქეტიპები და განმეორებადობა. თბილისი, 2017

კიკნაძე ზ. ცეცხლი და ბურუსი, „ვეფხისტყაოსნიდან“ „ვეფხვი და მოყმემდე“. თბილისი, 2015

კიკნაძე ზ. (A) ქართული მითოლოგია: I. ჯვარი და საყმო. თბილისი, 2016

კიკნაძე ზ. (B). ქართული მითოლოგია. II. ფარნავაზის სიზმარი. თბილისი, 2016

ნართები. ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვამ. ცხინვალი, 1988

სპარსიაშვილი ა. ფოლკლორი და გალაკტიონი. თბილისი, 1989

ტაბიძე გ. პოეზია, თბილისი, 2014

ქართლის ცხოვრება: ტ. 1 / სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1955

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია: წიგნი 1. ტფილისი, 1928

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე / იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1964

Дубровин Н. История войны и владычество русских на Кавказе. т. I. Очерк Кавказа и народов его населяющих. кн. II. Закавказье. Санкт-Петербург, 1871

გვანცა მღვდელაძე

ლიდერი და კომანდა ახალ ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში

თანამედროვე ეპოქაში ისტორიულ ფაქტად იქცა 1999 წლის 27 იანვარს ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას, გამოსვლა, რომელზეც მან განაცხადა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდა საქართველო ევროპას. ევროპულ-ქართული სამხედრო ურთიერთობის გაღრმავებამ ახალი ქართული სამხედრო ტერმინების შექმნა მოითხოვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტროში 2003 წელს შექმნილი დოქტრინების განვითარების სამმართველო (2015 წლიდან დოქტრინების განვითარების ცენტრი). სამწუხაროდ, სათარგმნი და დასამუშავებელი სახელმძღვანელოების სიმრავლის გამო ვერ ხერხდება ამ მასალის საფუძვლიანი კვლევა. ერთბაშად უამრავი ახალი ტერმინის შემოღება უკონტროლოა, ირღვევა ნორმალიზაციის წესები, რაც იწვევს ბევრი უმართებულო ფორმის დამკვიდრებას. ეს ყოველივე საფრთხეს უქმნის ენას.

ევროპულ-ქართული სამხედრო ურთიერთობა და ახალი ქართული სამხედრო ტერმინები

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან საქართველომ მკვეთრი პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და ქვეყნის პოლიტიკაც ამ მიმართულებით მიდის. შესაბამისად, საქართველომ სამხედრო პარტნიორად აირჩია ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია (ნატო) და ამერიკა.

საქართველოსა და ნატო-ს დაახლოების შემდეგ აუცილებელი გახდა ბევრი ინგლისურენოვანი სამხედრო ლიტერატურის თარგმნა. ეს ლიტერატურა არის ყველა მიმართულებისა და ყველა დონის სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ასევე - იმ ახალი ტექნიკის შესახებ, რომლითაც ანაცვლებენ ძველ, საბჭოთა კავშირის დროინდელ ტექნიკასა და აღჭურვილობას. ინგლისურის გარდა, ხშირად ითარგმნება გერმანული და ფრანგული სამხედრო სახელმძღვანელოები. დასავლეთ საქართველოში, ქალაქ საჩხერესთან, 2006 წლის 14 აგვისტოს დაარსდა საჩხერის სამთო მომზადების სკოლა, რომელსაც მართავს თავდაცვის ძალების სამხედრო მომზადებისა და განათლების სარდლობის გაერთიანებული შტაბი. სკოლა გაიხსნა ამერიკისა და საფრანგეთის მხარდაჭერით. საფრანგეთმა ასევე მოამზადა ინსტრუქტორები ქართველ ოფიცერთა სკოლაში. 2010 წელს, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში, სკოლას მიენიჭა კვალიფიკაცია: პარტნიორობა მშვიდობისათვის სასწავლო და განათლების ცენტრი. სკოლაში ხშირად ჩამოდიან ფრანგი ინსტრუქტორები. ამ

ყოველივედან გამომდინარე, ალპინიზმის სახელმძღვანელოები, ძირითადად, ნათარგმნია ფრანგული ენიდან.

დარგობრივ ტერმინოლოგიაში ახალი მიმართულებების გაჩენასა და დამკვიდრებას მოსდევს ახალი ტერმინების შემოღება, რასაც ენა ხშირად მოუმზადებელი ხვდება. ამ დროს საჭიროა სიფრთხილე და ყურადღება. თითოეული ტერმინი სათანადოდ უნდა იყოს განხილული და შესწავლილი არამარტო დარგის სპეციალისტების, არამედ ენათმეცნიერების მიერაც და მათი ერთობლივი დასკვნის შედეგად იქნეს მიღებული ოპტიმალური ტერმინი. საჭიროა გარკვეული ბალანსის დაცვა: მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, უპირატესობა მიენიჭოს ეროვნული სიტყვებისა და ძირების გამოყენებას, ხშირად საერთაშორისო ტერმინს უფრო იღებს ენობრივი საზოგადოება და ამ შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელზე უნდა შეჩერდეს არჩევანი; ამის საპირისპიროდ, არც მხოლოდ უცხოური სიტყვებისა და ძირების პირდაპირ, უთარგმნელად გადმოღება ივარგებს.

თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერთა ნაწილი ემხრობა საბჭოთა პერიოდში არსებულ ტერმინოლოგიურ პოლიტიკას. ბევრი ხელოვნურად შექმნილი ტერმინი ვერ დამკვიდრდა ენაში და საერთაშორისო ტერმინს მიენიჭა უპირატესობა, ამას თან ერთვოდა საბჭოთა წნეხი. ამის მიუხედავად, ენათმეცნიერებმა და ტერმინოლოგიის ექსპერტებმა გადაწყვიტეს პარალელური ფორმების შემოღება: ინტერნაციონალურისა და ქართულის, რაც, ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალი იყო. ამის ინიციატორი ვუკოლ ბერიძე იყო. „ვილიპე მახარაძის ბრძანების მიუხედავად, ამ პერიოდში გამოსულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ინტერნაციონალურ ტერმინებს გვერდით ქართულიც უწერია“ [ქაროსანიძე, 2013:66].

დღესაც ხშირად არის ენაში ამა თუ იმ ახალი ცნებისა და მისი ამსახველი ტერმინის შესატყვისი ფორმა, მაგრამ ენა უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ტერმინს. ასეთებია, მაგალითად, ინფილტრაცია - შეჟონვა, ექსფილტრაცია - გამოჟონვა, კომბატანტი - მებრძოლი, არაკომბატანტი - არამებრძოლი, ლეტალური - სასიკვდილო და სხვ. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლიურ ენაში არ არის ახალი ცნების, აღსანიშნის ზუსტი შესატყვისი. ასეთ დროს აუცილებელია ცნების გამომხატველი ტერმინის სესხება. არის შემთხვევები, როდესაც ტერმინი არ მიესადაგება ჩვენს რეალობას და სჭირდება ჩანაცვლება, ადაპტაცია. ასეთებია, მაგალითად, არმია, კორპუსი, პოლკი, რომლებიც არ ჰყავს საქართველოს თავდაცვის ძალებს, შესაბამისად, უნდა შეირჩეს სხვა, აღსანიშნის საგნის მკაფიოდ გამომხატველი ტერმინი.

ტერმინი ლიდერი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბევრი ახალი ტერმინი არასაჭიროდ არის დამკვიდრებული ენაში. ამგვარ უამრავ უჯეროდ დამკვიდრებულ უცხოურ ტერმინთან ბრძოლის ფონზე პარადოქსულია შემთხვევა, როდესაც საჭიროა სესხება, მაგრამ ამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ერთ-ერთი ამგვარი სადავო ტერმინია სამხედრო ტერმინოლოგიაში „ლიდერი“ (leader).

ეს ტერმინი მომდინარეობს ძველი ინგლისური სიტყვიდან *lædere*, რომელიც, თავის მხრივ, მოდის სიტყვიდან *lædan*. ეს უკანასკნელი ნიშნავს გაძლოლას და ენათესავება ფრიზულ *ledera*-ს, ნიდერლანდურ *leider*-ს, ძველგერმანულ *leitari*-სა და გერმანულ *Leiter*-ს. ტერმინი *ლიდერი*, როგორც ტიტული ავტორიტარული სახელმწიფოს ხელმძღვანელის აღსანიშნავად, გამოიყენება 1918 წლიდან და ითარგმნებოდა, როგორც *ვიურერი* (გერმ. *Führer* - ჰიტლერის წოდება), *დუქს*, *დუჯე* (ლათ. *Duce* - მუსოლინის წოდება), *კაუდილო* (ესპ. *Caudillo* - პოლიტიკური ლიდერი ან სახელმწიფო მოღვაწე ლათინო-ამერიკულ ქვეყნებში, ფრანსისკო ფრანკოს წოდება) და სხვ. ლიდერი (leader) ამ ფორმით პირველად დამოწმებულია 1837 წელს ბრიტანულ გაზეთში, ხოლო ტერმინოლოგიური შესიტყვება *ლიდერთა საბჭო* გამოიყენება 1970 წლიდან. უფრო ადრე, 1900 წლიდან ამერიკულ ინგლისურში გვხვდება *cheer-leader* (გულშემატკივარი) [etymonline.com/word/leader].

გლობალიზაციამ გამოიწვია ამ სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დღეს თითქმის ყველა სფეროში აქტიურად გამოიყენება. „*საჭირო გახდა არა ჩვეულებრივი მენეჯერი, არამედ გლობალურად მოაზროვნე მენეჯერი ანუ ლიდერი*“ [მხეიძე, 2016:13]. იმისათვის, რომ ვიყოთ მსოფლიო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, ფეხი უნდა ავუწყოთ და მოვერგოთ სწრაფად ცვალეზად გარემოს, სადაც „*ორგანიზაციების მოქნილობა და ცვლილებების განხორციელების უნარი უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე თვითონ ამ ცვლილებების შინაარსი. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ახალი რეალობა ითხოვს ორგანიზაციებისგან, არის მართვის ახალი სტილი, პრინციპულად ახალი ლიდერი*“ [მხეიძე, 2016:30].

დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა ლიდერის მოთხოვნილება. ლიდერი არის ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით - კერძო კომპანიებში, თუმცა სახელმწიფო სამსახურებშიც მძლავრად მოიკიდა ფეხი, ლიდერობის ორგანიზაციული კულტურიდან გამომდინარე. ამ მხრივ სამხედრო სფერო ცოტა რთულად ეგუება სიახლეებს და ახლა ინერგება აღნიშნული ტერმინი. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, აისახება სამხედრო ტერმინოლოგიაზეც.

„ლიდერი“ არის ინგლისური სიტყვა და ითარგმნება, როგორც წინამძღოლი, ხელმძღვანელი. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (რვატომეული) ლიდერის განმარტება მხოლოდ ორ კონტექსტშია მოცემული: 1. პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პროფესიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2. რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი ან გუნდი. დღესდღეობით ამ სიტყვის მნიშვნელობა არის გაფართოებული და თითქმის ყველა სფეროში აქტიურად გამოიყენება, მაგრამ სამხედრო სფეროში გაჭირდა ტერმინის დამკვიდრება. თანამედროვე „ქართულ სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (2017) საერთოდ არ არის ტერმინი „ლიდერი“. სამხედრო ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (თინა მარგალიტაძის რედაქციით) ორგვარად არის ნათარგმნი leader: 1. ლიდერი (მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. მაგ.: პოლიტიკური ლიდერი). 2. მეთაური, ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვადასხვა სიტყვით არის გამოყენებული ეს ტერმინი. მაგალითად, აშშ-ის არმიის სახელმძღვანელოებში - „სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამა“ - რომლებიც არის სხვადასხვა მიმართულებისა და დონის სამხედრო პერსონალისთვის, ტერმინი „leader“ ნათარგმნია, როგორც „მეთაური“ ან „ხელმძღვანელი“. რეალურად, ოცეულის ან ათეულის დონეებზე შეიძლება დაემთხვეს ლიდერისა და მეთაურის ფუნქცია-მოვალეობები, მაგრამ უფრო მაღალ დონეებზე მათ განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობები აქვთ. ზოგ შემთხვევაში ლიდერისა და სერჟანტის ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევა და ვერ ვთარგმნით „ლიდერს“, როგორც „მეთაურს“ ან „ხელმძღვანელს“. შესაბამისად, არასწორია ამ ტერმინის თარგმნა, რადგან მეთაური არის თანამდებობა, სერჟანტი - წოდება, ლიდერი კი არის სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ავტორიტეტული პირი. ეს ტერმინი თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთ უწყებაში უკვე მიღებულია. როგორც ცნობილია, თავდაცვის ძალებში აქტიურად ინერგება მართვის ახალი მეთოდი, რომელიც „ამოცანით მართვის“ სახელით არის ცნობილი. ეს არის დეცენტრალიზებული მართვის მეთოდი და განსაკუთრებული როლი აკისრია სწორედ ლიდერს და არა - მეთაურს. მეთაური თავის ქვედანაყოფში ქმნის მცირე ჯგუფს და მასში ნიშნავს ლიდერს. შესაბამისად, უკვე აღარ გამოდის ამ ტერმინის გვერდის ავლა და მისი თარგმნა, როგორც „მეთაური“, „სერჟანტი“ თუ „ხელმძღვანელი“. ამიტომ ამოცანით მართვასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოებში აღარ ითარგმნება ეს სიტყვა და გამოიყენება საერთაშორისო ტერმინი „ლიდერი“. ეროვნული თავდაცვის აკადემიაში იუნკერთა შეფასების სქემაში, რომლის მიხედვითად გამოჰყავთ კოეფიციენტი, 2014 წელს დაამატეს კომპონენტი - ლიდერობის უნარის დაუფლება და ამ კომპონენტშიც ფასდებიან იუნკრები. საბოლოოდ, ტენდენცია ისეთია, რომ ტერმინის გამოყენების არეალი გაფართოვდება და ყველა

უწყება და მიმართულება გამოიყენებს მას. ამჟამად „მეთაური/ლიდერი“ ხშირად გამოიყენება, როგორც პარალელური ფორმები.

ტერმინი კომანდა

სამხედრო ტერმინოლოგიაში ისევე, როგორც თითქმის ყველა დარგობრივ ტერმინოლოგიაში, ბევრი უჯერო ნასესხობაა, რომელთა უმეტესობა უკვე დამკვიდრებულია. სამხედრო ტერმინოლოგიაში ერთ-ერთი ამგვარი ტერმინია „კომანდა“.

დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინლექსიკონში command-ის ძირითადი მნიშვნელობა არის ბრძანება, განკარგულება, ბრძანების გაცემა. იქვე მითითებულია, რომ სამხედრო მნიშვნელობით აგრეთვე არის კომანდა. დამოწმებულია მაგალითებიც: „*command to open fire სამხ. ცეცხლის გახსნის კომანდა*“ [dictionary.ge].

ტერმინი „კომანდა“ შეტანილია დოქტრინების განვითარების ცენტრის შიდა მოხმარების ლექსიკონში და ინგლისურ ტერმინს შეესაბამება სამი ქართული ლექსიკური ერთეული. ესენია: „მართვა“, „კომანდა“ და „სარდლობა“. პირველ შემთხვევაში, ეს არის გარკვეული უფლებამოსილება. ამ მნიშვნელობით გამოყენებულია შემდეგ შემთხვევებში: unity of command მართვის ერთიანობა, art of command მართვის ხელოვნება, battle command ბრძოლის მართვა და სხვ. მეორე შემთხვევაში გამოიყენება სიტყვიერი ბრძანების მნიშვნელობით. განმარტებაშიც წერია: „*მეთაურის მიერ გაცემული ბრძანება. ეს არის მისი ნება, რომ შესრულდეს კონკრეტული მოქმედება*“ [სამხედრო-განმარტებითი..., 2017:130]. რაც შეეხება მესამე მნიშვნელობას, მას შეესაბამება „სარდლობა“ და გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: Service component command ზურგის სარდლობა, national command ეროვნული სარდლობა. აქ იგულისხმება მმართველი რგოლი.

საქმე ის არის, რომ სამხედრო სფეროში (ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში) „ბრძანება“ და „კომანდა“ არის დიფერენცირებული ისევე, როგორც ინგლისურში: command და order. აქ ბრძანებას უწოდებენ წერილობით განკარგულებას, ხოლო სიტყვიერ განკარგულებას, სიტყვიერ ბრძანებას - კომანდას. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ეს იყო ნასესხობა, თუმცა ახლა რთულია „კომანდას“ ნასესხობა ვუწოდოთ, რადგან ათეულ წელზე მეტია, რაც დამკვიდრებულია სამხედრო სფეროში.

ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონშიც (თ. მარგალიტაძის რედაქციით) command-ის სახელად მნიშვნელობას ბევრი შესატყვისი აქვს (სულ 5): პირველი შესატყვისი წერია

„კომანდა, სიტყვიერი ბრძანება“, მეორე მნიშვნელობად მითითებულია მეთაურობა, ხელმძღვანელობა. აღნიშნავს აგრეთვე სარდლობას, სამხედრო ნაწილს, სამხედრო შენაერთს და სამხედრო ოლქსაც კი. აქედან გამომდინარე, მხოლოდ სიტყვიერი ბრძანების აღსანიშნავად ვიყენებთ ნასესხებ ფორმას.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ოპერატიული დონის სამხედრო ტერმინად მოიაზრება, ის ძალიან ხშირად არის გამოყენებული ტაქტიკური დონის სახელმძღვანელოებშიც. მაგალითად, გამოყენებულია „სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამის“ სხვადასხვა დონის (ქვეითი ათეული და ოცეული, ქვეითი ასეული, მექანიზებული ოცეული და სხვ.) სახელმძღვანელოებში. „*ოცეულის მეთაური გასცემს ოცეულის მიერ ცეცხლის გახსნის კომანდას...*“ [სახმელეთო ჯარების..., 2017:93]. ანალოგიური, სიტყვიერი ბრძანების, მნიშვნელობით არის გამოყენებული სხვა შემთხვევებშიც.

ტერმინი „კომანდა“ გამოყენებულია ისეთ ოფიციალურ დოკუმენტშიც, როგორცაა, „საქართველოს მთავრობის დადგენილება №181“ (2018წ.). აქ ტერმინთა განმარტებით ნაწილში გვხვდება სხვადასხვა კომანდა: დამატებითი კომანდა, სამწყობრო კომანდა. ასევე გვხვდება: მოსამზადებელი კომანდა, შესასრულებელი კომანდა და სხვ. დოკუმენტში ტერმინი მოხსენიებულია 935-ჯერ, რაც გვამძლეებს იმისი დასკვნის საფუძველს, რომ ის ოფიციალურად მიღებული და გავრცელებულია თავდაცვის ძალებში, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რაც არ უნდა არასწორად იყოს ის დამკვიდრებული. აქვე, რა თქმა უნდა, გვხვდება ტერმინი „ბრძანებაც“, თუმცა მხოლოდ 26-ჯერ და აქედან 16-ჯერ ნაგულისხმებია წერილობითი ბრძანება, ექვსჯერ წერია „ნაბრძანები“, ამ უკანასკნელში კი იგულისხმება სიტყვიერად გაცემული ბრძანება, მაგრამ „ნაკომანდები/ნაკომანდარი“ ხელოვნურად ნაწარმოები ფორმა გამოვიდოდა და ამიტომაც გამოიყენეს „ბრძანება“. ტერმინი „ბრძანება“ ორგან გვხვდება კომანდების განმარტებაში, რაც, ცხადია, ლოგიკურია. აქედან გამომდინარე, ცალსახად და გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, კომანდა“ ასოცირდება სიტყვიერ ბრძანებასთან, „ბრძანება“ კი - წერილობითთან.

რაც შეეხება თავად „ბრძანებას“, ის გამოყენება ინგლისური order-ის შემთხვევაში. მისი უპირველესი მნიშვნელობა, თ. მარგალიტაძის ლექსიკონის მიხედვით, არის ბრძანება, განკარგულება; ინსტრუქცია, თუმცა ასევე გამოიყენება oral/verbal order - სიტყვიერი ბრძანება/კომანდა. ამ შემთხვევაშიც ავტორი დასაშვებად მიიჩნევს „კომანდის“ გამოყენებას, თუკი კონტექსტი იძლევა ამის საშუალებას. ამავე ლექსიკონში მოცემულია იგივე ტერმინი, მხოლოდ მრავლობით რიცხვში

(orders) და ამ შემთხვევაში აღარ არის ქართულად კომანდა ან სიტყვიერი ბრძანება, არამედ მხოლოდ „ბრძანებები; განკარგულებები; ინსტრუქციები“. რაც შეეხება შიდა ლექსიკონს, აქ order-ს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს - ბრძანება და ახლავს საინტერესო განმარტება: „წერილობითი, ზეპირი ფორმით ან კავშირგაბმულობის საშუალებების მეშვეობით ზემდგომის მიერ დაქვემდებარებულისათვის ინსტრუქციის მიცემა. ფართო გაგებით, ტერმინები „ბრძანება“ და „კომანდა“ სინონიმებია, თუმცა ბრძანება შესრულების დეტალების მიხედვით ცალკეული ნაწილებისგან შედგება, ხოლო კომანდა - არა“ [სამხედრო-განმარტებითი..., 2017:35).

ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით, კომანდასა და ბრძანებას შორის არსებითი განსხვავება არ არის, თუმცა მცირედი სხვაობა მაინც ფიქსირდება, რაც დამოკიდებულია შესრულების დეტალებზე. კომანდა არის მარტივი სიტყვიერი ბრძანება, რომელსაც გასცემს მეთაური ოპერაციების/წვრთნების დროს ერთჯერადად და ერთი ქმედებით უნდა შესრულდეს. მაინც რამ გამოიწვია ამგვარი ფორმათა გადაფარვა? რატომ გახდა საჭირო ტერმინ „კომანდის“ გამოყენება მაშინ, როდესაც არის მისი შესატყვისი ენაში?

ამგვარ პარალელურ ფორმებად ბევრი ინგლისური ტერმინია დამკვიდრებული, რაც გამოწვეულია ისევ და ისევ ამერიკული/ინგლისურენოვანი წიგნების შემოდინებით და მათი უკონტროლო თარგმნით. სამწუხაროდ, შეინიშნება იმის ტენდენციაც, რომ ბევრ მთარგმნელს (სამოქალაქოსაც და სამხედროსაც) მიაჩნია, რომ რაც უფრო მეტ უცხოურ ტერმინს გამოიყენებს, მით უფრო განსხვავებული და გამორჩეული იქნება მის მიერ თარგმნილი ტექსტი. ამგვარად დამკვიდრდა ტერმინები „კომბატანტი/არაკომბატანტი“, „ლეტალური/არალეტალური“ და სხვ.

ამას გარდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინგლისურშიც ანალოგიურად არის დიფერენცირებული ეს ორი ტერმინი: order და command. შესაბამისად, მთარგმნელები ცდილობენ, რომ თარგმანი იყოს დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული და არ დაწერონ order-ზე წერილობითი ბრძანება, ხოლო command-ზე - სიტყვიერი ბრძანება.

რუსულად multitrან-ში command ნათარგმნია, როგორც 1. (საერთო მნიშვ.) приказ, приказание, команда. 2. (სამხედრო მნიშვ.) руководство, соединение, управление, формирование, часть, командирование. ინგლისური ძირი აქაც გამოყენებულია და ნასესხებია. ამის მიუხედავად, ამავე ლექსიკონში order-ის რუსულ ენაში არსებულ უამრავ მნიშვნელობას შორის არ გვხვდება ძირი команд, მათ შორის - არც სამხედრო მნიშვნელობებში.

დარგობრივი ტერმინოლოგიის მართვა

ტერმინები ამდიდრებს ენას და ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ ყოველთვის გახსნილი იყო, თუმცა ამის გამო ქართული ენა რამდენჯერმე დამდგარა საფრთხის წინაშე. ეს პროცესი არაერთხელ დროულად შეუჩერებიათ და დაურეგულირებიათ ჩვენს წინაპრებს.

ტერმინოლოგიის შედგენისა და გადმოტანის პრინციპები დეტალურად აქვს განხილული ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს, როგნედა ღამბაშიძეს, ნაშრომში „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“. ნაშრომში განხილულია მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებები ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. თუკი ნაწილი თვლის, რომ ტერმინოლოგია შეიძლება იყოს ორგვარი: ა) სპეციალური ტერმინები, რომლებსაც აქვთ ხმარების თავისი სფერო და რომლებსაც იცნობენ მხოლოდ სპეციალისტები, და ბ) ენის ყველა მატარებლისათვის ცნობილი საერთო სახმარებელი ტერმინები, მეორე ნაწილი ამას ეწინააღმდეგება და მიაჩნია, რომ ტერმინები უნდა იყოს ზოგადი, საერთო და ყოვლისმომცველი. თავად ავტორი „გაუფერულეზუს“ უწოდებს ტერმინოლოგიის როლს იმ შემთხვევაში, როდესაც ტერმინი გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი და გარკვეული სისტემის მქონე ერთეული და ის დაყვანილია სპეციალისტთა პრაქტიკულ, კონსტრუქციულ საქმიანობამდე. ანუ, ტერმინის როლი დაკარგულია, თუ ის მხოლოდ ვიწრო სპეციალობის ფარგლებში გამოიყენება.

დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობა მეტად შრომატევადი საქმეა. ეს პროცესი მოითხოვს მკაცრ კონტროლს, რათა ენა არ დაბინძურდეს. საბჭოთა კავშირის დროს ამ პროცესს წარმატებით მართავდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ის დარგის სპეციალისტებთან შეთანხმებით ადგენდა ტერმინებს, რომლებიც აისახებოდა ლექსიკონებში. „ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ იმ დროს არ იყო ტერმინოლოგიური არევ-დარევა, სიჭრელე ქართულში“ [ქაროსანიძე, 2013:66]. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული და ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად მართავდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისია. დღეს ეს კომისია ჩაანაცვლა სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა.

სამწუხაროდ, ძალიან გვიან, მხოლოდ 2017 წელს შეიქმნა ოფიციალურად სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. კანონის მიხედვით: „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი საქმიანობა საქართველოს მთავრობის კონტროლქვეშაა. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის

დაცვასა და პოპულარიზაციას, ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტებს და ახალი სპეციალური ტერმინების დადგენასა და დამკვიდრებას“ [9, მუხლი 3. ე]. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მთავარი ფუნქციაა “ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტის დამტკიცება, ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის რეკომენდაციების მიცემა ენის გამოყენების სფეროში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად“ [საქ.ორგანული კანონი. 10:36]. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და ამ მიმართულებით მასთან თანამშრომლობა წინ და სწორად გადადგმული ნაბიჯია.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი ტერმინები მცირედ ასახავს იმ ვითარებას, რაც არის დღეს სამხედრო სფეროში. მართალია, ბევრ შემთხვევაში სახელმძღვანელოებში პარალელურ ფორმებად გამოიყენება „ლიდერი“ და „მეთაური“ (იწერება ასე: მეთაური/ლიდერი), მაგრამ ძალიან ხშირად უპირატესობას ანიჭებენ „მეთაურს“, როდესაც უნდა იყოს გამოყენებული „ლიდერი“. ამას ხსნიან იმით, რომ მეთაურისა და ლიდერის ფუნქციები ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება „კომანდას“, ეს ტერმინი დამკვიდრებულია ინგლისურის გავლენით, ვინაიდან ინგლისურში დიფერენცირებულია და ორი სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება სიტყვიერი ბრძანება (command) და წერილობითი ბრძანება (order), ქართულშიც ანალოგიურად გამოიყენება „კომანდა“ და „ბრძანება“. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კომანდა“ არასაჭირო ენობრივი ნასესხობაა, რომელიც დამკვიდრდა. ამგვარი ნასესხობა უამრავია სამხედრო ტერმინოლოგიაში და მოითხოვს კვლევას.

ევროპა და საქართველო უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს მრავალ სფეროში (პოლიტიკა, ტექნიკა, კულტურა, იურიდიული, სამხედრო, სამოქალაქო განათლება, საბანკო-საფინანსო და სხვ.) და ახალ-ახალი საერთაშორისო ტერმინი შემოდის და მკვიდრდება ქართულ ენაში. ტერმინოლოგია ამდიდრებს ენას, მაგრამ ეს პროცესი უნდა იყოს გაკონტროლებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ენა უარესად დაბინძურდება.

ახალი სამხედრო ტერმინები უნდა დამკვიდრდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად. ეს მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ შესწავლასა და სხვადასხვა ინსტიტუციის ჩართულობას. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება უკეთესი შედეგები და ხარისხიანი სამხედრო ლიტერატურა.

ლიტერატურა:

ამოცანით მართვა. დოქტრინული პუბლიკაცია 6-0. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. დოქტრინების განვითარების ცენტრი. თბილისი, 2019

ამოცანით მართვის სტრატეგია (2019-2021წლები). საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. დოქტრინების განვითარების ცენტრი. სამეთაურო-სამტაბო კოლეჯი). თბილისი, 2019

ამოცანით მართვის ფილოსოფია. მხარდამჭერი დოქტრინული პუბლიკაცია 6-0. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. დოქტრინების განვითარების ცენტრი. თბილისი, 2019

დათეშიძე ნ. ახალი მიმართულებები თანამედროვე ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში. ტერმინოლოგიის საკითხები. ტომი IV. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2020

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდი - <https://eta.edu.ge/2018-2023>

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი <https://dictionary.ge/2010>

ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი [რედ.: თინათინ მარგალიტაძე], 2009 <https://mil.dict.ge>

მხეიძე ნ. ლიდერობა და ორგანიზაციული კულტურა მენეჯმენტის სისტემაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016

სამხედრო-განმარტებითი ლექსიკონი და გრაფიკული ნიშნები. საველე სახელმძღვანელო (FM (Field Manual) 1-02). საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. დოქტრინების განვითარების ცენტრი. თბილისი, 2017

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილება №181, 2020 matsne.gov.ge

საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324, 19.10.2017. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>

საქართველოს სამხედრო ძალების სამწყობრო წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №181. თბილისი, 2018 წლის 16 აპრილი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ). რვა ტომეული [რედ.: არნ. ჩიქობავა]: ტ.4. თბილისი, 1955

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი [რედ.: ელგუჯა მემმარიაშვილი]. თბილისი, 2017

ქაროსანიძე ლ. ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენციის - ტერმინოლოგია - ქართული ენის მომავალი - მასალები. თბილისი, 2013 <http://www.ice.ge/batumi/terminologia-2013.pdf>

ქვეითი ათეული და ოცეული. სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამა. ამოცანაზე ორიენტირებული საბრძოლო მომზადების გეგმა. მეორე შესწორებული გამოცემა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თბილისი, 2017

ქვეითი ასეული, სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამა, ამოცანაზე ორიენტირებული საბრძოლო მომზადების გეგმა. მეორე შესწორებული გამოცემა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თბილისი, 2018

ღამბაშიძე რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. „მეცნიერება“. თბილისი, 1986

Mission Training Plan for the Infantry Rifle Platoon and Squad. Army Training and Evaluation Program (ARTEP) 7-8-MTP. Headquarters Department of the Army. Washington. DC. 1994, 29 September

Mission Training Plan for the Infantry Rifle Company. Army Training and Evaluation Program No. ARTEP 7-10-MTP. Headquarters Department of the Army. Washington. DC. 2002, 1 June

Multitran – English-Russian Dictionary 2001-2024 <https://www.multitran.com>

The Online Etymology Dictionary by Douglas R. Harper [etymonline.com](https://www.etymonline.com) 2001-2024

გვანცა ფოფხაძე

ძველი ბერძნული მეტეოროლოგიური ტერმინოლოგიის ქართულ შესატყვისთა დადგენის თავისებურებები (კლავდიუს პტოლემეაიოსის ნაშრომების მაგალითზე)

ადამიანები უხსოვარი დროიდან აკვირდებოდნენ ბუნებრივ მოვლენებსა და ამინდის ცვალებადობას, ვინაიდან, როგორც პრაქტიკული გამოცდილება მოწმობდა, ამინდზე იყო დამოკიდებული მოსავლის ბედი, ზღვაოსნობის წარმატება და სხვა მრავალი პრაქტიკული საქმიანობა. ამინდის ფენომენს გამორჩეული ადგილი ეკავა ანტიკურ საბერძნეთშიც: ძველ ბერძნულ მითოლოგიაში უხვად იყო წარმოდგენილი ღვთაებათა სახით პერსონიფიცირებული ბუნებრივი მოვლენები¹. ღმერთებისა და ბუნების ასპექტების კავშირის მაგალითი მრავლადაა ძველი ბერძნული ლიტერატურის სათავეებში: ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემებში.

ბუნებრივი ფენომენის მითოპოეტური ხერხებით ასახვის პარალელურად პრაქტიკული აუცილებლობა მოითხოვდა ამინდზე საფუძვლიან დაკვირვებასა და მის პროგნოზირებას. ამგვარად, ჯერ კიდევ ჰესიოდეს პოემაში „სამუშაონი და დღენი“ (ძვ.წ. მე-8 ს.) ვხვდებით რჩევებს სოფლის მეურნეობისათვის ბუნების ნიშნების გამოყენების შესახებ². ტრადიციულად, ამინდის პროგნოზით ძირითადად დაინტერესებულნი იყვნენ მიწათმოქმედები და მეზღვაურები³. თუმცა ინტერესი მეტეოროლოგიისადმი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პრაქტიკული აუცილებლობით. სიბრძნისმოყვარე ხასიათიდან გამომდინარე, ელინები ისწრაფვოდნენ, შეეცნოთ სამყარო მათ ირგვლივ, ჩასწვდომოდნენ კოსმოსის ჰარმონიულ მთლიანობას. ამიტომ ძველი ბერძნები არა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენების პროგნოზირებით იყვნენ დაკავებულნი, არამედ - ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზების კვლევა-ძიებით და სამყაროს ზოგად სურათში მათი ადგილის განსაზღვრით. მომიჯნავე დისციპლინათა, კერძოდ, მათემატიკური ასტრონომიის, მიღწევები ასევე ხელს უწყობდა მეტეოროლოგიის განვითარებას. აქედან გამომდინარე, ამ სფეროთი დაინტერესებული იყვნენ პოეტები, ფილოსოფოსები, ასტრონომები, ასტროლოგები და ა.შ..

ამგვარად, ძველ ბერძნულ ენაში თავი მოიყარა ამინდსა და ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებულმა ტერმინოლოგიამ, რომელიც მოიცავდა როგორც მხატვრულ სახეებსა თუ ღმერთების ეპითეტებს, ისე - სპეციფიკურ მეტეოროლოგიურ ტერმინებს. აღნიშნული ტერმინების ანალიზისა და ქართულად ჰარმონიზაციის აუცილებლობა დადგა პტოლემეაიოსის „ტეტრაბიბლოსის“ ანუ „ოთხწიგნეულის“ თარგმნისას.

ამ ტერმინთა შესაბამისი ქართული შესატყვისის მოძიებას გარკვეული სირთულეები ახლავს. მათ შორის შეიძლება გამოიყოს: 1) კულტურული და ეთნოგეოგრაფიული თავისებურებები: ძველ ბერძნულ მეტეოროლოგიურ ტერმინოლოგიას აყალიბებს მედიტერანული სივრცის კლიმატური სპეციფიკა, ასეთ ტერმინებს შესაძლოა სხვა ენაში ზუსტი შესატყვისი არ მოეძებნოს; 2) ომონიმური და პოლისემანტური ცნებები, რომელთა ზუსტი განსაზღვრებისათვის აუცილებელია კონტექსტის გააზრება და რომლებიც სხვადასხვა ავტორთან და სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად შეიძლება გადმოიცეს; 3) რამდენადმე ბუნდოვანი ცნებები, რომელთა ზუსტი მნიშვნელობის შესახებ მეცნიერთა შორისაც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

მასალის მოცულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ერთ სტატიაში სრულად აისახოს აღნიშნული ტერმინოლოგიის ძველი ბერძნულიდან ქართულად გადმოტანის ყველა ნიუანსი. ამიტომ საკვლევად შერჩეულია ერთი ავტორი - კლავდიუს პტოლემეაიოსი (ალექსანდრია, მე-2 ს.) და მისი შრომები: „ტეტრაბიბლოსი“, ანუ „ოთხწიგნეული“ (ასტროლოგია), „ალმაგესტი“, იგივე „მათემატიკური თხზულება“ (ასტრონომია), „უძრავ ვარსკვლავთა ფაზები“ (ყოველდღიური ამინდის პროგნოზირება) და „გეოგრაფია“. სტატიის ფორმატის გათვალისწინებით საკვლევი ლექსიკიდან შეირჩა: 1) ღრუბლის, ნისლის, ნისლეულისა და 2) ქარების აღმნიშვნელი ცნებები და მათი ქართული შესატყვისების დადგენის თავისებურებები.

ღრუბელი, ნისლი, ნისლეული.

ანტიკურ სამყაროში ამინდის პროგნოზირებისათვის ღრუბლებზე დაკვირვებას გამორჩეული ადგილი ეკავა. როგორც ე. ს. მაკარტნი აღნიშნავს, ამინდის უთვალავი პოპულარული ნიშნიდან არაფერი იყო იმაზე საიმედო და ფართოდ გავრცელებული, ვიდრე ის, რომელიც ღრუბლებიდან მიიღებოდა [McCartney, 1929: 612]. ძველ ბერძენ სწავლულებს ამინდის შესახებ დასკვნები გამოჰქონდათ ღრუბლების სიმკვრივის, ზომის, მოხაზულობის, ლოკაციისა თუ ტრაექტორიის განსჯის საფუძველზე. ამ სახის დაკვირვებები შესაბამის ლექსიკურ მარაგს მოითხოვდა. საინტერესოა, რომ ღრუბლებთან დაკავშირებული ძველი ბერძნული სახელწოდებები ძირითადად - νεφ- ძირიდან ნაწარმოები სიტყვებია, როგორცაა საკუთრივ ღრუბელი: νέφος (néphos) და νεφέλη nephélē (თუკი ეს უკანასკნელი დიდი ასოთი დაიწერება, ძველ ბერძენთა ღრუბლების ქალღმერთს აღნიშნავს). ამ სიტყვათა ეტიმოლოგიის ძიებას მივყავართ ძველ ინდოევროპულ ძირამდე - *nebh-1, რომელიც ღრუბელს აღნიშნავს [Beekes, 2009: 1012]. აქედან იღებს სათავეს არა მხოლოდ ხსენებული ბერძნული სიტყვები, არამედ სხვა ინდოევროპული ენების ლექსიკური ერთეულებიც, როგორებიცაა:

ლათინური *nubes* და *nebula*, რუსული *nebo*, გერმანული *nebel* და ა.შ. (უფრო ვრცელი ჩამონათვალისათვის იხ. Beekes, 2009: 1012). შესაბამისად, აღნიშნული ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში აქვს როგორც ღრუბლის, ისე - ცის, ნისლისა და მასთან დაკავშირებით - სიბნელის, შემდეგ კი ასტრონომიაში - ნისლეულის მნიშვნელობა. ასეთი ვარიაციები ერთი ენის ფარგლებშიც იჩენს თავს და მთარგმნელისგან დაკვირვებასა და კონტექსტის გააზრებას მოითხოვს, რასაც კლავდიუს პტოლემეაიოსის მაგალითზე წარმოვაჩენ.

პტოლემეაიოსი გვთავაზობს -νεφ- ძირიდან ნაწარმოები სიტყვების შემდეგ ვარიანტებს: *συννέφεια* (*sunnépheia*), *ἀνέφελος* (*anéphelos*), *νέφος* (*néphos*), *νεφέλιον* (*nephélion*), *νεφέλη* (*nephélē*), *νεφελειδής* (*nepheloidés*). ზოგიერთი ამ სიტყვის ქართული შესატყვისი სიზუსტისათვის მოითხოვს კონტექსტისა და სხვა ცნებებთან ურთიერთმიმართების გათვალისწინებას.

პირველ რიგში, ვიმსჯელებ იმ ცნების შესახებ, რომელსაც პტოლემეაიოსი საკუთრივ ღრუბლის მნიშვნელობით გამოიყენებს. ესაა *νέφος* (*néphos*). ძველ ბერძნულში მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: იგი ითარგმნება, როგორც ღრუბელი, ღრუბლის გროვა [LSJ, 1940: lsj.gr] ხოლო გადატანითი მნიშვნელობით მოიაზრებს: წყვდიადს, ჩრდილს და ჭექა-ქუხილსაც კი [გიორგობიანი, 2019: 278]. პტოლემეაიოსი აღნიშნულ არსებით სახელს იყენებს ოთხჯერ „ოთხწიგნეულში“ (ორჯერ განცალკევებით და ორჯერ შესიტყვებაში *παρήλια νέφη* (*parélia néphē*)) და ერთხელ „ალმაგესტში“, ყველა ამ შემთხვევაში ღრუბლის მნიშვნელობით. „ალმაგესტის“ პირველი წიგნის მეშვიდე თავში პტოლემეაიოსი ახსენებს ღრუბელს *νέφος* (*néphos*) და დედამიწაზე მისგან მოფენილ ჩრდილს [Ptol. Almag. H 1984: 25]. „ოთხწიგნეულში“ იმავე სიტყვას ვხვდებით ამინდის პროგნოზირების კონტექსტში: *ἀν τῆς [მზეს] ერთი მხრიდან აქვს ეგრეთწოდებული ცრუ მზის (პარჰელიუმის) ღრუბლები [παρήλια νέφη (parélia néphē), ἀν τῆς ἄλλης μοῦχης ὁμοίως ὁμοίως ὁμοίως ὁμοίως [νεφῶν (nephōn)] დაფარული და მისგან თითქოს გამოდის გრძელი სხივები, ეს მიუთითებს ძლიერ ქარებზე* [Ptol. Tetr. Hub., 1998: 159]. შესიტყვება *παρήλια νέφη* (*parélia néphē*) ვარჩიე ქართულად გადმომეცა, როგორც ცრუ მზის ღრუბელი. თავად სიტყვა *παρήλιος* (*parélios*) ძველბერძნულ-ქართულ ლექსიკონში გადმოთარგმნილია, როგორც მაცდური მზე [გიორგობიანი, 2019: 339], თუმცა, ვინაიდან ის მოვლენა, რომელიც ცის კამარაზე მზის დისკოს ერთ ან ორივე მხარეს ნათელი ლაქის სახით ვლინდება, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო და სამეცნიერო ენაში ცნობილია, როგორც პარჰელიუმი, ანუ ცრუ მზე (იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი: პარჰელიუმი [ჭაბაშვილი, 1989: 372]), ამიტომ *παρήλιος* (*parélios*) უმჯობესია გადმოვიცეს, როგორც ცრუ მზე, ხოლო *παρήλια νέφη* (*parélia néphē*) - როგორც

ცრუ მზის ღრუბლები, თუმცა დასაშვებია პარალელური ფორმაც: პარჰელიუმის ღრუბლები, ვინაიდან ქართულ ენაში დამკვიდრებულია ტერმინი პარჰელიუმი - ძველი ბერძნული პარჰელიონის ლათინიზებული ფორმა.

რაც შეეხება -νέφ- ძირიდან ნაწარმოებ სხვა სახელებს, ἀνέφελος (anéphelos) „ოთხწიგნულში“ გვხვდება მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა სუნჰეია (sunnépheia) - ორჯერ. ზედსართავი სახელი ἀνέφελος (anéphelos) ზოგადად ითარგმნება, როგორც უღრუბლო, ღრუბლებით დაუფარავი [LSJ, 1940: lsj.gr]. ამ მნიშვნელობათაგან უღრუბლო შეიძლება ითქვას მხოლოდ ცაზე, ხოლო პტოლემიოსი ამ სიტყვას იყენებს მზესთან კონტექსტში: *...როდესაც მზე ამოდის ან ჩადის ἀνέφελος (anéphelos) ღრუბლებით დაუფარავი...* [Ptol. Tetr. Hub., 1998: 159], ამ შემთხვევაში ἀνέφελος (anéphelos) უნდა გადმოიცეს, როგორც *ღრუბლებით დაუფარავი* ან როგორც *დაუღრუბლავი* და არა როგორც უღრუბლო. არსებითი სახელი სუნჰეია (sunnépheia) (მდრ. ზმნა სუნჰეა sunnephéō - *ღრუბლებს თავს ვუყრი*) გულისხმობს ღრუბლების თავმოყრას, ღრუბლიანობას, ღრუბლიან ცას [LSJ, 1940: lsj.gr]. ამ სიტყვას პტოლემიოსი იყენებს ამინდის მდგომარეობის მნიშვნელობით - პლანეტა სატურნი იწვევს სუნჰეია (sunnépheia)-ს ე.ი. ღრუბლიანობას [Ptol. Tetr. Hub., 1998: 137], მეორე შემთხვევაში სუნჰეია (sunnépheia) ესაა მზის ამოსვლისა და ჩასვლის შესაძლო თანმხლები ფაქტორი, აქ μετὰ სუნჰეίας (metà sunnepheías) შეიძლება ითარგმნოს, როგორც ღრუბლების თანხლებით [Ptol. Tetr. Hub., 1998: 159].

როგორც „ოთხწიგნულში“, ისე - „ალმაგესტში“ პტოლემიოსი ხშირად იყენებს ზედსართავ სახელს νεფელოიდής (nepheloidés) (νεφέλη (nephélē) - ღრუბელი, εἶδος (eídos) - სახე), რომელიც შეიძლება გადმოიცეს, როგორც ღრუბლის მსგავსი, ღრუბლისებრი (ღრუბლისმსგავსი [გიორგობიანი, 2019: 278]). ეს ტერმინი ძირითადად ასტრონომიაში გამოიყენება ისეთ ავტორებთან, როგორებიც არიან: პტოლემიოსი და ჰიპარქოსი (იხ. Montanari, 2015: 1393). საყურადღებოა, რომ პტოლემიოსი ამ ზედსართავ სახელს არასოდეს იყენებს მიწიერ და ატმოსფერულ მოვლენებთან კონტექსტში, არამედ მხოლოდ ვარსკვლავებსა და თანავარსკვლავედებთან დაკავშირებით. ამავდროულად ნეფელოიდής (nepheloidés) არასოდეს დგას განცალკევებით, არამედ ყოველთვის სუსტროფი-ს (sustrophé) (გროვა, თავმოყრა [LSJ, 1940: lsj.gr] მსაზღვრელად გვევლინება. ლიდლ-სკოტის ძველბერძნულ-ინგლისური ლექსიკონის მიხედვით, ეს მსაზღვრელ-საზღვრული ერთად ითარგმნება, როგორც ნისლეული (nebula) [LSJ, 1940: lsj.gr], თუმცა პტოლემიოსის შემთხვევაში უფრო ზუსტი იქნება შევუსაბამოთ

ვარსკვლავთგროვა ან ვარსკვლავური ღრუბელი. რაც შეეხება ნისლეულს, პტოლემეაიოსს ცალკე აქვს მისი აღმნიშვნელი ცნება νεφέλιον (nephéliion)⁴.

არსებითი სახელის νεφέλιον (nephéliion) პირველადი მნიშვნელობა პატარა ღრუბელია, ვინაიდან იგი ღრუბლის - νεφέλη (nephélē) - კნინობითი ფორმაა (თუმცა არა ყოველთვის კატეგორიულად კნინობითი [იხ. Sider... 2007: 249]). ბევრ მეტეოროლოგიურ ტექსტში ის ამ მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად, თეოფრასტოსის მიხედვით, მცირე ღრუბელი მთა ჰიმეტოსის ხეობაში წვიმის მომასწავებელია [Sider... 2007: 71, 137].

აღნიშნული მეტეოროლოგიებისგან განსხვავებით, ძველი დროის ასტრონომები იყენებდნენ ტერმინს ნეφέლიონ (nephéliion) ნისლეულის მნიშვნელობით. პტოლემეაიოსი როგორც „აღმაგესტში“, ისე „ოთხწიგნეულში“ ამ სიტყვას მხოლოდ ნისლეულის მნიშვნელობით იყენებს და არცერთგან - ღრუბლის ან პატარა ღრუბლის. მაგალითად: *...ასელუსად წოდებული ვარსკვლავი მათ შორის, რომლებიც გარს ევლება ნისლეულს კირჩხიბში...* [Ptol. Almag. H 1984: 387] და ა.შ. ერთხელაა გამოყენებული არსებითი სახელი ნეφέλη (nephélē) „აღმაგესტში“: *τις ὀσει νεφέλη (tis hōsei nephélē)* რაღაც სახის ღრუბლით [Ptol. Almag. H 1984: 177]. ამ შემთხვევაშიც საუბარია ღრუბელზე არა ატმოსფეროში, არამედ - თანავარსკვლავედში. შესაბამისად, იგი შინაარსით უახლოვდება იმას, რასაც გულისხმობს ნეφέლიონ (nephéliion).

პტოლემეაიოსი ცალკე ტერმინებს აგრეთვე იყენებს ნისლისა და ბურუსის აღსანიშნავად: ὀμίχλη (omíkhlē) - ნისლი, ბურუსი („ფაზები“), ὀμιχλάδης (omikhládēs) (იგივეა, რაც ὀμιχλοειδής) - ნისლიანი („ფაზები“) და („ოთხწიგნეული“), ἀχλυσάδης (akhluódēs) - ნისლიანი, ბურუსიანი („ოთხწიგნეული“). პტოლემეაიოსი აგრძელებს არისტოტელეს მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას: იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ღრუბლებისა და ნისლის გამომხატველ ცნებებს, თუმცა თავად ნისლის აღმნიშვნელ ცნებებს სინონიმური მნიშვნელობით იყენებს. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ძველ საბერძნეთში არ არსებობდა ნისლის აღმნიშვნელ სიტყვებს შორის ისეთი სხვაობა, როგორც, მაგალითად, დღეს გვაქვს ინგლისურში: mist და fog.

როგორც ვხედავთ, პტოლემეაიოსი თავის ნაშრომებში ნისლის, ღრუბლისა და ნისლეულის აღსანიშნავად მკვეთრად განსხვავებულ ცნებებს იყენებს და განსხვავებათა ამ ტენდენციას თავის ნაწარმოებებში ერთგულად მიჰყვება. თარგმნის დროსაც მიზანშეწონილია, ეს განსხვავებები შენარჩუნდეს და არ მოხდეს ცნებათა აღრევა.

ქარები და მათი სახელწოდებები

სოფლის მეურნეობისა და ზღვაოსნობისათვის გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქარებს და მათ პროგნოზირებას. თუმცა ანტიკურ მეტეოროლოგიაში ქარები წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც პროგნოზირების მიზანი, არამედ - ამავდროულად - როგორც საშუალება. ლ. ტაუბი აღნიშნავს, რომ ანტიკური ხანის სწავლულებს ქარები სეისმური აქტივობის მიზეზად მიაჩნდათ [Taub, 2003: 148]. გარდა ამისა, ძველ ბერძნებს ქარების ცოდნა მოგზაურობისას ორიენტაციაშიც ეხმარებოდათ: ჰორიზონტის სეგმენტები ბუნებრივად ასოცირდებოდა რომელიღაც ქართან, რომელსაც ძველ ბერძნულად თავისი სახელწოდება ჰქონდა და ეს სახელწოდებები შეესაბამებოდა აღნიშნული ქარების პერსონიფიცირებულ ღვთაებებს. ხშირად ტექსტში ღვთაებათა სახელები დიდი ასოთი იწერებოდა, ხოლო შესაბამისი ქარის სახელი - პატარა ასოთი.

ამგვარად, მთარგმნელის წინაშე ჩნდება დილემა: თარგმნოს ქარის სახელწოდებები ბერძნულიდან ქართულად თუ ტრანსლიტერაციის გზით გადმოიტანოს უცვლელად? მაგალითად, Βορέας (Boréas) უნდა გადმოიცეს, როგორც „ჩრდილოეთის ქარი“ თუ გადმოვიდეს, როგორც ბორეასი?

ჩემი, როგორც მთარგმნელის, დამოკიდებულება საკითხისადმი ამგვარია:

1. მიზანშეწონილად არ მიმაჩნია აღნიშნულ სახელწოდებათა ქართულად გადმოცემა შესაბამისი ჰორიზონტის მხარეების დასახელებათა გამოყენებით, რადგან ანტიკური ხანის ყველა ავტორი ქარების მიმართულებათა ერთიან სქემას არ მისდევს. მაგალითად: ზოგი ავტორისათვის ბორეასი შეესაბამება ჩრდილოეთის მიმართულებას (N), ზოგისათვის (მათ შორის პტოლემეაიოსისთვისაც) - ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთისას (NNE).

2. ქართულ ენაში არსებობს ქარების ძველ ბერძნულ სახელთა ტრანსლიტერაციის დიდი ხნის ტრადიცია. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი გვთავაზობს ძველი ბერძნული ქარების სახელწოდებათა „გაქართულებულ“ ვერსიას: Βορέας (Boréas) გადმოაქვს, როგორც ბორეასი და ა.შ. (ქარების სახელწოდებებისათვის იხ. [ორბელიანი, 1993... 213-216]).

3. ამგვარად, ქართული ენისათვის არაა უცხო ქარების ძველ ბერძნულ სახელწოდებათა „გაქართულება“. ამიტომ მიმაჩნია, რომ უფრო გამართლებულია აღნიშნულ სახელთა ტრანსლიტერაცია, რა თქმა უნდა, ანტიკური ხანის სახელთა ქართულად გადმოტანის წესების გათვალისწინებით (იხ. [ტონია, 2023: 17-24]). თუმცა ამავდროულად ვფიქრობ, რომ პირველ პუნქტში

აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, საჭიროა შენიშვნის სახით ქარების მიმართულეზაც მიეთითოს.

ამ პრინციპების გათვალისწინებით პტოლემაიოსის თორმეტქარიანი სისტემა ქართულ ენაზე ამგვარად შეიძლება გადმოვიტანოთ:

ოთხი კარდინალური ქარი:

Ἀπαρκτίας (Aparktías)- აპარკტიასი (ჩრდილოეთის ქარი); „გეოგრ.“, „ფაზ.“

Νότος (Nótos)⁶ - ნოტოსი (სამხრეთის ქარი); „გეოგრ.“, „ოთწიგნ.“, „ფაზ.“

Ζέφυρος (Zéphuros) - ზეფიროსი (დასავლეთის ქარი); „ოთწიგნ.“, „ფაზ.“

Ἀπeliώτης (Apeliótēs) - აპელიოტესი (აღმოსავლეთის ქარი); „გეოგრ.“, „ოთწიგნ.“, „ფაზ.“

რვა ინტერკარდინალური ქარი:

Καικίας (Kaikías) - კაიკიასი (ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი) პტოლემაიოსი ამ ქარს სახელწოდებით არ მოიხსენიებს, თუმცა აღნიშნული მიმართულეზების ქარი შეტანილია მისი ქარების რუკაში (იხ. [Berggren... 2000: 15]).

Εὔρος (Eūros) - ევროსი (სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი) „გეოგრ.“, „ფაზ.“

Λίψ (Líps) - ლიფსი (სამხრეთ-დასავლეთის ქარი) „გეოგრ.“, „ფაზ.“

Ἰάπυξ (Iápyx) - იაპიქსი (ჩრდილო-დასავლეთის ქარი) „გეოგრ.“

Βορέας (Boréas) - ბორეასი (ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი) „გეოგრ.“, „ოთწიგნ.“, „ფაზ.“

Θρασκίας (Thraskías) - თრასკიასი (ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთის ქარი) „გეოგრ.“

Λιβόνωτος (Libónotos) - ლიბონოტოსი (სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთის ქარი) „გეოგრ.“, „ოთწიგნ.“

Ευρόνωτος (Eurónotos) - ევრონოტოსი (სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი) (იხ. [Berggren... 2000: 15]).

გარდა ხსენებული ძირითადი ქარებისა, პტოლემაიოსის „ფაზებსა“ თუ „ოთწიგნულში“ გვხვდება დასახელება სხვადასხვა სეზონური ქარისა, რომელიც მედიტერანული სივრცის კლიმატური პირობებისთვისაა დამახასიათებელი.

χελιδονιάς (khelidonías) - ამ ქარის ფუძეშია სიტყვა χελιδών (khelidón) - მერცხალი. ბრილის ლექსიკონის განმარტებით ესაა: *გაზაფხულის ქარი, რომელსაც მოჰყავს მერცხლები* [Montanari, 2015: 2353]. ქარის ეს სახელწოდება წმინდად ელინური კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენია. ამიტომ ქართულ შესატყვისად ვარჩევ მერცხლის ქარს, რათა სემანტიკაც გასაგები იყოს.

ამ ქარის მსგავსია ὄρνιθιάς (ornithías), რომლის ფუძეშია ὄρνις (órnis) ფრინველი. ესეც ერთგვარი ყოველწლიური გაზაფხულის ქარია, რომელსაც ფრინველები შემოჰყავს, ამიტომ შეიძლება გადმოიცეს, როგორც *ფრინველის ქარი*.

ἔτοςια ერთგვარი პერიოდული ქარებია, რომლებიც ზაფხულის დროს ჩრდილო- დასავლეთიდან უბერავს, ამ სახელის ფუძეშია ἔτος (étos) - წელიწადი. ეს სახელი მრავლობითშია მოცემული, თანაც ქართული ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება, ამიტომ მართებულად მიმაჩნია თ. გიორგობიანის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი: ეტესიები [გიორგობიანი 2019: 161].

ზემოაღნიშნული ტერმინების ანალიზიდან, ვფიქრობ, გამომდინარეობს შემდეგი:

ა) ზოგიერთი მეტეოროლოგიური ტერმინის ქართული შესატყვისის დადგენა მარტივია, რადგან არ შეიცავს ბუნდოვანებას და ქართულში ზუსტი ანალოგია მოეპოვება.

ბ) ზოგიერთი სახელწოდების გადმოტანა (მაგალითად, ქარების დასახელება) უმჯობესია ტრანსლიტერაციის გზით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მათი გადმოღების და გადმოქართულების ტრადიცია უკვე არსებობს. ამას ემატება ისეთი სპეციფიკური ტერმინებიც, რომელთა ქართული შესატყვისი არ მოგვეპოვება. მნიშვნელოვანია, რომ ტრანსლიტერაციის დროს დავიცვათ ანტიკური სახელწოდებების ქართულად გადმოტანის პრინციპები (იხ. ტონია, 2023).

გ) არსებობს ომონიმური და პოლისემანტური ცნებები, რომელთა ქართული შესატყვისების ძიებისას გასათვალისწინებელია კონტექსტი.

როგორც ძველი ბერძნული, ისე - ქართული ენები, მდიდარია ამინდისა და ბუნებრივ მოვლენათა აღმნიშვნელი ცნებებით. ამასთანავე, ანტიკურობაში ცნება „მეტეოროლოგია“ მოიცავდა არა მხოლოდ იმას, რასაც თანამედროვე გაგებით გულისხმობს მეტეოროლოგია, არამედ გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ ფენომენებსაც. მეტეოროლოგიურ ტერმინებზე მსჯელობა ერთი სტატიით ვერ ამოიწურება. ამიტომ სტატიაში წარმოდგენილი თემატიკა მომავალში შეიძლება განივრცოს ორი მიმართულებით: 1) დაემატოს სხვადასხვა ბერძენი ავტორი და გაანალიზდეს მათ მიერ გამოყენებულ

ტერმინთა სპეციფიკა; 2) ამას დაემატოს ქართულად ნათარგმნი კლასიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების მიერ გამოყენებული მსგავსი თემატიკის ტერმინოლოგია და განისაზღვროს მათი ადგილი ქართულ ტრადიციაში.

[1] უზენაესი ღვთაება ზევსი ამავდროულად ზეცის ღმერთიცაა, რომელიც განკარგავს ღრუბლებს, მებსა და ელვას; მისი ძმა, პოსეიდონი, წყლის სტიქიის მბრძანებელია და ამავდროულად მიწისძვრაზეა პასუხისმგებელი; ზევსის მეუღლეს, ჰერას, აგრეთვე, მიეწერება ამინდის გაკონტროლების უნარი. ძირითადი ღმერთების გვერდით ბერძნულ პანთეონში მრავლად გვხვდება მცირე ღვთაებებიც - ამა თუ იმ სტიქიური ძალისა თუ სეზონური მოვლენის განსხეულებები.

[2] აღნიშნული პოემა, როგორც ლ. ტაუბი განმარტავს, დგას გამორჩეული ტრადიციის სათავეებთან ასტრომეტეოროლოგიური ტექსტებისა, რომლებიც ასტრონომიულ მოვლენებს სეზონებსა და ამინდს უკავშირებს [Taub, 2003: 7].

[3] ანტიკური მეტეოროლოგიური ტექსტების კვლევის შედეგად სიდერი და ბრუნშონი გამოყოფენ ამინდის პროგნოზირების ადრესატ სხვა პროფესიის ადამიანებსაც, კერძოდ: მეწისქვილეებს, სხვადასხვა სახის ნახირის მწყემსებს, სამხედრო სტრატეგებს, მეთევზეებს, ვაჭრებს და, გარკვეულწილად - ექიმებსაც [Sider... 2007: 1, სქ. 1].

[4] თუკი „ალმაგესტის“ ინგლისურ თარგმანს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ტუმერი სიტყვას νεφέλιონ (nephélion) გადმოსცემს, როგორც nebula, ხოლო νεφέლოიდეს (nepheloeidés) სუსტროფი (sustrophé)-ს როგორც nebulous mass ან globular cluster/ galactic cluster (იმ შემთხვევაში, თუ იგულისხმება ერთი კაშკაშა ვარსკვლავი) [Toomer, 1984: 16, 324 და ა.შ.].

[5] დასახელებულია პტოლემეოსის ის ნაწარმოებები, რომლებშიც მოხსენებულია ამა თუ იმ ქარის სახელწოდება.

[6] აღნიშნული ქარი ნაყოფიერად და ტენიანობის მომტანად მიიჩნეოდა. შდრ. ქართული ნოტიო.

ლიტერატურა:

გორგობიანი თ. ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 2019

ორბელიანი ს.ს.ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1993

ტონია ნ. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 2023

ჭაბაშვილი მ.უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 1989

Beekes R. Etymological Dictionary of Greek (Leiden Indo-European Etymological Dictionary Series; 10), vol. II. Boston: Brill. 2009

Berggren, J. L. and A. Jones. Ptolemy's Geography: An Annotated Translation of the Theoretical Chapters. Princeton, NJ/Oxford. 2000

lsj.gr, 1940

McCartney E. S. Clouds, Rainbows, Weather Galls, Comets, and Earthquakes as Weather Prophets in Greek and Latin Writers. The Classical Weekly, 23(1), 2–8. 1929

Ptolemy. Claudii Ptolemaei Opera quae exstant omnia: pars 1. Apotelesmatika. (Original work published ca. 168), 1954

Taub L. Ancient Meteorology. New York; London, 2003

Toomer G. Ptolemy Syntaxis Mathematica trans. 1984

Sider D., Brunschön, C.W Theophrastus of Eresus: On Weather Signs. 2007

თამარ კვიციანი

ქართულ ტერმინთა წარმოების მეთოდები: ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების მაგალითზე

1. შესავალი

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც მუდმივად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის პრობლემების შესწავლა. დარგების განვითარება მრავალ ახალ სამეცნიერო ცნებას წარმოშობს. შესაბამისად, ერთი მხრივ, საჭიროა ცნების აღწერა, მისი ძირითადი მახასიათებლების დადგენა და ადეკვატური განმარტების ჩამოყალიბება [ISO 704: 2022: 53-82], მეორე მხრივ კი, საჭიროა ცნებისთვის სახელის დარქმევა, ანუ ახალი ტერმინის შექმნა, რომელიც ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და მოცემული ენის თავისებურებებისა და ენობრივი ნორმების გათვალისწინებით უნდა მოხდეს [ISO 704: 2022: 83-104]. ასეთი საქმიანობის გარეშე დარგების განვითარებაც ფერხდება, რადგან ტერმინოლოგია დარგის სპეციალისტებს შორის ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ექვევა მას დიდი ყურადღება როგორც ეროვნულ, ისე - საერთაშორისო დონეზე.

ტერმინოლოგია ეწოდება ამა თუ იმ დარგის ტერმინების ერთობლიობას.

რ. ღამბაშიძე, თავის მონოგრაფიაში ქართული ტერმინოლოგიის შესახებ, ტერმინს განმარტავს როგორც განსაკუთრებულ ენობრივ ნიშანს, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთობას და ურთიერთგაგებას სპეციალისტებს შორის [ღამბაშიძე, 1986].

ალ. ლლონტი ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერმინი ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა, ან სიტყვით გამოხატული ცნება. ის მაქსიმალური სიზუსტითა და სისწორით უნდა გამოხატავდეს შესაბამის ცნებას“ [ლლონტი, 1964: 45]. მისივე აზრით, ცნება წარმოადგენს ადამიანის აზროვნების ფორმას, რომელშიაც გამოხატულია საგნის, მოვლენის, ობიექტური სინამდვილის არსებითი ნიშნები. საგნებს, მოვლენებს ობიექტურ სინამდვილეს სწავლობს და იკვლევს ცოდნის სხვადასხვა სფერო - მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, რომელთა ცალკე დარგებს მოეპოვებათ საკუთარ ცნებათა სისტემა, საკუთარი ტერმინოლოგია. ალ. ლლონტის აზრით, ტერმინოლოგია ისევე აუცილებელია მეცნიერების ენისათვის, როგორც ჰაერი ადამიანისათვის. ტერმინების მთავარი ღირსება სიზუსტეა, რაც განაპირობებს მათ გამძლეობას. „ტერმინთა მნიშვნელობის ნებისმიერად შეცვლა ქაოსს იწვევს

მეცნიერებაში. ამიტომაც მეცნიერება ფრთხილად უნდა მოეკიდოს ტერმინთა შერჩევის საკითხს და შერჩეულ სიტყვას უნდა მოუფრთხილდეს, მოუაროს და არავის მისცეს მისი დამახინჯების უფლება“, - აღნიშნავს ალ. ლლონტი [ლონტი, 1964: 47].

დ. მელიქიშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ მეცნიერული ენის მთავარ სპეციფიკას სწორედ სპეციალური ტერმინები ქმნიან. „სანამ ცნებას მოპოვებული არ აქვს თავისი საკუთარი დასახელება - ტერმინი, მას აკლია გარკვეულობა, ხოლო თავის მხრივ, განსაზღვრული ტერმინი მეცნიერული ცნების მომწიფებას უწყობს ხელს და, ამდენად, თვით ამ მეცნიერების განვითარებასაც. ტერმინოლოგიური მუშაობა გაცნობიერებული პროცესია. მეცნიერების ყველა დარგი მიისწრაფვის გამოიმუშაოს საკუთარი ენა, სადაც ინფორმაციის სემანტიკური განსაზღვრულობა უნდა ეყრდნობოდეს ენობრივი ნიშნისა და აღსანიშნი ცნების ცალსახა მიმართებას“ [მელიქიშვილი, 2022: 30-31].

ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს ეთმობა. „კარგად შედგენილი ტერმინი უთუოდ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შესაბამის საგანსა თუ მოვლენაზე. ამიტომ ისეთი ტერმინია მიჩნეული იდეალურად, რომელიც გამჭვირვალეა თავისი შინაარსის მიხედვით და საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მის შესაბამის ცნებას გააჩნია“ [ლამბაშიძე, 1986: 14].

ბოლო დროინდელმა მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებულმა განვითარებამ გამოიწვია ბევრი ახალი ცნების გაჩენა, რაც თავისთავად გულისხმობს მათთვის სახელის დარქმევას, ანუ ახალი ტერმინის გაჩენას. ტექნოლოგიებმა შეაღწიეს საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში, რაც ქმნის კომუნიკაციის ახალი საშუალების არსებობის საჭიროებას. იმ ენების ლექსიკური მარაგი, რომლებზეც ესა თუ ის საზოგადოება მეტყველებს, მოითხოვს მუდმივ განახლებას. სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში, შესაბამისად, ცოდნის მიღება ძირითადად ხდება ამ ქვეყნებიდან. ეს ყოველივე იწვევს სხვა, ნაკლებად ძლიერი ქვეყნების მიერ ტექნიკური თუ სამეცნიერო ლექსიკის დიდი რაოდენობით სესხებას. ამასთან საბრძოლველად და ამის გასაკონტროლებლად აუცილებელია ამ ქვეყნებმა შეიმუშაონ ტერმინოლოგიური პოლიტიკა, რომელიც ძირითადად თავდაცვითი ხასიათის მატარებელია, რათა ამ პროცესებმა არ წაღვეს მათი ენა და არ მოხდეს ამა თუ იმ ენაში ტერმინთა უკონტროლო შემოდინება. მაშასადამე, ტერმინოლოგიური საქმიანობა არის ენის სტანდარტიზებისა და დაგეგმარების მნიშვნელოვანი ნაწილი [Cabre, 1992]. ერთი ფაქტი კი რჩება უცვლელი, რომ ყველა ქვეყანაში ტერმინოლოგიური საქმიანობის მიზანი და მეთოდები მეტნაკლებად განსხვავებულია,

რასაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ ლინგვისტური ვითარება [Rondeau... 1986].

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ბუნებრივია, ქართულ ენაშიც იწვევს ახალი სამეცნიერო ცნებების მოზღვავებას, რაც თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიას დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. ქართველი ლექსიკოგრაფები, დარგის სპეციალისტები წერენ იმის შესახებ, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში გარკვეულად შეფერხებულია, რომ ბევრი ტერმინი სხვადასხვა დარგში, ძირითადად, სესხების გზით შემოდის და მკვიდრდება, რასაც ნამდვილად ვერ მივიჩნევთ დადებით ტენდენციად [Gogia, 2023; მარგალიტაძე, 2019; ქაროსანიძე, 2012].

ამ ტენდენციის შესამოწმებლად 2022-2023 წლებში ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის 1,600 ტერმინის მასალაზე. ჩვენი მიზანი იყო, გამოგვეკვლია ტერმინთა სესხების პროცენტულობა თანამედროვე დარგებში, რისთვისაც შეირჩა გენეტიკის, იმუნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის დარგები. გაანალიზდა აღნიშნული დარგების 800 ტერმინი და გამოვლინდა, რომ მათი 75-80 % ნასესხები ტერმინია. ეს შედეგი შევადარეთ უფრო ტრადიციული დარგების ტერმინოლოგიას, რისთვისაც შევარჩიეთ 800 ტერმინი ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ანატომიის დარგებიდან. ამ დარგების ტერმინების ანალიზმა სრულიად სხვა ვითარება წარმოაჩინა, კერძოდ, გაანალიზებული ტერმინების თითქმის 80 % ქართული ენის რესურსებით აღმოჩნდა ნაწარმოები [Kvitsiani, 2023].

სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებმა განაპირობა ჩვენი ინტერესი უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა ტრადიციული დარგების, კერძოდ ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ანატომიის ტერმინების წარმოების მეთოდები ქართულში. ქართული ტერმინთმემოქმედების მეთოდების ანალიზისათვის დავეყრდენით რ. ღამბაშიძის მონოგრაფიას (1986) და საერთაშორისო სტანდარტს „ისო 704-2022, ტერმინოლოგიური მუშაობა - პრინციპები და მეთოდები“. კვლევაში გამოვიყენებთ ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდს. ქართული ტერმინები შევადარეთ მათ შესატყვის რუსულსა და ინგლისურ ტერმინებს.

როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ქართული ტერმინოლოგია რუსული ენის დიდ გავლენას განიცდიდა, რამაც განაპირობა რუსული ტერმინების ჩართვა კვლევაში. ინგლისურ ტერმინებთან შედარება გამოიწვია ტერმინთა წარმოების მეთოდების შეპირისპირებითი კვლევის მოტივაციამ. ინგლისური ტერმინების ეტიმოლოგიის დასადგენად გამოვიყენეთ „ინგლისური ენის ლექსიკონი

ისტორიულ პრინციპებზე“ (OED) და ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ონლაინლექსიკონი, რომელიც განთავსებულია შემდეგ მისამართზე: etymonline.com.

საკვლევ მასალად გამოვიყენეთ ზემოხსენებული სტატიისთვის შერჩეული 800 ტერმინი ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ანატომიის დარგებიდან [Kvitsiani, 2023]. ტერმინები ამოკრებილია ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინლექსიკონიდან, ცილა მენაბდის ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონიდან, ალექსანდრე მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონიდან და სხვა წყაროებიდან (იხილეთ გამოყენებული ლიტერატურის სია). ტერმინები შერჩეულია შემთხვევითობის პრინციპით და შესწავლილია ტერმინთა წარმოების თვალსაზრისით. ამ მიზნით, როგორც აღინიშნა, გამოყენებულია ტერმინთა სამ ენაში შეპირისპირების მეთოდი, აგრეთვე ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდი.

2. ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების წარმოების მეთოდები

ნაშრომის ამ თავში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ გაანალიზებული ტერმინების ნიმუშებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორებიცაა: ბოტანიკა, ზოოლოგია და ანატომია, ქართული ტერმინები ძირითადად იქმნებოდა რუსული ან ლათინური ენიდან სტრუქტურული ან სემანტიკური სესხების გზით. ძირითადი წყარო ტერმინთა კალკირებისა (სტრუქტურული სესხებისა) მაინც იყო რუსული ენა, რაც განპირობებული იყო იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებითა და რუსული ენის დომინანტობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერმინების შესაქმნელად გამოიყენებოდა ქართული ენის რესურსები, ანუ რუსული ან ლათინური ტერმინის სტრუქტურაში რუსული და ლათინური სიტყვები ჩანაცვლებული იყო ქართული სიტყვებით (იხილეთ მაგალითები 1-20):

1. Aardvark - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია აფრიკანსიდან და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მიწის ღორს“ (aard „მიწა“ + vark „ღორი“) (etymonline.com). აღნიშნული სამხრეთ-აფრიკული ცხოველის გერმანული სახელწოდებაა Erdferkel. გერმანული ტერმინი კალკირებულია აფრიკანსის ენიდან და აფრიკანსის სიტყვები aard + vark ჩანაცვლებულია გერმანული სიტყვებით Erd + Ferkel.

რუსულ ენაში ამ ტერმინის შესატყვისია „африканский трипозуи“. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი მიღებულია ამ ცხოველის ერთ-ერთი ლათინური სახელის კალკირებით - Tubulidentata, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს პატარა მილს და კბილს.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „აფრიკული მილკბილა“.

როგორც ვხედავთ, ინგლისური ტერმინი ნასესხებია აფრიკანსის ენიდან, გერმანული ტერმინი კალკირებულია აფრიკანსიდან, რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, ამ ცხოველის ერთ-ერთი ლათინური სახელის კალკია, ქართული შესატყვისი კი, რუსული ტერმინის კალკირებითაა მიღებული.

2. Aardwolf - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც აღნიშნავს „მიწის მგელს“.

ინგლისური ტერმინი ნასესხებია აფრიკანსის ენიდან და შედგება 2 ძირისგან: aard - მიწა და wolf - მგელი (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია: „земляной волк“, რომელიც აფრიკანსის ტერმინის კალკია.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „მიწის მგელი“.

ინგლისური ტერმინი ნასესხებია აფრიკანსის ენიდან, რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, კალკირებულია აფრიკანსიდან, შესაძლოა ჰოლანდიური ენიდან (ასევე aardwolf), ქართული ტერმინი კი ნაწარმოებია რუსული ტერმინის კალკირების გზით.

3. Barnacle - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ნასესხებია საშუალო ინგლისურ პერიოდში ფრანგულიდან. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „გარეული ბატი“, ხოლო მნიშვნელობა „კიბოსნაირთა კლასის წარმომადგენელი“, დასტურდება ინგლისურში 1580 წლიდან. საინტერესოა ტერმინის გერმანული შესატყვი Entenmuschel, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბატ-მოლუსკს“ (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „усоногий рак“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ულვაშფეხიანი კიბო“.

როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

4. Bream - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ნასესხებია ფრანგულიდან საშუალო ინგლისურ პერიოდში (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „белоглазка“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „თეთრთვალა“.

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან. ქართული ტერმინი კი შექმნილია რუსული ენიდან კალკირების გზით.

5. Icefishes - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან ice და fish. ტერმინი გამოიყენება თევზების ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნად (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „белокрылые“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „თეთრისხლასებრნი“.

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში მშობლიური ძირის სიტყვების გამოყენებით. ქართული ტერმინი რუსული შესატყვისი ტერმინის კალკია.

6. Half-beak - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ძირეული ინგლისური სიტყვისაგან half და ფრანგული ძირის სიტყვისაგან beak (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „длиннорыл“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „გრძელდინგა“.

როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

7. Weevil - ინგლისური ზოოლოგიური (ენტომოლოგიური) ტერმინია, რომელიც მშობლიურია ინგლისურ ენაში (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „жук-долгоносик“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „ცხვირგრძელა ხოჭო“.

ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

8. racket-tail - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვისგან racket და ძირეული ინგლისური სიტყვისგან tail (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „колибри-знамённый“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „კოლიბრი აღმოსანი“.

ქართული ტერმინი რუსული ტერმინის კალკია.

9. Cabbage rose - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ნასესხები სიტყვებისგან: cabbage ნასესხებია ფრანგულიდან სამუალო ინგლისურ პერიოდში, ხოლო rose ნასესხებია ლათინურიდან ძველ ინგლისურ პერიოდში (etymonline.com).

აღნიშნული ტერმინის ლათინური სახელწოდებაა Rosa centifolia.

ტერმინის რუსული შესატყვისია „роза столистная, центифолия“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ასფურცელა ვარდი, ცენტიფოლია“.

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ნასესხები ძირის სიტყვებით. რუსული შესატყვისი ორ სინონიმს მოიცავს, роза столистная, რომელიც კალკირებულია ლათინურიდან და центифолия, რომელიც ნასესხებია ლათინურიდან. ანალოგიური სურათია ქართული ტერმინის შემთხვევაშიც, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული ტერმინი შექმნილია რუსული და ლათინური ენების გავლენით, სესხებით და კალკირებით.

10. Blue herring - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან blue და herring.

ტერმინის რუსული შესატყვისია „зеленоспинка“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მწვანეზურგა“

ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

11. Needlefish - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვების needle და fish შეერთებით (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „игла-рыба“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ნემსთევზა“.

როგორც ამ ტერმინების შედარებით ჩანს, სამივე ეკვივალენტს საერთო სტრუქტურა აქვს. რუსული ტერმინი კალკია ლათინური ენიდან ან რომელიმე ევროპული ენიდან. ქართული ტერმინი, სავარაუდოდ, შემოსულია რუსული ენიდან და ორმაგი კალკირების შედეგია.

12. Threadfin breams - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელს შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვების (thread და fin) და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვის (bream) შეერთებით (OED). ამ ტერმინის ლათინური სახელწოდებაა Nemipteridae. ტერმინის რუსული შესატყვისია „нитеперые“. ტერმინის ქართული შესატყვისია „ბაწარფარფლიანები“.

აღსანიშნავია, რომ როგორც რუსული, ისე ინგლისური ეკვივალენტი ამ ტერმინისა ლათინური სახელწოდების კალკირებითაა მიღებული. შესაბამისად, ტერმინის კალკირება ტერმინთა წარმოების საკმაოდ გავრცელებული მეთოდია. ქართული ეკვივალენტი, სავარაუდოდ, რუსული და ლათინური ენებიდანაა ნაწარმოები სტრუქტურული სესხების გზით.

13. White marlin - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან white და marlin (etymonline.com).

ტერმინის ლათინური სახელწოდებაა Tetrapturus albidus.

ტერმინის რუსული ეკვივალენტი „копьеносец белый“.

ტერმინის ქართული შესატყვისა „თეთრი შუბოსანი“.

რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, ლათინური სახელწოდების კალკია. ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ტერმინისგან და ორმაგი კალკირების შედეგია.

14. Dragon's head - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისგან dragon და ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვისგან head (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „змееголовник“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „გველთავა“.

ეს ბოტანიკური ტერმინიც კალკირებითაა მიღებული რუსული ენიდან.

15. Helianthemum - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ბერძნული ენიდან (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „солнцецвет“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მზეყვავილა“.

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ბერძნული ენიდან. რუსული ტერმინი ბერძნულიდანაა ნაწარმოები სტრუქტურული სესხების გზით. ქართული ტერმინი მიღებულია რუსული ენიდან კალკირების გზით.

16. Meadow foxtail - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია და მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან meadow, fox და tail (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „лисохвост луговой“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მდელოს მელაკუდა“.

ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს მსგავს სტრუქტურას. სავარაუდოდ, ტერმინები რუსულსა და ინგლისურ ენებში ნაწარმოებია კალკირების გზით ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინი რუსული ენიდან უნდა იყოს მიღებული სტრუქტურული სესხების გზით.

17. Abducens - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „отводящий нерв“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „განმზიდველი ნერვი“.

ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენის გავლენით.

18. Adductor - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „приводящая мышца“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მომზიდველი კუნთი“.

ეს ქართული ტერმინიც ნაწარმოებია რუსული ენის გავლენით.

19. Cnida - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ნასესხებია ლათინურიდან (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „нематоцит“, „жгучая клетка“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ნემატოციტი“, „მსუსხავი უჯრედი“.

ტერმინი შექმნილია რუსული ენის გავლენით.

20. Levator - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „поднимающая мышца“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ამწევი კუნთი“.

ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენის გავლენით.

როგორც მასალის ანალიზმა გამოავლინა, დიდია რუსული ენის გავლენა განხილული დარგების ტერმინების წარმოების პროცესზე. სტრუქტურული სესხება ტერმინთა წარმოების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად გამოიკვეთა. გარდა ზემოთ განხილული მაგალითებისა, ეს ტენდენცია კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც (იხ. 21-35).

21. Акула гребнезубая - სავარცხელკბილა ზვიგენი
22. Амур плоскоголовы - ბრტყელთავა ამური
23. Белоглазка южная - სამხრეთული თეთრთვალა
24. Белорыбица - თევზთეთრა
25. Бесчелюсные позвоночные - უყბო ხერხემლიანები
26. Большеглаз - თვალდიდა, დიდთვალა
27. Бородатка длинноусая - გრძელულვაშა წვეროსანი
28. Бычки широколобки - განიერშუბლა ღორჯო
29. Бычок трехзубый темный - მუქი სამკბილა ღორჯო
30. Губан гребенчатый серый - რუხი სავარცხლურა ტუჩოსანი
31. Длинноперы - გრძელფარფლა
32. Долгохвост вооруженный - შეიარაღებული ბოლოგრძელა
33. Желтопер чернобрюшка - შავმუცელა ფარფლყვითელა
34. Зубан большеглазый - დიდთვალა კბილანა
35. Зубатка тонкохвостая - წვრილკუდა კბილანა

ქართული ტერმინები ხშირად ორმაგი კალკირების შედეგია. რუსული ტერმინი ნაწარმოებია ლათინური, ბერძნული ან რომელიმე ევროპული ენიდან, ქართული კი რუსული ენიდან. კალკირებისას, უცხო ენის სტრუქტურაში უცხო სიტყვებს ანაცვლებს მშობლიური ენის სიტყვები, რის შედეგადაც ვიღებთ გამჭვირვალე, ადვილად გასაგებ და აღსაქმელ ტერმინებს. ტერმინთა კალკირებას ბერძნული ენიდან ხშირად მიმართავდნენ შუა საუკუნეების ქართველი მთარგმნელებიც [მელიქიშვილი, 2022].

ტერმინთა წარმოება სტრუქტურული სესხების, ანუ კალკირების გზით, ტერმინთა წარმოების გავრცელებული მეთოდია, რომელიც ევროპულ ენებშიც გვხვდება და მას აგრეთვე ანალოგურ მეთოდსაც უწოდებენ.

განხილული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამ ასევე გამოკვეთა, რომ ქართველი ტერმინოლოგები მიმართავენ მეტაფორას და საერთო ლექსიკის სიტყვები გადააქვთ ტერმინოლოგიაში, ანიჭებენ მათ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას: თვალის ფსკერი, ფილტვის მწვერვალი, მარყუჟი, ორგანოს შესასვლელი, კბილის ფესვი, ფოთლის უბე და სხვა. ხშირია ტერმინის გადატანა დარგიდან დარგში, მაგ. გრდემლი, როგორც ანატომიური ტერმინი, კონუსი, როგორც ბოტანიკური ტერმინი და სხვა. საერთო ლექსიკის სიტყვების მეტაფორული გადააზრება ხშირად ასევე უცხო ენის, განხილული დარგებისათვის, რუსული ენის ეკვივლენტური სიტყვების ანალოგიით ხდება, რასაც სემანტიკურ სესხებას ვუწოდებთ.

ქართველი ტერმინოლოგები ხშირად მიმართავენ შედარებას ტერმინქმნადობისას და ამისათვის იყენებენ მსგავსების გამომხატველ სადერივაციო ელემენტს, -ებრ სუფიქსს. მაგ.: ფრთისებრი, სოლისებრი, მილაკისებრი, მარყუჟისებრი, ფარვანასებრი და სხვა. ასევე გვხვდება სხვა დერივანტებიც: -ოვან (ჯირკვლ-ოვან-ი), სა-ე (სა-ცრემლ-ე), -იან (მილაკებ-იან-ი), უ-ო (უ-სადინარ-ო) და ა.შ.

განხილული დარგების ტერმინებში გვხვდება პირდაპირი ნასესხობაც და ასეთია გაანალიზებული 800 ტერმინის 20%. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში, ტრანსლიტერაციით შექმნილ ტერმინებს ახლავს სინონიმებიც ქართულ ენაზე, ანუ ხშირია საერთაშორისო ტერმინისა და მისი ქართული სინონიმის თანაარსებობა (იხ. მაგალითები 36-43):

36. areola-ანატ. არეოლა, ძუძუს ბაკი, ძუძუს გვირგვინი

37. brachycephaly - ანატ. ბრაქიკეფალია, მოკლეთავიანობა.
38. circumduction - ანატ. ცირკუმდუქცია, წრიული მოძრაობა (ძვლის სახსარში).
39. dolichocephaly - ანატ. დოლიკოკეფალია, გრძელთავიანობა.
40. endocranium - ანატ. ენდოკრანიუმი, ქალასშიგა კანი.
41. gangliform – ანატ. განგლიოზური, კვანძოვანი
42. postbranchial - ანატ. პოსტბრანქიალური, ლაყურუკანა
43. postcranial - ანატ. პოსტკრანიალური, თავისქალისუკანა.

ტერმინთა სესხების ერთ-ერთი მეთოდია ფლორის ან ფაუნის წარმომადგენელთა ლათინური სახელწოდების ტრანსლიტერაცია. ლათინური სახელის ტრანსლიტერაციას ხშირად ვხვდებით ანატომიური ტერმინების წარმოების დროსაც. ამ შემთხვევაშიც იგრძნობა რუსული ენის გავლენა, რადგან ქართველი ტერმინოლოგები ამ მეთოდს, ხშირად, მიმართავენ რუსული ენის ანალოგიით. ქვემოთ წარმოდგენილია ასეთი სესხების რამდენიმე მაგალითი (იხ. 44-50).

44. Гимнелисы (Gymnelinae) - ზოოლ. გიმნელისები.
45. Гиодон (Hiodon selenops) - ზოოლ. ჰიოდონი.
46. Гирелла (Girella) - ზოოლ. გირელა.
47. Идиакантовые (Idiacanthidae) - ზოოლ. იდიაკანთისებრნი.
48. Каламихты (Calamoichthus) - ზოოლ. კალამიქთი.
49. Каллихтис (Callichthys thoracicus) - ზოოლ. კალიქთისი.
50. Каранкс (Caranx) კარანქსი.

განხილული დარგების ტერმინები, რომლებიც ქართულია და 80%-ს შეადგენს, ცხადია მოიცავს საკუთრივ ქართულ ტერმინებსაც, რომლებიც შეიქმნა ქართულ ენაში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე როგორც მცენარეების, ისე ცხოველებისა თუ სხვადასხვა ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ცნების გადმოსაცემად.

3. დასკვნა

ტერმინოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ტერმინოლოგიის როგორც ქართველი, ისე უცხოელი თეორეტიკოსები ხაზს უსვამენ ტერმინთა გამჭვირვალობისა და მოტივირებულობის აუცილებლობას, რადგან ტერმინოლოგია არის დარგის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის ძირითადი საშუალება. ისინი ასევე ხაზს უსვამენ იმ ზიანს, რაც ბუნდოვანმა და დაუმუშავებელმა ტერმინოლოგიამ შეიძლება მოუტანოს ენას. საყურადღებოა მათი გაფრთხილება იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც ტერმინთა უცხო ენებიდან დიდი რაოდენობით სესხებამ შეიძლება გამოიწვიოს [დამბაშიძე, 1986; ღლონტი, 1964; მელიქიშვილი, 2022; Cabre, 1992 და სხვები].

2022-2023 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია სწორედ ინგლისური ენიდან პირდაპირი სესხების გზით ივსება [Kvitsiani, 2023] და რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ენაში ნასესხები და, ამდენად, ბუნდოვანი, გაუმჭვირვალე ტერმინების რაოდენობა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება უფრო ღრმად შეგვესწავლა რამდენიმე ტრადიციული დარგის ტერმინები და მათი წარმოების მეთოდები.

როგორც ჩვენმა ანალიზმა აჩვენა, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ქართული ტერმინების წყარო ძირითადად ქართული ენაა და ასეთია ჩვენ მიერ შესწავლილი ტერმინების 80%. კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორი რუდუნებით, ქართული ენის ნორმების დაცვითა და ქართული ენის რესურსების აქტიური გამოყენებით იქმნებოდა ტერმინოლოგია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში.

ქართველი ტერმინოლოგები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ სტრუქტურული სესხების მეთოდს ტერმინების შექმნისას. აქვე გამოვლინდა, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, XX საუკუნეში შექმნილ ქართულ ტერმინოლოგიაზე დიდი იყო რუსული ენის გავლენა და ტერმინების უმრავლესობა ნაწარმოებია რუსული ენის ტერმინოლოგიის სტრუქტურის მიხედვით. მიუხედავად ამისა, შედეგად მივიღეთ გამჭვირვალე, ადვილად გასაგები და აღსაქმელი ქართული ტერმინები. სტრუქტურული სესხებისას ქართველი ტერმინოლოგები ასევე აქტიურად იყენებდნენ ლათინური ენის მოდელებს.

განხილული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამ ასევე გამოკვეთა, რომ ქართველი ტერმინოლოგები მიმართავენ მეტაფორას და საერთო ლექსიკის სიტყვები გადააქვთ ტერმინოლოგიაში, ანიჭებენ მათ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას. საერთო ლექსიკის სიტყვების

მეტაფორული გადააზრება ხშირად სემანტიკური სესხების გზით ხდება, ძირითადად, რუსული ენის ეკვივალენტური სიტყვების ანალოგიით.

ქართველი ტერმინოლოგები ხშირად მიმართავენ შედარებას ტერმინქმნადობისას და ამისათვის იყენებენ მსგავსების გამომხატველ სადერივაციო ელემენტს და სხვა.

განხილულ დარგებში ნაკლებად გვხვდება პირდაპირი სესხება, ასეთი იყო შესწავლილი ტერმინების 20%. ტერმინთა პირდაპირი სესხების წყაროც რუსული და ლათინური ენებია.

ამ ვითარების საპირისპიროდ, თანამედროვე ქართული ტერმინების თითქმის 80% ნასესხები ტერმინია და ტრანსლიტერაციით გადმოდის ქართულ ენაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც ინგლისური ტერმინოლოგია აქტიურად იყენებს საერთო ლექსიკის სიტყვებს ახალი ცნებების სახელდების მიზნით და საოცრად გამჭვირვალე, გასაგებ ტერმინებს ქმნის [მარგალიტაძე, 2019].

სასურველია, ქართული ტერმინთშემოქმედების ტრადიციისა და მეთოდების გათვალისწინებით წარმართოს ტერმინოლოგიური საქმიანობა დღესაც, რათა არ მოხდეს ტერმინთა სტიქიური და უკონტროლო შემოდინება ქართულ ენაში. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ტერმინთშემოქმედება უნდა დაუბრუნდეს ტრადიციას, როდესაც ტერმინები იქმნებოდა ქართული ენის რესურსების გამოყენებით, იმ მეთოდებით, რომლებიც აღვწერეთ წინამდებარე სტატიაში, სემანტიკური სესხებით, სტრუქტურული სესხებით, სიტყვათმაწარმოებელი საშუალებების გამოყენებით და სხვა.

მიგვაჩნია, რომ ტერმინოლოგია არის საერთო საქმე, რომლის ირგვლივაც მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს. ტერმინქმნადობა ეს არის პროცესი, რომელშიც თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულები როგორც ტერმინოლოგები და ენის სპეციალისტები, ისე თავად დარგის წარმომადგენლებიც. ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა არის ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება იმ ტრადიციისა და მეთოდების გათვალისწინებით, რითაც ხასიათდება ქართული ტერმინთშემოქმედება.

ლიტერატურა:

მარგალიტაძე თ. ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში. საერთაშორისო კონფერენციის კრებული ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში III.

ბათუმი: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. ISSN 1987-7625 ISBN 978-9941-462-86-3

მელიქიშვილი დ. იოანე პეტრიწის ენა და სტილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022

ქაროსანიძე ლ. ქართული ტერმინოლოგიის სირთულენი (ისტორია და თანამედროვეობა). II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში. ბათუმი. 2012

ღამბაშიძე რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბილისი: მეცნიერება, 1986

ღლონტი ა. ქართული ლექსიკოლოგია. გამომცემლობა „ცოდნა“, 1964

გოგმაჩაძე თ. თევზების ნომენკლატურა. ბათუმი: გამომცემლობა აჭარა, 2018

ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინლექსიკონი. თსუ, ლექსიკოგრაფიის ცენტრი. 2016
<http://bio.dict.ge/ka/>.

ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ონლაინლექსიკონი. 2017 <https://www.etymonline.com/>.

კუტუბიძე მ. ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია. მეცნიერება. თბილისი.

მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961

მენაბდე ც. ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი.. თბილისი: მეცნიერება, 1983

Lawrence E. Henderson's Dictionary of Biology (14th edition). Publisher: Benjamin Cummings. 2008

Oxford English Dictionary on historical principles. Oxford University Press, 2009

Cabre M. T. Terminology-Theory, Methods and Application. Vol. 1. Amsterdam: John Benjamins publishing company. 1992

Gogia N. Terminological Inconsistences and Translation Problems in Legislative and Other Institutional Documents. Proceedings of the International Conference LEXICOGRAPHY IN THE 21ST CENTURY. Tbilisi, 2023

ISO 704. Terminology work- Principles and Methods. 2022

Kvitsiani T. Georgian Terminology: Tradition and Present State. Proceedings of the International Conference LEXICOGRAPHY IN THE 21ST CENTURY. Tbilisi: Ilia University Press, 2023

Rondeau G., Sager J. C. Termia 84. Terminologie et cooperation international. Quebec: GIRSTERM.1986

მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე, სოფიო თოთიბაძე, მარიამ ქეზურია

სიძულვილის ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ქართულ და ინგლისურ ენებში

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR-21-563)

1. შესავალი

როგორც ცნობილია, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიამ ბიძგი მისცა მეტაფორის, როგორც ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი ხერხის, გააზრებას კოგნიტური ლინგვისტიკის პოზიციიდან.ჯ. ლეიკოფისა და მ. ჯონსონის (2003) კონცეპტუალური მეტაფორის ფუნდამენტური თეორიის მიხედვით, მეტაფორა ადვილებს ადამიანის მიერ სამყაროს აღქმასა და ერთ-ერთ აუცილებელ იარაღად გვევლინება სამყაროს დიფერენციაციისა და კონცეპტუალიზაციის პროცესში.

სამყაროს აღქმის მეტაფორიზაცია, როგორც კოგნიტური მოვლენა, გულისხმობს მეტაფორის საწყისი (კონკრეტული) სფეროდან მის სამიზნე (აბსტრაქტულ) სფეროზე კონტექსტისათვის რელევანტური ასოციაციების (ან დამახასიათებელი თვისებების) გადატანასა და მისადაგებას. ეს ადვილად ხელშესახებს ხდის სამიზნე ცნებას და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მის თვისებებს. საინტერესოა ისიც, რომ ადამიანი სამყაროს შემეცნების პროცესს საკუთარ თუ საზოგადოების გამოცდილებაზე აფუძნებს, რაც დიდწილად აბსტრაქტულის კონკრეტულად ქცევის მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

ემოცია და მისი ვერბალური თუ არავერბალური გამოხატვა კულტურული თვალსაზრისით, ასევე, სპეციფიკურ ფენომენად ითვლება [Sharifian, 2017]. რადგანაც კონცეპტუალური მეტაფორა ადამიანის აზროვნების როგორც უნივერსალურ, ისე სპეციფიკურ თვისებებს წარმოგვიჩენს და ენობრივად გამოხატულ კოგნიტურ პროცესს ასახავს. იგი ბუნებრივად წარმოშობს მეტაფორული აზროვნების უნივერსალურ და ვარიანტულ მოდელებს. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში სახეზეა გარკვეული კულტურული მოვლენის მეტაფორული ინტერპრეტაცია [Maleej, 2007; Kövecses, 2015; Sharifian, 2017; Rusieshvili-Cartledge & Dolidze, 2020].

სტატიის მიზანია „სიძულვილის“ ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის სპეციფიკის შესწავლა ქართულ და ინგლისურ ენებში, ამ ენებსა და კულტურებში უნივერსალური და ვარიანტული მოდელების გამოყოფა და ანალიზი.

2. მეთოდოლოგია და ემპირიული საკვლევი მასალა

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს (1) ზ. კოვეჩეშის კულტურული მეტაფორული მოდელების თეორია [Kövecses, 2010] და (2) მ. რუსიეშვილის მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელი [რუსიეშვილი 2005, 2023, 2024].

ზ. კოვეჩეში მიჩნევს, რომ კონცეპტუალური მეტაფორიზაციის მრავალწახნაგოვანი პროცესი დაკავშირებულია კულტურულ კონტექსტთან. შესაბამისად, კონცეპტუალური მეტაფორა კულტურული ფენომენია და შეიძლება წარმოშობდეს უნივერსალურ და ვარიანტულ მოდელებს. უნივერსალური მეტაფორული მოდელი შეიძლება განმეორდეს ბევრ, მსგავსსა თუ განსხვავებულ კულტურაში და დაეყრდნოს საზოგადოებების მსგავს გამოცდილებას. მეორე მხრივ, მეტაფორის ვარიანტულობა ასევე რთული და მრავალწახნაგოვანია და შეიძლება უკავშირდებოდეს კულტურულ, სოციალურ, რეგიონალურ, ეთნიკურ, დიაქრონულ თუ ინდივიდუალურ ცვლადებს.

მ. რუსიეშვილის (2005, 2023, 2024) მიერ შემოთავაზებული უზუალური, გაცვეთილი მეტაფორის დეკოდირების სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელის მიხედვით, მეტაფორა შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული შრისგან. პირველ შრეზე განთავსებულია მეტაფორის ვერბალური, ზედაპირული სტრუქტურა, მისი გადატანითი მნიშვნელობა. მეორე შრეზე - მისივე სემანტიკურ-პრაგმატიკული (კონტექსტური) პარამეტრები, ხოლო მესამე შრეზე ფიქსირდება მეტაფორის მიერ ასახული სამყაროს კულტურული მოდელი, რომელიც ეყრდნობა საზოგადოების სოციალურ, კულტურულ თუ ისტორიულ გამოცდილებას. მესამე შრეზევე ფიქსირდება მეტაფორის სფეროებს შორის ბმის /კავშირის ხასიათი და ტიპი. უზუალური მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელის სამივე შრე მნიშვნელოვანია და მათი სინთეზი ქმნის ამ საინტერესო ხერხს.

მეტაფორის საწყისი სფეროდან სამიზნე სფეროზე ასოციაციებისა და დამახასიათებელი თვისებების გადატანისა და მისადაგების ტიპის მიხედვით, შეიძლება სამი ტიპის მეტაფორაზე მსჯელობა [რუსიეშვილი, 2023]. ესენია: ანთროპომორფული მეტაფორა, საზოგადოების კულტურულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მეტაფორა და კომბინირებული მეტაფორა. ანთროპომორფული მეტაფორის დროს მეტაფორიზაციის საწყისი სფერო და მისი საფუძველი არის ადამიანის სხეული ან მისი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლები. მაგალითად, *სიძულვილი შემოაფრქვია თვალებით; ზიზღისგან შეაჟრჟოლა*.¹

მეტაფორების მეორე ჯგუფი დაფუძნებულია საზოგადოების გამოცდილებით შექმნილ კულტურულ მოდელზე და ემსახურება გარკვეული ემოციის კულტურული თვალსაზრისით სპეციფიკურ

გამოხატვას. ასეთი მეტაფორის საწყისი სფერო ხშირად ეფუძნება სოციუმში გავრცელებულ გარკვეულ წარმოდგენას ან მნიშვნელოვან კულტურულ გამოცდილებას. მაგალითად, *ჩვენმა თაობამ არ უნდა დაუშვას, რომ სიძულვილმა ფესვები გაიდგას*. ამ ერთეულში სიძულვილის გავრცელება შედარებულია მცენარის მიერ ფესვების გადგმასთან. შესაბამისად, ეს მეტაფორა შედის კონცეპტუალურ მოდელში - *სიძულვილი არის მცენარე*.

მესამე ტიპის მეტაფორა (კომბინირებული მეტაფორა), მოიცავს ზემოთ აღწერილ ორივე ტიპის ერთეულს. მაგალითად, სოფლის გულში შური, მტრობა და სიძულვილი ფუთფუთებდა. ამ შემთხვევაში სოფლის გული ასოციაციებით უკავშირდება ანთროპომორფულ მეტაფორას, ხოლო ლექსიკური ერთეული ფუთფუთებდა, მწერების მოძრაობის მეტაფორული ტრანსპოზიციით სიძულვილზე ქმნის კულტურულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მეტაფორას. კომბინირებული მეტაფორა, როგორც წესი, რამდენიმე კონცეპტუალური მეტაფორული მოდელის ნაწილი შეიძლება იყოს. მაგალითად, ზემოთ განხილული მაგალითი შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგ კონცეპტუალურ მოდელებს: *გული არის სიძულვილის ჭურჭელი* და *სიძულვილი არის მწერის ბუდე*.

სტატიაში გაანალიზებული ერთეულები შეირჩა ენობრივი კორპუსებიდან (Georgian National Corpus, British National Corpus). მასალის შეგროვების დროს ძირითადი კრიტერიუმი იყო სემანტიკური და, ასევე, მეტაფორის მნიშვნელობის დეკოდირების სიმარტივე. რიგ პირობებში მეტაფორების უზუალურობა და კონვენციურობა გადამოწმდა იდიომებისა და მეტაფორის ლექსიკონებში.

შეგროვებული მასალა გაანალიზდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ორივე საკვლევი ენის მასალაში მოიძებნა და გამოიყო სიძულვილის ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მოდელები. ამ ეტაპზე ყურადღება გამახვილდა ემოციის სემანტიკური ველის ყველა მნიშვნელოვან ერთეულზე. მაგალითად, შემოწმდა ქართულ და ინგლისურ ენებში სიძულვილის სემანტიკის მქონე სხვა ერთეულების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის პოტენციალი. ქართულში ეს ჯგუფი, თავად „სიძულვილის“ გარდა, მოიცავს შემდეგ ერთეულებს: *ზიზღი, ბოღმა, ხოლო ინგლისურ ენაში disgust, loathe, revulsion, repugnance*. ანალიზის მეორე ეტაპზე შედარდა და გამოიყო უნივერსალური და ვარიანტული მოდელები. როგორც ითქვა, ანალიზის დროს დიდი ყურადღება დაეთმო მეტაფორის პლანებს შორის კავშირს და, ასევე, ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის დროს ასოციაციებისა და თვისებების გადატანის ტიპს საწყისი სფეროდან სამიზნე სფეროზე. მეტაფორული მოდელების შედგენის პროცესში დავეყრდნით მ. რუსიეშვილის (2023) კლასიფიკაციას და

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის გამოცდილებას (G. Lakoff & M. Johnson), რომელთა მიხედვითაც მეტაფორები ერთიანდება განზოგადებულ სემანტიკურ-კონცეპტუალურ მოდელებში.

3. სიძულვილის მეტაფორიზაცია ქართულ და ინგლისურ ენებში

3.1 ჩვენ მიერ მოპოვებულ ქართული ენის მასალაში გამომქლავნდა სიძულვილის (და მისი სემანტიკური ველის) ემოციის კონცეპტუალიზაციის შემდეგი მოდელები:

I. ადამიანის სხეული (გული) არის სიძულვილის ჭურჭელი

1) ნუ ჩაიდებ გულში, ამოიგდე ეგ ბოღმა და სიძულვილი, თორემ გაგიჭირდება სიარული.

2) სიძულვილით აივსო/აევსო გული

II. სიძულვილი არის შეკუმშული სითხე ჭურჭელში (გული, თვალები, სული, ყელი)

3) იფეთქებს [გულში/სულში] სრულიად გარკვეული წყენა და სიძულვილი.

4) რისხვა და სიძულვილი შემოაფრქვია თვალებით.

5) ბოღმა ყელში აწვებოდა.

III. სიძულვილი არის სინათლე/ცეცხლის ალი/სიმხურვალე

6) მისმა ნათქვამმა გააღვივა სიძულვილი.

7) სიძულვილი წვავდა [მას].

IV. სიძულვილი არის მჭრელი საგანი

8) თითქოს თავს დაეცა მას ნადირის საშინელი ბოღმა, როგორც გაღესილი სამართებელი.

V. სიძულვილი არის ბუნებრივი მოვლენა (ვულკანი)

9) ჯურღმულში მთვლემარე ბოღმა იღვიძებდა.

VI. სიძულვილი არის ზღვა (წყალი)

10. ბორგავს გულში დაგუბებული ბოღმა.

VII. სიძულვილი არის მწერების ბუდე

11) სოფლის გულში შური, მტრობა და სიძულვილი ფუთფუთებდა.

VIII. სიძულვილი არის (შხამიანი) მცენარე

12) ნელ-ნელა გულში ლენცოფა, ზიზლი და ფიზიკური მძულვარება აღმოცენდა და გაიშალა.

13) ჩვენმა თაობამ არ უნდა დაუშვას, რომ სიძულვილმა ფესვები გაიდგას.

14) ეს ყველაფერი სიძულვილსა და ზიზლს მინერგავდა.

15) სიძულვილის მთესველები, უფასოდ დადიან და ტკბებიან ამ პარკით.

XIX. სიძულვილი არის ავადობა

16) ზიზლით გულს აზიდებს.

X. სიძულვილი არის მტერი/მეტოქე

17) კითხვაზე ყენმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, ბოღმა მოერია, დასუსტდა და სახლიდან გავიდა.

XI სიძულვილი არის საკვები/სასმელი

18) სიძულვილის მფრქვეველი და სიძულვილით ნაკვები საზოგადოება გამოვდივართ.

19) სიძულვილით/ზიზლით სავსე ფიალა გამოსცალა.

XII. სიძულვილი არის სიცივე

20. მის დანახვაზე ზიზლით შეაჟრჟოლა.

XIII. სიძულვილი არის საწამლავი

21. წამლავენ საზოგადოებას სიძულვილით, რომელიც გვიბრუნდება ყველას.

XIV. სიძულვილი არის ცხოველი

22. სიძულვილით სისინებს.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ქართულ ენაში არსებობს სიძულვილის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოდელი, რომელთა სპეციფიკურობა განსაკუთრებით ვლინდება მეტაფორის საწყისი სფეროს ანალიზისა და მისი დამახასიათებელი

თვისებების სამიზნე სფეროზე (სიძულვილი) გადატანისა და მისადაგების დროს. ამ მხრივ, საკმაოდ ხშირად, სიძულვილის ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ადამიანის სხეულთან ასოცირდება. მაგალითად, მოდელში ადამიანის სხეული (გული) არის სიძულვილის ჭურჭელი ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანო (გული) მეტაფორულად იტევს სიძულვილის ემოციას. ხოლო მეორე, როგორც ჩანს, ყველაზე პროდუქტიული მოდელი, სიძულვილი არის შეკუმშული სითხე ჭურჭელში სიძულვილის ემოციის საწყის წერტილად მიიჩნევა ადამიანის სხეულის კონკრეტულ ნაწილებს. ამასთანავე, ჭურჭლის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ადამიანის სხეულთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა ლექსიკურმა ერთეულმა (ზემოთ მოყვანილ მაგალითებში - გული, თვლები, სული, ყელი). საინტერესოა, რომ ამავ მოდელში სიძულვილი არის შეკუმშული სითხე ჭურჭელში იკვეთება კონტროლის დაკარგვის მნიშვნელობაც, რომელიც ადამიანის სხეულიდან, როგორც ჭურჭლიდან, სიძულვილის, როგორც შეკუმშული სითხის / ნივთიერების, გათავისუფლებას გულისხმობს. განსხვავებულია გათავისუფლების ან მისი მცდელობის ტიპი და ხარისხი (აფეთქება, შემოფრქვევა, დაგუბება და ბორცვა). შესაბამისად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მეტაფორიზაციის დროს, საწყისი სფეროდან სამიზნეზე (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული დეკოდირების მოდელის მესამე შრეზე მატერიალიზდება) გადაიტანება მხოლოდ კონტექსტისთვის რელევანტური ასოციაციები. მაგალითად, (3) ნიმუშში ეს არის აფეთქების თანმდევი ასოციაციები (ხმაური, ალი, კვამლი, სირენების ხმა, ა.შ), რომელთა სისავსე და დრამატულობა შეიძლება ინდივიდუალურ მოვლენად მივიჩნიოთ.

საინტერესოა ასევე მეორე ტიპის (საზოგადოების კულტურულ გამოცდილებასთან დაკავშირებული) მეტაფორული კონცეპტუალიზაცია. ამ თვალსაზრისით, ქართულმა მასალამ გვაჩვენა, რომ, მაგალითად, სიძულვილი შეიძლება გაუტოლდეს ცეცხლის ალში ჩადგებული საგნის წვას, ხოლო ადამიანის ემოციური მდგომარეობა - წვის პროცესს. სიძულვილის ინტენსიურობა გაიგივებულია ცეცხლის ალთან და, გარდა ამ ძირითადი სემანტიკური კომპონენტისა, ასოციაციების გადატანის პროცესში გააქტიურდება ცეცხლის სხვა რელევანტური თვისებებიც, მაგალითად, სიმხურვალე. მეორე მხრივ, გადატანის პროცესში შეიძლება არსებობდეს ისეთი ნიშანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ დაკავშირებულია საწყის წყაროსთან, არ გვევლინება გადამწყვეტად ამ კონკრეტული ემოციისათვის. კერძოდ, ასეთია ალის მინავლების ასოციაცია.

გამოიკვეთა მესამე, კომბინირებული ტიპის მეტაფორიზაცია. მაგალითად, მეტაფორულ მოდელებში *სიძულვილი არის მჭრელი საგანი* (თითქოს თავს დაეცა მას ნადირის საშინელი ბოლმა, როგორც გალესილი სამართებელი), ბოლმა წარმოჩინდება, როგორც მჭრელი საგანი, რომელიც ადამიანს, გადატანითი მნიშვნელობით, თავზე ეცემა. როგორც აღინიშნა, კომბინირებული მეტაფორები რამდენიმე (ერთზე მეტი) მოდელის წევრი შეიძლება იყოს. მაგალითად, (17) ეხმაურება მოდელებს *სიძულვილი არის შეკუმშული სითხე ჭურჭელში და სიძულვილი არის საკვები*.

3.2 სიძულვილის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ინგლისურ ენაში

I. ადამიანის სხეული არის სიძულვილით სავსე ჭურჭელი (სახე, სული)

23. At demonstrations, he had seen faces' filled with hatred' which reminded him of the months preceding Hitler's rise to power in 1933.²

24. His voice was full of anger and hatred.

II. სიძულვილი არის შეკუმშული სითხე/ნივთიერება ჭურჭელში

25. When I told Chris I was pregnant, I expected panic certainly, but not the hatred that came pouring from him.

III. სიძულვილი არის სინათლე/ცეცხლის ალი/სიმხურვალე

26. The good eye glittered with fear and hatred.

27. Her green eyes gleamed with hatred.

28. The fires of fury and hatred were smouldering in her small black eyes.

IV. სიძულვილი არის სასმელი /საკვები

29. Then he remembered how the Worm was said to feed off hatred.

V. სიძულვილი არის წყლის დინება/ზღვა

30. Jack could feel the waves of hatred washing over him — a real force which literally buffeted him.

VI. სიძულვილი არის ცხოველი

31. He sweats hatred like an angry boar.

32. They faced each other across the room, their hatred bristling and crackling between them.

33. 'Robert,' he said, eventually, in a slow hiss of hatred.

VII. სიძულვილი არის შენობა

34. In that space of time you're going to build up hatred.

VIII. სიძულვილი არის საწამლავი

35. Hatred ran like poison through his every thought.

IX. სიძულვილი არის ფიზიკური დასჯა

36. He would feel my hatred like a whip on his back.

X. სიძულვილი არის წვეტიანი/მჭრელი საგანი

37. She meant it, a fierce spike of hatred which seemed to impale her.

XI. სიძულვილი არის ცივი რამ

38. Mute, drunken dislike was easier than the cold hatred of the last few weeks.

XII. სიძულვილი არის (შავი) ფერი

39. Nuadu felt the black hatred emanating from him again.

XIII. სიძულვილი არის საწვავე

40. He had been a keen and willing convert to the cause, his hatred fueled by Grob Mitzer whom he knew and trusted as a friend and corporate colleague.

XIV. სიძულვილი არის დაავადება

41. How was such malignant hatred brought to birth, when he had meant nothing but good, and tried with all his soul to work no evil against them?

XV. სიძულვილი არის ბუნებრივი მოვლენა (ქარი)

42. Irene had lived surrounded by the gales of hatred, but remained untouched by them behind the high wall that had protected her since childhood.

XVI. სიძულვილი არის მცენარე

43. But the 50s was also a time of the Festival of Britain, and of looking forward with hope and determination to bury the roots of hatred and grow the fruits of love.

XVII. სიძულვილი არის სიმწარე

44. Now she would have given up every lingering resentment, every long and bitter hatred, to have the boy back at Adam's banker, humbly cutting stone.

XVIII. სიძულვილი არის ცოცხალი ორგანიზმი

45. Unionists may not be ready to judge the republic on its merits for years yet, and the hatred bred by three centuries of religious animosity is not going to be bartered away by any group of politicians.

როგორც მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ინგლისური ენაში სიძულვილის მეტაფორიზაცია მრავალფეროვანი და ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. მასალაში სამივე ტიპის მეტაფორა გამოიკვეთა. კერძოდ, სიძულვილის (და მისი სემანტიკური ეკვივალენტების) მეტაფორული კონცეპტუალიზაციის დროს, ანთროპომორფული მეტაფორების შემთხვევაში, სიძულვილის ჭურჭლად ხშირად გამოიყენება - სახე, გული, ხმა, სხეული. საინტერესოა ადამიანის ფიზიოლოგიური შეგრძნებების დაკავშირება ამ ემოციასთან. მაგალითად, სიძულვილი მეტაფორიზდება, როგორც სიცივე და სიმწარე. მეტაფორული გადატანის დროს, ამ შემთხვევაშიც, წინ წამოიწევს კონტექსტურად რელევანტური სიცივის, სიმწარისა და სიძულვილის (ზიზღის) თანმხლები და გამაერთიანებელი ასოციაციები.

მეორე ტიპის მეტაფორიზაცია წარმოშობს საზოგადოების კულტურული გამოცდილების ამსახველი მეტაფორებს. ამ მხრივ, საინტერესოა, მაგალითად, სიძულვილის დაკავშირება მცენარესთან. მასალაში დადასტურდა სიძულვილის თესლის თესვასთან, მცენარის ზრდასთან და ფესვის გადგმასთან დაკავშირებული მეტაფორები. ასევე, საინტერესოდ მიგვაჩნია სიძულვილის უარყოფითი კონოტაციის ცხოველთან (ტახთან, გველთან) ასოცირება.

მასალაში დადასტურდა მესამე ტიპის (კომბინირებული) მეტაფორიზაციაც. მაგალითში (28), the fires of fury and hatred were smouldering in her small black eyes, (სიძულვილისა (და სიშმაგის) ალები მის პატარა შავ თვალებში ინავლებოდანენ), ლექსიკური ერთეული were smouldering ხაზს უსვამს ცეცხლის სიმხურვალისა და ინტენსივობის შემცირების სემას.

4. სიძულვილის ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის უნივერსალური მოდელები ქართულ და ინგლისურ ენებში

კვლევის ბოლო ეტაპია ქართულსა და ინგლისური ენებსა და კულტურებში სიძულვილის ემოციის უნივერსალური და ვარიანტული მოდელების გამოვლენა.

ჩვენი მასალის მიხედვით, გამოვლინდა შემდეგი უნივერსალური მოდელები:

1. სიძულვილი არის კონტეინერი.
2. სიძულვილი არის შეკუმშული სითხე კონტეინერში.
3. სიძულვილი არის სინათლე/ცეცხლის ალი/სიმხურვალე.
4. სიძულვილი არის მჭრელი საგანი.
5. სიძულვილი არის ბუნების მოვლენა.
6. სიძულვილი არის მცენარე.
7. სიძულვილი არის ცივი რამ.
8. სიძულვილი არის ავადობა.
9. სიძულვილი არის საწამლავი.
10. სიძულვილი არის ცხოველი.
11. სიძულვილი არის საკვები/სასმელი.
12. სიძულვილი არის წყლის დინება.

უნივერსალური მოდელები მიუთითებს მეტაფორიზაციის პროცესის ზოგად მსგავსებაზე, რომელსაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ უნივერსალური მოდელი არ გულისხმობს თავად მეტაფორის ხატის სრული დამთხვევის აუცილებლობას. მაგალითად, მოდელი სიძულვილი არის ცხოველი ორივე ენაში უარყოფითი კონოტაციის მქონე ცხოველების ხატებს მოიცავს, თუმცა ინგლისურში ფიქსირდება როგორც გველის (როგორც ქართულში), ისე ველური ტახის მეტაფორა. ასევე, ბუნების მოვლენებისა და სიძულვილის კავშირის მეტაფორიზაციის დროს ინგლისურ მასალაში გამოიკვეთა ქარის/ქარიშხლის სემა, ხოლო ქართულში - ვულკანისა და მორევისა.

5. დასკვნა

საინტერესოა, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულ ენებსა და კულტურებში - ქართულსა და ინგლისურში - სიძულვილის ემოციის ათზე მეტი უნივერსალური მეტაფორული მოდელი გამოვლინდა. კერძოდ, სიძულვილის მეტაფორული კონცეპტუალიზაციისას ორივე კულტურა, გარკვეულ შემთხვევებში, მსგავს საზოგადოებრივ გამოცდილებას უკავშირებს (სიცივეს, სტიქიურ უბედურებას, მცენარესა თუ ჭურჭელში განთავსებულ სითხეს და ა.შ).

როგორც ამ ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის შესწავლის დროს დადგენილი უნივერსალური და ვარიანტული მოდელების ანალიზმა და შედარებამ ცხადყო, რომ ამგვარი კვლევები საინტერესოა სამყაროს მეტაფორული კონცეპტუალიზაციის სპეციფიკის გამოსავლენად. ამ მხრივ, განსაკუთრებით ღირებული ჩანს ისტორიულ-კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით არამონათესავე მასალის შესწავლაც.

[1]ყველა ქართული მაგალითი მოყვანილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან <http://gnc.gov.ge/gnc/corpus-list>

[2]ყველა ინგლისური მაგალითი მოყვანილია ბრიტანული ეროვნული კორპუსიდან (<http://www.natcorp.ox.ac.uk/>)

ლიტერატურა:

რუსიეშვილი მ.კ ონცეპტუალური მეტაფორის ტიპოლოგია. საენათმეცნიერო ძიებანი: N45. თბილისი, 2024

რუსიეშვილი მ. ანდაზა. თბილისი: ლეგა, 2005

Kövecses Z. Where Metaphors Come From: Reconsidering context in metaphor. Oxford: Oxford University Press, 2015

Kövecses Z. Metaphor: A practical introduction. Oxford: Oxford University. 2010

Lakoff G., Johnson M. *Metaphors we live by*. London: The university of Chicago press. 2003

Maalej Z. The embodiment of fear expressions in Tunisian Arabic'. In Farzad Sharifian and Gary B. Palmer (eds.), *Applied Cultural Linguistics: Implications for Second Language Learning and Intercultural Communication*. 87-104. Amsterdam: John Benjamins. 2007

Sharifian F. *Cultural Linguistics*. Amsterdam/Philadelphia: JohnBenjamins. 2017

Rusieshvili M. The Semantic Model of the Metaphor Revisited. *Scripta Manent*. N1 (55). 2023

Rusieshvili-Cartledge M., Dolidze R. A contrastive study of metaphoric idioms in English, Georgian, Russian, French and Turkish. *Contrastive Phraseology: Languages and Cultures in Comparison*. Cambridge Scholars Publishing. 2020

რიჩარდ კენდალი

თეოფორული სახელები წინარეგეტურ ოლბიაში

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ბოლოს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე პატარა დასახლების მაცხოვრებლებმა ახალი სახელი მიიღეს.

ამიერიდან ისინი ოლბიოპოლიტებად, ოლბიის მოქალაქეებად, იწოდებოდნენ და არა ბორისტენიტებად, მათ დასახლებასთან არსებული მდინარე ბორისტენესის (თანამედროვე დნეპრის) სახელისა და თანამედროვე ბერეზანის ახლოს მდებარე იმ ძველი დასახლების სახელწოდების მიხედვით, საიდანაც მათი ნაწილი, სავარაუდოდ, გადასახლდა. რთულია, იმისი აღიარება, რომ სახელის ცვლილება და მისი ოლბიად გარდაქმნა, რომელიც რამდენიმე სხვა ბერძნულ კოლონიასაც ერქვა, მათ შორის, ესპანეთში, იტალიასა და ლიბიაში, თავდაპირველად, სიტყვა ὀλβίῳ-ის (რაც „ბედნიერს/აყვავებულს/კურთხეულს“ ნიშნავს) დადებითი კონოტაციით იქნა მოტივირებული [Vinogradov, 1994:19; Chaniotis A, 2013:341]. მიუხედავად ქალაქში სწრაფად დამკვიდრებისა, ქალაქის საზღვრებს გარეთ მცხოვრებმა მოსახლეობამ ნელ-ნელა გაითავისა ეს სიახლე. მაგალითად, ჰეროდოტე ორივე სახელს მოიხსენიებს და ცალსახად აცხადებს, რომ ჰიპანისზე (თანამედროვე სამხ. ბუჭი) მცხოვრები ბერძნები საკუთარ თავს „ოლბიოპოლიტებს“ უწოდებდნენ [Hdt. 4.18]. დანარჩენ შემთხვევებში, მაგალითად, სქაილსის შესახებ თხრობისას, ჰეროდოტე მათ ბორისტენიტებად იხსენიებს [Hdt. 4.78-79]. საუკუნეების შემდეგ, კერძოდ, ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის ბოლოს, დიონ ხრიზოსტომისმა, აწ უკვე მნიშვნელოვნად დანგრეულ პოლისში ყოფნისას, განაგრძო ქალაქის ბორისტენესად მოხსენიება [Or. 36, უწოდა *Borystheniticus*; იხ. Kirkland, 2022:160]. წინამდებარე კვლევის კონტექსტში, საინტერესოა ის თეოფორული მნიშვნელობები, რომელებიც ხსენებულმა სახელებმა (ოლბიამ და ბორისტენესმა) დროთა განმავლობაში შეიძინა: ბორისტენეს, როგორც მდინარის ღმერთს, VI საუკუნიდან ეთაყვანებოდნენ, მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის გრაფიტზე გამოსახულ ჰიპანისთან ერთად [IGDOLbia 82, იხ. აგრ. IGDOLbia 24, 57 და 90]. თუმცა, იმპერიულ პერიოდში ამ ქალაქში ზევსის ეპიკლესია ოლბიოსი იყო [IOSPEI² 42; Chaniotis, 2018:407-411; contra Drexhage. 2003:159-78, რომელიც განმარტავს Olbios როგორც ფუნქციურ ეპიკლესიას]. წინამდებარე ნაშრომის საკვლევი თემაა რელიგიისა და ამ ადგილის ონომასტიკური ჩანაწერის ურთიერთმიმართება, რაც განხილულია ოლბიიდან შემორჩენილი თეოფორული სახელების კორპუსზე დაყრდნობით.

საკვლევი საკითხი

თეოფორული ეწოდება რომელიმე ღმერთის სახელისაგან წარმომდგარ სახელს, რომელიც, როგორც წესი, მისდამი პატივისცემას გამოხატავს და მის მატარებელს ამ კონკრეტული ღვთაების მფარველობის ქვეშ აქცევს. პრაქტიკული თვალსაზრისით, თეოფორულ სახელთა იდენტიფიცირებისას არაერთი სირთულე იჩენს თავს. სადავოა ინდივიდუალური მნიშვნელობებიც. მათი გამოყენების რამდენიმე ასპექტი კი დღემდე რჩება უძველესი სამყაროს მკვლევართა უთანხმოების მიზეზად [Parker, 2000:56-70; Guldager Bilde; 2009:322]. წინამდებარე სტატიის პირველ ნაწილში აღწერილია მოცემულ ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია და მისი კავშირი საკვლევი საკითხებთან: 1. რამდენად შეესაბამება ონომასტიკური ჩანაწერი წინარეგეტურ ოლბიაში მოქმედი რელიგიური პრაქტიკის არქეოლოგიურ მონაცემებს? 2. როგორ უნდა გავიგოთ არსებული ურთიერთობები არქაული, კლასიკური და ელინისტური ბერძნული სამყაროს ფართო გეოგრაფიული და კულტურული კონტექსტების გათვალისწინებით?

პირველ შეკითხვას მიმოვიხილავთ ნაშრომის ნაწილში „ღმერთების იდენტიფიცირება“. მასში წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ არქეოლოგიურ მასალასა და ონომასტიკურ ჩანაწერებში ღვთაებათა თითქმის მსგავსი რაოდენობის დაფიქსირების მიუხედავად, ისინი მონაცემთა ამ ორ ნაკრებში თანაბრად არ ნაწილდება. კვლევის მეორე ნაწილში („უფრო ვრცელი ბერძნული კონტექსტი“) ავხსნით ზემოთქმულს და ვაჩვენებთ, რომ ქალაქის მასალებში იკვეთება ონომასტიკური ტენდენციები. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ მასალასა და ონომასტიკურ ჩანაწერებში წარმოდგენილი რიგი ღვთაებები, სავარაუდოდ, მხოლოდ კონკრეტული ადგილობრივი ტრადიციის გამოძახილია. ამასთანავე, შევაფასებთ სახელების, როგორც უძველესი ქალაქების რელიგიური პრაქტიკის შესწავლის რესურსის, შეზღუდვებსა და შესაძლებლობებს. გავაშუქებთ კლასიკური სამყაროს ჩრდილოეთის საზღვართან მდებარე ქალაქისა და დანარჩენი ბერძნული ცივილიზაციის ურთიერთმიმართებას.

მეთოდოლოგია

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი ქრონოლოგიურად ორიენტირებულია ოლბიის ისტორიის წინარეგეტურ პერიოდზე. აღნიშნული შეესაბამება იმ მეცნიერულ დათქმას, რომლის თანახმად ამ ადგილის ათასწლოვანი ისტორიის გარდამტეხი პერიოდი დიონ ხრიზოსტომისის მიერ გადმოცემული გეტთა განდევნაა, კერძოდ, ჩვ. წ. აღ.-მდე პირველი საუკუნის

შუა ხანებია. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს საკვლევ მონაცემთა ბაზას [Kryżickij... 1995:15]. მაშასადამე, წინამდებარე კვლევის ქრონოლოგიური ფარგლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეების მიჯნით იწყება, სახელები კი მხოლოდ ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნის შუა წლებიდან არის შემორჩენილი. საყურადღებოა, რომ სტატიის მიზანი არ არის წინარეგეტური ოლბიის ვრცელი ისტორიის გაშუქება, რის გამოც ამ პერიოდის მოვლენებს მხოლოდ ონომასტიკური ჩანაწერის ანალიზთან კავშირში განვიხილავთ.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მაგალითების უმრავლესობა აღნიშნული ადგილის გვიანდელ, პოსტგეტურ ისტორიას უკავშირდება, ნაშრომში არ არის შეტანილი ირანული წარმოშობის ის სახელები, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-ამდე VI-I საუკუნეებით თარიღდება, ვინაიდან ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ბერძნულ სამყაროსთან ოლბიის ურთიერთობის დადგენა [ოლბიაში გავცელებული ირანული სახელების შესწავლის მიზნით, იხ. Zgusta, 1955:59-271 და Тохтасъев, 2013]. თუმცა, არ გამოვრიცხავთ მათ თეოფორულ მნიშვნელობასაც. როგორც ეგვიპტურ სახელებთან დაკავშირებით ლუკიანე აღნიშნავს, მათი უმრავლესობა „ზეციდან“ მოდის [*Pro Imaginibus* 27 ციტ. Parker, 2000:54; იხ. აგრ. Dogaer... 2017]. ჩრდილოეთ შავი ზღვის ზოგიერთი თეოფორული სახელისათვის სკვითურ-სარმატული კონტექსტის პოტენციურად უფრო დიდი მნიშვნელობა (ბერძნულთან შედარებით) უკვე აღინიშნა სხვა მკვლევართა მიერ [მაგ.: Ustinova, 1999:42-44].

ბუნებრივია, არ განვიხილავთ თეოფორული მნიშვნელობის არმქონე სახელებს. სამწუხაროდ, ნაშრომის მოცულობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შეუძლებელია კორპუსში მოცემული ყველა თეოფორული სახელის გაშუქება. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის საგანს არც ის სახელები წარმოადგენს, რომელთა ღვთაებრივი კონოტაცია უფრო ნეიტრალური ['პოლითეისტური თეონიმები' Shevchenko, 2023:17, მაგ., Θεοκλις [ხუთი შემთხვევა - IV-III ს. ძვ. წ.] ან პოტენციურია [მაგ., მცირე ღვთაებები და პერსონიფიკაციები, როგორცაა Πόμις [IG II² 8423, II-I ს. ძვ. წ]. თუნდაც ის სახელები, რომლებიც ონომასტიკურ ჩანაწერში არ გვხვდება, ან რომლებსაც ცალსახად ლექსიკური მნიშვნელობა აქვს. მაგ., ამ შემთხვევაში - 'ლტოლვა/სურვილი']. უპირატესობა მივანიჭეთ იმ სახელებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ცალკეულ ღვთაებებთან და შეიცავს, ან ზუსტად იმეორებს კონკრეტული ეპიკლესიისა თუ გავრცელებული დღესასწაულის სახელს, რომლის კავშირი კონკრეტულ ღმერთთან ან ქალღმერთთან უდავოა.

შესაბამისად, შემდგომი განხილვა დაეფუძნება ოლბიის ონომასტიკურ ჩანაწერში ასახულ ღვთაებათა მონაცემებს.

წინამდებარე კვლევის მონაცემთა ძირითადი წყაროა *ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონის* მეოთხე ტომი [Fraser... 2005], რომელიც უძველესი ონომასტიკის ვრცელი კატალოგია და მოიცავს მაკედონიის, თრაკიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონში არსებულ ბერძნულ დასახლებათა სახელწოდებებს. აღნიშნულ ლექსიკონში 1324 სიტყვა-სტატია ოლბიასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ოლბიოპოლიტური რეგიონის ნიმუშების შესაფასების მიზნით, განვიხილავთ ლევკსთან (5), აქილეს დრომოსთან (3) და ბერეზანთან (33) დაკავშირებულ სახელებს. მაშასადამე, ოლბიასა და მის რეგიონს ჯამში 1365 ონომასტიკური სიტყვა-სტატია უკავშირდება, დაწყებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ჩათვლით. ზემოთ ხსენებული შეზღუდვების ფარგლებში, ოლბიიდან იდენტიფიცირებულია წინარეგეტური პერიოდის 246 შემთხვევა 85 ინდივიდუალური თეოფორული სახელისა (ძვ. წ. VI-I სს.), რომლებიც თავმოყრილია ქვემოთ მოყვანილ დანართ ა-ში და წარმოდგენილია ანბანური თანმიმდევრობით განთავსებულ ღვთაებათა ინგლისურენოვანი სახელების მიხედვით.

ღმერთების იდენტიფიცირება

როგორც დანართ ა-დან ჩანს, ოლბიისა და მისი რეგიონის თეოფორული სახელების ონომასტიკურ ჩანაწერში არაერთი ღვთაების სახელი ფიქსირდება. ამ რეგიონში მოძიებულ დათარიღებულ წარწერებში შემდეგი ღმერთებია მოხსენიებული: აფროდიტე, აპოლონი, არტემიდა, ათენა, დემეტრა, დიონისე, ჰეკატე, ჰეფესტუსი, ჰერა, ჰერაკლე, ჰერმესი, ღმერთების დედა, ნიკე, პოსეიდონი, ზევსი, აქილევსი, ბედისწერის ქალღმერთები (მოირები) და დიოსკურები, რაც მნიშვნელოვნად ემთხვევა იმ ღვთაებებს, რომელთა თაყვანისცემაც არქეოლოგიურ და ტექსტურ ჩანაწერებში დასტურდება, მაგალითად, ვინოგრადოვისა და კრიჟიცკის შემაჯამებელ ანგარიშში. თუმცა, ამ ანგარიშში ნახსენები ძირითადი კულტების ნუსხას მხოლოდ კორე-პერსეფონე აკლია, რაც შეგვიძლია მარტივად ავხსნათ იმ ფაქტით, რომ ბერძნები ადამიანებს ქვესკნელთან დაკავშირებული ღვთაებების სახელებს არ არქმევდნენ [Kryzhitsky... 1995:109-121; Parker, 2000:54-55].. იმავეს ადასტურებს დუბუას (1996) მიერ ჩატარებული კვლევა იმავე რეგიონში არსებული პრეგეტური წარწერებისა. თუმცა, ამ ზედაპირული მსგავსების მიუხედავად, მონაცემთა ეს ორი ნაკრები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად

განსხვავდება. ამას ყველაზე თვალსაჩინოდ ცხადყოფს ის ფაქტი, რომ აპოლონი და პოსეიდონი არქეოლოგიურ და ონომასტიკურ ჩანაწერებში განსხვავებული სიხშირით გვხვდება.

აპოლონს ოლბიის მფარველ ღვთაებად მიიჩნევენ [Hirst, 1902:252; Яйленко, 2002:43; Rusjaeva, 2003:93]. მისი სახელი მოხსენიებულია აღთქმულ შესაწირებში, რომლებიც მოძიებულია ამ ადგილას არსებული ადრეული დასახლების ფენებიდან დაწყებული ელინისტურ პერიოდამდე. აპოლონი არა მხოლოდ აგორას ჩრდილოეთით, ზემო ქალაქში, მდებარე ცენტრალური ტემენოსის მთავარი მაკურთხეველია, არამედ უფრო ძველი, დასავლეთ ტემენოსისაც. ორივე მათგანი პოლისის ყველაზე ცნობილი რელიგიური ადგილი იყო მთელი პრეგეტური ისტორიის მანძილზე [Kryžickij... 1995:109-111; Avram, 2010:376]. აპოლონისადმი განსაკუთრებული ყურადღება კოლონიის დედაქალაქ მილეტუსიდან მომდინარეობს. მილეტუსში მას დელფინიუსად იცნობდნენ და ეთაყვანებოდნენ. ოლბიაში ცენტრალური ტემენოსი სწორედ აპოლონ დელფინიუსს ეძღვნება, როგორც ამას VI საუკუნის ბოლოსა და შემდგომ პერიოდში დადასტურებული რამდენიმე მიძღვნა ცხადყოფს [Herda, 2008:78; Rousyaeva, 2010:66-67]. შესაძლებელია, მისმა დელფინურმა ასპექტმა გარკვეული როლი ითამაშა დელფინების სიმბოლიკაში წინარეგეტური პერიოდის ოლბიოპოლიტურ ნუმისმატიკურ იკონოგრაფიაში. აღნიშნული ვარაუდი საკამათოა [Hind, 2007:15-16; Panait-Birzescu, 2020:144]. თუმცა, უდავოა, რომ აპოლონს ხშირად გამოსახავდნენ ქალაქის მონეტებსა და სხვა ნივთებზე [Карышковский, 2003:87-88]. მას, როგორც იეტროსს, „მკურნალს“, განსაკუთრებული როლი ჰქონდა მინიჭებული ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, ძვ. წ. აღ-ით VI საუკუნის პირველ ათწლეულებში [Ustinova, 2009:249 ff.]. როგორც ჩანს, დასავლეთ ტემენოსი აპოლონის ამ სახის ერთგული იყო. აპოლონ იეტროსისა და დელფინიუსის სიხშირემ და მათმა დამთხვევამ სამეცნიერო წრეებში მწვავე დისკუსიას ჩაუყარა საფუძველი. დავის საგანს წარმოადგენდა ოლბიის მკვიდრთა მისდამი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება პოლისის განვითარების საწყის ეტაპზე [Solovyov, 1999:96; Rousyaeva, 2010:79; critiqued by Ustinova, 2009:263]. ერთი სახელი, Ἰητροδαιος, პირდაპირ უკავშირდება მის ამ ეპიკლესს [Parker, 2000:56; Chaniotis B, 2013:220; contra Johnston, 1995/1996:100 n. 2, რომელიც ვარაუდობს, რომ ეს ეხება აქილევის მკურნალის როლს]. აღსანიშნავია, რომ ბერძნული საკუთარი სახელების ლექსიკონში ამ ორი სახელიდან მხოლოდ ერთი დასტურდება. მეორე აღმოჩენილია ჰისტრიაში. თუმცა, ადრეული V საუკუნის საკანონმდებლო ბაზა ოლბიიდან მას იეტროსად მოიხსენიებს „Ἰτροδαιος“ [„ჰისტრიას მბრძანებელი“ IGDOlbia 58; Rusyaeva,

1994:102. გასათვალისწინებელია, რომ დორიული ვარიანტი Ἰατρὸν ἀποιε ცნობილია ელინისტური სმ ირნიდან და რომაული კირენედან]. გასაკვირია, რომ უფრო ვრცელ ონომასტიკურ ჩანაწერში აპოლონი გამორჩეულად არ მოიხსენიება. მისი თაყვანისცემის არაპირდაპირი და უსაფრთხო მინიშნებების გათვალისწინებით [Καμάϊος არის ღმერთის ეპიკლესია ნაკრატისიდან; Πυθαγόριος მიანიშნებს მის როლზე დელფოში; Χάρμιος პოტენციურად დაკავშირებულია მის შვილიშვილთან არისტაოსის მიერ: Diod. 4.82.4], შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი წინარეგეტურ ონომასტიკაში მეათე ადგილზეა ღმერთების თერთმეტ ყველაზე პოპულარულ თეოფორულ სახელთა შორის. მას წინ უსწრებენ: დიონისე (38), ჰერა (34), ზევსი (26), პოსეიდონი (24), ნიკე (19), ათენა და დემეტრა (14) და ღმერთების დედა და ჰერაკლე (12).

წინარეგეტურ ოლბიაში რელიგიის ფართო გაგების გათვალისწინებით, ყველაზე დიდ გაცემას ღმერთთა ნუსხაში პოსეიდონის მოხვედრა იწვევს. 1902 წელს ჰირსტი წერდა:

„ფაქტობრივად, რთულია იმისი თქმაც კი, რომ ოლბიაში პოსეიდონის კულტი არსებობს, რადგან იგი არცერთ წარწერაში არ მოიხსენიება. საეჭვოა მონეტებზე მისი გამოსახვის საკითხიც“ [Hirst 1902, 40].

ზემოთ მოყვანილი მოსაზრება არ შეცვლილა შემდგომი თორმეტი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და კვლევების შედეგად. მიუხედავად ფილოსტრატეს მიერ აღწერილი აქილევსის კულტის დაცვის დომინანტური როლისა (რომელიც წინარეგეტურ პერიოდში კუნძულ ლევკაზე დაკისრებული ჰქონდა ოლბიას (იხ. ქვემოთ)), ღმერთკაცის სახელი, სავარაუდოდ, პოსეიდონის მიერ ამ კუნძულის თეტისისთვის ჩუქების ფაქტს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც მისი ვაჟის უკვდავ სახლად უნდა ქცეულიყო [Philostr. Her. 54.5-8]. მიუხედავად ყველაფრისა, ოლბიოპოლიტური რელიგიური მასალების ჩანაწერებში პოსეიდონი მაინც ბუნდოვან პერსონაჟად რჩება. შესაბამისად, ის არგუმენტი, რომ ქალაქის მონეტაზე გამოსახული დელფინი მისი სიმბოლოა, გაცილებით ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე მისი აპოლონთან იდენტიფიცირება [Hind 2007: 15-16]. პოსეიდონთან კავშირზე შეიძლება მიუთითებდეს ქალაქის განლაგება სანაპიროზე, მიწისძვრებისადმი მიდრეკილ ზონაში და მისი იონიური მემკვიდრეობა, რაც არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება [Minns, 1913:476]. მართლაც, წინარეგეტურ პოლისში პოსეიდონის არსებობის მტკიცებულებების სიმწირე, ალბათ, უკეთ აიხსნება დიდი იონიური კულტურის გავლენით. ეს არის კერამიკულ ფილაზე შესრულებული ორი კალენდარული წარწერა, რომელიც ჩვ. წ. აღ-ამდე 450 წლით თარიღდება. პირველი [IGDOLbia 99]

– 1975 წელს დასავლეთ ტემენოსში აღმოჩენილი წარწერა – აღწერს ყველა თვის სახელწოდებას ოლბიაში, მათ შორის, ტაურონსაც. მეორე წარწერაში [IGDOlbia 100] კი, მხოლოდ ტაურონი მოიხსენიება. წარწერის ფორმულირება გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელი ოლბიოპოლიტური კალენდრის შუა თვე უნდა ყოფილიყო. ხსენებული თვის სახელწოდება ამ ღმერთის ცნობილი იონიური ეპიკლესიდან, პოსეიდონ ტაურეოსიდან, წარმოდგება [Herda, 2008:60]. იმავე კალენდრებში Ἀπατουρι(ών), Ἀηγεών და Ἀνθεστωριών თვეების არსებობა, რომლებიც ქალაქის ონომასტიკურ ჩანაწერებში მოხსენიებულ სახელებს ემთხვევა, მიუთითებს კალენდრის თეონიმებსა და თეოფორულ სახელებს შორის არსებულ პირდაპირ კავშირზე საკვლევე პერიოდის ოლბიაში. ამგვარად შეიძლება აიხსნას ამ ქალაქში Ταური(ών)-ის არსებობა. თუმცა, შეიძლება იგულისხმებდეს ანტიკურ ხანაში ტაურიკეს სახელით ცნობილი ყირიმი. ყველაფრის მიუხედავად, ეს ერთეული შემთხვევა ადეკვატურად ვერ ხსნის პოსეიდონის პერსონაჟით შთაგონებული სახელების არსებობას ოლბიოპოლიტურ ონომასტიკაში, განსაკუთრებით, იმისი გათვალისწინებით, რომ თეოფორულ კორპუსში პოსეიდონით შთაგონებული სახელები, სხვა ოლიმპიელებთან შედარებით, უფრო იშვიათად გვხვდება [Parker, 2000:55].

ონომასტიკური ჩანაწერისა და არქეოლოგიური მასალით დადასტურებული ღმერთების სახელებს შორის არსებული ზედაპირული მსგავსების მიუხედავად, ამ ორ წყაროში ცალკეულ ღვთაებათა შესახებ არსებული ფაქტების შედარებისას, გარკვეული სხვაობა გამოვლინდა. განხილულ ორ მაგალითში არსებულ ოლბიურ სახელთა სიაში ოლბიის მფარველი ღვთაება აპოლონი ნაკლებად არის წარმოდგენილი, პოსეიდონი კი ონომასტიკურად მეოთხე ყველაზე გამორჩეული ღმერთია, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ოლბიოპოლიტურ მიძღვნებსა და რელიგიური პრაქტიკაში თითქმის არ დასტურდება. ბუნდოვანია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს აღმოჩენები ქალაქის რელიგიის ჩვენეული გაგებისთვის. პოსეიდონის პერსონაჟით შთაგონებული სახელების სიხშირეზე დაყრდნობით, ვერ დავამტკიცებთ, რომ მისი კულტი გავრცელებული იყო. მით უმეტეს, რომ, მიუხედავად ორსაუკუნოვანი არქეოლოგიური გათხრებისა, სათანადო მტკიცებულებები ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი. ჩვენს შეფასებაში, უპირატესი როლი არქეოლოგიურ მტკიცებულებებს უნდა მიენიჭოს. არქეოლოგიურ და ონომასტიკურ მტკიცებულებებს შორის არსებული განსხვავება ცხადყოფს, რომ მხოლოდ ონომასტიკური მონაცემები არ იქნება საკმარისი უძველესი რწმენის რეკონსტრუქციისათვის. მეორე უკიდურესობაა თეოფორული სახელების დარქმევასა და ძველ ბერძნულ რელიგიას შორის

არსებული მიმართების სრული უგულვებლყოფა, მით უფრო, რომ სახეზეა მათი უშუალო ეკვივალენტობა (ἰσοδυναμία და კალენდარული კავშირები). შესაბამისად, კვლევის მომდევნო ნაწილში ვიმსჯელებთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი ონომასტიკური მონაცემების გამოყენება უძველესი რელიგიური პრაქტიკის გასაგებად. ოლბიის მონაცემები წარმოდგენილი იქნება ფართო გეოგრაფიული და კულტურული არეალის მონაცემთა ფონზე. ნაჩვენები იქნება, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პანელინურ ღვთაებებთან (განსაკუთრებით, ოლიმპიელი) დაკავშირებული სახელების შედარებითი სიჭარბე, უმეტესწილად, მოდასა და მერკანტილიზმთან არის დაკავშირებული (და არა ადგილობრივ რელიგიურ პრაქტიკასთან), ონომასტიკური ჩანაწერი ინარჩუნებს ღირებულებას, როგორც უფრო მცირე ან რეგიონული ღვთაებების თაყვანისცემის გაგების წყარო.

უფრო ვრცელი ბერძნული კონტექსტი

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, ოლბიოპოლიტურ ონომასტიკურ ჩანაწერში აპოლონი მეათე ადგილს იკავებდა ყველაზე ხშირად ნახსენებ ღვთაებათა შორის, პოსეიდონი კი – მეოთხეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მაგალითებმა აჩვენა ადგილობრივ არქეოლოგიურ ჩანაწერსა და სახელების ნუსხას შორის არსებული განსხვავებები, არსებითაა, შევხვით უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე ღვთაებებს. ჩვენს კვლევაში ჰერას, დიონისეს, ზევსის, დემეტრას, ათენასა და ღმერთების დედასთან დაკავშირებული მონაცემების ჩართვა წინა ნაწილში მოყვანილ დასკვნებს ეჭვქვეშ აყენებს, გარკვეულწილად, მხოლოდ ოლბიოპოლიტური თაყვანისცემის მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ერთი მხრივ, რიგით მეორე, ყველაზე გავრცელებული ღვთაება, ჰერა, პოსეიდონის მსგავსად, ოლბიოპოლიტური თაყვანისცემის არქეოლოგიურ ჩანაწერში არ ფიქსირდება. მისი სახელი არ დასტურდება წინარეგეტური ქალაქის მიძღვნილ წარწერებში. ცნობილია მხოლოდ II საუკუნის ზევსის გამოსახულებიანი რელიეფური ლარნაკით [Belin de Ballu 1972: 113], პოსტგეტური პერიოდის (ახალი წელთაღრიცხვით 100) ვაზით პარისის სასამართლოს გამოსახულებით [Minns, 1913:355] და, ასევე, ოდესის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული რომაული პერიოდის თავით [თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ Rousyaeva, 2010:75, ვარაუდობს, რომ ოლბიაში ჰერა შეიძლებოდა გაიგივებული ყოფილიყო ღმერთების დედასთან/რეასთან]. ადგილობრივ რელიგიურ კულტებზე უკეთესად, სავაჭრო ურთიერთობები ხსნის მის უპირატესობას სახელების ჩანაწერებში: ჰერადან წარმომდგარი სახელები განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამოსისა და ქოსის კუნძულებზე [Parker, 2000:71-73], საიდანაც ოლბია აწარმოებდა ღვინის, ზეთუნის ზეთისა და სხვა

რესურსების იმპორტს, რაც მატერიალურ ჩანაწერებში ამ პოლუსების შემორჩენილი ამფორებით დასტურდება [Kryzhitskii... 1994:188].

მეორე მხრივ, მეტ თანხვედრას აქვს ადგილი იმ არქეოლოგიური და ონომასტიკური მონაცემების შედარებისას, რომლებიც უკავშირდება დიონისეს, ზევსს, დემეტრასა და ათენას. მაგალითად, დიონისეს კულტი საკმაოდ გავრცელებული იყო წინარეგეტურ ოლბიაში, მისი ნაწარმოები სახელი (Διονυσιος) კი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეოფორული სახელი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს როგორც ტექსტური ჩანაწერები, ისე წერილობითი ანგარიში [Kryzickij... 1995:116-117]. ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული სქაილსის დალუპვის ისტორიის საფუძველს მისი ქალაქის დიონისურ რიტუალებში მონაწილეობა წარმოადგენს. ოლბიაში ბაქური რიტუალების შესრულების ისტორიული ღირებულება კი მხოლოდ არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება [Shevchenko, 2020; იხ. აგრ. Braund, 2019 ამ ამბის პოტენციური წარმოდგენის კონტექსტისთვის ოლბიის თეატრში]. ანალოგიურად, დემეტრაც მონეტებსა და მიძღვნებში ფიქსირდება, ამიტომ მისი, ისევე, როგორც ზევსისა და ათენას, არსებობა ონომასტიკურ ჩანაწერში [Kryzickij... 1995: 112-115) გაკვირვებას არ იწვევს. თუმცა, ოლბიის რელიგიური პრაქტიკის შესახებ გაკეთებული ნებისმიერი დასკვნა, რომელიც ეფუძნება შედარებით დიდ შესაბამისობას ამ ღვთაებების სახელებსა და მათ არქეოლოგიურ მასალებში არსებობას შორის, არასანდოა. უხეშად რომ ვთქვათ, ამ სახელთა პოპულარობას ოლბიაში განაპირობებდა მათი ზოგადი პოპულარობა. Διονυσιος და Δημήτριος ყველაზე გავრცელებული სახელები იყო ანტიკური ხანის ყველა ბერძნულ რეგიონში. გავრცელებული იყო ზევსისა და ათენას მიერ შთაგონებული სახელებიც. თუმცა, უფრო ზომიერად [Parker, 2000:66]. ამრიგად, ამ ღმერთების შესახებ არსებული ონომასტიკური მონაცემებიდან შეუძლებელია ოლბიოპოლიტური კონტექსტის გონივრული ინტერპრეტაცია. ყველა ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ოლბიაში ოლიმპიური ღვთაებებით შთაგონებული სახელების არჩევაზე ფართო კულტურული ტენდენციები და სავაჭრო ქსელები უფრო ზემოქმედებდა, ვიდრე პოლისის შიგნით არსებული რელიგიური პრაქტიკა. ამგვარად, ეს მაგალითები მხოლოდ ამყარებს ნაშრომის წინა ნაწილში გამოტანილ დასკვნებს, რომლებიც ეხება ონომასტიკური მონაცემების სისუსტეს ძველი რელიგიის რეკონსტრუქციის პროცესში.

თუმცა, ეს დასკვნა მხოლოდ ოლიმპიურ ღვთაებებს ეხება, რომელთა თაყვანისცემაც ყოველთვის პანელინისტური იყო. მათი სიჭარბე ონომასტიკურ ჩანაწერში არ გამორიცხავს ოლბიაში ისეთი კულტების არსებობას, რომლებსაც განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ. აღნიშნულს შეეძლო

პირდაპირი გავლენა მოეხდინა ადგილობრივთა სახელების არჩევაზე. აღნიშნული მონაცემები ზედმეტად ვრცელია იმისათვის, რომ ამ დასკვნას, როგორც ანალიტიკურ დაკვირვებას, საკმარისი წონა ჰქონდეს. პარკერმა ეს პრობლემა 2000 წელს გამოავლინა. მისი აზრით, საჭირო იყო უფრო მცირე და ლოკალიზებულ ღვთაებებსა და იმ როლზე ფოკუსირება, რომელსაც ისინი პოლისის პროსოპოგრაფიაში ასრულებდნენ [Parker, 2000:73-78]. ამ თვალსაზრისით, ბერძნული სამყაროს უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ოლბია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ცხადყოფს, რამდენად შეაღწია საბერძნეთის მატერიკისა და ეგეოსის კერების ტენდენციებმა ბერძნული კულტურის განაპირა რეგიონებში. საყურადღებოა მისი ურთიერთობა სკვითურ სამყაროსთან. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე კვლევის მიზანს არ წარმოადგენს ირანული წარმომავლობის მქონე სახელების შესწავლა. ამასთანავე, სკვითური პანთეონის შესახებ ჩვენს ცოდნაში არსებული ხარვეზები სკვითური რელიგიური პრაქტიკის ონომასტიკურ კვლევას ნაკლებად სანდოს გახდიდა. მიუხედავად ამისა, ატიპური ღვთაებების არსებობა ოლბიურ თეოფორულ სახელთა შორის და, განსაკუთრებით, მათი უნიკალური ან უკიდურესად იშვიათი თეოფორული ფორმებით დამოწმება, მნიშვნელოვანია წინარეგეტური ოლბიის რელიგიური კონტექსტის დასადგენად. ეს ყველაზე ნათლად ჩანს აქილევსის, ღმერთების დედის, ჰეკატესა და ბედისწერის ქალღმერთების (მოირები) შემთხვევაში.

შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონში მცირე ღვთაების ყველაზე ცნობილ კულტად აქილევსის კულტი ითვლება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნიდან ამ პერსონაჟს „სკვითიის მბრძანებლად“ იხსენიებენ [Alcaeus fr. 354], ხოლო მისი სიკვდილის შემდგომი გადასახლებისა და აღდგომის ტრადიცია დუნაის პირას მდებარე კუნძულ ლევკაზე ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ ხანაში [მაგ., Eur. Andr. 1259-1262; Arr. Periopl. 21; Paus. 3.19.12-13; სხვა ტექსტური დამოწმებისთვის ანტიკურ ხანაში იხ.: Охотников, 2018:20-40]. ეს კუნძული ამ გმირის პანელინისტური კულტის ცენტრად იქცა. თუმცა, აქილევსს ყოველთვის განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონში [Hedreen 1991, 314-322]. ასეთი თაყვანისცემის ცენტრი ოლბია გახლდათ, რომელიც არათუ მესვეურობდა მთელ კუნძულს, არამედ ღვთაებისადმი მიძღვნილ ფესტივალებსაც ატარებდა მიმდებარე ტერიტორიებზე, მაგ., ტენდრას სპიტში [ან „აქილევსის იპოდრომზე“, როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ: Hedreen, 1991: 318-19; Burgess, 2009:126-128]. ქალაქის ონომასტიკურ ჩანაწერში შემორჩენილია ამ განსაკუთრებული თაყვანისცემის ნაშთი. მართალია, აქილევსის სახელით შთაგონებული სახელები ბერძნული სამყაროს სხვა

ნაწილებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნემდეც არსებობდა, ისინი იშვიათი იყო და ისეთი ფორმებით ფიქსირდებოდა, რომლებიც ამ სახელს პირდაპირ ან თითქმის პირდაპირ უკავშირდებოდა [Αχιλλᾶς, ერთი მაგალითი იერაპიტნაში, ძვ. წ. აღ. I საუკუნე - ახ. წ. აღ.-ით I საუკუნე; ძვ.წ. V-IV საუკუნეიდან მოყოლებული, Ἀχιλλεύς, ოცდასამჯერ ფიქსირდებოდა რამდენიმე ადგილას, მათ შორის: ათენში, ოლიმპიაში, თესალიაში; Ἀχιλλῆς, ერთი მაგალითი დასტურდება ვოლკეში, ძვ. წ. I ს.]. ზოგი მათგანი *აქილევს* შეიცავს, როგორც Ἀχιλλείδης [ოთხი შემთხვევა ცნობილია ათენიდან, პირეკედან და თეოსიდან, ძვ. წ. V-IV საუკუნეები] ან ზედსართაული ფორმით Ἀχιλλῆτος [სამი შემთხვევა ლევკადან და სმირნიდან, ძვ. წ. 380 – ძვ. წ. 75]. ოლბიოპოლიტური მასალის სიმწირის მიუხედავად, Ἀχιλλῶναιος-ის ორი შემთხვევა, აქილევსი + δᾶριον = აქილევსის საჩუქარი, აქილევსის ონომასტიკური ჩანაწერის თეოფორულ განზომილებას ქმნის, რომელიც ამ სახელის მიმღებს ღვთაების კეთილგანწყობას უქადის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ეს სახელი მხოლოდ ოლბიასა და ჰისტრიაში დასტურდება, სადაც ის სულ ერთხელ გვხვდება ჩვ. წ. აღ.-მდე I – ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მეორე პოლისში. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული დონაციური ასპექტი ლოკალური ხასიათისაა [Dana, 2019:185]. ამ მოსაზრების შეფასებისას სიფრთხილე გვმართებს, რამდენადაც ასეთი სახელების ზუსტი ენობრივი მნიშვნელობა მშობლებისთვის ან მათი მატარებლებისთვის, ისევე, როგორც მათი შედარებითი მნიშვნელობა სხვა თეოფორულ სახელებთან მიმართებით (რომლებიც პირდაპირ ღმერთის სახელს განადიდებენ) უნდა დაზუსტდეს [Parker 2000: 59-61]. მიუხედავად ამისა, ოლბიოპოლიტური მასალა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აქილევსის ღვთაებრიობის პოტენციური კონცეპტუალური გადმოცემისთვის, არამედ დათარიღებისათვისაც. მისი ერთ-ერთი ძველი ფორმა Ἀχιλλῶναιος ძვ. წ.-აღ-ის VI საუკუნით თარიღდება, რაც ბერძნულ სამყაროში აქილევსის სახელის ყველაზე ადრეული მოხსენიებაა. ამრიგად, ონომასტიკური მასალა ამყარებს იმ არქეოლოგიურ და ტექსტურ ჩანაწერებს, რომლებიც უკავშირდება აქილევსის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში. თუ - δᾶριος სუფიქსს სემანტიკური მნიშვნელობის მატარებლად მივიჩნევთ, შეიძლება ნათელი მოვფინოთ მეცნიერულ დავას - ჩრდილოეთ შავი ზღვის მცხოვრებთათვის აქილევსი გმირი იყო, თუ სრულფასოვანი ღმერთი [იხ. Hedreen, 1991:313 ff; Ochał-Czarnowicz, 2011:272].

ორი ფიგურა, რომელთა ღვთიური სტატუსი უდავოა, არის ღმერთების დედა და ჰეკატე. მათი არსებობა ონომასტიკურ ჩანაწერში ადასტურებს აქილევსის მსგავს თავისებურებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ღმერთების დედა აპოლონზე მეტად არის წარმოდგენილი გადარჩენილ კორპუსში, მაგრამ

მისი თაყვანისცემა (არქაულ პერიოდში მაინც) უფრო რეგიონული იყო, ვიდრე ოლიმპური. ღმერთების დედის კულტი მცირე აზიიდან მომდინარეობდა, სადაც ის მანამდე არსებობდა, როგორც ფრიგიის ქალღმერთი [Parker 2000: 70-71; Bøgh 2012: 34-46]. ოლბიის მკვიდრთა მილეზიური წარმომავლობის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის ამ ღვთაების თეოფორული სახელების არსებობა, რაც უკავშირდება მე-6 საუკუნის კულტს, რომელიც დასტურდება ტემენოსის დასავლეთ ნაწილში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებსა და არქაული პერიოდისა და მისი შემდგომი პერიოდის ტექსტებში [მაგალითად, ბორისთენესა და ჰერაკლესთან ერთად შემდეგ წყაროებში: IGDOIbia 24; Rusyaeva, 1994:87-93]. ჰეროდოტე, სქაილსა და დიონისეს ამბის მსგავსად, ღმერთების დედის კულტს ოლბიას უკავშირებს. იგი სკვითი ფილოსოფოსის, ანაქარსისის, დაღუპვას წარმოგვიდგენს, როგორც ქალაქის მახლობლად მის მიერ ქალღმერთისთვის საკურთხეველის აღმართვის შედეგს. ანაქარსისი მოკლა მისმა ძმამ. მისი რისხვა სქაილსის კაცების რისხვას შეედრებოდა [Hdt. 4.76]. მიუხედავად ამისა, არა მარტო ღვთაების თეოფორული სახელების რაოდენობაა შედარებით დიდი, არამედ ოლბიოპოლიტანურ საზოგადოებაში მათი გავრცელების სიხშირეც. ბოგმა [2012, 39 ff.] გააკრიტიკა ტრადიციული კონცეფცია ღმერთების დედის თაყვანისცემლების შესახებ და აღნიშნა, რომ მისი მიმდევრები არ მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სოციალურ კლასს. ამ თვალსაზრისის გასამყარებლად ის მოიხმობს ნაიკოს არქეოლოგიურ მტკიცებულებებს ოლბიოპოლიტური დასავლეთ ტემენოსიდან. თუმცა, ონომასტიკურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება დავამტკიცოთ, რომ მას მიმდევრები ქალაქის ელიტაშიც ჰყავდა, მაგ., ვინმე Μητροბაძი იყო ჰისტიკონის მამა, შვიდთა კოლეგიის წევრი და ხაზინის მეთვალყურე III საუკუნის ოლბიაში [IOSPEI² 76]. მსგავსი სოციალური მნიშვნელობისანი არიან ჰეკატესთან დაკავშირებული თეოფორული სახელების მატარებლები, რომელთაგან ოთხი (ცხრიდან) ერთ დოკუმენტშია თავმოყრილი. დოკუმენტი აღწერს აპოლონის ქურუმებს ძვ. წ. აღ-მდე III-II საუკუნეებში [IOSPEI² 201]. ქალღმერთი ჰეკატე, ისევე, როგორც ღმერთების დედა, მცირე აზიაში წარმოიშვა, მაგრამ ოლბიაში მის თაყვანისცემასთან დაკავშირებული სახელების ონომასტიკური ჩანაწერი ღმერთების დედისაზე უნიკალურია. დასტურდება ერთი სახელი, Ἐκατέσπιος, რომელიც მხოლოდ ერთხელ გვხვდება მთელ ბერძნულ სამყაროში, მეორე კი – Ἐκατέων – დასტურდება სხვაგანაც, მაგრამ მხოლოდ ერთხელ (ძვ. წ. IV საუკუნის ქიოსში), ოლბიაში კი – ოთხჯერ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ბერძნები ქვესკნელის ღვთაებების სახელების დარქმევას გაურბოდნენ, რაც ამტკიცებს, რომ ამ ღვთაების თაყვანისცემა ოლბიაში მისი კულტის ამ ასპექტის გარშემო არ კონცენტრირდებოდა [Parker, 2000:55]. ამ ორი ქალღმერთის შესახებ არსებული

ოლბიური ონომასტიკური მტკიცებულება (ნაწილობრივ, ბერძნულ ონომასტიკაში მათი შედარებითი იშვიათობის გამო) მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამ ქალაქში მათი თაყვანისცემის სპეციფიკის შესახებ, მათი კულტების ადგილობრივი კონცეფციებისადმი თაყვანისმცემლების დამოკიდებულების გათვალისწინებით. ეს დასკვნები მნიშვნელოვანია ზემოთ განხილული შეზღუდული ონომასტიკური მონაცემების პირობებშიც კი, განსაკუთრებით, ჰეკატეს შემთხვევაში. ოლბიაში აღმოჩენილი უნიკალური ფაქტები არის უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ მას ამ პოლისში გამორჩეულად აფასებდნენ.

დაბოლოს, ოლბიოპოლიტურ ონომასტიკაში გვხვდება ბედისწერის ქალღმერთების (მოირების) უნიკალური თეოფორული სახელიც. Μοιραγόρις ოლბიაში აღმოჩენილ მასალებში მხოლოდ ერთხელ დასტურდება, ხოლო მეორე სახელის – Μοίραυ-ს – გამოყენების მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს (კამიროსსა და კოროკონდამეში). ორივე ოლბიის აღმოჩენების შემდგომდროინდელია. ჰეკატესგან განსხვავებით, რომლის თაყვანისცემა დასტურდება არქეოლოგიური და ტექსტური მასალით [მაგალითად, გვიანდელი ტექსტი, რომელიც ახსენებს მისადმი მიძღვნილ კორომს ჰილაიაში [Ptol. III 5.7; see Kryżickij... 1995:118; Stückelberger... 2006:298-299; თუმცა, იხ. Dubois, 1996:104] და I-

III საუკუნეების რელიეფით, რომელზეც გამოსახულია ჰეკატე, კიბელე და ჰერმესი ოლბიიდან: Goroncharovskiy, 2021:9 2021:9], ბედისწერის ქალღმერთების თაყვანისცემის ამსახველი მასალა უკიდურესად მწირია. რიგ შემთხვევებში მიიჩნევენ, რომ ისინი წარმოდგენილნი არიან ქალის ტერაკოტას ფიგურების სახით [მაგალითად, არქეოლოგების მიერ კლოტოდ წოდებული ქოშარში აღმოჩენილი მჯდომარე ფიგურა, რომელსაც თითისტარი და ძაფი უჭირავს: Papuci-Władyka... 2008:30], მაგრამ ოლბიის მდებარეობითი სქესის ტერაკოტას ფიგურების უზარმაზარი კორპუსის წევრთა ვინაობა დღემდე სადავოა [Guldager Bilde, 2010]. უშუალოდ ოლბიაში ან უფრო დიდ რეგიონში ბედისწერის ქალღმერთებისადმი მიძღვნილი წარწერები ჩვენთვის ცნობილი არ არის. მათზე ერთადერთი ლიტერატურული მინიშნება ფილოსტრატეს მიერ აღწერილი აქილევისის ტაძარია ლევკაზე, რომელიც მისივე გადმოცემით, 'აქილევისის, ელენესა და ბედისწერის ქალღმერთების მიერ დაკავშირებული გამოსახულებებით' არის შემკული ['τὰ δὲ ἐν αὐτῷ ἀγάλματα Ἀχιλλεύς τε καὶ Ἑλένη ὑπὸ Μοιρῶν ξυναρμισθέντες' Philostr. *Her.* 54.3]. ამ ამონარიდიდან დაზუსტებით ვერ ვიტყვით, იგი მათ ფიგურა-ქანდაკეებს გულისხმობს, თუ მათ როლს ამ ორი ჰომეროსისეული პერსონაჟის შეყრაში. ოლბიისა და მისი რეგიონის თეოფორული კორპუსის ეს ბოლო მაგალითი

თვალნათლივ წარმოაჩენს ანტიკური სამყაროს შესწავლისას წამოჭრილ შეზღუდვებსა თუ შესაძლებლობებს. არა მარტო ამ ღვთაებების არსებობა, არამედ მათი წინარეგეტური ოლბიისთვის დამახასიათებელი უნიკალური ფორმები ცხადყოფს, რომ მათი მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც აქტიური, კულტი დაკარგულ იქნა და არ დასტურდება არქეოლოგიურ მასალაში, შესაწირსა და ლიტერატურულ ჩანაწერებში. თუმცა, არც სათანადო მტკიცებულება და არც ძველი ქალაქების რელიგიურ ცხოვრებაში დადასტურებული თეოფორული სახელები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მხოლოდ ონომასტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ვამტკიცოთ ღვთაებათა თაყვანისცემის საკითხები, მსგავსად პოსეიდონის შემთხვევისა. მაშასადამე, არსებობს გარკვეული ფაქტები, რომლებიც ამტკიცებს მცირე ღვთაებათა თაყვანისცემის შემთხვევებს (აქილევსი, ღმერთების დედა და ჰეკატე). თუმცა, მონაცემთა ამ კომპლექტის გამოყენების მცდელობა ადგილობრივი რელიგიური კულტურის ბუნდოვანებით მოსილი ასპექტის კვლევისას ცხადყოფს, რომ მხოლოდ თეოფორული სახელები უძველესი პოლისის რელიგიის შესახებ მრავალმხრივი ცოდნის ჩამოსაყალიბებლად არასაკმარისია.

დასკვნა

ამგვარად, სტატიაში შესწავლილია შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე ერთი პოლისის რელიგიური ცხოვრება მისი ონომასტიკური ტრადიციებიდან შემორჩენილი მტკიცებულებების საფუძველზე. კერძოდ, განხილულია თეოფორული სახელების კორპუსი წინარეგეტური (ძვ. წ. VI-I სს.) პერიოდის ოლბიაში, რომელიც დანართ ა-შია წარმოდგენილი. მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ ამ ჩანაწერებში ხსენებული, არქეოლოგიურ მასალებში, წარწერებსა და ლიტერატურულ წყაროებში დადასტურებული, ღვთაებები ძირითადად მსგავსია. თუმცა, აპოლონისა და პოსეიდონის სახელების არსებობასთან დაკავშირებული მტკიცებულებებისა და პოლისში დადასტურებული კულტების სიღრმისეული შესწავლის შედეგად, აშკარა განსხვავებები გამოიკვეთა. მესამე ნაწილში, ოლბიის მონაცემების ანტიკურობის უფრო ვრცელი გეოგრაფიული და კულტურული არეალის კონტექსტში გააზრებით დადგინდა ამ შეუსაბამობის მიზეზი. ოლიმპიური ღმერთებისა და ქალღმერთების ონომასტიკური გამოყენების შემთხვევები მეტისმეტად მრავალრიცხოვანია. შესაბამისად, მათზე დაყრდნობით კონკრეტული პოლისების რელიგიური ხასიათის ინტერპრეტაცია შეუძლებელია, რასაც ამტკიცებს ღვთაებებით (ათენა, დიონისე, დემეტრა, ჰერა და ზევსი) შთაგონებული სახელების მაგალითები. პარკერის დაკვირვების თანახმად, დისკუსიამ ბერძნული პანთეონის უფრო მცირე ფიგურებისა და გმირების შესახებ არსებულ ონომასტიკურ

მტკიცებულებებზე გადაინაცვლა. მონაცემთა ეს ნაკრები სახელებისა და რელიგიური ცხოვრების პრაქტიკულ რეალობებს შორის ურთიერთობის დადგენის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. როგორც აღმოჩნდა, აქილევსის (არქაულ ოლბიაში საჩუქრის გამცემი), ღმერთების დედასა (რომლის ხშირი ონომასტიური გამოყენება რომელიმე ერთი კონკრეტული სოციალური კლასის ფარგლებს სცდებოდა) და ჰეკატეს (რომლის გავლენითაც ოლბიაში განსაკუთრებით იშვიათი სახელები შეიქმნა) შემთხვევაში არსებობდა მათი თაყვანისცემის მტკიცების გარკვეული პოტენციალი. ბედისწერის ქალღმერთების მაგალითმა (რომელთა ოლბიოპოლიტურ პროსოპოგრაფიაში არსებობა არ შეესაბამება არცერთ სხვა ისტორიულ და არქეოლოგიურ ჩანაწერს) თვალნათლივ გვიჩვენა მხოლოდ თეოფორულ სახელებზე ორიენტირებული კვლევის შეზღუდვები. ძირითადად, აღნიშნული პრობლემები თავს იჩენს ნებისმიერ სხვა კვლევაში, რომელიც მხოლოდ იმ მონაცემთა ნაკრებით შემოიფარგლება, რომელთა გამოყენების ფუნდამენტური ასპექტებიც გაურკვეველია. მიუხედავად ამისა, როგორც ოლბიას შემთხვევამ ცხადყო, თეოფორული სახელების სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად კვლევამ შეიძლება შეასრულოს შეზღუდული, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ბერძნული პოლისის რელიგიის ჩვენეულ გაგებაში.

დანართი ა

God	Name	Findspot	Frequency
Achilles	Ἀχιλλῶνας	Olbia	2
Aphrodite	Ἀφροδίτη	Berezan	1
	Ἀφροδίτης	Olbia	8
Apollo	Ἀπολλῶν	Olbia	1
	Ἀπολλωνίδης	Olbia	1
	Ἀπολλῶνας	Olbia	3
	Ἀπολλοφάνης	Berezan	1

	Άπολλώνιος	Olbia	1
	Ήτηρόδωπος	Olbia	1
	Κωμάϊος	Olbia	1
	Πυθαγόρης	Olbia	1
	Χάρμος	Olbia	1
Artemis	Άρτεμίδωρος	Olbia	6
	Άρτεμής	Olbia [1] Berezan [1]	2
	Άρτεμις	Olbia	1
	Άρτέμων	Olbia	1
Athena	Άθηνόμανδρος	Berezan	1
	Άθήναιος	Olbia	8
	Άθηνόδωρος	Olbia	4
	Παρθενίς	Olbia	1
Demeter	Δημήτριος	Olbia	14
Dionysus	Άνθεστήριος	Olbia	2
	Βάκχιος	Olbia	1
	Διονύσερμος	Olbia	1
	Διονύσιος	Olbia	23
	Διονυσόδωρος	Olbia	2
	Διονυφάνης	Olbia	1
	Λήναιος	Olbia [6] Berezan [1]	7

	Σταφύλος	Olbia	1
Dioscuri	Διοσκουρίδης	Olbia	3
Hekate	Ἐκαταῖος	Olbia	1
	Ἐκατέων	Olbia	4
	Ἐκατεῶνυμος	Olbia	1
	Ἐκατοκλῆς	Olbia	2
	Ἐκατώνυμος	Olbia	1
Hephaestus	Ἡφαιστικῶν	Olbia	1
	Ἡφαιστόδωρος	Olbia	1
Hera	Ἡραγορης	Olbia	5
	Ἡρογείτων	Olbia	1
	Ἡρογένης	Olbia	1
	Ἡρόδοτος	Olbia	5
	Ἡρόδωτος	Olbia	6
	Ἡροκράτης	Olbia	3
	Ἡρόξενος	Olbia	1
	Ἡροσῶν	Olbia	6
	Ἡροφάνης	Olbia	1
	Ἡρόφιλος	Olbia	5
Herakles	Ἡρακλείδης	Olbia	7
	Καλλίνικος	Olbia	5

Hermes	Έρμαγόρης	Olbia	1
	Έρμοφαῖος	Leuke	1
	Τύχων	Olbia [2] Berezan [1]	3
Mother of the Gods	Μητροβία	Olbia	1
	Μητρόβιος	Olbia	1
	Μητρόδωρος	Olbia	6
	Μῆτρος	Olbia	1
	Μητροφάνης	Olbia	1
	Μητρώ	Olbia	2
Moirae	Μοιραγόρης	Olbia	1
	Μοίρων	Olbia	1
Nike	Μίκα	Berezan	1
	Μίκη	Berezan	1
	Νικήρατος	Olbia	8
	Νικόδρομος	Olbia	1
	Νικοκλής	Olbia	3
	Νικόμαχος	Olbia	1
	Νικοσθένης	Berezan	1
	Νικόστρατος	Olbia	2
	Νικοφάνης	Olbia	1
Poseidon	Ποσειδεώνιος	Olbia	1

	Ποσειδίππος	Olbia	1
	Ποσειδώνιος	Olbia	9
	Ποσίδεος	Olbia	11
	Ποσίδης	Leuke	1
	Ταυρίων	Olbia	1
Zeus	Ἀρίσταρχος	Olbia	1
	Διογένης	Olbia	2
	Διόδωρος	Olbia	4
	Διοκλῆς	Olbia	1
	Διοτίμος	Olbia	1
	Δίφιλος	Olbia	1
	Ζνωόδοτος	Olbia	1
	Ἰκέσιος	Olbia	13
	Ναῖος	Olbia	1
	Πανδίων	Olbia	1

ლიტერატურა :

Avram A. Sur quelques noms d'apollonia du pont. In: R. W. V. Catling and F. Marchand (Eds.) *Onomatopoeia: Studies in Greek Personal Names presented to Elaine Matthews*. Oxford: Oxbow Books. 2010

Belin de Ballu E. *Olbia: Cité antique du littoral nord de la mer noire*. Leiden: Eugene. 1972

Bøgh B. *Mother of the Gods: Goddess of Power and Protector of Cities*. *Numen* (59). 2012

Braund D. *Historiography and Theatre: The Tragedy of Scythian King Skyles*. In: D. Braund, E. Hall, and (Eds.). *Ancient Theatre and Performance Culture Around the Black Sea*. Cambridge: Cambridge University Press. 2019

Burgess J. S. *The Death and Afterlife of Achilles*. Baltimore: The Johns Hopkins University Press. 2009

Chaniotis A. *Emotional Language in Hellenistic Decrees and Hellenistic Histories*. In: M. Mari and J. Thonemann (Eds.). *Parole in Movimento: Linguaggio Politico e Lessico Storiografico nel Mondo Ellenistico*. Pisa: Fabrizio Seveso. 2013 A

Chaniotis A. *Epigraphic Bulletin for Greek Religion 2010 (EBGR 2010)*. *Kernos* (26). 2013 B

Chaniotis A. *Religion as Experience: Epigraphic Evidence from the West and North Shores of the Black Sea*. In: M. Manoledakis, G. R. Tsetskhladze and I. Xydopoulos (Eds.). *Essays on the Archaeology and Ancient History of the Black Sea Littoral*. Leuven: Peeters Publishers. 2018

Dana D. *Onomastic Interactions: Greek and Thracian Names*. In: R. Parker (Ed.) *Changing Names: Tradition and Innovation in Ancient Greek Onomastics*. Oxford: British Academy. 2019

Dogaer N., Depauw M. *Horion & Co. Greek Hybrid Names and their Value for the Study of Intercultural Contact in Graeco-Roman Egypt*. *Historia* (66). 2017

Drexhage H-W. *Der Kult des Zeus Olbios*. In: E. Schwertheim and E. Winter (Eds.) *Religion und Region in der Antike: Kult aus dem östlichen Mittelmeerraum*. Bonn: Habelt-Verlag. 2003

Dubois L. *Inscriptions grecques dialectales d'olbia du pont*. Geneva: Librairie Droz S.A. 1996

Fraser P. M., Matthews E. *A Lexicon of Greek Personal Names: Volume IV Macedonia, Thrace, Northern Greece and the Black Sea*. Oxford: Clarendon. 2005

Goroncharovskiy V. On the Chronology of the Reliefs with Images of Cybele, Hermes and Hekate found Northern Black Sea Coast. *Acta Archaeologica Lodziensia* (67). 2021

Guldager Bilde P. Quantifying Black Sea Artemis: Some Methodological Reflections. In: T. Fischer-Hanse Poulsen (Eds.) *From Artemis to Diana: The Goddess of Man and Beast*. Copenhagen: Museum Tusulanur 2009

Guldager Bilde P. P Terracottas. In P. Guldager Bilde, P., J. M. Højte, V. V. Krapivina, S. D. Kryžickij, and Lejpunskaja (Eds.) *The Lower City of Olbia (Sector NGS) in the 6th Century BC to the 4th Century AD*. Aarhus: Aarhus University Press. 2010

Hedreen G. The Cult of Achilles in the Euxine. *Hesperia: The Journal of the American School of Classical Athens* 60(3). 1991

Herda A. How to Run a State Cult. The Organization of the Cult of Apollo Delphinios in Miletos. In M. F. J. Wallensten (Eds.) *Current Approaches to Religion in Ancient Greece*. Stockholm: Svenska institutet i A

Hind J. G. F. City Heads/Personifications and Omens from Zeus (the Coins of Sinope, Istria and Olbia in t Centuries BC). *The Numismatic Chronicle* (1966-) 167. 2007

Hirst G. M. The Cults of Olbia. *Journal of Hellenic Studies* 22. 1902

Johnston A. An epigraphic curiosity from Histria. *Il mar nero* 2. 1995-1996

Kirkland N. B. *Herodotus and imperial Greek literature: criticism, imitation, reception*. Oxford: Oxford U Press. 2022

Kryzhitskii S. D., Krapivina V. V. A Quarter-Century of Excavation at Olbia Pontica. *Echoes du monde C Classical views* 38(2). 1994

Krzyżickij S. D., Vinogradov J. G. Olbia: Eine altgriechische Stadt im nordwestlichen Schwarzmeerraum. *L Mnemosyne Supplement* 149. 1995

Minns E. H. *Scythians and Greeks: A Survey of Ancient History and Archaeology on the north coast of the Black Sea from the Danube to the Caucasus*. Cambridge: Cambridge University Press. 1913

Ochał-Czarnowicz A. The Cult of Achilles on the Coast of the Black Sea. In: E. Papuci-Władyka, M. Vick Bodzek and D. Braund (Eds.) *PONTIKA 2008: Recent Research on the Northern and Eastern Black Sea in Times: Proceedings of the International Conference, 21st-26th April 2008, Kraków*. Oxford: BAR International Series. 2011

Panait-Bîrzescu F. The eagle on dolphin on the coins of Olbia, Histria and Sinope. Its origin and meaning. *Journal of Ancient History* 64. 2020

Parker R. Theophoric Names and the History of Greek Religion. In S. Hornblower and E. Matthews (Eds.) *Greek Personal Names: Their Value as Evidence*. Oxford: Oxford University Press. 2000

Papuci-Władyka E., Redina E. F., Machowski W. Między Olbią a Odessą: Badania archeologiczne greckiej osady w Kijowie (1998-2008). Krakow: Instytut Archeologii Uniwersytetu Jagiellońskiego. 2008

Rousyaeva A. S. Sanctuaries in the Context of the Cultural and Historical Development of Olbia Pontica. In A. A. Mamonov and E. K. Petropoulos (Eds.) *Ancient Sacred Monuments in the Black Sea*. Thessaloniki: Kyriakidis Brothers. 2010

Rusjaeva A. S. The Main Development of the Western Temenos of Olbia in the Pontos. In P. Guldager Bilde, J. M. F. Stolba (Eds.) *The Cauldron of Ariantas. Studies Presented to A.N. Ščeglov on the Occasion of His 70th Birthday*. Aarhus: Aarhus University Press. 2003

Rusyaeva A. S. Investigations of the Western Temenos of Olbia. *Ancient Civilisations* 1(1). 1994

Shevchenko T. Bust Thymiateria and Cult of Dionysus in Olbia. In V. Keleş (Ed.) *Propontis ve Çevre Kültürleri*. İstanbul: İstanbul Kültür Varlıklarını Koruma Kurumu Yayınları. 2020

Shevchenko T. Greek Religion in Tauric Chersonesos. Oxford: Archaeopress. 2023

Solovyov S. L. Ancient Berezan: The Architecture, History and Culture of the First Greek Colony in the Northern B
Leiden: Brill. 1999

Stückelberger A., Graßhoff G. Klaudios Ptolemaios Handbuch der Geographie. Basel: Schwabe Verlag. 2017

Ustinova Y. The Supreme Gods of the Bosporan Kingdom. Leiden: Brill. 1999

Ustinova Y. Apollo Ietros: A Greek God of Pontic Origin. EIKON, Beiträge zur antiken Bildersprache, Band 9. Münch
Verlag. 2009

Vinogradov Yu. G. A Maiden's Golden Burial from Berezan. The Island of Achilles. Expedition (36). 1994

Zgusta L. Die Personennamen griechischer Städte der nördlichen Schwarzmeerküste. Prague: Nakl. Československé
věd. 1955

Карышковский П. О. Монетное Дело и Денежное обращение Ольвии (VI в. До н. Э. – IV в. Н. Э.). Odesa: A. S. I
(Originally published in 1968) 2003

Охотников С. Б. Остров Змеиный в науке, литературе, искусстве (VII в. до н. э. — XXI в. н. э.). Odesa: Irbis. 20

Тохтасев С. Р. Иранские имена в надписях Ольвии I-III вв. н.э. In S. Tokhtasev and P. Luria (Eds.) Commentati
St Petersburg: Nestor-Historia. 2013

Яйленко В. П. Идентификация и Реконструкция Зданий Ольвийского Теменоса. Российская Археология 3. 2

ფერიდე სანაია

ფერთა ტერმინების სტრუქტურული და ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართველ სიმბოლისტებთან

ფერთა თეორიის მეცნიერულ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. რთულია იმის გარკვევა, თუ როგორ აღიქვამდნენ ფერებს ძველად. ამასთან დაკავშირებით ძველი ლიტერატურული წყაროები მწირ ინფორმაციას გვაწვდის.

პირველად ფერისა და ფორმის შესახებ ანტიკური ავტორები მსჯელობდნენ. შემდეგ ლეონარდო და ვინჩი დაინტერესდა ამ საკითხით. გოეთემ გამოყო „ცივი“ და „თბილი“ ფერები.

ფერთა პრობლემატიკის შესახებ კვლევას განსაკუთრებული ყურადღება XIX–XX საუკუნეებში მიექცა. უნდა აღინიშნოს, რომ ფერთა უნივერსალურ კატეგორიებზე მსჯელობა ბაზისურ ფერთა ტერმინების (მარტივი მორფოლოგიური სტრუქტურის) განსაზღვრის საკითხს ეფუძნება. სწორედ ამ საკითხის შესწავლას მიუძღვნეს სპეციალური ნაშრომი ბ. ბერლინმა და პ. ქეიმ (1969). ავტორების აზრით, ფერის ტერმინთა სისტემის ტიპს განსაზღვრავს ბაზისური ფერის ტერმინები, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად გასაგებია.

ეთერ სოსელიას აზრით, როდესაც ამა თუ იმ ფერის ტერმინებს ვეცნობით, ინტუიციურადაც ვგრძნობთ, რომ ამ ტერმინთაგან ზოგიერთი ძირითადია. ასე მაგალითად, ამგვარია ქართულში თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი..., მაგრამ ძირითად ტერმინებად არაფრით არ ჩაითვლება ჟოლოსფერი, ალისფერი, იასამნისფერი, მუქი მწვანე, მოწითალო და სხვა. ბ. ბერლინისა და პ. ქეის თეორია სწორედ ამგვარ ძირითად ტერმინებზეა დამყარებული და მათ ავტორები ბაზისურ ფერთა ტერმინებს უწოდებენ [სოსელია, 2009:10].

ფერთა ამსახველი ლექსიკის სემანტიკის მკვლევართა ერთი ნაწილი ბაზისური (პ. ფრუმკინა. ა. ვეჟბიცკა...) ფერის კატეგორიას თეორიულად არ ცნობს და, შესაბამისად, ამ მხრივ, არც ბ. ბერლინისა და პ. ქეის შრომაში მოცემულ განსაზღვრებას იზიარებენ, თუმცა ამ კატეგორიის აუცილებლობა მნიშვნელოვანია და ისინი თავიანთ შრომებში სხვადასხვა სახელწოდებით მაინც მოიხსენიებენ.

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ ნაშრომში გარკვეული ადგილი დაგვეთმო სიმბოლოს, როგორც ესთეტიკური ნიშნის, სემიოტიკური ანალიზისთვის. თანამედროვე სემიოტიკის განვითარებას პრობლემური სიახლე შეაქვს სემანტიკის იმ ნაწილში,

რომელიც სიტყვათა კონტექსტური მნიშვნელობის ფორმირების პროცესს იკვლევს. იგი აქტუალურია თანამედროვე ლინგვისტიკისთვის. სიმბოლოს დანიშნულებაა, წარმოადგინოს კულტურული პარადიგმა მის მთლიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლური თვალსაზრისით განირჩევა:

ა) პირველი ტიპის ფერის სიმბოლო, ანუ ფერი თავისთავად (ბაზისური ფერები: თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი).

ბ) მეორე ტიპის ფერის სიმბოლო, რომელიც ორ ან მეტ ფერს შეიცავს და რომლის მნიშვნელობა არ არის ცალკეული ფერების მნიშვნელობების ჯამი;

გ) მესამე ტიპია ფერადი ფორმების სიმბოლო, როგორც კონკრეტული ფიზიკური ობიექტები; ასე, მაგალითად, ძვირფასი ქვები: ზურმუხტი, ლალი, გიშერი, ქარვა, ლაჟვარდი, იაგუნდი... ძვირფასი ლითონები: ოქრო, ვერცხლი.

ფერთა სიმბოლური მნიშვნელობა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. მაგალითად, დასავლურ საზოგადოებაში სიკვდილთან შავი ფერი ასოცირდება, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სიკვდილის სიმბოლოდ თეთრ ფერს მიიჩნევენ.

ფერი დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევს, ხოლო მის მნიშვნელობას საფუძვლად უდევს პირდაპირ ასოციაციებზე დამყარებული სიმბოლიკა. შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ სიმბოლოს ასოციაციური მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რაც მიანიშნებს მის სემანტიკურ ველს. მაგალითად, წითლის ერთ-ერთი მნიშვნელობა დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ რეაქციასთან – განრისხებით ან სირცხვილით გამოწვეულ მდგომარეობასთან. შესაბამისად, გამოთქმას „სირცხვილისგან გაწითლება“ თავისი ანალოგი აქვს სხვადასხვა ენაში, ისევე როგორც შესიტყვებებს: „შავი ბაზარი“, „შავი სია“, „შავი დღე“, „შავი ჭირი“, „შავი მაგია“, „შავი პარასკევი“, „შავი ყუთი“, „თეთრი რაინდი“, „თეთრი დროშა“, „რუხი კარდინალი“, „ყვითელი ბარათი“, „ყვითელი პრესა“, „ყვითელი შუქი“, „ვარდისფერი სათვალით ყურება“, „წითელი პარასკევი“, „წითელი შუქი“, „წითელი განგაში“, „მწვანე საფარი“, „მწვანე შუქი“ და სხვ.

როგორც ცნობილია, ბაზისურ ფერთა ჯგუფს განეკუთვნება: თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი. ოპოზიცია თეთრი და შავი დაკავშირებულია სინათლისა (დღის) და სიბნელის (ღამის) ცნებებთან; რუხი კი აღიქმება, როგორც ბუნდოვანი ფერი. ქრომატულ ჯგუფში

შემავალი წითელი თავის რეფერენციაში შეიცავს სისხლის (ომის, ცეცხლის) კონცეპტს; ყვითელი უკავშირდება მზეს, მწვანე – ბუნებას, მცენარეულობას, ლურჯი კი ცას ან წყალს შეესაბამება.

ბაზისურ ფერებს აქვს დადებითი და უარყოფითი დატვირთვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

თეთრი ფერით გამოხატულია: სილამაზე, მშვენიერება, სინათლე („მთვარესავით თეთრი“); დალოცვა („თეთრი მთავარანგელოზი შეგეწიოს!“), წყევლა („თეთრი არ ჩაგეცვასო“), შიში („შიშისგან გათეთრება“), გულისტკივილი, საფიქრალი („თეთრად გამითენდა!“), ავადმყოფობა („ერთობ თეთრი“), ადამიანის თმა (თეთრწვერა), სახის კანის ფერის გამომხატველი (თეთრსახიანი), გულკეთილი ადამიანი („თეთრი“ გულის, სუფთა ადამიანი).

თეთრი გვხვდება აგრეთვე შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებში: კომპოზიტებში: თეთრმოსახვევიანი, თეთრქვიანი, თეთრნარევი... მცენარეთა სახელწოდებებში: ძირთეთრა... ზმნებსა და სახელზმნებში: გაათეთრა, გათეთრდა, გათეთრება, გათეთრებული, წამოთეთრებული, უთეთრდება... სინტაგმებში: ცხოველთა სახელწოდებებში – მუცელთეთრი თევზი, თეთრი ცხენი, თეთრი ძაღლი, თეთრი მელა, თეთრი დათვი, თეთრი ღამე...

პოეზიაში თითოეული ფერით შესაბამისი მოვლენა ან თვისება გამოიხატება (მწუხარება, ავადმყოფობა, ცბიერება, სიხარული, სილამაზე, გულისტკივილი, მუქარა, თხოვნა, დალოცვა, გაბრაზება, შიში...).

ქართულ სიმბოლისტურ პოეზიაში თეთრი ხშირად სიცივეს, ზამთრს, მარტობას, მწუხარებას, სიკვდილს უკავშირდება: „თეთრ ყვავილებით დამარხეს ქალი./გამლილ ზამბახებს ელიან მკვდრები“ („უკანასკნელი ლექსებიდან“, შ. კარმელი); „...და როცა ქვეყნის აღსასრული ჩამოიგრგვინებს, / ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულები“ („ჩვენ - „ცისფერი ყანწები“, ნ. მიწიშვილი).

თეთრი ფერი ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ცივი, ბრწყინვალე, კაშკაშა... ასოცირდება ანგელოზებთან, მთვარესთან, თოვლთან და ყინულთან. თოვლის სითეთრე, ერთი მხრივ, სიწმინდის, მეორე მხრივ, სიცივის სიმბოლოა.

თეთრი ეპითეტად აქვს სიტყვებს: გიორგი, ანგელოზი, მტრედი, თოვლი, მყინვარი, ღრუბელი, ზამთრი, არაგვი, მთები, ალი..

„შორით კი მოჩანს თეთრი მყინვარი“ („შემოდგომის დღე ოქროყანაში“, ტ. ტაბიძე); „თეთრი მტრედები / თეთრ ღრუბლებში, / თეთრი გიორგი, / ცხენი ანგელოსით, / ესხატოლოგია“ („ცხენი ანგელოსით“, ტ. ტაბიძე);

სინათლისა და სიბნელის ფერით მოვლენებს დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობები აქვს. სპეტაკი, ნათელი, სინათლე უკავშირდება იმედს: „შეხვალთ შიგნით, ნახავთ დარბაზს... სადას, ნათელს, კეთილშობილს“ („თეატრი“, პ. იაშვილი).

მკრთალი, ფერმკრთალი, ფერწასული, ფერგადასული, გაფითრება უფერულია, უსიცოცხლო, ნაღვლიანი და უსიხარულო: „დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი“ („მეფის ქორწილი“, პ. იაშვილი).

შავი ფერით გამოხატულია: მწუხარება, გლოვა (შავებზაცმული, ძამებშემოსილი); სიკვდილი („...შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული“ (ტ. ტაბიძე); მუქარა („შავ დღეს დაგაყრი!“); უბედურება (შავდლიანი, შავბედიანი); დატუქსვა (შავი დღის დაყენება); დამცირება, შეურაცხყოფა, სიმახინჯე („ყვავივით შავი“); ცბიერება („შავი მელა“); გასაჭირი, ჭირი („შავი ჭირი“); ჟამთა სიავე (შავბნელი დრო); ადამიანის სახის, თმის, თვალის ფერის აღმნიშვნელი (შავსახიანი, შავთმიანი, შავთვალეზა).

ქრომატული ფერების (თეთრი-შავი) ანალიზმა აჩვენა, რომ, ერთი მხრივ, შავი ატარებს არაცნობიერის სემანტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, მომავალ დროს. შდრ. ღამე, აღმა გაღმა... თვალის ამოღამება, ღამურა ... ღმ/ღამ ძირი უნდა უკავშირდებოდეს უხილავობას, ამ მხრივ, ის შეიძლება დაუკავშირდეს მომავლის ბუნდოვანებასაც.

უარყოფითი ემოციის ექსპრესიის გამოვლენისათვის დასტურდება სიტყვები, რომლებიც შეიცავს ფერის ნეიტრალურ წევრს. მაგალითად: გულშავი, შავბნელი, გულშავობა, სიშავე...

ლიტერატურაში (არა მარტო ქართულში) შავი ხშირად ასოცირდება სიცარიელესთან და მწუხარებასთან. „შავი ღამეა, ცა გლოვობს“ („შემოდგომის ღამე“); „...აღარ მშორდება შავი ნაღველი“ („მელოდია“); „თავს დაგსტრიალებს სიკვდილი შავი“ („ძრწოდე, ვალტასარ!“, ტ. ტაბიძე)

უარყოფითი მნიშვნელობა აქვს სიბნელის ფერით მოვლენებს. წყვდიადი, ჩრდილი, ბინდი, ბინდისებური, ბნელი, სიბნელე სიკვდილთან, მწუხარებასთან ასოცირდება, ღამე კი იღებს იდუმალეზის სახეს: „ცამ სულ დახუჭა თვალი, დაბნელდა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე); „სძინავს სამყაროს, ნისლით დაბურულს, / გაუმჭვირვალე ღამეა ბნელი“ („მუზას“, ტ. ტაბიძე).

რუხის ჯგუფში შემავალი სიტყვებით გამოხატულია: სიმახინჯე („კატასავით იჭყიტება ნაცრისფერი თვალებით“); გაფითრება („ნაცრისფერი დაედო“); გაბრაზება („მიწისფერი გადაედო“); ავადმყოფობა („მომაკვდავის ფერი ადევს“); ადამიანის თვალის, თმის ფერის აღმნიშვნელი (რუხი ფერის თვალები, მონაცისფროთმიანი); გვხვდება ფრინველთა და ცხოველთა სახელწოდებებში (მოშავო-მორუხო ფერის ჩიტი, რუხი ცხენი, რუხი დათვი).

„ცისფერყანწელებთან“ რუხი/ნაცრისფერი იშვიათად გვხვდება და დადებითი კონოტაცია არ აქვს: „*ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გაბრაზებით*“ („დაისი მესამე“, ვ. გაფრინდაშვილი); „*ბაღს მიადგა დაფნებიანს, / რუხად ჩააბნელა*“ („შემოდგომის დღე ფოთში“, პ. იაშვილი).

წითელი ფერით გამოხატულია: სიმახინჯე („წითელი თვალები“; „წითელი კაცი“); მუქარა (წითლად შეგღებავთ!); ავადმყოფობა (წითელი ქარი (ავადმყოფობა), ჩარანდელი); სიკვდილის მოახლოება („წყალი წითლად შეიღება“); გლოვა (წითელ-შავად შეღებილი); მორცხვობა (სირცხვილისგან გაწითლება); სირცხვილის გრძნობა (წამოწითლებული სახე); სიბრაზე (პილპილივით წითელი); ნიადაგის ფერი („წითელი მიწა“); ადამიანის სახის, თმის ფერის აღმნიშვნელი (მოწითალო სახის ადამიანი; ლოყაწითელი, წითელთმიანი).

ქართველ სიმბოლისტებთან წითელი ბოროტების ფერია; უკავშირდება სისხლს, ომს, რევოლუციას, სიკვდილს: „*შენს სასახლეში ყეფს წითელი საშინელება*“ („ვერჰარნ“, პ. იაშვილი); „*ჩვენ გვიგ ზავნის წითელ სიკვდილს*“ („წითელი ხარი“, პ. იაშვილი).

ყვითლის სემანტიკური ველი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: შურის გამომხატველი (შურისგან გაყვითლებული); ავადმყოფური ფერი (მოყვითალო ფერის (ავადმყოფური) სახე); ადამიანის თვალის, სახის კანის, თმის ფერის აღმნიშვნელი (თაფლისფერთვალებიანი, ოქროსფერი (ნათელი) სახე, ოქროსფერთმიანი).

„ცისფერყანწელებთან“ ყვითელს ძირითადად უარყოფითი დატვირთვა აქვს: „*შენ ხარ ყვითელი, ვით საგიჟეთი*“ („შემოდგომა“, ვ. გაფრინდაშვილი); „*შიშანობა და გაყვითლება!*“ („სანბენიტო“, შ. კარმელი).

მწვანე ფერი გამოხატავს: ლანძღვას („მწვანე ფერის სახე“); ბუნების სილამაზეს („მთელი ქვეყანა მწვანედ შეიმოსა“); ავადმყოფობას („ხავსისფერი დასდებია“); ადამიანის თვალის ფერის აღმნიშვნელი (მწვანეთვალეზა).

„ცისფერყანწელებთან“ მწვანე ყვავილობას, ბუნებას, გაზაფხულს უკავშირდება: „იდეა ზაფხული ამწვანებული“ („ხის სიკვდილი“, ვ. ნადირაძე); „უკვე მთებში ვარ... ირგვლივ ტყეა ამწვანებული“ („მთებში“, ნ. მიწიშვილი).

ლურჯით გამოხატულია: მუქარა („თვალ-სახე დაგილურჯდება“); ავადმყოფობა (თვალეზაღმურჯებული); გაფითრება (გალურჯდა); ცის აღმნიშვნელ სიტყვებად გამოყენებული (ცის ლურჯი გუმბათი, ცის ლურჯი სივრცე); წყლის აღსანიშნავად (მტკვრის ლურჯი ტალღები); ადამიანის თვალის ფერის აღსანიშნავად (ლურჯი თვალეზი).

„ცისფერყანწელებთან“ ლურჯი ცივი, სევდიანი ფერია: „მარტო ვიყავი!.. ჩემ გარშემო ლურჯად ბნელოდა“ („უვერტიურა, ვ. იაშვილი),

ამდენად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ფერებს აქვს როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი მნიშვნელობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ რუხს აქვს მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა (უიმედობის, მორჩილების, გულგრილობის, დარდის, ჭმუნვის, მოწყენილობის, გაურკვეველობის, გაუბედაობის).

ფერი გვხვდება, აგრეთვე, სხვა კომპოზიტების შემადგენელ ნაწილად: ფერდაკარგული, ფერწასული, ფერმიხდილი, ფერგამქრალი, ფერმკრთალი, ფერისცვალება, მრავალფეროვანი, ფერად-ფერადი... არაფერი, ყველაფერი, მრავალფერი...

„ცისფერყანწელთა“ ლექსებში ზოგჯერ ფერი არ არის ნახსენები, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ფერზეა საუბარი. ამ მხრივ, ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ისეთი სახელები, რომლებიც სინათლისა და ფერის მოვლენებს ახასიათებს. გვხვდება ღია და მუქი, მხიარული და მწუხარე კატეგორიები. ფერის მახასიათებლების აღმნიშვნელი სიტყვებია: ბაცი, ბნელი, გაცრეცილი, გახუნებული, ელვარე, კამკამა, კამკამა, ლაპლაპა, მზინავი, მიმქრალი, მკვეთრი, მკრთალი, მოღრუბლული, მოჭერილი, მუქი, მქრქალი, მცხრალი, მხიარული, ნათელი, ნაჯერი, პრიალა, სპეტაკი, ქათქათა, ღია, ციმციმა, ჭრელი, ჭრელ-ჭრელი, ხასხასა...

ფერების აღმნიშვნელი ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სალიტერატურო ენაზე არსებული მხატვრული შემოქმედება. ქართველ სიმბოლისტებთან დასტურდება ფუძის სახით, ბრუნვის ფორმით, ნარ-თანიანი და ებ-იანი მრავლობითის ფორმით, ზმნისწინიანი და თანდებულიანი ფორმით წარმოდგენილი, აგრეთვე, ვითარების გარემოების ფუნქციით და ოდნობითი ხარისხით (მო- -ო, -უ -ეს, სი-ე) გამოხატული ფერთა სახელები.

„იმ შავ დილამ წინაპართა...“ („დილა“, ნ. მიწიშვილი); „შემახის გზაზე ვიღაც შავმა...“ („ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, ნ. მიწიშვილი); „...და მტკვრის ნაპირი მწვანეში წვება“ („ახლა, როდესაც“ , შ. აფხაიძე); „...და შავნი შავნი დააცხრნენ ბალებს“ („მოგზაურობა სამშობლოში“, გ. ლეონიძე); „მახსოვს შავებში იჯექ ჩემთან და ჩვენს გაზაფხულს...“ („მახსოვს შავებში“ , ს. შანიაშვილი); „თეთრად ათენებ: თავს გესხმიან ავი ბოდვები“ („ფრანგ პოეტს“ , გრ. რობაქიძე); „ჩუმად ჩავსხდეთ მოთეთრო ნავში“ („ბალდახინი“ , კ. ნადირაძე).

ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებისაგან იწარმოება ზმნები და სახელზმნები: „თეთრდება პრესნა და თებერვალი“ („ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“ , ტ. ტაბიძე); „*თქვენ სუნთქვით იყო ეს სასტუმრო გალურჯებული*“ („სურნელება თქვენი ტანის“, კ. ნადირაძე).

დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა კომპოზიტის პირველ ან მეორე ნაწილს წარმოადგენს: შავბედი, შავნაბდიანი, შავთმაჩაშლილი, შავგრუზა, შავრაშიანი, შავკაბიანი, შავმოგარსული, შავფრთიანი, შავფერი, შავპირი, შავბნელი, შავთვალა, თეთრქაფა, წითელგულა, წითელდროშოვანი, ყვითელმზერიანი, ყვითელფერობს, ლურჯთვალა; თმათეთრი, ბედშავი, პირშავი, ფერშავი, წვერწითელა, თმათეთრი, ფერწითელობა.

„ცისფერყანწელები“ იყენებენ სალიტერატურო ქართულში გაბატონებულ „ფერ“ -კომპონენტით ნაწარმოებ რთულფუძიან ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს: აგასფერი, ალისფერი, ატმისფერი, გოგირდისფერი, ვარდისფერი, ვერცხლისფერი, ზღვისფერი, თაფლისფერი, თოვლისფერი, იისფერი, კომშისფერი, კუპრისფერი, ლალისფერი, ლაჟვარდისფერი, მარგალიტისფერი, მარწყვისფერი, მარჯნისფერი, მზისფერი, მთვარისფერი, მიხაკისფერი, მტრედისფერი, ნაცრისფერი, ოქროსფერი, ჟანგისფერი, სანთლისფერი, სისხლისფერი, ფირუზისფერი, ქარვისფერი, ღამისფერი, შვინდისფერი, შინდისფერი, ცეცხლისფერი, ცრემლისფერი, წვიმისფერი, ხავერდისფერი, ხავსისფერი, ხორბლისფერი, ხობისფერი.

ამდენად, ლიტერატურაში ფერი სიმბოლური მოსაზრებით სტიმულირდება. „ცისფერყანწელთა“ მხატვრულ სისტემაში ფერების მკვეთრი გამიჯვნა მნელდება, თუმცა უპირატესობას ანიჭებენ თეთრ, შავ და ლურჯ ფერებს და ამ ჯგუფში შემავალ სინონიმურ ერთეულებს.

ყოველი ახალი საგანი, ფორმა თუ მოვლენა, ახალი სიტყვების გაჩენის მიზეზია, რაც ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების, ანუ ნეოლოგიზმების, წარმოშობას იწვევს. ასე, მაგალითად, „ლომფერი“ ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს.

ქართველ სიმბოლისტებთან გვხვდება ნაცვალსახელისგან ან რიცხვითი სახელისაგან შედგენილი ფერთა სიტყვები: „ცა შვიდფერი ცისარტყელით“ („გზა მშვიდობისა“, პ. იაშვილი); „ის ცა მბრწყინავი პირველი ფერთ“ („ჩემი რიონი“, შ. აფხაიძე); „თოვლზე დაფანტულ მრავალფერი ქვის მაქებარი!“ („მალარმე“, პ. იაშვილი); „...და იკაზმება სიკვდილის წინ რაგინდარაფერად“ („ჯვარისწერები დაისში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

ფერთა ამსახველი ლექსიკით შეიძლება აღიწეროს სტიქიის, ბუნების სხვადასხვა მოვლენა: ცეცხლისფერი, ალისფერი; წვიმისფერი, თოვლისფერი, მზისფერი, მთვარისფერი...

გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება წელიწადის დროსთან ან კონკრეტულ თვესთან დაკავშირებული: ზაფხულის ფერი, შემოდგომის ფერი, აპრილის ფერი... დღის მონაკვეთთან დაკავშირებული: დღეების ფერი, ღამისფერი, დაისისფერი...

ძვირფას ქვებთან დაკავშირებული ფერთა სიტყვები ორი სახით გვხვდება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში: ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ ფერის აღმნიშვნელ კომპოზიტურ სიტყვათა შემადგენელ ნაწილს: მარჯნისფერი, ქარვისფერი, ლაჟვარდისფერი, გიშრისფერი, იაგუნდისფერი, ლალისფერი, ფირუზისფერი, მარგალიტისფერი, მეორე მხრივ, ძვირფასი ქვების სახელები ზურმუხტი, მარჯანი, ლალი, გიშერი, ალმასი... გამოყენებულია ფერის მნიშვნელობით. იქიდან გამომდინარე, რომ ძვირფასი ქვები გამოირჩევიან ბრწყინვით, განსაკუთრებულ როლს ასრულებს სინათლის ფენომენი. „ნათელი“, ობიექტური სინამდვილის მსგავსად, ფერის გამოვლინების ძირითად პირობად იქცევა.

მხატვრულ ლიტერატურაში ზოგადად ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები სტაბილურ ხასიათს არ ატარებს. ერთი და იგივე ფერი ზოგჯერ ორმაგ თვისებას ავლენს და ურთიერთგამომრიცხავ ახსნა-განმარტებას ექვემდებარება.

ფერებს სიმბოლისტთა შემოქმედებაში, განწყობილებათა გამოხატვის გარდა, სიმბოლური მინიშნებაც აქვს, რითაც ავტორის დამოკიდებულებაც მქდავდება. ფერი საშუალებას იძლევა წარმოაჩინოს უჩვეულო და ამასთანავე, ბუნდოვანი პოეტური სახე.

მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით გვხვდება:

- მარტივფუძიანი (თეთრი, ლურჯი), წარმოქმნილფუძიანი (თეთრტაიქოსანი, თეთრქილებიანი, ლაჟვარდოვანი), რთული (შავ-თეთრი, მოცისფრო-ლურჯი) სიტყვები და ორკომპონენტიანი სინტაგმები (თოვლისფერი, მუქი ლურჯი).
- სიტყვაწარმოების სახით ხშირად გვხვდება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები, ზმნური ფორმები, ზმნისართები (მონაცისფრო, მოყვითალო, სიწითლე, გადააშავებს, მიხაკისფრად, ვთეთრდები, ჩაყვითლებული...). გვხვდება ნაცვალსახელისგან ან რიცხვითი სახელისაგან შედგენილი ფერთა სიტყვები: „შვიდფერი“, „პირველიფერი“, მრავალფერი, ნაირფერი, რაგინდარაფერი, „რაფერი“.
- ზედსართავები და ამავე ფუძის -ა სუფიქსიანი ფორმები (ლალისფერი//ლალისფერა...); გვაქვს ფერის აღმნიშვნელ სახელთა ხარისხის ფორმები, რომელთაც საგანთა გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთმიმართებისა და შედარების საფუძველზე ვიღებთ. მო- -ო თავსართ-ბოლოსართით იწარმოება ფერთა სიტყვები, რომლებიც იმავე თვისებას უფრო ნაკლები ხარისხით გამოხატავენ: მო-წითალ-ო (ოდნავ „წითელი“), მო-შავ-ო, მო-თეთრ-ო... მეორე მხრივ, იგივე ნიშან-თვისება მეტი ხარისხით არის გამოხატული: უ-თეთრ-ეს-ი, უ-შავ-ეს-ი...
- კომპოზიციური და სუფიქსიანი ფორმების შემცველი აბსოლუტური სინონიმები (ვერცხლისფერი//ვერცხლოვანი, ზურმუხტისფერი//ზურმუხტოვანი, ალისფერი//ალური...);
- კომპოზიტები „ფერ-ი“ კომპონენტით ნაწარმოები ლექსიკა: (წვიმისფერი, თოვლისფერი, ცეცხლისფერი...) და „ფერის“ გარეშე გამოყენებული ფორმები (ნარინჯი//ნარინჯისფერი, ძოწი//ძოწისფერი...).
- ბგერითი ფორმა გავლენას ახდენს მნიშვნელობაზე. ერთი აღმნიშვნელით („ლურჯი“) აღნიშნული ერთი და იგივე მნიშვნელობა („სილურჯე“), სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება („დალურჯული“).
- სიტყვაწარმოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის ლექსიკური სისტემის ფორმირებაში და მკაცრად შეზღუდულია სემანტიკით. „ცისფერყანწელთა“ ლექსებში გვხვდება ფერთა აღმნიშვნელი

სიტყვებისგან ნაწარმოები ახალი სიტყვები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სიტყვის მნიშვნელობაზე.

ფერები კონტექსტის შესაბამისად იწვევენ დადებით ან უარყოფით ემოციებს, რაც ნაწარმოების მსვლელობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ელემენტის დახასიათებას გულისხმობს.

ამდენად, ფერთა სიტყვები ლექსიკური მარაგის გამდიდრების წყაროს წარმოადგენს, მათი სიუხვე კი ენის ლექსიკური შედგენილობის მრავალფეროვნებას განაპირობებს. ფერთა სიტყვების შინაგანი ფორმა ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობით შეიძლება განვსაზღვროთ, რასაც დამატებითი ინფორმაცია თვით კონტექსტში ემატება.

ლიტერატურა :

დარჩია ი. ფერის ფენომენი ბერძნულ ტრაგედიაში. თბილისი, 2005

ნემსაძე ა. თეთრი ფერის სიმბოლური გააზრებისათვის. ჟურნალი „სემიოტიკა“. №9. თბილისი, 2011

სანაია ფ. ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი (ქართული სიმბოლიზმის ფერები). დისერტაცია. თბილისი.2023

Color denoting vocabulary of Georgian poetry of the 20s of the 20th Century. Proceedings of the 2nd International Scientific Conference. “Modern Scientific Method”, University of Vienna. Austria. Publisher.agency. №2. February. 2023

სოსელია ე. სემანტიკური უნივერსალები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები. „ნეკერი“. თბილისი, 2009

მაძამია ც. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში. დისერტაცია. თბილისი, 2006

Berlin B., Key P. Basic color terms: Their universality and evolution. University of California Press. Berkeley and Los Angeles. 1969

Wierzbicka A. Semantics, Culture and Cognition: Universal Concepts in Culture-Specific Configuration. New York. 1992

Гете. Избранные сочинения по естествознанию, учение о цвете. 1957

Кандинский В. Б. О духовном В искусстве, 2008

Серов Н. В. Символика цвета. Страта. 2015

Internet resources: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/34>

ლელა ციხელაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი

ბიბლიური აბრაამისა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა - ტრანსლიტერაციის საკითხები

II¹

2.2. აბრაამისა და სარას სახელები ახალ აღთქმაში.

2.2.1. აბრაამი. აბრაამის სახელი დასტურდება არა მარტო ძველ, არამედ – ახალ აღთქმაშიც. სახარება-ოთხთავში, კერძოდ, მათეს სახარებაში, იგი ჩანს 7-ჯერ (მ. 1:1, 1:2, 1:17, 3:9x2, 8:11, 22:32), მარკოზის სახარებაში – ერთხელ (მკ. 12:26), ლუკას სახარებაში – 15-ჯერ (ლ. 1:55, 1:73, 3:8x2, 3:34, 13:16, 13:28, 16:22, 16:23, 16:24, 16:25, 16:29, 16:30, 19:9, 20:37), იოანეს სახარებაში კი – 11-ჯერ (ი. 8:33, 8:37, 8:39x3, 8:40, 8:52, 8:53, 8:56, 8:57, 8:58).

ოთხთავის ქართული თარგმანის წინათონური პერიოდის ორი ძირითადი რედაქციიდან (ოპიზური/პროტოვულგატა და ადიშური²) ამ კუთხით გამოწვლილვით შევისწავლეთ ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავები [შანიძე, 1945; სარჯველაძე, 2003], ათონური პერიოდიდან კი – ეფთვიმესეული ვერსიისა და გიორგი ათონელის რედაქციის (ქართული ვულგატა) ის ნუსხები, რომლებიც ი. იმნაიშვილის გამოცემაშია წარმოდგენილი [იმნაიშვილი, 1979]. ამასთანავე, გავითვალისწინეთ სახარების ტექსტის შემცველი დანარჩენი ძველი ხელნაწერების ვითარებაც, რისთვისაც ვისარგებლეთ ქართული ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ყველა ძველი ხელნაწერისა და უძველესი ლექციონარების საკითხავების მიხედვით მომზადებული კრიტიკული ტექსტით (ამ ეტაპისთვის მომზადებულია ლუკასა და იოანეს სახარებების ტექსტი [თვალთვაძე, 2020]).

თუ როგორც წინათონური, ისე ათონური პერიოდის რედაქციებისთვის ნორმას წარმოადგენს *აბრაჰამ* ფორმა (უიშვიათესი გამონაკლისები საერთო სურათს ვერ ცვლის),³ ამ მხრივ ცალკე დგას ადიშის ოთხთავი (897 წ.), როგორც ოთხთავის ერთ-ერთი ძველი რედაქციის შემცველი ნუსხა, რომელიც ამ მხრივ ბერძნულს მიჰყვება, უპირატესობას *აბრაამ* ვარიანტს ანიჭებს და ოდენ 8-ჯერ გამოავლენს /3/-თანხმოვნთან აბრაჰამ წაკითხვას (მ. 1:1, მ. 1:2, მ. 3:9x2, მ. 22:32, ლ. 1:55, ლ. 16:29, ლ. 19:9).

საზოგადოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ადიშის ოთხთავში დაცული რედაქციის თარგმანის წყაროდ მიჩნეულია როგორც ბერძნული, ისე – სომხური და სირიული. ს. ყაუხჩიშვილმა არაერთი არგუმენტით დაამტკიცა, რომ აღნიშნული ოთხთავის ტექსტი ბერძნული წყაროდანაა თარგმნილი, თუმცა ისიც სამართლიანად შენიშნა, რომ „სწავლული მთარგმნელები გამოიყენებდნენ ყველა იმ თარგმანსაც, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ, და სრულიად ბუნებრივია, რომ ბერძნულიდან მთარგმნელნი მიმართავდნენ ხოლმე სომხურსაც და ასურულსაც“ [ყაუხჩიშვილი, 1944:101-102]. ზ. სარჯველაძესაც თარგმანის ტექნიკასთან დაკავშირებული არაერთი დამატებითი ლინგვისტური არგუმენტი მოჰყავს ტექსტის ბერძნულიდან მომდინარეობის დასამტკიცებლად [სარჯველაძე, 2003:118-129]. ს. სარჯველაძე ადიშის ოთხთავის 2003 წლის გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში გვთავაზობს დასკვნას, რომ „ადიშის ოთხთავში დაცული რედაქცია თარგმნილია ბერძნული დედნიდან, ხოლო მასში ალაგ-ალაგ დადასტურებული არმენიზმები კი მხოლოდ ლექსიკური ხასიათისაა და არა რედაქციული და, ამდენად, მეორეულია და იმ ფენაში გვხვდება, რომელიც ნუსხის რედაქტორმა ჩაასწორა ოთხთავის სომხური ტექსტის მიხედვით“ [სარჯველაძე, 2003:69]. ამდენად, ივარაუდება ტექსტის სომხურის მიხედვით სწორება და მასში სომხური ლექსიკის შეტანა ზოგიერთი რედაქტორ-გადამწერის მიერ. შესაძლოა, აბრაამ ტიპის ფორმების აბრაჰამ ფორმებით ჩანაცვლებაც ამ პროცესს უკავშირდებოდეს, თუმცა, ა. შანიძის აზრით, პირიქით, „ადიშის ოთხთავი ამ სახელის წერაში სწორედ ბერძნულის მიხედვით არის შესწორებული“ [შანიძე, 1964:36]. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ არქაული ვითარების ამსახველი აბრაჰამ წაკითხვა გამოვა, რომელიც უნდა ჩაენაცვლებინათ აბრაამ ვარიანტით. დღეს რთულია დაბეჯითებით იმის მტკიცება, ანთროპონიმის რომელი ვარიანტი უნდა ყოფილიყო პირველმთარგმნელის (თუ პირველმთარგმნელთა) ავტოგრაფულ ნუსხაში, რა რით უნდა შეცვლილიყო და როდის. ფაქტია, ტექსტი თარგმნილია უბველეს დროს და შემდეგ არაერთხელ მომხდარა მისი გადაწერა-სწორება, რაზეც ადიშურ ხელნაწერში დადასტურებული ხანმეტობისა და ჰემეტობის გადმონაშთებიც მეტყველებს [სარჯველაძე, 2003:71]. ფაქტია ისიც, რომ აღნიშნული ანთროპონიმის დაწერილობის საკითხში შეინიშნება როგორც ბერძნული, ისე აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გავლენა.

ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმის ქართულად გადმოღების საკითხში სახარების პირველმთარგმნელთა პოზიციის გასათვალისწინებლად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია უფრო ძველი ხელნაწერის, VII საუკუნით დათარიღებული [სარჯველაძე, 1995:128]⁴ ხანმეტი ოთხთავის

ვითარების გათვალისწინებაც. ტექსტი ფრაგმენტულადაა მოღწეული, მათეს სახარების დასაწყის ნაწილში მსგავსებას ავლენს ადიშის ოთხთავთან (ძირითადი ტექსტი პროტოვულგატისას მიჰყვება) და, ზოგადად, მასთან ბევრი რამ აქვს საერთო [ქაჯაია, 1984:304-305]. ხანმეტი ოთხთავი ექვსჯერ გვიჩვენებს აბრაამის სახელს (მკ. 12:12, ლ. 3:34, ლ. 13:16, ლ. 16:22, ლ. 19:9, ი. 8:52) და ყველა შემთხვევაში /3/ თანხმობით (ფრაგმენტულად მოღწეულობის გამო ჩვენთვის საინტერესო დანარჩენი მუხლები აკლია), მაშინ როდესაც შესაბამის ადგილას ადიშის ოთხთავში ანთროპონიმის აბრაამ ვარიანტია წარმოდგენილი.⁵ იკვეთება, რომ სახარების ტექსტის შემცველი თითქმის ყველა ძველი ხელნაწერისთვის (ადიშის ოთხთავის გარდა), მისი რედაქციული კუთვნილების მიუხედავად, ნორმას წარმოადგენს ამ სახელის /3/-თანხმობიანი ფორმა – აბრაჰამ (უიშვიათესი გამონაკლისების გარდა). იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ანთროპონიმის გადმოტანის სწორედ ეს წესი უნდა ასახავდეს უძველეს ვითარებას.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ იოანეს სახარების ერთ მუხლს, რომელშიც აბრაამის სახელი სამჯერ მეორდება:

ი. 8:39 მიუგეს და ჰრქუს მას: მამად ჩუენი აბრაამი არს. მიუგო იესუ და ჰრქუა: უკუეთუმცა შვილნი აბრაამისნი იყვენით, საქმეთამცა აბრაამისთა იქმოდეთ C.

მიუგეს და ჰრქუს მას: მამად ჩუენი აბრაჰამი არს. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმესამცა აბრაჰამისსა იქმოდეთ A^dODERPBTLAFmGihScw. აბრაამისნი A^d. აბრაჰადამისნი i#. აბრაამისთა A^d. აბრაჰამისთა P. აბრაამისსა Di. აბრაჰამისა Ah.⁶

მართალია, გიორგი ათონელისეული ტექსტის (ქართული ვულგატა) ჩამოყალიბების შემდეგ სახარება-ოთხთავის ახალი რედაქცია აღარ შექმნილა, მაგრამ ჩვენ მაინც საინტერესოდ მივიჩნით ულტრაელინოფილური პერიოდის ეგზეგეტიკურ თხზულებებში სახარების განსამარტავ ტექსტზე (კიმენზე) დაკვირვება ამ კუთხით. ამ მიზნით შევისწავლეთ თეოფილაქტე ბულგარელის ლუკასა და იოანეს სახარებების თარგმანების ქართული ტექსტები.

გაირკვა, რომ თეოფილაქტე ბულგარელის ლუკას სახარების თარგმანების ქართულ ვერსიაში აბრაამის სახელის გადმოტანის საკითხში ბერძნულის ვითარებას (არა ყოველთვის) ასახავს XII-XIII საუკუნეების K და ნაწილობრივ J ხელნაწერები, რადგან, როგორც კიმენში, ისე განმარტებაში სწორედ ისინი გვიჩვენებენ აბრაამ ფორმის გამოვლენის ტენდენციას, მაშინ როდესაც გვიანდელი AB

ნუსხები (XVIII ს.) უპირატესობას აბრაჰამ ფორმას ანიჭებენ⁷ და ამ მხრივ უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციას უჭერენ მხარს.

თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების ულტრაელინოფილური სტილით შესრულებულ ქართულ თარგმანში, რომელიც შემონახულია ერთადერთი ნუსხით (A 52, XII-XIII სს.), შეინიშნება ასეთი ტენდენცია: კიმენში დასტურდება ორივე ფორმა: როგორც აბრაჰამ (8:33, 8:37, 8:39x3, 8:40), ისე – აბრაამ (8:53, 8:56, 8:57, 8:58), თანაც მიყოლებით რამდენიმე მუხლი გამოავლენს /ჰ/- თანხმონიან ფორმებს, ხოლო მომდევნო მუხლები, ასევე მიყოლებით – მის გარეშე. კიმენში ერთხელ დავადასტურეთ ფორმა ბიზანტიური ბერძნულისთვის დამახასიათებელი ხშულის სპირანტიზებული წაკითხვით – ავრაამ [ი. 8:52]. საინტერესოა, რომ, თუ კიმენში აბრაჰამ ტიპის ფორმაა, განმარტებაშიც ეს სახელი /ჰ/ თანხმონიანაა წარმოდგენილი, თუ – აბრაამ ტიპისა, განმარტებაც ასეთ ფორმებს გამოავლენს, ოღონდ, თუ კიმენში ოდენ ერთხელ გამოვლინდა ავრაამ წაკითხვა, თარგმანებაში უფრო ხშირია ამ ტიპის ფორმები (114:14, 25; 115:25, 34; 116:11, 12, 14).⁸

მოციქულთა საქმე, მართალია, IV-V საუკუნეებში უნდა ეთარგმნათ, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია X და მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებით. ტექსტი გამოცემულია X-XIV საუკუნეების ცხრა ხელნაწერის მიხედვით [აბულაძე, 1950]. *მოციქულთა საქმეში* აბრაამის სახელი 7-ჯერ დასტურდება (3:13, 3:25, 7:2, 7:16, 7:17, 7:32, 13:26). ი. აბულაძის მიერ გამოყოფილი ოთხი რედაქციიდან ორი გიორგი მთაწმიდლისა (L) და ეფრემ მცირის (B) ნარედაქციებია. მიუხედავად ამისა, *მოციქულთა საქმის* ტექსტის შემცველი ხელნაწერებისთვის ნიშანდობლივია ოდენ /ჰ/- თანხმონიანი აბრაჰამ ფორმა და ამ მხრივ იგი ბერძნულს ემიჯნება.

კათოლიკე ეპისტოლეებში ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმი ერთხელ გვხვდება, ისიც /ჰ/- თანხმონიანი ფორმით როგორც ძველი (C⁴), ისე ახალი, გიორგი მთაწმიდლისეული და ეფრემისეული (L^B) რედაქციების ნუსხებში: აბრაჰამს [1 პეტრე 3:6 ALEFGHJ]⁹ [ლორთქიფანიძე, 1956]. იგი /ჰ/ თანხმონიანაა წარმოდგენილი უძველეს სინურ ნუსხებშიც, სხვაობას მხოლოდ ემფატიკური ხმოვნის დართვა ქმნის: აბრაჰამსა MN.

პავლეს ეპისტოლეთა წიგნში, რომელიც გამოცემულია X-XIV საუკუნეების თორმეტი ხელნაწერის მიხედვით ოთხ რედაქციად [ძოწენიძე... 1974], რომელთაგან ორი ძველია (A, B), ორი კი – გვიანდელი (C – გიორგი ათონელისეული და D – ეფრემ მცირისეული), აბრაამის სახელი დასტურდება შემდეგი სიხშირით: *ჰრომაელთა მიმართ* – 8-ჯერ, *2 კორინთელთა მიმართ* – ერთხელ, *გალატელთა მიმართ* –

9-ჯერ, *ებრაელთა მიმართ* – 10-ჯერ. ყველა შემთხვევაში ეს ანთროპონიმი /3/ თანხმონითაა წარმოდგენილი, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელსაც გიორგი ათონელისეული რედაქციის მხოლოდ ერთი, XI საუკუნის ათონური ნუსხა გამოავლენს: *აბრაძს* [ებრ. 7:11 z]. შდრ. *აბრაჰამს* vHTik.

2.2.2. სარა, როგორც აბრაჰამის მეუღლე, ოთხჯერაა ნახსენები ახალ აღთქმაში (ერთხელ – პეტრეს პირველ კათოლიკე ეპისტოლეში, სამჯერ – პავლე მოციქულის ეპისტოლეებში):

*ვითარცა-იგი სარა ერჩდა აბრაჰამს (აბრაჰამსა MN) და უფლით ხადინ (ხადოდა MN, ჰხადინ A) მას... [I პეტრე 3:6 LMN]. სარრა AEF GHJ.*¹⁰

*... რამეთუ მკუდარ იყვნეს ჯორცნი მისნი, ას წლის სადამე იყო, – და უძლურებაჲ იგი საშოდსა სარადსი [ჰრომ. 4:19 ABvz]. სარრადსი HTik.*¹¹

... ჟამსავე ოდენ ამას მოვიდე და ესუას სარას ძმ [ჰრომ. 9:9 AB]. სარრას CD.

სარწმუნოებით იგიცა სარრა, ბერწ ღათუ იყო, ძალი მოილო შესაწყნარებელად... [ებრ. 11:11 ABCD]. სარა bgde.

როგორც ვხედავთ, ახალ აღთქმაში სარას სახელი დასტურდება ორი ფორმით: როგორც ერთი, ისე გემინირებული რ თანხმონით. არ ჩანს სირიულ-ებრაულისთვის დამახასიათებელი *სარაკ* ფორმა.

2.3. აბრაამისა და სარას სახელები ძველ ქართულ ლექციონარებში. ამ მხრივ უძველესი ვითარების გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ძველი ქართული ლექციონარის შემცველი ხელნაწერების მონაცემებიც. ცნობილია, რომ V-X საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში გაბატონებული იყო ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი. უძველესი იერუსალიმური კანონი შემუშავდა იერუსალიმში ბერძნულ ენაზე IV საუკუნეში (ეს ტექსტი დაკარგულია), მისი ქართულ ენაზე თარგმნა უკვე V საუკუნისთვის ივარაუდება, რასაც ცხადყოფს შედარებით გვიან გადაწერილი ხანმეტი ლექციონარის (VII ს. II ნახ. [შანიძე, 1944]) სტრუქტურაც. სამწუხაროდ, ხანმეტი და გამოკრებილი ჰაემეტი (VIII ს. II ნახ., H-1329 [შანიძე, 1923]) ლექციონარების ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები არ შეიცავენ იმ საკითხავებს, რომლებშიც აბრაამისა და სარას სახელები დასტურდება.

VII საუკუნეში შემუშავდა ვრცელი ბერძნული ლექციონარი არსებული იერუსალიმური კანონის შევსება-გავრცობის საფუძველზე. დროთა განმავლობაში ივრცობოდა იერუსალიმური კანონის უძველესი ქართული თარგმანიც. ძველი ქართული ლექციონარის მომდევნო ეტაპის (როცა ლექციონარს გამოეყო იადგარი, VI ს. 70-იანი წლებიდან VII ს. შუა წლებამდე [მეტრეველი... 1980:685-

688]) ამსახველია ლატალის (L^L, X ს.), კალის/ლაგურკის (L^K, X ს.), სინური (L^S, 982 წ.) და პარიზული (L^P, X-XI საუკუნეთა მიჯნა) ლექციონარები.¹² მათგან მხოლოდ სინური ხელნაწერი წარმოადგენს გამოკრებილ ლექციონარს (სრული ლექციონარიდან მომდინარეს, შეიცავს მხოლოდ ოთხი დღესასწაულის ტექსტებს), დანარჩენი ნუსხები ვრცელი/სრული ლექციონარის ტექსტის შემცველია (თუმცა სრული სახით არ არის მოღწეული).

ცნობილია, რომ პარიზულ ლექციონარში შესული ბიბლიური წიგნების საკითხავების ტექსტი, არსებითად, წარმოადგენს დამოუკიდებელ თარგმანს. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერის გამოცემის II ნაწილს დანართის სახით ერთვის ლატალის, კალის//ლაგურკისა და სინური ხელნაწერების ის საკითხავებიც, რომლებიც არ მოიპოვება პარიზულისაში, რათა შექმნილიყო ქართულ ლექციონარში შესულ ბიბლიურ საკითხავთა რამდენადმე მთლიანი სურათი [დანელია... 1997:3]. გარდა პარიზული ლექციონარის გამოცემისა, მოსეს ხუთწიგნეულის საკითხავების ვითარების უკეთ გასაანალიზებლად, როგორც პარიზულ, ისე ლატალის, კალისა და სინურ ხელნაწერებში ვისარგებლეთ ნ. მელიქიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტით [მელიქიშვილი, 1974].¹³ ახალი აღთქმის საკითხავებისთვის ვისარგებლეთ ლუკასა და იოანეს სახარებების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტით [თვალთვაძე, 2020], რომელშიც გათვალისწინებულია ლექციონარების ვითარებაც.

2.3.1. ძველი აღთქმის საკითხავები. ხუთწიგნეულის ჩვენთვის საინტერესო მუხლები ყველა ხელნაწერში (L^P, L^L, L^K, L^S) არ არის წარმოდგენილი. მაგ., *დაბადებიდან* პარიზულ ლექციონარში შესულია 26 საკითხავი, ლატალის ლექციონარში – 14, კალისაში – 10, სინურში – 4. ამის მიზეზს ხელნაწერთა დაზიანება წარმოადგენს, თორემ ძველი ქართული ლექციონარის ყველა ნუსხა იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველია და, წესით, ყველა მათგანში ერთი და იგივე საკითხავები უნდა იყოს შესული, გარდა სინური ლექციონარისა, რომელიც არა მთელი წლის, არამედ მხოლოდ ხუთი დღესასწაულის საკითხავებს შეიცავს [მელიქიშვილი, 1974:10].

2.3.1.1. აბრაამი. კალისა და სინური ლექციონარების საკითხავები არ შეიცავს იმ მუხლებს, რომლებშიც, წესით, აბრაამის ორიგინალური სახელი უნდა ჩანდეს, მხოლოდ ლატალისა შეიცავს რამდენიმე მუხლს. ყველაზე სრულად ეს მონაკვეთი პარიზულ ლექციონარშია წარმოდგენილი. ორივე ლექციონარში აბრაამის ორიგინალურ სახელად *აბრაჰამ* ფორმა დასტურდება. *დაბადების* 17:5-ს მხოლოდ L^P, L^L ნუსხები შეიცავს, მათგან ამ მუხლში პარიზის ლექციონარში აბრაამის ორიგინალურ სახელად გვევლინება *აბრაამ*, ხოლო უფლის მიერ ბოძებულ

სახელად – აბრაჰამ ფორმა („და არღარა გეწოდოს სახელი შენი აბრაამ, არამედ აბრაჰამ იყოს სახელი შენი...“ [დაბ. 17:5 L^P]), ლატალის ლექციონარში კი გვაქვს აბრაამ – აბრაჰამოზოზიცია [დაბ. 17:5 L^L]. ხუთწიგნეულის ფარგლებში ყველა დანარჩენ შემთხვევაში ოთხივე ლექციონარი აბრაჰამ წაკითხვას გვთავაზობს (ამის მაგალითი საკმაოდ ბევრია), მხოლოდ კიდევ ერთხელ დასტურდება აბრაამ წაკითხვა პარიზულ ხელნაწერში [დაბ. 22:19 LP]. საერთოდ, L^P ნუსხაში, აღნიშნული ორი შემთხვევის გარდა, მხოლოდ აბრაჰამ ფორმაა გამოყენებული (100-ზე მეტი შემთხვევა), მათ შორის, აბრაამის ორიგინალურ სახელად.

ამგვარად, ძველი ქართული ლექციონარის ყველა ამ ნუსხისთვის (ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში) მხოლოდ აბრაჰამ წაკითხვაა დამახასიათებელი და არ იკვეთება აბრაამის სახელის ორ ფორმას შორის დაპირისპირების აუცილებლობა (ამის საჭიროება მხოლოდ შეს. 17:5-შია ხელშესახები). ამ მხრივ ძველი ქართული ლექციონარის ვითარება სიახლოვეს ამჟღავნებს ყველაზე ადრეულ, ძველი აღთქმის წიგნების მეტ-ნაკლებად სრულად შემცველ ოშკის ბიბლიასთან.

2.3.1.2. სარა. ძველი ქართული ლექციონარის ხუთწიგნეულის საკითხავებში (ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში) სარა წაკითხვა დასტურდება მხოლოდ ერთხელ, უფლის მიერ სახელის ცვლილების ეპიზოდში: „სარას, ცოლსა შენსა, არღარა ეწოდოს სახელი მისი სარა, არამედ სარრა იყოს სახელი მისი“ [დაბ. 17:15 L^P], დანარჩენ შემთხვევებში ლექციონარის შემცველი ოთხივე ხელნაწერი მხოლოდ სარა წაკითხვას გვთავაზობს აბრაამის ცოლის როგორც ორიგინალურ (L^P), ისე – ახალ სახელად (L^P,¹⁴L^L, L^K, L^S). ამგვარად, ძველი ქართული ლექციონარის შემცველი ნუსხები, ფაქტობრივად, მხოლოდ სარა ფორმას გვიჩვენებენ და ამ ანთროპონიმის გადმოტანის თვალსაზრისითაც სიახლოვეს ავლენენ ოშკურ ბიბლიასთან.

2.3.2. ახალი აღთქმის საკითხავები. პარიზული ლექციონარის ახალი აღთქმის საკითხავებშიც მხოლოდ აბრაჰამ ფორმა ჩანს (36-ჯერ). იგივე ტენდენცია იკვეთება ლექციონარის დანარჩენ ნუსხებშიც. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ამ ანთროპონიმის /3/ თანხმობის გარეშე გამოყენების თითო-ორივე შემთხვევა თუ შეიძლება დასტურდებოდეს: მე ვარ ღმერთი აბრაამისი... [მ. 22:32 L^P]; რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათაგან შვილად აბრაამისა [ლ. 3:8 L^P]. შდრ.: აბრაჰამისად L^S. აბრაჰამისა L^Z [თვალთვაძე, 2020].

პარიზულ ხელნაწერში თითო-თითოჯერ დასტურდება სარა [I პეტ. 3:6] და სარრა [ებრ. 11:11] ფორმები.

3. აბრამ//აბრაამ//აბრაჰამ და სარა//სარრა ფორმები ძველი და საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში. საკვლევ საკითხზე ზოგადი სურათის შესაქმნელად მივმართეთ კორპუსულ კვლევასაც. გვინტერესებდა ამ ანთროპონიმების ვარიანტთა გამოყენების სიხშირე (ეპოქისა და ტექსტის ჟანრისათუ თარგმანის სტილის გათვალისწინებით) და დანიშნულება; ეს სახელები, როგორც ეპონიმები, მათი როლი ონომასტიკურ პროცესებში და სხვ. შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ კორპუსზე დამყარებული კვლევის შედეგები:¹⁵

1. ზოგადად, ძველ სამწიგნობრო ქართულში აბრაამის საკუთარი სახელის ფორმებიდან გამოკვეთილი უპირატესობა ენიჭება /ჰ/-თანხმოვნიან აბრაჰამ ვარიანტს. სტატისტიკურად მისი გამოყენების შემთხვევები ბიბლიური მამამთავრის სახელად ბევრად სჭარბობს აბრაამ და, მით უმეტეს, აბრაჰ ფორმებს. აბრამ ვარიანტი უიშვიათესად დასტურდება ძველ წერილობით ძეგლებში. ძველი ქართული მწერლობა, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური, ფაქტობრივად, აბრაჰამ ფორმას გამოავლენს. ეს ეხება ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ყველა დარგს: როგორც ჰაგიოგრაფიას, ისე ჰიმნოგრაფიას, ეგზეგეტიკას, ლიტურგიკას, ასკეტიკა-მისტიკას, ჰომილეტიკას (ბიბლიოლოგიაზე ვრცლად უკვე გვქონდა საუბარი). აბრაჰამ ფორმა დასტურდება: „ევსტათი მცხეთელის წამებაში“, „ქართლის მოქცევაში“, „აბო ტფილელის წამებაში“, „კონსტანტი კახის წამებაში“, „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ და სხვ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

და განმრავლდეს ნათესავნი აბრაჰამისნი დიდად ფრიად... [ევსტ. 37:6].

ნეტარმან აბრაჰამ თვსთა ნაშობთაგანი შეგიწყნარა [აბო 77:26].

... ვითარცა აკურთხე სახლი ნოვე მართლისა და აბრაჰამ მამათ-მთავრისა [ხანძთ. 259:33].

აბრაჰამ ფორმა დადასტურდა ულტრაელინოფილური სტილის ტექსტებშიც, მაგ., იოანე პეტრიწთან („განმარტებაჲ პროკლესათვს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვს“), თეოფილაქტე ბულგარელის ლუკასა და იოანეს სახარებების განმარტებებში (ამ შემთხვევაში აბრაამ ვარიანტიც დასტურდება, როგორც სათანადო ადგილას მივუთითეთ).

აბრაამ ფორმა გამოყენების სიხშირით ჩამორჩება /ჰ/-თანხმოვნიან ვარიანტს, ისიც, ფაქტობრივად, ყველა ტიპის ტექსტში დასტურდება, თუმცა ორიგინალური ჰაგიოგრაფია მაინც აბრაჰამ ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას. როგორც ჩანს, ძველ საქართველოში ამ ანთროპონიმის ჰ-თანხმოვნიანი

ფორმები უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო (პირველ ყოვლისა, ეს ეხება ნათარგმნ ბიბლიურ წიგნებსა და ლექციონარებს), ამიტომ ორიგინალური თხზულებების ავტორებიც იმ ფორმას იყენებდნენ, რომელსაც მათი ყური მიჩვეული იყო. ამ მხრივ გამონაკლისია „იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“, რომელშიც ხშირად დასტურდება *აბრაამ* ფორმა.

2. დერივატივების წარმოებისას (ძირითადად, -ეან//იან სუფიქსით ნაწარმოები ყოლა-ქონების სახელები) ენა *აბრამ* ფორმას ანიჭებს უპირატესობას: *აბრამეანი* [ჰიმნოგ. 25:24], *აბრამიანთა* [ქ. ცხ. II, 21:10], *აბრამიანებრთა* [ჰაგ. VI, 322:19] (ეს უკანასკნელი მიღებულია ყოლა-ქონების სახელზე -ებრ თანდებულის დართვით) ... დერივატივები იწარმოება სახელის აბრაამ ვარიანტიდანაც (აბრაამიანი [სამ. ძეგლ. II, 376:18], აბრაამიანებად [გაბაშვ. 59:25]...), თუმცა *აბრაჰამ* ანთროპონიმისგან ნაწარმოები *აბრაჰამიანი* ფორმაც დავადასტურეთ ძველ სამწიგნობრო ქართულში: *აბრაჰამიანი* [გაბრიელ მცირე, 119:21], *აბრაჰამიანთა* [ფსევდობასილ. 163:2].

3. ძველ ქართულ ნათარგმნ მწერლობაში გამოვლინდა *აბრამ* ანთროპონიმის ე.წ. ელინიზებული ფორმის (ელინიზებული დაბოლოების მქონე) [Tov, 1999:176] გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, მაგ.: *ამბა აბრამიოს* [მამათა ცხორ. 252:15], *აბრამოს* [ფლავიოსი, 89:16], *ავრამოდსგან*⁶ [ფლავიოსი, 19:4] და სხვ.

4. საშუალ ქართულში *აბრაჰამ* იშვიათად დასტურდება, მეტწილად ადრეული პერიოდის ტექსტებში. რამდენიმე ფორმა შეგვხვდა სამართლის ძეგლებში, ისტორიული და მგზავრობის ჟანრის თხზულებებში. თეიმურაზ I-თან, არჩილთან, ვახტანგ VI-სთან *აბრამ* ფორმაა გამოყენებული ბიბლიური მამამთავრის სახელად. თეიმურაზ I-თან დავადასტურეთ *აბრაამ* ვარიანტიც. ნაწარმოების პერსონაჟის სახელად *აბრამ* გამოყენებულია „ამირანდარეჯანიანში“, სარგის თმოგველის „დილარიანში“, *აბრაამ* – „რუსუდანიანში“.

5. შუა საუკუნეებში გავრცელებული საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო *აბრამი*. იგი დასტურდება როგორც „ქართლის ცხოვრებაში“, ისე – საკმაოდ ხშირად „ქართული სამართლის ძეგლებში“. გვევლინება როგორც სასულიერო პირთა (*კათალიკოზი აბრამ, აბრამ მღვდელი, წინამძღვარი აბრამ, აბრამ დეკანოზი...*), ისე – ერისკაცთა სახელად (*ქურუხულო აბრამ, ნაცუალი აბრამ, ილაური აბრამ, მოურავი აბრამ, აბრამ მჭედლიძის...*). „ქართული სამართლის ძეგლებში“ დასტურდება ამ ანთროპონიმის -ა (← -აკ) სუფიქსიანი ფორმებიც (გლეხი აბრამა შალაბერიძე, ურია ყობიაშვილი აბრამა...), ძირითადად, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა საკუთარ სახელად.

დავადასტურეთ, ასევე, ანთროპონიმი აბრამელა (აბრამელა მეძმარიაშვილი, აბრამელასი შვილი ზალიკა) [სამ. ძეგლ. VIII, 930:20; 930:15].

აბრაჰამი არ ჩანს ისეთი გავრცელებული ფორმა სახელისა, როგორც აბრამი. „ქართლის ცხოვრებისა“ და „ქართული სამართლის ძეგლების“ მიხედვით, *აბრაჰამ* გვევლინება მხოლოდ სასულიერო პირთა (*კათალიკოსი აბრაჰამ, მამამან აბრაჰამ, ალავერდის დეკანოსი აბრაჰამ*) და არა ერისკაცთა სახელად. ასკეტიკური ჟანრის თხზულებებიდან ცნობილი არიან: მამა აბრაჰამი, აბრაჰამ მეგვიპტელი, აბრაჰამ მონაზონი [გაბიძაშვილი, 2006:83]. „ქართლის ცხოვრებაში“ ის შეგვხვდა ამირას სახელად: *ამირა აბრაჰამ* [ქ. ცხ. I, 257:7]. ამ შემთხვევაში ანთროპონიმის /ჰ/-თანხმოვნის ვარიანტი გამოყენება უფრო მოსალოდნელი იყო, რადგან ყურანში ეს სახელი *იბრაჰიმ* ფორმით დასტურდება.

სახელის აბრაამ ვარიანტი, ასევე, არ ჩანს გავრცელებული. ძირითადად, დადასტურდა სასულიერო პირთა სახელად (*ამბა ალავერდელი აბრაამ, კათალიკოზი აბრაამ, აბრაამ კასტიალსა ებისკოპოზი*). ერისკაცთა სახელად ის ამ ფორმით იშვიათი უნდა ყოფილიყო (*ამირ აბრაამ, პოდპოლკოვნიკი მირზა აბრაამ ენკოლოფოვი*).

6. იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ დავადასტურეთ აბრამ ეპონიმისგან წარმომდგარი ტოპონიმიც – სოფელი აბრამეთი („ქ. ოშეთი, ქ. ამლივი, ქ. აბრამეთი, ქ. ღორისთავი...“) [ბაგრატი. 32:21a].

7. „ქართული სამართლის ძეგლებში“ დასტურდება *აბრამ* ანთროპონიმისაგან მომდინარე გვარები: აბრამასშვილი,^[17] აბრამაშვილი, აბრამისშვილი, აბრამიშვილი, აბრამისძე, აბრამიძე, აბრამიანი. კორპუსულმა კვლევამ გამოავლინა, ასევე, არაქართული წარმომავლობის გვარი *აბრამოვი*. აბრაჰამ, აბრაამ ფორმები გვარებში არ ჩანს.

ფაქტობრივად, ანალოგიური ვითარებაა დღესაც: გვარები ნაწარმოებია აღნიშნული ანთროპონიმის *აბრამ* ვარიანტიდან. 1997 წელს გამოცემული წიგნის, „გვარ-სახელები საქართველოში“, მიხედვით, *აბრამ* ანთროპონიმისგან მომდინარე გვარებიდან საქართველოში ყველაზე გავრცელებულია აბრამიშვილი (5590), შემდეგ მოდის: აბრამიანი (1508), აბრამიძე (1185), აბრამოვი (651), აბრამაშვილი (580), აბრამია (411), აბრამალაძე (125) [სილაგაძე... 1997:16]. სახელის *აბრაჰამ* ვარიანტი გვარებში არ ჩანს, თუმცა, ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფორმა უნდა ივარაუდებოდეს ამოსავლად გვარისთვის *აბრაბამია* (90) ← *აბრაჰამია*.^[18]

8. ანთროპონიმის *სარა* ვარიანტი დასტურდება მხოლოდ აბრაამის მეუღლის სახელად. გარდა ზემოთ განხილული ბიბლიური წიგნებისა, ეს ფორმა დასტურდება აგრეთვე იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანზელის, იოსებ ფლავიოსის თხზულებების ქართულ თარგმანებში. შედარებით ხშირი გამოყენებისაა ფორმა *სარა*, რომელიც გვევლინება როგორც ბიბლიური აბრაამის მეუღლის, ისე სხვა ისტორიულ პირთა და ნაწარმოების პერსონაჟთა სახელად (მაგ., *ტობის წიგნის* მიხედვით, *სარა* წარმოადგენდა ტობიას მეუღლის სახელს), მათ შორის – მამაკაცის სახელად („*სარა და გრიგოლ ძმანი ფხუელნი*“ [ქ. ცხ. I, 269:10]). „ქართლის მოქცევაში“ ერთი და იმავე პირის სახელად დადასტურდა ანთროპონიმის ორივე ფორმა: *სარა/სარრა* ბეთლემელი. საშუალო ქართული უპირატესობას ანიჭებს *სარა* ვარიანტს (მაგ., ამ ფორმით დასტურდება მამამთავრის მეუღლის სახელად „ქართული სამართლის ძეგლებში“, არჩილთან), თუმცა არ ჩანს ხშირი გამოყენებისა, ვერ დავადასტურეთ სამართლის ძეგლებსა თუ ისტორიულ დოკუმენტებში ქალის სახელად, ამიტომ, აბრამ ფორმისგან განსხვავებით, ვერაფერს ვიტყვით მის გავრცელებულობაზე შუა საუკუნეების საქართველოში.

4. აბრაამისა და სარას სახელები ბიბლიის თანამედროვე ქართულ თარგმანებში. ბიბლიის ცალკეული წიგნების (ძველი აღთქმა) ორიგინალის ენიდან, ებრაულიდან, თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იწყება.^[19] ბიბლიის სრული კრებულის (ძველი და ახალი აღთქმა) ორიგინალის ენებიდან (ებრაული, ბერძნული) ახალ ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი კი საქართველოს საპატრიარქომ 1989 წელს გამოსცა [ბიბლია... 1989]. ჩვენთვის საინტერესო ებრაული სახელები აღნიშნულ გამოცემაში *აბრამ* – *აბრაამ* (אֲבְרָהָם ← אֲבִרְהָם) და *სარაი* – *სარა* (רָחֵל ← רַחֵל) ფორმებს გვიჩვენებს. საყურადღებოა, რომ წყარო ენაში א (אֲבְרָהָם ← אֲבִרְהָם)(ბე) თანხმოვანი დაგემის გარეშეა წარმოდგენილი და, შესაბამისად, სახელის სწორ წაკითხვას წარმოადგენს *ავრამ/ავრაჰამ*^[20] და არა *აბრამ/აბრაამ*, როგორც ეს ქართულშია მიღებული.^[21] სახელების პირველადი ფორმები ზუსტად იმეორებს ორიგინალის ვითარებას, ოღონდ ერთი განსხვავებით: *აბრამ* ანთროპონიმი წარმოდგენილია არა /ვ/, არამედ /ზ/ თანხმოვნით, როგორც ჩანს, ჩვენი მწიგნობრული ტრადიციის გავლენით, რადგან ქართულში სწორედ /ზ/-თანხმოვნიანი ფორმა აღიქმებოდა ებრაული ანთროპონიმის მყარ ეკვივალენტად. ბიზანტიური ბერძნულის გავლენით, /ზ/-ს სპირანტიზაციით მიღებული ავრაამ წაკითხვა კი, როგორც სათანადო ადგილას უკვე ვნახეთ, მხოლოდ მოგვიანებით, ულტრაელინოფილური პერიოდის თარგმანებში იჩენს თავს, ისიც – იშვიათად. ამასთანავე, ანთროპონიმების მეორეულ ფორმებში არ ჩანს თეოფორულობის მიმანიშნებელი ებრაული ה (ჰე) თანხმოვანი (ვერ ვხედავთ მოსალოდნელ *ავრაჰამ, სარაჰ* ფორმებს) და განსხვავება სახელის ორ

ფორმას შორის სხვა პრინციპს ეფუძნება: /ა/ ხმოვნის გაორმაგებასა (აბრაამი) და ბოლოვიდური /ი/-ს მოკვეცას (სარა):

დაბადება 17: 5 *აღარ გერქვას ამიერიდან სახელად აბრაამი, არამედ აბრაამი იყოს შენი სახელი, რადგან უამრავ ხალხთა მამად გაქცევ.*

დაბადება 17: 15 *უთხრა ღმერთმა აბრაამს: სარაის, შენს ცოლს, აღარ ერქვას სახელად სარაი, არამედ სარა იყოს მისი სახელი.*

ამრიგად, საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის წიგნების სათანადო მუხლებში საანალიზო ანთროპონიმები სახელის ცვლილებამდე *აბრამ* და *სარაი* ფორმებით დასტურდება, ხოლო მის შემდეგ – *აბრაამ* და *სარა* ვარიანტებით.

ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმების ქართულში გადმოღების თვალსაზრისით, საყურადღებოა ახალ ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლიის რამდენიმე გამოცემა. მათ შორის ერთ-ერთია 2001 წელს საქართველოს ბიბლიური საზოგადოების მიერ დაბეჭდილი ძველი და ახალი აღთქმის წიგნები [ბიბლია... 2001].²² დაბადების წიგნის თარგმანი იმეორებს საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ბიბლიაში მოცემული სახელების ფორმებს ერთი დამატებით – აბრაამის ორიგინალურ და შეცვლილ სახელებს მუხლშივე ერთვის კომენტარები, რომლებიც განმარტავენ მათს მნიშვნელობას (თარგმანში გამოტოვებულია ორიგინალის წინადადების ნაწილი: *אֲבְרָם אֱמִי* (და იყოს შენი სახელი)):

დაბადება 17: 5 და *აღარ გერქმევა შენ სახელად აბრაამი (ამაღლებული მამა), არამედ აბრაამი (მრავალთა მამა), რადგან მრავალი ხალხის მამად გაქცევ.*

დაბადება 17: 15 *უთხრა ღმერთმა აბრაამს: „და აღარ უწოდო შენს ცოლს სარაი, არამედ სარა იყოს სახელი მისი“.*

2012 წელს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა ცალკე წიგნად დაბეჭდა *ხუთწიგნეული*²³ [ხუთწიგნეული... 2012], რომელშიც ჩვენთვის საინტერესო მუხლები არა მარტო ზუსტად მიჰყვება საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლიის მუხლების თარგმანს, არამედ ზუსტად იმეორებს ანთროპონიმების ფორმებსაც: აბრამ//აბრაამ, სარაი//სარა.²⁴

აღნიშნული ანთროპონიმების გადმოღების კუთხით ყურადღებას იპყრობს ბიბლიის 2015 წლის გამოცემა [ბიბლია... 2015], რომელშიც აბრაამის უფლის მიერ ბოძებულ სახელად გვევლინება

ფორმა *აბრაჰამი*, რომელშიც დედნისეული თეოფორულობის ელემენტი შენარჩუნებულია. მამამთავრის ორიგინალურ სახელად ამ გამოცემაშიც *აბრაჰ* ფორმაა წარმოდგენილი.

ცალკე უნდა აღინიშნოს 1988 წელს ისრაელში გამოცემული თორის (ხუთწიგნეულის) ახალ ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი. წიგნის მთარგმნელები არიან: აბრამ მამისთვალოვი, თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი და გერშონ ბენ ორენი (წიწუაშვილი). წიგნი მეორედ დაიბეჭდა 1995 წელს [თორა, 1995]. როგორც მთარგმნელები მიუთითებენ წინასიტყვაობაში, ხუთწიგნეულის მეორედ გამოცემა ორმა მიზეზმა განაპირობა: წიგნზე არსებულმა დიდმა მოთხოვნილებამ და პირველი თარგმანის გამოცემაში არსებული უზუსტობების ჩასწორების სურვილმა. მეორე გამოცემის რედაქტორები არიან აბრამ მამისთვალოვი და თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი. აღნიშნულ გამოცემაში მამამთავრისა და მისი მეუღლის უფლის მიერ ბოძებულ სახელთაგან მხოლოდ აბრაამის სახელის შემთხვევაშია შენარჩუნებული თეოფორულობის /3/ ელემენტი:

ბერეშით 17: 5 და *შენ აღარ გერქმევა აბრაამი, არამედ შენი სახელი იქნება აბრაჰამი, რამეთუ უამრავ ხალხთა მამად გაქცევ შენ.*

ბერეშით 17: 15 და *უთხრა ღმერთმა აბრაჰამს: სარაის, შენს ცოლს, აღარ დაუძახო სახელად სარაი, არამედ მისი სახელი იქნება სარა.*

ამრიგად, ორიგინალის ენიდან ბიბლიის ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში იკვეთება ანთროპონიმების – אַבְרָהָם – אֱבְרָהָם – აბრაჰამის ორი „ლინგვისტური სიტუაცია“ – შეინიშნება ოპოზიცია, ერთი მხრივ, *აბრაჰ – აბრაამ, სარაი – სარა* ფორმებსა და, მეორე მხრივ, *აბრაჰ – აბრაჰამ, სარაი – სარა* ვარიანტებს შორის. თუ აღნიშნულ გამოცემებში ერთგვაროვანი სურათი არ არის აბრაამის მეორეული სახელის გადმოცემაში, სრული თანხვედრაა სარას სახელის შემთხვევაში: არცერთი თარგმანი არ გვიჩვენებს ებრაული ანთროპონიმის (אַבְרָהָם) ტრანსლიტერაციით მოსალოდნელ ეკვივალენტს, *სარაჰ* ფორმას, რომელსაც არც ქართული მწიგნობრული ტრადიცია უჭერს მხარს.²⁵

5. დასკვნა. ამრიგად, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული ვერსიები თუ იერუსალიმური კანონის შემცველი ლექციონარები აბრაამისა და სარას სახელების გადმოღების თვალსაზრისით, პირობითად, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) ტექსტები, რომლებშიც საერთოდ არ იკვეთება ამ ბიბლიურ პირთა ორიგინალურ და უფლის მიერ ბოძებულ სახელებს შორის დაპირისპირების ტენდენცია; ბ) ასეთი ტენდენცია, მიუხედავად დარღვევებისა, მაინც შესამჩნევია. ორივე შემთხვევაში იგულისხმება

ტექსტები, რომლებიც შეიცავენ *დაბადების წიგნს* 17:5-მდე ან 17:15-მდე (აბრაამისა და სარას სახელების ცვლილებამდე) ფრაგმენტულად მაინც.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ძველი აღთქმის წიგნთა უძველესი თარგმანის შემცველი ოშკის//ათონის ბიბლია (978 წ.) და ძველი ქართული ლექციონარის ამსახველი ხელნაწერები (პარიზული (X-XI სს.) და ლატალის (X ს.)), რომლებიც, ფაქტობრივად, ამ ბიბლიურ პირთა სახელების ერთ ფორმას გამოავლენენ – *აბრაჰამ* და *სარა*, თუმცა ამ ხელნაწერებშიც, სახელის ცვლილების ეპიზოდებში, ერთმანეთს უპირისპირდება ანთროპონიმის ორიგინალური და უფლის მიერ ბოძებული ფორმები: *აბრაამ* – *აბრაჰამ* (OL^p), *აბრამ* – *აბრაჰამ* (L¹), *სარა* – *სარრა* (OL^p). როგორც სათანადო ადგილას მივუთითეთ, აღნიშნული დაპირისპირება ბოლომდეა გატარებული ებრაულსა და ბერძნულში, ჩვენი დაკვირვებით, სისტემურია სომხურსა და სირიულშიც. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ქართული წარმოადგენს.

ტენდენცია, არ განირჩეს სარას სახელის ორი ფორმა, ოშკურ ბიბლიაში ბოლომდე არ არის გატარებული: სახელის ცვლილების შემდეგ ორიგინალური ფორმა *სარა* ჩანს კიდევ გარკვეულ მონაკვეთში (შეს. 17:19-20:2). ამის შემდეგ (გასათვალისწინებელია ხელნაწერის ნაკლულობაც) შეიმჩნევა გადამწერის პოზიციის შეცვლა *სარრა* ვარიანტის სასარგებლოდ.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება: ულტრაელინოფილური თარგმანის ტიპის C – A 179 ხელნაწერი (1669 წ.) და ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია (B – A 455, 1743 წ.); ასევე A – H 1207 (XVIII ს.) და საბას ანუ მცხეთური ბიბლია (XVII-XVIII სს.).

აშკარაა, რომ დაპირისპირება აბრაამისა და სარას სახელების ორ ფორმას შორის არ ჩანს სწორედ ძველ ხელნაწერებში, ამის საჭიროება ბიბლიურ წიგნთა მხოლოდ გვიანდელ ნუსხებში იჩენს თავს, სავარაუდოდ, ბერძნულთან შედარების საფუძველზე. შედეგად, არა მარტო იკვეთება სახელის ორიგინალური და ახალი ფორმების გარჩევის აუცილებლობა, არამედ აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციის ამსახველ *აბრაჰამ* ფორმას, გარკვეულწილად, ანაცვლებს ბერძნულისთვის დამახასიათებელი *აბრაამ* წაკითხვა *აბრამ* ფორმასთან შეპირისპირებით. ეს პროცესი უფრო ულტრაელინოფილური ტიპის თარგმანებშია ხელშესახები (C, G), რადგან, როგორც ჩანს, ტრადიციით გამყარებული *აბრაჰამ* წაკითხვა მაინც სერიოზულ კონკურენციას უწევს ანთროპონიმის ელინურ ვარიანტს. სახელის შეცვლის ეპიზოდშიც აბრაამის ახალ სახელად,

ფაქტობრივად, ყველა ტიპის ტექსტი მხოლოდ *აბრაჰამ* ფორმას გვთავაზობს (O L^PL^IC B A S), რომელიც უპირისპირდება *აბრაამ* (OL^P), ან *აბრამ* (L^IC B A S) ფორმებს.²⁶

ზემოაღნიშნული ორი (აღმოსავლური და ბერძნული) ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის სინთეზი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი უნდა იყოს იმ სიჭრელისა, რომელიც შეინიშნება აღნიშნული ანთროპონიმის გადმოცემის საკითხში.

ბერძნულის გავლენითვე უნდა აიხსნას *სარა* ® *სარრა* პროცესიც, რადგან გემინირებული თანხმოვანი ამ ანთროპონიმის დაწერილობაში არც სირიულსა და სომხურშია (თუმცა სომხურში პრინციპი, შეიძლება ითქვას, ბერძნულისებრია) და არც ებრაულში. ქართულმა თითქოს ელინური *სარრა* ფორმა უფრო მარტივად მიიღო (თუმცა არც ამ შემთხვევაშია ერთგვაროვნება), ვიდრე *აბრაამ* (გარდა *აბრაჰამ* ფორმის გამოყენების ტრადიციისა, შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ისიც ყოფილიყო, რომ ძველ ხელნაწერებში *აბრაამ* მამამთავრის ორიგინალურ სახელად მოიაზრება (დაბ. 17: 5 OL^P)).

ამკარაა, რომ ბიბლიური წიგნებისა და ლექციონარების უძველესი ქართული თარგმანების შემცველი ჩვენამდე მოღწეული ნუსხები აბრაამის სახელის გადმოღება-ტრანსლიტერაციის საკითხში უფრო აღმოსავლურ ლიტერატურულ-ტექსტობრივ ტრადიციას (სომხური, სირიული, ებრაული) ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო სარას სახელის შემთხვევაში – პირიქით, არა სირიულ-ებრაულს, არამედ უფრო ბერძნულს, რომელსაც პრინციპულად მიჰყვება სომხურიც.

ახალი აღთქმის შემცველი თითქმის ყველა ძველი ხელნაწერისთვის (ადიშის ოთხთავის (897 წ.) გარდა, რომელიც უპირატესობას *აბრაამ* ვარიანტს ანიჭებს, თუმცა რამდენჯერმე გამოავლენს *აბრაჰამ* წაკითხვასაც), მისი რედაქციული კუთვნილების მიუხედავად, ნორმას წარმოადგენს ამ სახელის /ჰ/-თანხმოვნისანი *აბრაჰამ* ფორმა (უიშვიათესი გამონაკლისები საერთო სურათს ვერ ცვლის). იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ანთროპონიმის გადმოტანის სწორედ ეს წესი უნდა ასახავდეს უძველეს ვითარებას.

სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ, თუ მთელი ბიბლია არა, მისი გარკვეული ნაწილი მაინც ქართულად უნდა თარგმნილიყო IV-V საუკუნეთა მიჯნაზე ან V საუკუნის შუა წლებისთვის [დანელია, 1977:67] მეტწილად ბერძნულიდან [დანელია, 1983:128; გიგინეიშვილი, 1989:54; უტიე, 2009:232 და სხვ.]. უძველესი ქართული ლექციონარის არსებობაც უკვე V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში ივარაუდება [იადგარი, 1980:684]. რადგან უძველესი იერუსალიმური კანონი შემუშავდა

იერუსალიმში (IV ს.) ბერძნულ ენაზე, ქართული ლექციონარის წყაროდაც ბერძნულია მიჩნეული [მელიქიშვილი, 1974:1-2]. დედნად ბერძნულის არსებობის შემთხვევაში ქართული თარგმანების ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნუსხებში *აბრაჰამ* ფორმისთვის უპირატესობის მინიჭებას შეიძლება ასეთი ახსნა მოეძებნოს: ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანები ჩვენამდე მოღწეულია არა პირველმთარგმნელთა ავტოგრაფული ნუსხებით ან ქრონოლოგიურად ახლო პერიოდის ხელნაწერებით, არამედ მათგან საკმაოდ დაშორებული (რამდენიმე საუკუნით) გვიანდელი ნუსხებით. ამიტომ თუნდაც პირველწყაროდ ბერძნულის მიჩნევისა და აღნიშნული ებრაული ანთროპონიმის სეპტუაგინტაში უკვე ბერძნულად ტრანსლიტერირებული ფორმის ზუსტად, უცვლელად გადმოღების დაშვების შემთხვევაშიც კი (ბერძ. *Αβρααμ* – ქართ. *აბრაამ*) ტექსტის ტრანსმისიის პროცესში, სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან თუ ისევ ბერძნულთან არაერთხელ შედარების ეტაპების გავლის შემდეგ [გიგინეიშვილი, 1989:54], ბუნებრივია, ეს ანთროპონიმი ვერ იქნება მოღწეული იმ სახით, როგორცაც პირველმთარგმნელთა ავტოგრაფულ ნუსხებში შესაძლოა ყოფილიყო. შესაბამისად, ჩვენ არაფერი ვიცით ამ ანთროპონიმის გადმოღების საკითხზე პირველმთარგმნელთა პოზიციის შესახებ. დღეს რთულია ზუსტად განსაზღვრო, აბრაამის სახელის გადმოცემის საკითხში ოშკის ბიბლიაში წარმოდგენილი ვითარება უძველეს ეტაპს ასახავს და პირველმთარგმნელს (ან პირველმთარგმნელებს) მიეწერება, თუ ტექსტის ტრანსმისიის პროცესში რედაქტორ-გადამწერის მიერ შეტანილი ცვლილების შედეგია.

წყაროდ ბერძნულის მიჩნევის შემთხვევაშიც კი, ცნობილია, რომ ბიბლიის პირველმთარგმნელნი იცნობდნენ და ითვალისწინებდნენ სხვა წყაროების (სომხური, სირიული, ებრაული) ვითარებასაც. ამიტომ არ არის გამორიცხული, უკვე პირველმთარგმნელებს აღნიშნული ებრაული ანთროპონიმი გადმოეღოთ არა ერთხელ უკვე ტრანსლიტერირებული სახით (ბერძნულის ფონოლოგიური სისტემის შესაბამისად), არამედ ორიგინალის ვითარებისა და არაბერძნული, აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გათვალისწინებით – /3/- თანხმობიანი *აბრაჰამ* ფორმით. ამ არჩევანის ხელშემწყობი სხვა გარემოებაც შეიძლება დაგამხდარიყო: სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სეპტუაგინტას უძველეს მთარგმნელებს ანთროპონიმების ეკვივალენტების შერჩევისას შესაძლოა, ყოველთვის არ ეხელმძღვანელათ ებრაული წყაროს მონაცემებით, გამიჯვნოდნენ მას და გამოეყენებინათ სახელის ის ფორმა, რომელსაც მიჩვეული იყვნენ, რომელიც მათს გარემოცვაში იყო გავრცელებული (რეალურად არსებულ სახელს წარმოადგენდა მათს კოლექტივში),²⁷ ერთი სიტყვით, საკუთარ

სახელთა გადმოტანისას უპირატესობა ნაცნობი ეკვივალენტებისთვის მიენიჭებინათ [Tov, 2022]. შესაძლოა, სახელის აბრაჰამვარიანტი ქართველებისთვის სწორედ ასეთ ნაცნობ ეკვივალენტს წარმოადგენდა, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო სომხურ თუ იუდეურ თემებში, რომელთა არსებობა უძველესი დროიდანვე მოიაზრება საქართველოს ტერიტორიაზე.²⁸

სარას სახელის გადმოცემა-ტრანსლიტერაციის საკითხში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერების მიხედვით, ემიჯნება სირიულ-ებრაულ ლიტერატურულ-ტექსტობრივ ტრადიციას (ქართულში არ ჩანს ებრაულისა და სირიულისთვის დამახასიათებელი *სარაკ* ვარიანტი. ზოგადად, ძველ ქართულს არ ახასიათებს /ჰ/ სახელურ ფუძეთა აუსლაუტში) და უფლის მიერ ბოძებულ სახელად *სარას* ან იშვიათად ბერძნულისთვის დამახასიათებელ როს გემინაციით მიღებულ *სარრა* ფორმებს წარმოგვიდგენს. სარას სახელის გადმოცემის საკითხში ქართული სიახლოვეს ამჟღავნებს სომხურთან, რომელიც ასევე ემიჯნება სირიულ-ებრაულს, არ იყენებს /ჰ/-თანხმოვნიან *სარაკ* ვარიანტს და მამამთავრის მეუღლის მოდიფიცირებული სახელი ბერძნულის პრინციპის მიხედვით აქვს ნაწარმოები: ახალ ფორმაში მაგარი რ, რომელიც ანაცვლებს რბილ რ-ს (*Uurui – Uunui*), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნული გემინირებული როს ეკვივალენტია. ოშკურ ბიბლიასა და ძველი ქართული ლექციონარის შემცველ ნუსხებში გამოვლენილი ტენდენცია, როგორც ორიგინალურ, ისე უფლის მიერ ბოძებულ სახელად მხოლოდ ერთი, *სარა*, ფორმის გამოვლენისა, შესაძლოა, სომხურის გავლენითაც აიხსნას, რადგან რბილი და მაგარი რ-ს მონაცვლეობაზე დამყარებული *Uurui – Uunui* დაპირისპირება, ზემოთ წარმოდგენილი ეკვივალენტობის პრინციპის სათანადოდ გააზრების გარეშე, ქართულად მხოლოდ ერთი – *სარა* ფორმით შეიძლება გადამოცემულიყო.

ჩვენი აზრით, თუ კომპლექსურად განვიხილავთ ორივე ანთროპონიმის ქართულად ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციების საკითხს, ბიბლიური წიგნებისა და ლექციონარების უძველეს ქართულ თარგმანებზე ამ მხრივ აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გავლენაზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, სომხური უნდა მოვიაზროთ.²⁹

ცნობილია, რომ ბიბლიური წიგნები უფრო ხშირად განიცდიდნენ ცვლილებას ბერძნულ წყაროსთან დაახლოების მიზნით (ათონურ პერიოდამდეც), ამიტომ ტექსტის ძველი სახე უფრო უძველეს ქართულ ლექციონარებში უნდა იყოს დაცული, რომლებთან სიახლოვეს ამჟღავნებს ოშკის ბიბლიაც.³⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შესაძლოა სწორედ ლექციონარები და ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის შემცველი ოშკური ვერსია ასახავდნენ უძველეს

ვითარებას ქართულში აბრაამისა და სარას სახელების გადმოღების საკითხშიც. *აბრაამ* წაკითხვას უფლის მიერ ბოძებულ სახელად არა ლექციონარები, არამედ ბიბლიის ქართული ვერსიების შემცველი მოგვიანო პერიოდის ნუსხები ავლენენ და ამის მიზეზს ბერძნულ წყაროსთან დაახლოება უნდა წარმოადგენდეს.

ზოგადად, ძველ სამწიგნობრო ქართულში აბრაამის საკუთარი სახელის ფორმებიდან გამოკვეთილი უპირატესობა /3/-თანხმოვნიან *აბრაჰამ* ვარიანტს ენიჭება. ორიგინალური ჰაგიოგრაფია აშკარად *აბრაჰამ* ფორმას ანიჭებს უპირატესობას. საშუალო ქართულში *აბრაჰამ* იშვიათად დასტურდება, მეტწილად ადრეული პერიოდის ტექსტებში. ენის განვითარების ამავე საფეხურის მოგვიანო პერიოდის ტექსტებში სახელის *აბრაჰამ*//*აბრაამ* ვარიანტი არ გვხვდება ხშირად, ძირითადად, დასტურდება სასულიერო პირთა სახელად. სანაცვლოდ, ამ პერიოდში გავრცელებული საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო *აბრამი*. იგი გვევლინება როგორც სასულიერო პირთა, ისე – ერისკაცთა სახელად. გვარების წარმოებისას უპირატესობა ენიჭება აღნიშნული ანთროპონიმის *აბრამ* ვარიანტს (აბრამიშვილი, აბრამიძე...).

ორიგინალის ენიდან ბიბლიის ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში იკვეთება საკვლევი ანთროპონიმების გადმოტანის ორი „ლინგვისტური სიტუაცია“ – შეინიშნება ოპოზიცია, ერთი მხრივ, *აბრამ* – *აბრაამ*, *სარაი* – *სარა* ფორმებსა და, მეორე მხრივ, *აბრამ* – *აბრაჰამ*, *სარაი* – *სარა* ვარიანტებს შორის. თუ აღნიშნულ გამოცემებში ერთგვაროვანი სურათი არ არის აბრაამის უფლის მიერ ბოძებული სახელის გადმოცემაში, სრული თანხვედრაა სარას სახელის შემთხვევაში: არცერთი თარგმანი არ გვიჩვენებს ებრაული ანთროპონიმის (אַבְרָם) ტრანსლიტერაციით მოსალოდნელ ეკვივალენტს, *სარაჰ* ფორმას, რომელსაც არც ქართული მწიგნობრული ტრადიცია უჭერს მხარს.

[1]სტატის პირველი ნაწილი დაბეჭდილია ამავე ელექტრონური ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალის, სპეკალის, მე-17 ნომერში:
<https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/315> DOI: 10.55804/jtsuSPEKALI-17-21

[2]გამოყოფენ მათი სინთეზის შედეგად მიღებულ ნარევ ტექსტსაც.

[3]მაგ., ოპიზური (პროტოვულგატა) რედაქციის ნუსხებიდან: აბრაამისა [ლ. 3:8 E], აბრამი [ი. 8:57 D], აბრაამისა [ი. 8:58 D]... აბრამ//აბრაამ ტიპის ფორმებს შედარებით ხშირად გამოავლენს Ad ნუსხა

(ანზანდილი): აბრაამ [ი. 8:52], აბრამსა [ი. 8:56], აბრაამი [ი. 8:57]... ოთხთავის ათონური პერიოდის ხელნაწერებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ აბრაჰამ ფორმა, თითო-თითო გამონაკლისის გარდა: აბრაამისა [ლ. 3:34 I], აბრაამისა [ლ. 20:37 F]. ყურადღებას იპყრობს გიორგისეული რედაქციის ეფრაიმის ოთხთავი, რომელშიც მათეს თავის 1:1-2-ში ნახსენები აბრაჰამ ფორმები გაცხოველებულია და აბრაამისი [1:1] და აბრამ [1:2] იკითხება, თუმცა „პირვანდელი ნაწერის კვალი მკრთალად ახლაც ჩანს“ [იმნაიშვილი, 1979:259]. როგორც ჩანს, არაბერძნული ტექსტობრივი ტრადიციის ამსახველი ფორმები მართებულად არ მიუჩნევიან.

[4]ტექსტის გამომცემელი, ლ. ქაჯაია, ხელნაწერს V-VI საუკუნეებით ათარიღებს [ქაჯაია, 1984:303]. ხანმეტობის ნორმების იმ დარღვევების საფუძველზე, რომლებიც შეინიშნება ტექსტში, უფრო მართებული ჩანს მისი VII საუკუნით დათარიღება. ოთხთავში დასტურდება ერთი ს-პრეფიქსიანი ფორმაც: დასთესის [მკ. 4:26].

[5]ერთი გამონაკლისის გარდა: აბრაჰამის [ლ. 19:9 C], რომელიც ოპიზური რედაქციის ტექსტით შევსებულ მონაკვეთშია.

[6]ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ყველა ძველი ხელნაწერის ლიტერისთვის იხ. „ქართული ოთხთავი“ [თვალთვაძე, 2020].

[7]J – Jer. 22 (XII-XIII სს.); K – K 78 (XII-XIII სს.); A – A 113 (XVIII ს.); B – A 284 (XVIII ს.).

[8]ანტონ I-ის მოღვაწეობის პერიოდის ახალი აღთქმის წიგნთა გამოცემებში ბერძნულ-სლავურის გავლენით შეინიშნება უპაეო ფორმების გატარების ტენდენცია. როგორც ა. შანიძე შენიშნავს, „ირაკლისეულ ოთხთავში, ო-ში, ყველგან უპაეო ფორმებია გატარებული... სამაგიეროდ, სამოციქულოში ჰაესთვის არსად ხელი არ უხლიათ...“ [შანიძე, 1964:36].

[9]ძველი (C¹) და ახალი (L¹) რედაქციების ნუსხები: C რედაქციისა – A – S 407 (X ს.); C¹ რედაქციისა – L - ლაგურკის ლექციონარი (X ს.); L გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისა – E – A 584 (1083 წ.), F – A 34 (XIII ს.); ო ეფრემისეული რედაქციისა – G – A 137 (XIV ს.), H – A 677 (XII ს.), J – K-12 ლენინგრადისა (XIII ს.). C¹ რედაქციის სინური ნუსხები: M - ც17/ჯ39 (974 წ.), N - ც16/ჯ31 (977 წ.) [ლორთქიფანიძე, 1956:143].

[10]გიორგი მთაწმიდლისეული და ეფრემისეული რედაქციების ნუსხები უპირატესობას ანიჭებენ გემინირებულთანხმოვნიან სარრა ფორმას. ამავე ვითარებას გვიჩვენებს ძველი Ⴀ რედაქციის A ხელნაწერიც.

[11]A რედაქციის ნუსხები (უძველესი): a – S 407 (X ს.), l – S 1398 (X ს.); B რედაქციის ნუსხები: b – S 1138 (X ს.), g – K 176 (XI ს. I ნახ.), d – S 58/31 (X ს.), e – Ath. 42/11 (X ს.); C გიორგისეული რედაქციის ნუსხები: v – A 584 (XI ს.), z – Ath. 78/12 (XI ს.), H – A 34 (XIII ს.); D ეფრემ მცირისეული რედაქციის ნუსხები: T – A 137 (XIV ს.), I – A 677 (XI-XII ს.), k – K4 (XIII ს.) [ძოწენიძე... 1974].

[12]ამ ჩამონათვალს ემატება ფრაგმენტულად მოღწეული ლექციონარებიც.

[13]LP, LL, LK, LS ნუსხებში წარმოდგენილი ძველი ქართული ლექციონარის მოსეს ხუთწიგნეულის საკითხავები გამოსაცემად მოამზადა ნ. მელიქიშვილმა. ტექსტი დანართ ნაწილად ერთვის მის საკანდიდატო დისერტაციას.

[14]პარიზული ხელნაწერის ძველი აღთქმის საკითხავებში სარა ფორმა დასტურდება 16-ჯერ აბრაამის ცოლის როგორც ორიგინალურ, ისე უფლის მიერ ბოძებულ სახელად.

[15]კორპუსული (TITUS) კვლევის გათვალისწინებით, ბიბლიოგრაფიაში ცალკე აღარ ვუთითებთ ემპირიულ მასალას, რომელშიც სამიეხელი ფორმა დასტურდებოდა.

[16]ხშულის სპირანტიზაციით (ბ → ვ), ბიზანტიური ბერძნულის წაკითხვის შესაბამისად.

[17]თუკი დღეს გვარებში, რომელთა მეორე კომპონენტია შვილ-ი და ძე, პირველი კომპონენტის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ს თანხმოვანი ელემენტი დაკარგულია (მაგ., აბრამიშვილი), საშუალ ქართულში ის ჯერ კიდევ ხელშესახებია (აბრამისშვილი // აბრამიშვილი, აბრამისძე // აბრამიძე).

[18]ჩვენი აზრით, შესაძლოა, რამდენიმე გვარის ეტიმოლოგია ამავე საკუთარ სახელს უკავშირდებოდეს. ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხის კვლევა არ წარმოადგენს ჩვენი ინტერესის სფეროს.

[19]ამ მხრივ საინტერესოა ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი „ქებათა ქება“, რომლის წყარო ენიდან, ებრაულიდან, შესრულებული თარგმანი მე-20 საუკუნის 20-იან წლებს განეკუთვნება და იმ დროისთვის ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, გერცელ ბააზოვს, ეკუთვნის. 20-იანი

წლებიდან 90-იან წლებამდე „ქებათა ქება“ არაერთგზის ითარგმნა ქართულ ენაზე უშუალოდ ებრაულიდან.

[20]ებრაული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებს (განხილულ იქნა 2024 წლის 7 ივლისს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე (<https://enadep.gov.ge/index.php?m=42&news=286&lang=ka>). ვიმოწმებთ ხელნაწერი ვარიანტიდან, რადგან ჯერ არ ჩანს ატვირთული სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე) დართული აქვს რამდენიმე შენიშვნა, მათ შორის ერთი ბიბლიური სახელების გადმოტანას ეხება: „ბიბლიური ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ქართული დაწერილობა ტრადიციას უნდა მისდევდეს, მაგ.: *נשׁוּ מוֹסֶה* (და არა – მოშე), *אַבְרָהָם* აბრაამი (და არა – ავრაჰამი), *יְהוֹשֻׁעַ* იერუსალიმი (და არა – იერუშალიმი), *יְרֵחוֹ* სამარია (და არა – შომრონი) და მისთ“. ბიბლიური წიგნების ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში საკუთარ სახელთა გადმოღება, არსებითად, ამ წესს მისდევს, თუმცა – არა ყოველთვის. კერძოდ, ქართული მწიგნობრული ტრადიცია აბრაამის მეორეულ სახელად აბრაჰამ ფორმას ანიჭებს უპირატესობას (და არა აბრაამ წაკითხვას), ხოლო სარაი ვარიანტი საერთოდ არ ჩანს. ზემოაღნიშნულ წესს არ მისდევს 1988 წელს ისრაელში გამოცემული ხუთწიგნეულიც, რომელშიც შენარჩუნებულია, ფაქტობრივად, ყველა ებრაული ონომასტიკური ერთეულის ეროვნული კოლორიტი და ჟღერადობა.

[21]2012 წელს გამოცემულ წიგნში „სახელები და ცნებები „თანახ“-იდან, მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“ ზემოაღნიშნული ანთროპონიმი შემდეგნაირადაა განმარტებული: „ავრაჰამ ავინუ – ჩვენი მამა ავრაჰამი – ის ჩვენს სამ მამამთავართაგან პირველია. იგი სიცოცხლის რისკის ფასად პირველი იბრძოდა კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ და ერთი ღმერთის რწმენის ფუძემდებელია“ [12]. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა არა იმდენად სახელის განმარტება, არამედ ფორმა – ავრაჰამი, რომელშიც ზუსტადაა გადმოტანილი ორიგინალის ჟღერადობა და, ასევე, შენარჩუნებულია *ח* (ჰე) თანხმოვანი. წიგნში არ გვხვდება ანთროპონიმ სარას განმარტება.

[22]მთარგმნელ-რედაქტორები არიან ზურაბ კიკნაძე და მალხაზ სონდულაშვილი, არაკანონიკური ტექსტების მთარგმნელი კი ბაჩანა ბრეგვაძეა.

[23]მთარგმნელია ზურაბ კიკნაძე, რედაქტორი – მერაბ ლაღანიძე.

[24]მუხლს – „ადარ გერქვას ამიერიდან სახელად აბრაამი,* არამედ აბრაამი** იყოს შენი სახელი,რადგან უამრავ ხალხთა მამად გაქცევ“ – სქოლიოში დართული აქვს განმარტებები: *ებრ.აბ რამ „მამა მაღალი“.

**ებრ. აბ რაჰამ „მამა მრავლისა“. მუხლში მთარგმნელი სახელს ორი ა-თი წარმოადგენს: აბრაამი, სქოლიოში კი დაცულია 3 თანხმოვანი: აბ რაჰამ.

[25]საყურადღებოა, რომ საკვლევად აღებული ონომასტიკური ერთეულები ბიბლიის თანამედროვე უცხოენოვან თარგმანებში განსხვავებულ წაკითხვას გვიჩვენებს. მაგ., ბერძნულენოვან თარგმანებში გვაქვს დაპირისპირება: Ἀβραμ – Ἀβραάμ; Σάρα – Σάρρα [Αγία Γραφή...]; ბერძნულის ვითარებას ზუსტად ასახავს რუსული თარგმანი: Аврам – Авраам, Сара – Сарра [Библия... А]; (ორივე ანთროპონიმის შემთხვევაში მოდიფიცირებულ სახელში გაორმაგებულია ფუძისეული ბგერა, თანაც რუსული ასახავს /β/ თანხმოვნის ბიზანტიური პერიოდის ბერძნულის წაკითხვას). ინგლისურენოვან თარგმანებში დაცულია როგორც თეოფორულობის ელემენტი, ისე – ორიგინალის ჟღერადობა: Abram – Abraham; Sarai – Sarah [Bible...]; ფრანგულენოვან თარგმანებში ერთ შემთხვევაში შენარჩუნებულია /ჰ/ თანხმოვანი, მეორე შემთხვევაში – არა: Abram – Abraham; Sarai – Sara [Bible... A]. ამდენად, უცხოენოვან თარგმანებშიც იკვეთება აღნიშნული ანთროპონიმების გადმოტანის ორი გზა: თეოფორული ელემენტის გადმოტანისა და მისი უგულვებელყოფისა.

[26]როგორც ჩანს, უძველეს ხელნაწერებში დადასტურებული აბრაჰამ და სარა ფორმები ქართველთა ცნობიერებაში იმდენად მყარ ეკვივალენტებად იქნა აღქმული (საკუთარ სახელთა გადმოცემაში ეკვივალენტთა სიმყარე დიდ როლს თამაშობს [Tov, 2022: 20-21]), რომ ტექსტის ტრანსმისიის პროცესშიც კი ამ ეკვივალენტებს ცვლილება, ფაქტობრივად, არ შეხება.

[27]ბერძნული შემოკლებული ფორმა Ἰησοῦს სახელის ვრცელი ფორმის – Ἰησοῦს-ის – ეკვივალენტს წარმოადგენს ხუთწიგნეულში, გამოსვლათას 17:9-იდან მოყოლებული, არადა, რეალურად, იგი ამ სახელის მოკლე ფორმის (Ἰησῦς (Jeshua)) ტრანსლიტერაციაა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მთარგმნელი უნდა დაშორებოდა წყაროს, შესაძლოა ისიც ყოფილიყო, რომ მოკლე Ἰησοῦს, ქრისტემდე პირველი საუკუნის დოკუმენტების თანახმად, ეგვიპტის ალექსანდრიაში რეალურად არსებული ანთროპონიმი უნდა ყოფილიყო [Tov, 2022:3-4]. ე. ტოვი ვარაუდობს, რომ ზოგიერთ ეკვივალენტს შესაძლოა, სეპტუაგინტას თარგმნამდეც ეარსება.

[28]საქართველოში ასურელთა ცხოვრების შესახებ ინფორმაციას კი უკვე ლეონტი მროველის თხზულებაში ვხვდებით. ცნობილია, რომ ასურელი მამების სახელთანაა დაკავშირებული ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაწყება. მართალია, საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის არა საწყის, მაგრამ უფრო მოგვიანო ეტაპზე, დაახლოებით VIII

საუკუნიდან, არ არის გამორიცხული, რომ აბრაჰამ ფორმის დამკვიდრება-მოხშირებისთვის საქართველოში არაბთა ბატონობასაც (VII-XI სს.) გარკვეული როლი ეთამაშა. რადგან მუსლიმანები აბრაჰამის უკანონო შვილის, იშმაელის, შთამომავლებად მიიჩნევიან, აბრაჰამი პირველ მუსლიმანად და მათს მამამთავრადაც არის მიჩნეული ყურანში. იგი ყურანის 25 სურის 245 აიაშია ნახსენები [McAuliffe, 2001:5-10] ანთროპონიმის იბრაჰიმ (إبراهيم), ანუ /3/-თანხმოვნიაანი ფორმით. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ანთროპონიმის /3/ თანხმოვნით დაწერილობას მანამდეც რომ დიდი ტრადიცია უნდა ჰქონოდა, ისიც მოწმობს, რომ უკვე ხანმეტ ოთხთავში (VII ს.) ეს სახელი აბრაჰამ ფორმითაა წარმოდგენილი.

[29]მცხეთურ ბიბლიაში აბრაჰამ ფორმისთვის უპირატესობის მინიჭება ისევ სომხურით, კერძოდ, ტექსტის სომხური ვულგატის მიხედვით სწორებით იხსნება [დოჩანაშვილი, 1981].

[30]ნ. მელიქიშვილმა მოსეს ხუთწიგნეულის ფარგლებში ოშკური ბიბლიისა და ლექციონართა შესატყვისი ტექსტები ერთი რედაქციის ვარიანტებად მიიჩნია [მელიქიშვილი, 1974:34-36].

ძირითადი პირობითი აღნიშვნები

A – H 1207 (XVIII ს.)

B – A 455 (ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, 1743 წ.)

C – A 179 (1669 წ.)

O – Ivir. Geo. #1 (ოშკის ბიბლია, 978 წ.)

S – A 51 (მცხეთური ხელნაწერი ანუ საბას ბიბლია, დაცული თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, XVII-XVIII სს.)

C – ს.ი.ე.მ. 22, ადიშის ოთხთავი (897 წ.)

D – H 1660, ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.)

E – A 1453, პარხლის ოთხთავი (973 წ.)

F – ურბნისის ოთხთავი (XI ს.)

G – პალესტინური ოთხთავი (1048 წ.)

H – A 1335, ვანის ოთხთავი (XII-XIII სს.)

I – ეჭმიაძინის ოთხთავი (XII-XIII სს.)

K – Q 908, გელათის ოთხთავი (XII-XIII სს.)

L^s – Sin 37. სინის ლექციონარის სახელით ცნობილი იერუსალიმური ლექციონარი. ინახება სინის მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში. იერუსალიმური კანონის გამოკრებილი ნუსხა (982 წ.)

L^k – Q 1653. კალის (ლაგურკის) ლექციონარი. დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (X ს.)

L^l – ლატალის ლექციონარი. ინახება მესტიაში, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (X ს.)

L^p – Geo. 36. პარიზის ლექციონარი. დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ფონდში (X-XI საუკუნეების მიჯნა)

ლიტერატურა :

აბულაძე ი. საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950

ბიბლია. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1989

ბიბლია. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. თბილისი: საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, 2001

ბიბლია... <http://old.holybible.ge/georgian> (ბოლო წვდომა: 20.10.23). 2015

ბიბლია. ძველი აღთქმა. I. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017

გაბიძაშვილი ე. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 2. ასკეტიკა და მისტიკა. თბილისი: „არტანუჯი“, 2006

გიგინეიშვილი ბ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი. ნაკვეთი 1. შესაქმისად, გამოსლვათად. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. თბილისი: „მეცნიერება“,1989

დანელია კ. ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. ტ. 20. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,1977

დანელია კ. ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,1983

დანელია კ. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები). ტ. I. ნაწ. II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997

დოჩანაშვილი ე. მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1981

თვალთვაძე დ. ქართული ოთხთავი. ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ყველა ძველი ხელნაწერისა და უძველესი ლექციონარების საკითხავების მიხედვით მომზადებული კრიტიკული ტექსტი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფ. დ. თვალთვაძე): <https://ogg.tsu.ge/> (ბოლო წვდომა: 20.10.2023). 2020

თორა ქართულ ენაზე ებრაულ ტექსტთან ერთად. იერუშალაიმი: გამომცემლობა „შუქურა“.1995

უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი: მეცნიერება,1980

იმნაიშვილი ი. ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XXVIII. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946

იმნაიშვილი ი. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.1979

კიკნაძე ზ. საუბრები ბიბლიაზე. თბილისი: მეცნიერება,1989

კიკნაძე ზ. ძველი აღთქმის წუთისოფელი. მესამე გამოცემა. თბილისი: კავკასიური სახლი, 2003

ლორთქიფანიძე ქ. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,1956

მელიქიშვილი ნ. ხუთწიგნეული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნ. ხელმძღვანელი: მ. შანიძე. თბილისი,1974

უმველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი: მეცნიერება,1980

სარჯველაძე ზ. კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ. ფილოლოგიური ძიებანი. II. თბილისი: ნერგი,1995

სარჯველაძე ზ. ადიშის ოთხთავი 897 წლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით. თბილისი: საქართველოს მაცნე, 2003

სახელები და ცნებები „თანახ“-იდან, მოკლე განმარტებითი ლექსიკონი. შემდგენლები: ზაირა დავარაშვილი, ეთერ თოფჩიაშვილი. თბილისი: ვექტორი, 2012

სილაგაძე ა., თოთაძე ა. გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი, 1997

უტიე ბ. ზმნისწინები და ქართული ბიბლიის დედანი. ენათმეცნიერების საკითხები. I-II. თბილისი, 2009

ქაჯაია ლ. ხანმეტი ტექსტები. ნაკვეთი I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი: მეცნიერება, 1984

ყაუხჩიშვილი ს. ადიშის ხელნაწერის ბერძნოზმები. ენიმკის მოამბე. XIV. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1944

შანიძე ა. ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1923

შანიძე ა. ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1944

შანიძე ა. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). გამოსცა აკაკი შანიძემ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1945

შანიძე ა. ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები: N 9. თბილისი, 1964

ძოწენიძე ქ., დანელია კ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1974

ხუთწიგნეული / თარგმნილი ზურაბ კიკნაძის მიერ. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012

<https://holybible.ge/english> (ბოლო წვდომა: 20.10.23).

<https://holybible.ge/french> (ბოლო წვდომა: 20.10.23).

McAuliffe Jane Dammen Encyclopaedia of the Quran. Volume One (A – D). Leiden – Boston – Köln: Brill. 2001

TITUS <https://titus.uni-frankfurt.de/>

Tov E. The LXX Translators' Procedures in Representing Proper Names. Consistency in Representation. საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიბლია სიტყვებსა და სახეებში. 27-29 მაისი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022

Библия. <https://holybible.ge/russian> (ბოლო წვდომა: 20.10.23).

Αγία Γραφή. <https://holybible.ge/greek> (ბოლო წვდომა: 20.10.23).

მერი სამაკაშვილი

ალენ გინზბერგის პოეზიის აღქმა ქართულ ლიტერატურაში (ლექსის „ყმუილი“ შოთა იათაშვილისეული თარგმანის მაგალითზე)

ლექსი „ყმუილი“, რომელიც 1954-1955 წლებში დაიწერა, ალენ გინზბერგის შემოქმედებაში საუკეთესო ნაწარმოებად არის მიჩნეული. ალენ გინზბერგი ბით თაობის ერთი-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი და სულისჩამდგმელია. ბით მოძრაობა ამერიკული სოციალური და ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომელსაც საფუძველი 1944 წელს ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტის კამპუსში, ჩაეყარა მაშინ, როდესაც ერთმანეთს ალენ გინზბერგი, უილიამ ბეროლუზი და ჯეკ კერუაკი შეხვდნენ.

1956 წელს ა. გინზბერგმა პოეტთან და კრიტიკოსთან, რიჩარდ ებერჰარტთან, საუბრისას აღნიშნა, რომამ ლექსის დაწერისას მიზნად ისახავდა მკითხველები გაეთავისუფლებინა „არასწორი ... საკუთარი თავის დამამცირებელი მესგან“ და სურდა დაერწმუნებინა ისინი, რომ „ანგელოზები“ იყვნენ [Raskin, 2004: XIX]. თავად პოეტისთვის ლექსი „ყმუილი“ ჯადოსნური სარკე იყო. როდესაც მასში იყურებოდა სხვა მხარეს, სხვა ასპექტს, ხედავდა [Raskin, 2004: XX].

ლექსში გაერთიანებულია ალენ გინზბერგის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდი: ბავშვობისა და კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლის წლები, ნიუ იორკში გატარებული ჰიპსტერული დღეები, 1940-50-იანი წლების განმავლობაში მოგზაურობა. რადგან ლექსში უამრავი ცნობაა ა. გინზბერგის ცხოვრებასა და გამოცდილებაზე, სავარაუდოა, რომ ამბის მთხრობელი თავად პოეტია. „ყმუილი“ წარმოადგენს თავისუფალ ლექსს და სტრუქტურის თვალსაზრისით ერთგვარი ექსპერიმენტი. მასში ა. გინზბერგი საკუთარ პოეტურ ფორმას იყენებს და თავად არის პოეტიც და მთავარი როლის შემსრულებელიც. ლექსი სამი ნაწილისგან შედგება.

1955 წლის 7 ოქტომბერს The Six Gallery-ს (გალერეა ექვსის) პოეზიის საღამო მოეწყო. მაიკლ მაკკლური აღნიშნავდა: „გალერეა ექვსის პოეზიის საღამო რომ არ ყოფილიყო, არც მზარდი ბით თაობა იარსებებდა“. „მაკარტიზმისა და საშინელი, მკაცრი, ცივი ომის დუმბილის დროს ლექსმა „ყმუილმა“ ბევრი ჩვენგანის სათქმელი თქვა“ [Raskin, 2004: 7].

სწორედ ამ ღონისძიებაზე წაიკითხა ა. გინზბერგმა ლექსის „ყმუილი“ პირველი დასრულებული ნაწილი. კითხვისას მან აღმოაჩინა, რომ ახალ იდენტობას იძენდა, როგორც საზოგადო პოეტი,

რომელიც თავის ფიქრებსა და გრძნობებს უზიარებდა აღფრთოვანებულ მსმენელს. „ყმუილმა“ ალენ გინზბერგი შექმნა. მაყურებლებიც ამ მოვლენის აქტიურ მონაწილედ იქცნენ [Raskin, 2004: 18]. „ყმუილი“ მკითხველს უნდა აღექვა როგორც შემოღობილი ადამიანის კვილი. პოეტისთვის ეს ლექსი იყო კულტურული იარაღი იმდროინდელ გაბატონებულ პოეზიასთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

1955 წელს, როდესაც უილიამ კარლოს უილიამსმა ლექსის „ყმუილი“ ხელნაწერი მიიღო, აღნიშნა: „ა. გინზბერგის გადარჩენის, მოგზაურობისა და წერის გაგრძელების უნარი მაცვებს. არანაკლებ გასაოცარია ჩემთვის ის, რომ მან თავისი შემოქმედების განვითარება და სრულყოფა განაგრძო“. მან პოეტი დანტეს შეადარა. უილიამსის აზრით, „ყმუილი“ გვთავაზობს ჯოჯოხეთის რუკას, რომელშიც ა. გინზბერგი ცხოვრობდა და ეს იყო 1940-1950-იანი წლების ნიუ იორკი [Raskin, 2004: 108].

რატომ ასათაურებს პოეტი თავის ლექსს სიტყვით „ყმუილი“? ყმუილი არის ხმამაღალი, ინსტინქტური, ველური, ცხოველის მიერ წარმოქმნილი ბგერების მსგავსი ხმა. ალენ გინზბერგი, როგორც ლექსის ავტორი და ლექსის მთხრობელი, არ ყვირის, კივის ან ღრიალებს, არამედ ყმუის და ეს ხმა დაუფარავად მოდის მისი შინაგანი სამყაროდან. „ყმუილი“ არის ადამიანის შინაგანი მე-ს ამოძახილი იმ ყველაფრის წინააღმდეგ, რასაც საზოგადოებრივი შეზღუდვები ანადგურებს. ა. გინზბერგი ცდილობს, მკითხველს დაანახოს, რომ დიდი მოაზროვნეების განადგურების მიზეზი ომი, პოლიტიკა, თანამედროვე კულტურა და კაპიტალიზმია.

ლექსს სათაურთან ერთად ქვესათაურიც აქვს - For Carl Solomon (კარლ სოლომონისთვის) - რომლის საშუალებითაც ვიგებთ, რომ იგი პოეტის ახლო მეგობარს, კარლ სოლომონს, ეძღვნება, რომელიც მან ნიუ-იორკის სახელმწიფო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობისას გაიცნო. პოეტისთვის კარლ სოლომონი განასახიერებს იმ დიდი მოაზროვნე ადამიანების მთელ თაობას, რომელმაც 1940-1950-იანი წლების აშშ-ის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო და გაგიჟდა.

ლექსის პირველი სტრიქონი („I saw the best minds of my generation destroyed by madness, starving hysterical naked, dragging themselves through the negro streets at dawn looking for an angry fix“¹ [Ginsberg, 1956, 1959: 9]) ა. გინზბერგის პოეზიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტაეპად არის აღიარებული. რა თქმა უნდა, „საუკეთესო მოაზროვნეებში“ არ იგულისხმებიან ცნობილი პიროვნებები. ისინი არიან საზოგადოების მიერ უარყოფილი ადამიანები, რომლებსაც არ სურდათ, მის მკაცრ წესებს დამორჩილებოდნენ. ლექსის ლირიკული გმირი ამბობს, რომ მან იხილა თავისი თაობის „საუკეთესო

მოაზროვნები” სიგიჟისგან განადგურებულნი. კარლ სოლომონი ერთ-ერთი მათგანია. სიტყვა minds მიანიშნებს ინტელექტზე, გონებრივ შესაძლებლობებზე. მკითხველი ინტერესდება, თუ რატომ არიან ეს ადამიანები ასეთი ჭკვიანები, რა გააკეთეს მათ ასეთი განსაკუთრებული და რატომ დაიღუპნენ სიგიჟით.

მომდევნო სტრიქონებში პოეტი აღწერს, თუ ვინ არიან და რა გააკეთეს ამ ადამიანებმა. ადვილი შესამჩნევია, რომ სტრიქონების უმრავლესობა იწყება სიტყვით Who (ვინც), რომელსაც მოსდევს საუბარი კონკრეტულ მოქმედებებზე. პოეტი დაწვრილებით აღწერს „საუკეთესო მოაზროვნეთა” ყოველდღიურ ყოფას, გაჭირვებულ მდგომარეობას, ნარკოტიკების მოხმარებას, ინტიმურ ცხოვრებას. ლექსის ლირიკული გმირი სასოწარკვეთილია, რადგან საზოგადოებამ გარიყა. იგივე განცდა აქვთ მისი თაობის იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, სასოწარკვეთილებას თავი დააღწიონ ხელოვნების, მუსიკის, ნარკოტიკებისა და სექსუალური კავშირის საშუალებით. ლექსის ამ ნაწილში ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ რამ განადგურა ისინი. მკითხველი მალევე აცნობიერებს, რომ ეს „საუკეთესო მოაზროვნები” არ არიან იურისტები, მეცნიერები, ექიმები, არამედ ლექსის მიხედვით, ეს ადამიანები არიან ნარკომანები, მეძავეები, მოგზაურები, პოეტები, მუსიკოსები, პოლიტიკური დისიდენტები.

ლექსის მეორე ნაწილში უკვე თვალსაჩინოა, რომ ამ ადამიანების განადგურება მოლოქის ბრალია. ძველი აღთქმის მიხედვით, მოლოქი იყო კერპთაყვანისმცემლების ღმერთი. ბავშვებს ცეცხლში ყრიდნენ და ამ ფორმით სწირავდნენ მას შესაწირს. შესაბამისად, ალენ გინზბერგიც ამ წარმართულ ღმერთს ომთან, გაბატონებულ კაპიტალიზმთან, კულტურასთან და ქვეყნის მმართველ ძალასთან აიგივებს. ლირიკული გმირი დანაწევრებით ამბობს, რომ მოლოქის ზეცამდე აყვანაში ზურგებიც კი დაიმტვრის ადამიანებმა.

მესამე ნაწილში მთხრობელი უშუალოდ კარლ სოლომონს მიმართავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ალენ გინზბერგის ახლო მეგობარი იყო, რომელიც ნიუ-იორკის სახელმწიფო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობისას გაიცნო. ავტორის მიერ გამოგონილ როკლენდში სწორედ ეს ფსიქიატრიული საავადმყოფო იგულისხმება. ალენ გინზბერგი ხშირად იმეორებს ფრაზას „მე შენთან ვარ როკლენდში” და, ამგვარად, თანაუგრძნობს მეგობარს.

საბოლოოდ, ლექსი მთხრობელის ოცნების წარმოსახვაში გაცოცხლებით მთავრდება, რომლის მიხედვითაც, სოლომონი ნიუ-იორკიდან მასთან მიდის კოტეჯში, ბერკლიში, კალიფორნიაში და ისინი ერთმანეთს ისევ ხვდებიან.

ლექსში რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა იკვეთება. ერთ-ერთი მათგანია სიგიჟე. ალენ გინზბერგმა ამერიკის, როგორც „საგიჟეთების ერის“, პოეტური ხატი შექმნა და იგი ლექსის შუაგულში ჩააქსოვა. ანონიმური გმირი ე.წ. „ვინც“, რომელიც მთელი პირველი თავის განმავლობაში გვხვდება და რომელიც „სიგიჟემ გაანადგურა“, შეშლილი ადამიანია - „შეშლილი მაწანწალა და ანგელოზი“. ამ ლექსში ამერიკა „შეიარაღებული საგიჟეთია“. ეს არის „შეშლილთა ხილული ბედისწერის“, „შეშლილთა ქალაქებისა“ და „უძლეველი საგიჟეთების“ ქვეყანა [Raskin, 2004: 92].

ცუდ ფსიქიკურ მდგომარეობას სიღარიბეში ცხოვრება მოსდევს. ეს ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება გიჟებად მიიჩნევს, გარიყულნი არიან ამერიკის საზოგადოებიდან, სასწავლებლებიდან, დომინანტური ხელოვნებიდან და ლიტერატურიდან. ისინი ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ხვდებიან, ან დახეტიალობენ, ან მოუწყობელ, იაფასიან ბინებში ცხოვრობენ, სადაც არანაირი პირობები არ არის. ისინი ფულს ხარჯავენ ისეთ ნივთიერებებზე, რომლებიც მათ ყოველდღიურ ყოფას ავიწყებს. საინტერესოა ის, რომ ვისაც საზოგადოება შეშლილად მიიჩნევს, პოეტი თვლის „საუკეთესო მოაზროვნედ“ და გენიოსად, რომელიც სათანადოდ არ დააფასეს.

ა. გინზბერგის წარსული ნათელს ხდის, თუ რატომაა სიგიჟე მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი. ცნობილია, რომ ალენის დედა ნაომი გინზბერგი მრავალი წლის განმავლობაში შიზოფრენიით იტანჯებოდა. მას ჰალუცინაციები, ბოდვები და თვითმკვლელობის არაერთი მცდელობა ჰქონდა. 1940-1950-იან წლებში, როდესაც ფსიქიატრები ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს თავისუფლების შეზღუდვისა და ზიანისმომტანი მკურნალობის გარდა ვერაფერს სთავაზობდნენ, ამ დროს დიდი პასუხისმგებლობა ოჯახის წევრებს ეკისრებოდათ. ამ რთული ამოცანის წინაშე დადგა პატარა ალენი, რომელიც თვითონ უვლიდა დედას. ეს ყველაფერი მის გონებაში ილექებოდა. ამას თან ერთვოდა მშობლებს შორის არსებული უთანხმოება, შემდგომში მათი განქორწინება და დედის მონატრება, რომელიც ხშირად იწვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და საბოლოოდ იქ გარდაიცვალა.

ალენ გინზბერგის ფსიქიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახა ის ფაქტი, რომ 1947 წელს პილგრიმის სახელმწიფო საავადმყოფოში ნაომი გინზბერგისთვის ლობოტომიის ოპერაციის ჩატარებაზე სწორედ მას მოაწერინეს თანხმობაზე ხელი. პრეფრონტალური ლობოტომია

ქირურგიული პროცედურაა, რომელსაც ფსიქიატრები შიზოფრენიისა და სხვა ფსიქიკური დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ [Weine, 2023: 22]. აღსანიშნავია, რომ 1955 წლამდე შეერთებულ შტატებში ლობოტომიის 30 000-მდე ოპერაცია ჩატარდა [Weine, 2023: 25]. საფიქრებელია, რომ პოეტისთვის დედის ლობოტომიის ოპერაციაზე თანხმობის მიცემა ძალიან რთული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იქნებოდა. ცნობილია, რომ ამ მოვლენიდან 6 თვეში ალენსაც დაეწყო ხილვები. 1948 წელს მას სმენითი ჰალუცინაციები ჰქონდა და უილიამ ბლეიკის შემოქმედების კითხვის დროს თავად უ. ბლეიკის ხმა გაიგონა. ხილვების არსებობამ გინზბერგის ფსიქიკური ჯანმრთელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. მისი ხილვები კიდევ ერთხელ გახდა განხილვის საგანი, როდესაც 1949 წელს იგი დააპატიმრეს ჰერბერტ ჰანკთან და ჰ. ჰანკის ორ ნარკომან მეგობართან ერთად, რადგან ალენმა უფლება მისცა მათ მიერ მოპარული ქონება თავის საცხოვრებელში შეენახათ. ალენის ადვოკატმა და პროფესორებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ იგი ციხეში არ მოხვედრილიყო და დაამტკიცეს, რომ მისი წარსულიდან გამომდინარე, მას ფსიქიატრიული დახმარება ესაჭიროებოდა. შედეგად, მან 8 თვე ნიუ-იორკის სახელმწიფო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იმკურნალა.

ალენ გინზბერგისთვის სიგიჟე არ შემოიფარგლება მხოლოდ ავადმყოფობით, დისფუნქციით, ფსიქიკური აშლილობით, როგორც ამას ფსიქიატრები ამბობენ. სიგიჟე ასევე შეიძლება იყოს ნორმიდან გადახრა, ექსტაზი, ხილვები, შთაგონების წყარო და შემოქმედებითობა [Weine, 2023: 238].

ა. გინზბერგმა „საკუთარი სიგიჟე“ და დედის ცხოვრებისეული გამოცდილება გონივრულად გამოიყენა და იგი თავისი შემოქმედების ცენტრად აქცია. შემდგომში მან არაერთი ლექსი შექმნა თავისი ხილვების საფუძველზე. პოეტისთვის სიგიჟე ადამიანის ის შესაძლებლობაა, რომელიც სასარგებლო საქმის კეთების პოტენციალს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ ალენ გინზბერგმა დედის ხსოვნას მიუძღვნა პოემა „კადიში ნაომი გინზბერგისთვის“, რომელიც 1961 წელს გამოიცა. აქ პოეტი მოგვითხრობს ნაომის ფსიქიკურ ავადმყოფობასა და არაეფექტურ მკურნალობაზე, სიგიჟესა და სიკვდილზე. მასში ამხელს იმ სამყაროს, რომელიც სავსეა გამოუვალი მდგომარეობებით, რომელმაც ახალგაზრდა ქალი სიგიჟემდე მიიყვანა და შემდეგ ეს სიგიჟე მის ვაჟს გადასცა.

ლექსში „ყმული“ საუბარია ალენ გინზბერგის ჰომოსექსუალიზმზე, ასევე, მისი მეგობრების განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციაზე. როგორც მამაკაცებთან, ასევე ქალებთან სექსუალურ

კავშირზე საუბრით, პოეტი თავის აზრს გამოხატავს და უარს აცხადებს რელიგიისა და საზოგადოების მიერ დაწესებული ნორმების მიღებაზე. ლექსში პოეტი ხაზს უსვამს სექსუალურ ექსპერიმენტს, რომლის საშუალებითაც ადამიანებმა ბევრი ახალი რამ აღმოაჩინეს. იმ პერიოდისთვის ის, რაც არ შეესაბამებოდა ჰეტერონორმატიულობას, საფრთხეს უქმნიდა ერის მორალურ მდგომარეობას. ლექსში პოეტმა წარმოაჩინა კავშირი სექსუალობასა და 1950-იანი წლების ცხოვრების ისეთ ასპექტებს შორის, როგორებიცაა კაპიტალიზმი, რელიგია და სიგიჟე. თუმცა, არ გამოყო საკუთარი სექსუალური ორიენტაცია. როგორც ჩანს, პოეტს იდენტობის კრიზისი ჰქონდა. იგი ლექსს იყენებდა საკუთარი გრძნობების გადმოსაცემად, რათა დაეძლია კრიზისი და შეეგუებოდა საკუთარ იდენტობას. ლექსის საჯაროდ წაკითხვით ა. გინზბერგი საკუთარ სულს აშიშვლებდა [kaiissar, 2020: 1290].

პოეტმა და გამომცემელმა ლოურენს ფერლინგეტიმ ა. გინზბერგის ლექსი „ყმუილი“ 1956 წელს დაბეჭდა და მალე ლექსი, პოეტი და ბით თაობა მთელმა ქვეყანამ გაიცნო. ალენ გინზბერგის მიერ სექსუალურ კავშირზე თამამად საუბრისა და ბევრი უხამსი სკაბრეზის გამოყენების გამო ლოურენს ფერლინგეტი სან-ფრანცისკოს პოლიციამ დააკავა. სასამართლო პროცესი დიდხანს გაგრძელდა. პოეტები, კრიტიკოსები, მასწავლებლები და მეცნიერები ლექსის სოციალური და ლიტერატურული ღირებულების დამტკიცებას ცდილობდნენ. ისინი ა. გინზბერგის მიერ ვულგარული ენის გამოყენებას ამართლებდნენ იმით, რომ მას ეს ესაჭიროებოდა იმ პოეტური ხატების შესაქმნელად, რომელთა წარმოჩენაც სურდა. საბოლოოდ, გამომცემლობა გაამართლეს და ლექსს უხამსობის ბრალდება მოეხსნა.

ლექსში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის განხილული, კერძოდ, საზოგადოებრივი წესები და წესრიგი. „საუკეთესო მოაზროვნეები“ ეწინააღმდეგებოდნენ იმ წესებს, რომლებიც 1950-იანი წლების ამერიკაში საზოგადოებრივ წესრიგს განსაზღვრავდა. ალენ გინზბერგი თვლიდა, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის, სამართლისა და, გარკვეულწილად, განათლების სისტემები ერის ყველაზე გონიერი პიროვნებების შემოქმედებით უნარს ახშობდა. იგი ლექსის ყველა მეამბოხეს „თავისი თაობის საუკეთესო მოაზროვნეებს“ უწოდებდა და მათში საკუთარ თავსაც გულისხმობდა. შესაბამისად, „ყმუილი“ ხოტბას ასხამს ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ პროტესტებსა და რევოლუციებს აწყობენ, საჯარო ადგილებში სქესობრივ კავშირს ამყარებენ უცხოებთან, ხიდებიდან ხტებიან, ნარკოტიკებით ვაჭრობენ, რაც სრულიად ეწინააღმდეგება 1950-იანი წლების ამერიკის საზოგადოებრივ ნორმებს.

ლექსში „ყმუილი“ საუბარია პიროვნულ თავისუფლებასა და სოციალური ნორმების ზეგავლენისგან გათავისუფლებაზე. „უმიზნოდ დავდივარ“ წერდა ალენ გინზბერგი თავის ჟურნალში. ეს პოეტური ხატი წლების შემდეგ „ყმუილში“ გამოჩნდა, ჰიპსტერებზე საუბრისას: *“who wandered around and around”* (ვინც დახეტიალობდა) [Raskin, 2004: 107]. ლექსის პირველ ნაწილში ჩანს, რომ მოგზაურობა თავისუფლების მოპოვების ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან პერსონაჟები ძალიან ბევრს მოგზაურობენ.

მაკარტიზმის ეპოქაში თავისუფლად მოაზროვნე ხელოვნებს, მწერლებს, მეცნიერებსა და მსახიობებს ჯაშუშობის უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდნენ და, ამის გამო, მათ ეშინოდათ საკუთარი თავის გამოხატვის. მთხრობელი აკრიტიკებს უნივერსიტეტებს და აღნიშნავს, რომ ვინც საკუთარი თავის სრულ გამოხატვას შეეცადა, უმაღლესი სასწავლებლებიდანაც კი გარიცხეს. მათ შორის იყო ალენ გინზბერგიც. უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების საბოლოო განაჩენი ლობოტომიის ოპერაცია იყო.

ლექსის ბოლო ორ ნაწილში საუბარია პატიმრობაზე. მოლოქი არის ციხეების, მთავრობებისა და გარეუბნების ღმერთი. ლექსის მიხედვით, რეპრესირებული ადამიანები საბოლოოდ ხვდებიან ციხეში, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ან თვითმკვლელობას ცდილობენ. როკლენდში, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოს განასახიერებს, ადამიანები არა მარტო ფიზიკურად არიან გამოკეტილნი, არამედ გონებრივ პატიმრობასაც განიცდიან. ა. გინზბერგი საავადმყოფოს უწოდებს „შეიარაღებულ საგიჟეთს“ და არა გამოსაჯანმრთელებელ დაწესებულებას, სადაც თერაპიისა და ადამიანური მიდგომის ნაცვლად, პაციენტებთან შოკს იყენებენ და არაჰუმანურად ეპყრობიან მათ.

ლექსი „ყმუილი“ ქართულად თარგმნა შოთა იათაშვილმა. თარგმანი განთავსებულია Demo.ge-ზე. თუმცა, მისი გამოქვეყნების თარიღი უცნობია. პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და კრიტიკოსი შოთა იათაშვილი 1966 წელს დაიბადა. იგი 10 პოეტური და 4 პროზაული კრებულის ავტორია. მისი ნაწარმოებები ნათარგმნია ოცზე მეტ ენაზე. აღსანიშნავია, რომ შ. იათაშვილი სიტყვა-სიტყვით არ თარგმნის დედანს, ზოგიერთ შემთხვევაში დედნისეული ფრაზის საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. თუმცა, ამავდროულად, ინარჩუნებს ორიგინალის ფორმასა და შინაარსს. განვიხილოთ რამდენიმე სიტყვა და ფრაზა, რომელთა შ. იათაშვილისეული თარგმანი განსაკუთრებით საინტერესოა.

„*dragging themselves through the negro streets at dawn looking for an angry fix*“ [Ginsberg, 1956, 1959: 9].

„დილაზნელზე მოლასლასე ზანგთა კვარტლებში, წამლის დოზის საძებნელად გამოსული“ [იათაშვილი].

ადამიანებს, რომლებსაც ლექსის ლირიკული გმირი „საუკეთესო მოაზროვნეებს“ უწოდებს, გადაადგილება უჭირთ, ქუჩებში საკუთარ თავებს „მიათრევენ“, თითქოს მათი სხეულები დამძიმებულია. როგორც ლექსიდან ირკვევა, ეს „საუკეთესო მოაზროვნეები“ თავიანთი ბრაზისა და იმედგაცრუების დასაცხრობად ნარკოტიკებს დაემებენ. არსებითი სახელი fix დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის განმარტებით არის სლენგი და აღნიშნავს „ნარკოტიკის დოზას“ [დიდი ინგლისურ-ქართული...]. შოთა იათაშვილის თარგმანში იგი გვხვდება, როგორც წამლის დოზა, რაც სრულიად შეესაბამება აღნიშნული სლენგის ქართულ მნიშვნელობას, ხოლო ზედსართავი სახელი angry, რომელიც ამავე ლექსიკონის განმარტებით აღნიშნავს „გაზბრაზებულს, გაჯავრებულს, განრისხებულს“ [დიდი ინგლისურ-ქართული...], დაკარგულია ქართულ თარგმანში და მოცემულია მხოლოდ წამლის დოზა. ჩვენი აზრით, აღნიშნული ზედსართავი სახელის უგულვებელყოფით არ იგრძნობა, თუ რას განიცდის ნარკოდამოკიდებული ადამიანი, რომელიც ცდილობს, სასწრაფოდ მიიღოს ნარკოტიკი.

„who were expelled from the academies for crazy & publishing obscene odes on the windows of the skull“ [Ginsberg, 1956, 1959: 9].

„ვინც გააძევეს უმაღლესი სასწავლებლიდან სიგიჟისთვის თუ ურცხვი ოდების თავის ქალის ფანჯრის რაფებზე მიბლაჯინისათვის“ [იათაშვილი].

ისინი სასწავლებლებიდან გარიცხეს სიგიჟისა და თამამი სიტყვებით გაჯერებული პოეზიის შექმნისთვის. ლექსიდან ვიგებთ, რომ მათ ეს „ოდები“ „თავის ქალის ფანჯრებზე“ დაწერეს, რაც, რა თქმა უნდა, თვალებს გულისხმობს. აღნიშნული სტრიქონი მკითხველს ალენ გინზბერგის ცხოვრებაზე მიანიშნებს. როგორც ცნობილია, პოეტი საერთო საცხოვრებელში თავისი ოთახის ფანჯარაზე უხამსობების დაწერისთვის გარიცხეს კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. ზმნა publish Dictionary.ge-ზე მოცემული განმარტებით არის: 1. „გამოქვეყნება, გამოცემა“ და 2. „დაბეჭდვა“ [დიდი ინგლისურ-ქართული...]. შოთა იათაშვილმა იგი თარგმნა, როგორც მიჯღაბნა, რომელიც არ შეესაბამება სიტყვის ქართულ მნიშვნელობას, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმაოდ შესაფერისი თარგმანია ლექსის კონტექსტიდან გამომდინარე. ფრაზის - on the windows of the skull - სიტყვა-სიტყვით თარგმნის შემთხვევაში, ქართულად მივიღებთ თავის ქალის ფანჯრებზე. ა.

გინზბერგი ამბობს, რომ მათ ოდები თავის ქალის ფანჯრებზე მიაწერეს, მთარგმნელი კი თარგმანში ფანჯრის რაფას ამატებს, რომელიც დედანში ნახსენები არ არის.

„Peyote solidities of halls, backyard green tree cemetery dawns, wine drunkenness over the rooftops, storefront boroughs of teahead joyride neon blinking traffic light, sun and moon and tree vibrations in the roaring winter dusks of Brooklyn, ashcan rantings and kind king light of mind” [Ginsberg, 1956, 1959:10].

„პეიოტისგან მოგვრილი სიმყარე დარბაზების და ალიონი სასაფლავის მარადმწვანე ხეთა ფონზე, ღვინით თრობა სახურავებზე უფრო მაღლა, გაბრუებულთა გარეუბნების ვიტრინები, ნეონური მოციმციმე სინათლეები, მზე, მთვარე და ხეების რხევა ზამთრის ბრუკლინის ხმაურიან ბინდბუნდებში, სანაგვე ურნის მაღალი სტილი და მსუბუქი აღქმადობა მეფური გონის”[იათაშვილი].

ამ სტრიქონში პოეტი რამდენიმე შემთხვევაზე საუბრობს, როდესაც „საუკეთესო მოაზროვნებმა” სხვადასხვა სახის ნარკოტიკი მოიხმარეს. Dictionary.ge-ს მიხედვით, backyard განიმარტება, როგორც „ადგილობრივი“ [დიდი ინგლისურ-ქართული...]. შესაბამისად, დედანში ავტორი ადგილობრივი მწვანე ხეების სასაფლაოზე საუბრობს. აღნიშნული სიტყვა ქართულ თარგმანში არ გვხვდება და საუბარია მხოლოდ სასაფლავის მარადმწვანე ხეთა ფონზე.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ფრაზა storefront boroughs of teahead joyride neon blinking traffic light, რომელშიც რამდენიმე სიტყვაა თავმოყრილი, ხოლო სასვენი ნიშნები არ გვხვდება, რაც ართულებს წინადადების საერთო შინაარსის გაგებას. Dictionary.ge-ს მიხედვით, borough არის „პატარა ქალაქი, დაბა“ [დიდი ინგლისურ-ქართული...], ხოლო მეორე მნიშვნელობით „ნიუ-იორკის ხუთი რაიონიდან ერთ-ერთი“ [დიდი ინგლისურ-ქართული...]. ჩვენი აზრით, პოეტი სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს აღნიშნულ სიტყვას. Teahead (ამერ. საუბ. იშვ.) „მარიხუანის რეგულარულად მწეველია” [დიდი ინგლისურ-ქართული...]. Joyride – 1. (საუბ.) „გართობის მიზნით მგზავრობა”; 2. (საუბ.) „დაუფიქრებელი/უგუნური საქციელი” (გართობის ან სიამოვნების მიზნით ჩადენილი); 3. (ამერ. სლ.) „ლოთობა, სმა, ქეიფი” და „ნარკოტიკების მიღებით გამოწვეული აგზნებული/ევფორიული მდგომარეობა” [დიდი ინგლისურ-ქართული...]. თუ თითოეული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინადადებას პწკარედულად ვთარგმნით, მივიღებთ შემდეგს: მაღაზიის ვიტრინა, მარიხუანას რეგულარულად მწეველების რაიონები, ლოთობა, ნეონის მოციმციმე შუქნიშანი. შოთა იათაშვილის თარგმანი ამგვარად გამოიყურება: გაბრუებულთა გარეუბნების ვიტრინები, ნეონური მოციმციმე სინათლეები. მთარგმნელი სიტყვა borough-ს თარგმნის, როგორც გარეუბანს. სიტყვა joyride მის

თარგმანში გვხვდება როგორც გაბრუებული, ანუ ნარკოტიკების მიღებით გამოწვეულ აგზნებულ/ევფორულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. რაც შეეხება სიტყვას teahead, ქართულ თარგმანში დაკარგულია. neon blinking traffic light ანუ ნეონის მოციმციმე შუქნიშანი თარგმანში წარმოდგენილია როგორც ნეონური მოციმციმე სინათლეები, შესაბამისად, დედნისგან განსხვავებით, არ ჩანს, ეს შუქნიშნის სინათლეა, თუ ლამპიონის.

„who sank all night in submarine light of Bickford's floated out and sat through the stale beer afternoon in desolate Fugazzi's, listening to the crack of doom on the hydrogen jukebox” [Ginsberg, 1956, 1959:10].

„ვინც ყვინთავდა მთელი ღამე ბიკფორდის წყალქვეშა ნათებაში, ხოლო მერე კი გამოყვინთა, ნაშუადღევს ფუგაჯის ბარში ფსელივით ლუდს შემოუჯდა და ატომური მუსიკალური ავტომატიდან მეორედ მოსვლის ხმებს აყურადებდა” [იათაშვილი].

„ბიკფორდი” ღამის სასადილოების ქსელი იყო ნიუ იორკში და „ფუგაცი” კი ლუდის დასალევი ბარი უნდა ყოფილიყო. ლექსიდან ვიგებთ, რომ საუკეთესო მოაზროვნეები დიდ დროს ატარებდნენ იაფასიან ბარებსა და რესტორნებში. Dictionary.ge-ს განმარტებით, ზედსართავი სახელი stale აღნიშნავს „ძველს, დაძველებულს” [დიდი ინგლისურ-ქართული...]. Stale beer უნდა გულისხმობდეს დაძველებულ ან გაზგასულ ლუდს. შ. იათაშვილის ქართულ თარგმანში იგი წარმოდგენილია, როგორც ფსელივით ლუდი. ზედსართავი სახელი desolate, რომელსაც პოეტი „ფუგაცის” დასახასიათებლად იყენებს, განიმარტება როგორც „უპატრონოდ მიტოვებული; გავერანებული” [დიდი ინგლისურ-ქართული...]. აღნიშნული ზედსართავი სახელი ქართულ თარგმანში არ გვხვდება. ჩვენი აზრით, სწორედ მისი საშუალებით ესმევა ხაზი, თუ როგორი ბარი იყო და ვინ იქნებოდა მისი ხშირი სტუმარი. არსებითი სახელი doom განიმარტება როგორც „ბედისწერა” და (რელიგ. მოძვ.) „განკითხვის დღე” [დიდი ინგლისურ-ქართული...]. ქართულ თარგმანში მის შესატყვისად შ. იათაშვილი იყენებს მეორედ მოსვლას. მართალია, ამ რელიგიური მოვლენის დროსაც ადამიანების განკითხვა მოხდება დედამიწაზე, მაგრამ განკითხვის დღე შეიძლება ნებისმიერისთვის დადგეს იესო ქრისტეს დედამიწაზე მეორედ დაბრუნებამდეც, როდესაც გარდაცვლილი ადამიანის სული თავისი ცოდვებითა და კარგი საქმეებით უფლის წინაშე წარსდგება განსასჯელად. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მეორედ მოსვლის ნაცვლად, ამ კონტექსტში უმჯობესი იქნება განკითხვის დღის გამოყენება.

ამ სტრიქონში კარგად ჩანს ალენ გინზბერგის ერთ-ერთი პოეტური ტექნიკა, რომელიც გულისხმობს ერთმანეთთან კაშირის არ მქონე სიტყვების გაერთიანებას. ამისი ნათელი მაგალითია hydrogen jukebox - წყალბადის ავტომატური ფირფიტასაკრავი. Jukebox (საუბ.) „ავტომატური ფირფიტასაკრავია“ [დიდი ინგლისურ-ქართული...], რომელიც ძირითადად კაფეებსა და პაბებში გვხვდება, ხოლო hydrogen კი „წყალბადია“ [დიდი ინგლისურ-ქართული...]. ქართულ თარგმანში აღნიშნული ფრაზა ამგვარად გამოიყურება: ატომური მუსიკალური ავტომატი. ქართველი მთარგმნელი წყალბადის ნაცვლად სიტყვა ატომურს იყენებს.

„who studied Plotinus Poe St. John of the Cross telepathy and bop kaballa because the cosmos instinctively vibrated at their feet in Kansas“ [Ginsberg, 1956, 1959:11].

„ვინც სწავლობდა პლოტინს, სან ხუნს, პოს, ბოპ კაბალას, ტელეპათიას, რადგან კანზასში მათ ფეხთა ქვეშ ინსტინქტურად ზანზარებდა მთელი კოსმოსი“ [იათაშვილი].

პოეტის თქმით, „საუკეთესო მოაზროვნეები“ ჭკვიანი ადამიანები არიან. მათ შეისწავლეს ფილოსოფოსი პლოტინუსი, მე-19 საუკუნის ამერიკელი პოეტი და ნოველისტი ედგარ ალან პო. დაინტერესდნენ ერთ-ერთი დიდი ქრისტიანი მისტიკოსითა და ესპანელი პოეტით სან ხუნით. შეისწავლეს ტელეპათია და რელიგიური მისტიციზმის სხვადასხვა ფორმა. აღნიშნულ სტრიქონში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ანთროპონიმის გადმოტანის პრინციპმა. ჩვენი აზრით, St. John of the Cross ჯვრის წმინდა ჯონი, იგივე სან ხუნ დე ლა კრუზია (ესპანურად). საინტერესოა, რომ შ. იათაშვილის თარგმანში დასახელებული პიროვნების სახელი წარმოდგენილია შემოკლებული ესპანური ფორმით - სან ხუანი. ამ ასპექტში თარგმანი დედნისაგან განსხვავდება. თუმცა, მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რომელ პიროვნებაზეა საუბარი.

„who plunged themselves under meat trucks looking for an egg“ [Ginsberg, 1956, 1959:13].

„ვინც ხორციით სავსე სატვირთოებს ბორბლების ქვეშ უვარდებოდა“ [იათაშვილი].

აღნიშნული სტრიქონის ქართულ თარგმანში უგულვებელყოფილია, რომ ეს ადამიანები ხორციით სავსე სატვირთო მანქანებს კვერცხის მოსაპოვებლად უვარდებოდნენ. შესაბამისად, არ ჩანს ამგვარი ქმედების მიზეზი.

„who drove crosscountry seventytwo hours to find out if I had a vision or you had a vision or he had a vision to find out Eternity“ [Ginsberg, 1956, 1959:14].

„ვინც ამ ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე სამ დღე-ღამეში აღწევდა, რათა გაეგო, ვინმეს, მე, შენ ან მას მარადისობის განსაჭვრეტად თუ ჰქონდა ხილვა“ [იათაშვილი].

ისინი მანქანით დადიოდნენ ზუსტად სამი დღის განმავლობაში, ანუ 72 საათი, იმ იმედით, რომ ვინმეს მანქანაში ექნებოდა სულიერი ხილვა მარადისობისა. აღნიშნულ სტრიქონში მთარგმნელი ცვლის დედანში ნახსენებ სამოცდათორმეტ საათს სამი დღე-ღამით, რაც, რა თქმა უნდა, იმავე აზრის მატარებელია.

„*who in humorless protest overturned only one symbolic pingpong table, resting briefly in catatonia*“ [Ginsberg, 1956, 1959:15].

„ვინც ანთებულმა პროტესტის ჟინით ერთადერთი სიმბოლური პინგ-პონგის მაგიდა ააყირავა და მცირეხნით ნერვულმა სპაზმამ მოჰგვარა შვება“ [იათაშვილი].

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტებმა მკურნალობის მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, საავადმყოფოს პინგ-პონგის მაგიდა გადააყირავეს. შემდეგ დამშვიდდნენ და უცნაურ პოზაში გაშემდნენ. ზოგადად, ეს მოვლენა ცნობილია როგორც კატატონია.

მოცემული სტრიქონის ქართულ თარგმანში საინტერესოდ მიგვაჩნია მთარგმნელის მიერ ქართული სიტყვათშეთანხმების - რაღაცის ჟინით ანთებულის - გამოყენება. ნაცვლად ფრაზისა - ვინც იუმორს მოკლებული პროტესტით, მთარგმნელი წერს - ვინც ანთებულმა პროტესტის ჟინით. ჩვენი აზრით, შ. იათაშვილის მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთი ღირსებაა ის, რომ იგი სიტყვა-სიტყვით არ თარგმნის დედანს და თარგმანში საკუთარი შტრიხები შეაქვს, რაც დედნის აზრს არ ცვლის, მაგრამ კითხვის პროცესს ამარტივებს. ქართველი მთარგმნელი სიტყვა კატატონიას არ იყენებს. მისი პირდაპირ გადმოტანის ნაცვლად, წერს: ნერვულმა სპაზმამ მოჰგვარა შვება.

„*Moloch the incomprehensible prison! Moloch the crossbone soulless jailhouse and Congress of sorrows! Moloch whose buildings are judgment! Moloch the vast stone of war! Moloch the stunned governments!*“ [Ginsberg, 1956, 1959:17].

„*მოლოქი, ამოუცნობი საპატიმრო! მოლოქი, გადაჯვარედინებული ძვლების უსულგულო ჯურღმული და მწუხარების კონგრესი! მოლოქი, რომლის შენობები განაჩენია! მოლოქი, ომის უშველებელი დოლაბი! მოლოქი, შეძრწუნებული მთავრობები!*“ [იათაშვილი].

მთხრობელი კონკრეტულ ბრალდებებს უყენებს მოლოქს. აღნიშნულ სტრიქონში საინტერესოა ფრაზა *Moloch the vast stone of war!*, რომელიც ითარგმნება, როგორც მოლოქი ომის უზარმაზარი ქვა! საინტერესოა, რომ შოთა იათაშვილი მას თარგმნის, როგორც მოლოქი, ომის უშველებელი დოლაბი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე მოცემული ჯავახური ლექსიკონის განმარტებით, დოლაბი არის წისქვილის ზედა ქვა, დიდი, ბრტყელი მრგვალი ქვა, შუაში გახვრეტილი [საქართველოს...]. ქართველი მთარგმნელის მიერ ქვის ნაცვლად დოლაბის გამოყენება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მისთვის მოლოქი დოლაბის ასოციაციას ქმნის. თუმცა, ჩვენი აზრით, სიტყვა დოლაბის გამოყენება ქართულ კოლორიტს ქმნის, რომელიც ამერიკულისგან განსხვავდება.

„I'm with you in Rockland where you pun on the bodies of your nurses the harpies of the Bronx” [Ginsberg, 1956, 1959:19].

„მე ვარ შენთან ერთად როკლენდში იქ სადაც ერთობი შენი მომვლელების - ბრონქსელი ჰარპიების სხეულებზე” [იათაშვილი].

ლექსის ლირიკული გმირი სოლომონის ექთნებს ჰარპიებს უწოდებს. ბერძნულ მითოლოგიაში ჰარპია იყო ფრთოსანი ქალ-ურჩხული. ზმნა *pun* Dictionary.ge-ს განმარტებით არის „კალამბურის შეთხზვა” [დიდი ინგლისურ-ქართული...]. დედანში პოეტი ამბობს, რომ კარლ სოლომონი თავისი ექთნების სხეულზე კალამბურს თხზავს, რაც შესაძლოა, გულისხმობდეს ინტიმურ კავშირს. ქართველი მთარგმნელი კალამბურის შეთხზვას არ ახსენებს. თუმცა, თარგმანში წარმოდგენილი აქვს ის, რაც ფრაზაში იგულისხმება - სადაც შენ ერთობი შენი მომვლელების ... სხეულებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლექსი „ყმული” პოეტის შინაგანი მე-ს ამოძახილია იმ ყველაფრის წინააღმდეგ, რაც ბით თაობისთვის მიუღებელი იყო. ა. გინზბერგმა პოეზიის საშუალებით თავისი თანამოაზრეების ნაცვლად ილაპარაკა. სააშკარაოზე გამოიტანა, თუ რას განიცდიდნენ დომინანტური საზოგადოების მიერ გარიყული ადამიანები. მან მკითხველს დაანახა, რომ საზოგადოება მხოლოდ იდეალური წევრებისგან არ შედგება, არამედ მასში არიან ნარკომანები, ლოთები, მეძავეები, ღარიბები, განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანები და ეს სრულიად ნორმალურია. ლექსი არაერთ მინიშნებას შეიცავს პოეტისა და მისი მეგობრების ცხოვრებისეულ მომენტებზე. შესაბამისად, იგი მრავალფეროვანია თემატიკის თვალსაზრისით. მასში

წარმოდგენილია სიგიჟე, განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია, სკაბრეზი, საზოგადოებრივი წესები და პიროვნული თავისუფლება.

სტატიის მეორე ნაწილში განვიხილეთ რამდენიმე მაგალითი ლექსის „ყმული“ შ. იათაშვილის თარგმანიდან. გამოვყავით ის ფრაზები და სიტყვები, რომელთა თარგმნა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა. ვიმსჯელებთ, თუ როგორ გაართვა ამ ამოცანას თავი ქართველმა მთარგმნელმა. ზოგიერთ შემთხვევაში, შ. იათაშვილმა არ წარმოგვიდგინა ინგლისური ლექსიკური ერთეულის ზუსტი ქართული მნიშვნელობა, არამედ კონტექსტიდან გამომდინარე თარგმნა. დასახული მიზნის მისაღწევად, ზოგჯერ სიტყვის დამატების ან გამოტოვების ხერხსაც მიმართა. რამდენიმე ადგილას მთარგმნელმა ფრაზას მხოლოდ ქართულ ენაში დამკვიდრებული ეკვივალენტი მიუსადაგა.

დაბოლოს, განხილული თარგმანის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ შოთა იათაშვილი შეეცადა თავის თარგმანში მაქსიმალურად გადმოეცა ორიგინალის აზრი, ფორმა, შინაარსი, პოეტის გრძნობები და სათქმელი. მისი ქართული თარგმანის უმთავრეს ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს მთარგმნელის მცდელობა, გადმოეცა სკაბრეზული ლექსიკა იმგვარად, რომ იგი ქართველი მკითხველისთვის ბუნებრივად ჟღერდეს და, ამასთანავე, ინარჩუნებდეს ავტორის სტილსაც.

[1]ჩვენი თარგმანი: ვნახე ჩემი თაობის საუკეთესო მოაზროვნეები სიგიჟისგან განადგურებულნი, დამშეულნი, ისტერიულნი, შიშველნი, გარიჟრაჟზე საკუთარ თავებს რომ მიათრევენ ზანგების ქუჩებში და ეძებენ ნარკოტიკის დოზას ბრაზის დასაცხრომად.

ლიტერატურა :

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი <https://dictionary.ge/>

DEMO.GE <https://demo.ge/index.php?do=full&id=710>

პირველი არხი https://1tv.ge/elit_author/shota-iatashvili-2/

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=8545>

Ginsberg A. Howl. <https://poemanalysis.com/allen-ginsberg/howl/>

Ginsberg A. Howl. <https://www.coursehero.com/lit/Howl/themes/>

Howl Summary <https://www.shmoop.com/study-guides/poetry/howl/summary>

Kaiissar J. Sexuality and its relation to capitalism, religion, and madness in Allen Ginsberg's „Howl”.
International Journal of Literature and Social Sciences. 5(4). Bangladesh. 2020

Raskin J. American scream Allen Ginsberg's Howl and the making of the Beat Generation. University of
California Press, 2004

Sederberg J. The Howl obscenity trial. Historical essay.
https://www.foundsf.org/index.php?title=The_Howl_Obscenity_Trial

Weine S. M. Best minds, how Allen Ginsberg made revolutionary poetry from madness. Fordham
University Press, 2023

ნინო მღებრიშვილი

De Sectis-ის ავტორობის პრობლემა და თხზულების ძველი ქართული თარგმანი არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონში“

საკითხის ისტორიისთვის

De Sectis-ის სახელით ცნობილი თხზულება, რომელიც 10 სიტყვისაგან, ანუ 10 თავისაგან შედგება, ქრისტოლოგიური საკითხების განხილვას ეძღვნება და მიზნად ერეტიკული მოძღვრებების განქიქებას ისახავს. სწორედ აქედან გამომდინარე ეწოდა მას დასავლურ სამეცნიერო ტრადიციაში *De Sectis*, ანუ „ერესების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ მის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს, ამ დრომდე ტექსტის მხოლოდ ერთი კრიტიკული გამოცემა არსებობს, რომელიც ბელგიელ მკვლევარს, მარიზა ვაგმანს ეკუთვნის [Waegman, 1982]. გამომცემელს, სამწუხაროდ, ტექსტის ისტორიის შესწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ქართული წყარო გათვალისწინებული არ აქვს, რადგან ლეილა დათიაშვილის გამოცემამდე დასავლეთის მეცნიერებს *De Sectis*-ის ქართული თარგმანის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

1980 წელს ლ. დათიაშვილმა გამოსცა წიგნი „თეოდორე აბუკურა - ტრაქტატები და დიალოგები“ [დათიაშვილი, 1980]. წიგნში VIII-IX საუკუნეების აღმოსავლური ღვთისმეტყველების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, თეოდორე აბუკურას შრომების არსენისეულ თარგმანებს შორის წარმოდგენილია ტრაქტატი, რომლის სათაურია: „თეოდორე, ყოვლად ღმრთის-მოყუარისა მონაზონისა და უფროდსად ბრძნისა ფილოსოფოსისა თუ ვითარ სათანადო არს გულისცმის-ყოფად საღმრთოდასა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ“ [დათიაშვილი, 1980: 24-77]. აბუკურას შრომების ქართული თარგმანის გამოსვლისთანავე მისით მალევე დაინტერესდნენ უცხოელი ქართველოლოგები - ბერნარ უტიე და მიშელ ვან ესბროკი. ბ. უტიე *Bedi Kartlisa*-ს 1982 წლის ნომერში აქვეყნებს ინფორმაციას ლ. დათიაშვილის აბუკურას ქართულ გამოცემასთან დაკავშირებით [Outtier, 1982], შესაბამისი ბერძნული ორიგინალებითურთ უთითებს ყველა შრომას, რაც აბუკურას ქართულ გამოცემაშია შესული და ამგვარად ირკვევა, რომ: 1. ლ. დათიაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში პირველ თხზულებად წარმოდგენილი შრომის ავტორია არა თეოდორე აბუკურა, არამედ VI საუკუნის მოღვაწე, ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისათვის სრულიად უცნობი ავტორი, ვინმე ლეონტი. 2. *De Sectis*-ის ბერძნული ორიგინალი, რომელიც ქართველ მეცნიერებს დაკარგულად მიაჩნდათ, არსებობს და მის კვლევას ევროპაში მრავალწლიანი ისტორია აქვს; ქართველი მეცნიერები

De Sectis-ის ბერძნულ ორიგინალს დაკარგულად გარკვეული გაუგებრობის გამო მიიჩნევდნენ: მიაკუთვნებდნენ რა ამ შრომას თეოდორე აბუკურას კალამს [დათიაშვილი, 1977: 21], მის ბერძნულ დედანსაც PG¹ 97-ე ტომში ეძებდნენ, იქ, სადაც აბუკურას თხზულებების ბერძნული და ლათინური თარგმანებია წარმოდგენილი. ხოლო მას შემდეგ, რაც ტექსტი იქ ვერ აღმოაჩინეს, ლ. დათიაშვილმა ივარაუდა, რომ აღნიშნული თხზულების ბერძნულ ხელნაწერს ან გამომცემელმა ვერ მიაგნო, ან კიდევ De Sectis-ის ბერძნული დედანი დაკარგულია და ჩვენამდე მხოლოდ მისმა თარგმანმა მოაღწია [დათიაშვილი, 1977: 23].

ბ. უტიეს შემდეგ *De Sectis*-ის ქართული თარგმანის შესახებ კიდევ ერთი ქართველოლოგი, მ. ვ. ესბროკი, აქვეყნებს ორ გამოკვლევას: „*De Sectis*-ი, მიკუთვნებული ლეონტი ბიზანტიელისადმი, არსენ იყალთოელის² ქართულ თარგმანში“ [Esbroeck, 1984] და „ლეონტი ბიზანტიელისადმი მიკუთვნებული *De Sectis*-ი, თარიღი და ავტორი“ [Esbroeck, 1985]. როგორც ლ. დათიაშვილი აღნიშნავს, ქართული თარგმანის გამოჩენით ბელგიელ მეცნიერს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ შეესწავლა ეს საკითხები და, რაც მთავარია, არსენისეული ტექსტი ბერძნული ორიგინალისათვის შეეპირისპირებინა, რისი შესაძლებლობაც, ტექსტის არსენისეული თარგმანის გამოცემისას, ქართველ მეცნიერებს არ ჰქონდათ [დათიაშვილი, 1989: 210]. თავის წერილში მ. ვ. ესბროკი საუბრობს, ქართველი გამომცემლის მიერ, VI-VIII საუკუნეების ავტორების აღრევაზე [Esbroeck, 1984 : 35] და, ანაქრონიზმის ფაქტიდან გამომდინარე, გამორიცხავს თეოდორე აბუკურას, VIII-IX საუკუნეების მოღვაწის, ავტორობას *De Sectis*-ისა, თხზულებისა, რომელიც შესულია 668-680 წლებს შორის შედგენილ დოგმატიკურ კრებულში *Doctrina Patrum* [Esbroeck, 1984 : 39].

საანალიზო ტექსტი რამდენიმე ქართულ ხელნაწერში გვხვდება, რომელთაგანაც ყველაზე სრული S-1463 ხელნაწერია, შესაბამისად, ძირითადი ნუსხაც ის არის [კეკელიძე, 1980: 277]. ნაშრომი ყველა ხელნაწერში ერთი და იმავე სათაურით არის შესული: „თეოდორე, ყოვლად ღმრთის-მოყუარისა მონაზონისა და უფროდსად ბრძნისა ფილოსოფოსისა თუ ვითარ სათანადო არს გულისკმის-ყოფად საღმრთოდასა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ“ [დათიაშვილი, 1977: 22]. ქართველ მეცნიერთა მიერ ამ თეოდორეს, რომელიც სათაურში იხსენიება, გაიგივებას ხარანის ეპისკოპოს თეოდორე აბუკურსთან ლ. დათიაშვილი თავის ერთ-ერთ სტატიაში ამგვარად ხსნის: გაუგებრობის ერთ-ერთი მიზეზი არსენის ავტორიტეტი იყო; მისი ცნობის სისწორეში ეჭვის შეტანა არც ერთ მკვლევარს და, მათ შორის, არც ჩვენ არ გვიფიქრიაო [დათიაშვილი, 1989: 296]. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არსენი სათაურში არსად არ ახსენებს აბუკურას, არამედ ის

მოხსენიებს მხოლოდ სახელს - თეოდორე, რაც სრულებით არ ნიშნავს, რომ იგი მაინცადამაინც თეოდორე აბუკურას გულისხმობს. „ყოვლად ღმრთის-მოყვარე მონაზონი და უფრომსად ბრძენი ფილოსოფოსი“- ამგვარ გამოთქმას სხვა პირების მიმართაც შეიძლება შევხვდეთ.

„თეოდორე ყოვლად ღმრთის მოყვარე ფილოსოფოსში“ აბუკურას შეიცნობდა კ. კეკელიძეც. იგი შენიშნავდა, რომ თეოდორე აბუკურა, ხარანელი ეპისკოპოსი „უნდა იგულისხმებოდეს აგრეთვე „ყოვლად ღმრთისმოყვარე მონაზონად და უფრომსად ბრძენ ფილოსოფოსად“ [კეკელიძე, 1980: 281]. ქართველ მეცნიერთა პოზიციას ამ საკითხთან მიმართებაში, სავარაუდოდ, განაპირობებდა „დოგმატიკონში“ თეოდორე აბუკურას სახელით შესული არაერთი შრომა. შესაძლოა, სწორედ, აქედან გამომდინარეც გააიგივეს „ყოვლად ღმრთისმოყვარე მონაზონი თეოდორე“ მასთან. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერში თეოდორე აბუკურას შრომები 226r-256r და 288r-301r გვერდებზეა წარმოდგენილი, ხოლო *De Sectis*-ი - 190v-202v-ზე. გამომდინარე იქიდან, რომ S-1463 ხელნაწერი, მეცნიერთა მიერ, ყველაზე ადრეულ და სრულ ვერსიად არის მიჩნეული, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ შრომების რიგითობის არსენისეულ ვერსიასთანაც ყველაზე ახლოს ეს ხელნაწერი უნდა იდგეს [Otkhmezuri, 2022: 379]. ამიტომ მიგვაჩნია, რომ არსენი, იმ შემთხვევაში, თუკი ყოვლად ღმრთის-მოყვარე მონაზონსა და უფრომსად ბრძენ ფილოსოფოს თეოდორეში თეოდორე აბუკურას გულისხმობდა, სავარაუდოდ, ამ შრომასაც თეოდორე აბუკურას შრომათა წყებაში განათავსებდა.

ამგვარად, თუკი თხზულების სათაურში მოხსენიებულია არა თეოდორე აბუკურა, არამედ სხვა თეოდორე, მაშინ ვინ არის ეს „სხვა თეოდორე“? გარდა ამისა, თუკი ამ შრომის ნამდვილი ავტორი ვინმე ლეონტია, როგორც ამას ბ. უტიეს წერილიდან ვიგებთ, მაშინ რა აკავშირებს საანალიზო ტექსტთან სათაურში მოხსენიებულ თეოდორეს? სწორედ ამის გარკვევას ცდილობენ უკვე მრავალი წელია *De Sectis*-ის მკვლევრები, თუმცა საბოლოოდ დადგენილი პასუხი ჯერ კიდევ არ არსებობს. ჩვენ შევეცდებით, შემდგომისდაგვარად სრულად, რის საშუალებასაც სტატიისათვის განკუთვნილი გვერდების რაოდენობა გვაძლევს, გადმოგვცეთ ყველა ის ძირითადი ჰიპოთეზა, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და შემდეგ გაგიზიაროთ საკუთარი მოსაზრებაც.

De Sectis-ის ავტორობის საკითხის დასადგენად ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს ტექსტის სათაური წარმოადგენს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: *Σχόλια Λεοντίου σχολαστικού Βυζαντίου ἀπὸ φωνῆς θεοδώρου τοῦ θεοφιλεστάτου Ἀββᾶ καὶ σοφωτάτου φιλοσόφου, τὴν τε θείαν καὶ ἐξωπικὴν ὡς χρὴ φιλοσοφήσαντος γραφήν* [Waegman, 1982: 1]. ამგვარად, სათაურში ტრაქტატის ავტორად

წარმოდგენილია ლეონტი: *Σχόλια Λεοντίου* ანუ „სქოლიონები ლეონტისა“³. ვინ არის ეს ლეონტი და რა ვიცი მის შესახებ?

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბ. უტიესა და მ. ვ. ესბროკის თანახმად, *De Sectis*-ის ავტორი უნდა იყოს VI საუკუნის მოღვაწე - ლეონტი ბიზანტიელი. მეცნიერთა ნაწილი, მათ შორის, ტექსტის პირველი მკვლევარი, ფრიდრიხ ლოოფსი, ამ ლეონტის აიგივებდა, ასევე, VI საუკუნის მოღვაწე, ლეონტი იერუსალიმელთან და მას მიაწერდა შემდეგი სამი ტრაქტატის ავტორობასაც: 1. *Tres libri contra Nestorianos et Eutychianos*. „ნესტორიანელთა და ევტიქიანელთა წინააღმდეგ მიმართული სამი სიტყვა“. 2. *Solutio argumentorum a Severo obsectorum*. „სევეროსის მიერ წამოყენებულ არგუმენტთა გაბათილება“. 3. *Capita triginta contra Severum*. „ოცდაათი თავი სევეროსის წინააღმდეგ“ [Rees, 1939: 346].⁴ თუმცა დღეს გაზიარებული მოსაზრებით *De Sectis*-ისა და ზემოხსენებული სამი ტრაქტატის ავტორი სხვადასხვა პიროვნებაა. სხვადასხვა პიროვნებები არიან ლეონტი ბიზანტიელი და ლეონტი იერუსალიმელიც [Rees, 1939. Evans 1970].

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსია, ტრაქტატის ავტორობის საკითხთან დაკავშირებით, ფ. ლოოფსი ეკუთვნის. ლოოფსი გასაღებს ხედავდა ფრაზაში - *Σχόλια Λεοντίου* და ვარაუდობდა რომ *De Sectis*-მდე არსებობდა სხვა შრომა, ლეონტი ბიზანტიელის მიერ შექმნილი, რომლის სათაურიც უნდა ყოფილიყო, სწორედ, *Σχόλια Λεοντίου* ანუ „ლეონტის სქოლიონები“. ხოლო *De Sectis*-ი კი წარმოდგენს ლეონტის თავდაპირველი შრომის ანუ „ლეონტის სქოლიონების“ გადამუშავებულ ვერსიას ვინმე ამბა თეოდორეს მიერ. მკვლევრის აზრით, გადამუშავებული ვერსია საკმაოდ განსხვავდებოდა ორიგინალი შრომისაგან, რომელსაც იგი დაკარგულად მიიჩნევდა. ლოოფსი ვარაუდობდა, რომ ლეონტი ბიზანტიელს შრომის თავდაპირველი ვერსია 538-543 წლებს შორის უნდა შეექმნა [Rees, 1939: 346-349]. გარკვეულწილად, ლოოფსის თეორიის მომხრე იყო მ. ვ. ესბროკიც. ისიც მიიჩნევდა, რომ თავდაპირველმა ტექსტმა, რომლის ავტორიც ლეონტი ბიზანტიელი იყო, შემდგომში სერიოზული ცვლილებები განიცადა ამბა თეოდორეს მიერ [ინტერნეტრესურსი 1].

აღსანიშნავია, რომ ქართულ თარგმანში ფრაზა - *Λεοντίου σχολαστικού Βυζαντίου* - ამოღებულია [S-1463: 190v; დათიაშვილი, 1980: 24]. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, განსხვავებული ხელნაწერი უნდა იყოს. საინტერესოა, რა ხელნაწერით სარგებლობდა არსენი და როგორია ბერძნულ ხელნაწერთა მონაცემები ლეონტი ბიზანტიელთან დაკავშირებით, რამდენი მათგანი იხსენიებს მას შრომის ავტორად? *De Sectis*-ის შემცველ ხელნაწერთა მონაცემების შეჯერების შედეგად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ლეონტი ბიზანტიელის სახელი მხოლოდ 5 ხელნაწერში დასტურდება, ხოლო

სახელი *თეოდორე*, გარდა არასრული O ხელნაწერისა, მოხსენიებულია უკლებლივ ყველა მათგანში არსენისეული თარგმანის შემცველი ქართული ვერსიის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებით, მ. ვაგმანი მიდის დასკვნამდე, რომ *De Sectis*-ის სათაურის მთავარი და ყველაზე საგულისხმო ნაწილია არა *Λεοντίου σχολαστικοῦ Βυζαντίου*, არამედ - ἀπὸ φαῖης θεοδώρου. იგი იზიარებს მ. რიშარის მოსაზრებას, რომ სწორედ ἀπὸ φαῖης (სიტყვასიტყვითი თარგმანია: „ხმიდან“. ἀπὸ φαῖης θεοδώρου ანუ „თეოდორეს ხმიდან“) გულისხმობს და მიემართება ავტორს. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ვარაუდობს, რომ ტრაქტატი დაწერილი უნდა იყოს ვინმე თეოდორეს მიერ [Waegman, 1976: 191-192]. რაც შეეხება არსენისეული დედნის საკითხს, დიდი ალბათობით, არც მის ხელთ არსებულ წყაროში იხსენიებოდა ლეონტი ბიზანტიელის სახელი. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მ. ვ. ესბროკის კვლევა. მეცნიერი *De Sectis*-ის ქართული თარგმანის გაცნობის შემდეგ მას უდარებს ბერძნულ ორიგინალებს და ასკვნის, რომ ყველაზე მეტ სიახლოვეს ქართული თარგმანი XII ს-ის ხელნაწერთან აჩვენებს - Athos Vatopedi N 236, რომელიც მ. ვაგმანის კრიტიკულ აპარატში C ლიტერით აღინიშნება. ხოლო ამ ხელნაწერში კი სათაური წარმოდგენილია შემდეგნაირად: *Σχόλια ἀπὸ φαῖης θεοδώρου τοῦ θεοφιλεστάτου Ἀββᾶ καὶ σοφωτάτου φιλοσόφου τῆν τε θείαν καὶ ἐξωτικὴν ὡς χρῆ φιλοσοφῆσαντος γραφήν* [Waegman, 1976: 191]. ესბროკის თანახმად, სათაურის ეს ვერსია უნდა ყოფილიყო არსენის ხელთ არსებულ ხელნაწერშიც [Esbroeck, 1984: 40-41], თუმცა არსენთან, როგორც უკვე ვიცით, შემდეგი ვერსია გვაქვს: „თეოდორე, ყოვლად ღმრთის-მოყუარისა მონაზონისა და უფროსად ბრძნისა ფილოსოფოსისა თუ ვითარ სათანადო არს გულისჴმის-ყოფად საღმრთოსა და გარემისა ფილოსოფოსობისა სიტყუათად [დათიაშვილი, 1980: 24].

არსენის ქართულ თარგმანში, ერთი შეხედვით, არ არის გადმოღებული ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინი, როგორც არის ἀπὸ φαῖης. თუკი ამ გამოთქმის პირველადი მნიშვნელობიდან ამოვალთ, რაც გულისხმობდა „მიხედვით“, მისი თარგმნა სრულიად შეცვლიდა სათაურის შინაარსს (გვექნებოდა არა „სიტყვები თეოდორესი“, არამედ „თეოდორეს ზეპირი სწავლების მიხედვით“). თუმცა, მ. რიშარის დაკვირვებით, ტერმინის ასეთი გაგება ეხება მხოლოდ V-VII საუკუნეებს, VIII საუკუნიდან კი ეს ფორმულა აღნიშნავს მხოლოდ კუთვნილებას და მიემართება ავტორს. ანუ არა „თეოდორეს ზეპირი სწავლების მიხედვით“, არამედ „თეოდორესი“ [Richard, 1950: 222]. ასე რომ, თუკი ეს ასეა და თუკი არსენს მართლაც C ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერი ედო წინ, გამოდის რომ მას ტერმინ ἀπὸ φαῖης-ის თარგმნა არ „დავიწყებია“. არამედ არსენი მას თარგმნის თავისი ეპოქის, ანუ

XII საუკუნის შესაბამისად, როდესაც ეს ტერმინი ნიშნავდა კუთვნილებას: *ἀπὸ φωνῆς θεοδώραου* - „თეოდორესი“ [Esbroeck, 1984: 40-41]. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ არსენს ტერმინის ზუსტი ეკვივალენტი არ გადმოაქვს, ან, საერთოდ, მას უთარგმნელს ტოვებს, რადგან მისი თარგმნის სტილი ელინოფილური ანუ სიტყვასიტყვითი თარგმანის პრინციპებს ემყარება, ამიტომ საეჭვოა, მას ასეთი მნიშვნელოვანი ტექნიკური ტერმინი უყურადღებოდ დაეტოვებინა. ხოლო თუკი ესბროკის ვერსია სინამდვილეს შეესაბამება და არსენი მართლაც C ნუსხიდან მომდინარე რომელიმე ხელნაწერით სარგებლობდა, მაშინ ქართულ თარგმანში ტერმინ *ἀπὸ φωνῆς*-ის გამოტოვება შეიძლება, დამატებითი არგუმენტიც იყოს მ. რიშარის ზემოხსენებული მოსაზრებისა, რომ რაღაც პერიოდიდან ეს ტერმინი აღნიშნავდა და მიემართებოდა მხოლოდ ავტორს.

საინტერესოა მკვლევარ სილას რისის პოზიციაც, რომელიც ფ. ლოფსის ვერსიას არ იზიარებს. მკვლევრის აზრით, *De Sectis*-ის ავტორი, შესაძლოა, თავისი წინამორბედის, ლეონტი ბიზანტიელის მასალას (ანუ ზემოხსენებულ სამ ტრაქტატს: *Contra N. et E., Epilysis* და *Triginta capita.*) იყენებს, როგორც წყაროს, ხოლო შრომის შემქმნელი და ნამდვილი ავტორი კი არის, დამოუკიდებელი მწერალი, ამბა თეოდორე [Rees, 1939: 351]. ს. რისი ფიქრობს, რომ, სავარაუდოდ, ტრაქტატი თავდაპირველად წარმოადგენდა თეოდორეს მიერ წაკითხულ ლექციათა სერიას რელიგიური მიმდინარეობებისა და ერესების ისტორიის შესახებ. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს სათაურის ცნობა *ἀπὸ φωνῆς θεοδώραου*. თეოდორეს მსმენელთა შორის უნდა ყოფილიყო ვინმე ლეონტიც, ბიზანტიელი სქოლასტიკოსი (მაგრამ არა ამ სამი ტრაქტატის ავტორი, არამედ ვიღაც სხვა ლეონტი), თანამედროვე ამბა თეოდორესი. მას უნდა მიემართებოდეს სათაურის შემდეგი ტერმინი - *σχόλια Λεοντίου* ანუ „ლეონტის სქოლიონები“. ს. რისის თანახმად, სწორედ, ეს ლეონტი ბიზანტიელი უნდა იყოს პასუხისმგებელი თეოდორეს ლექციების, ანუ *De Sectis*-ის იმ ფორმით არსებობისა, რაც დღეს გვაქვს [Rees, 1939: 359]. რაც შეეხება, შრომის შექმნის თარიღს, მკვლევარი მას 579-607 წლებით ათარიღებს. ამის საფუძველს მას აძლევს ფრაზა: „იუსტინიანეს დროიდან მოყოლებული“ (*ἀπὸ τῆς ἰουστινιανῆς*). მისი აზრით, ამ სიტყვების დამწერი, ჩანს, რომ იხსენებს იუსტინიანეს მეფობის ხანას, ანუ 527-565 წლებს, რაც არ შეეძლო გაეკეთებინა 543 წელს გარდაცვლილ ლეონტი ბიზანტიელს, ავტორს ზემოხსენებული სამი ტრაქტატისას [Rees, 1939: 353-354].

თუკი რისი-რიშარის მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის რომ *De Sectis*-ის ავტორობის საკითხის კვლევისას ჩვენ სამიველი გვყავს ორი პიროვნება. ამბა თეოდორე - სავარაუდო ავტორი ტრაქტატისა და ლეონტი ბიზანტიელი - სავარაუდო „რედაქტორი“.

ამბა თეოდორე

ამბა თეოდორეს შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. მეცნიერები მას აიგივებდნენ VI-VII საუკუნეებში მოღვაწე თეოდორე რაითელთან, რომელიც მონოთელიტურ დისკუსიაში მონაწილეობდა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით თეოდორე რაითელი იგივე თეოდორე ფარანელია, ეპისკოპოსი ფარანისა, რომლის გარდაცვალების თარიღადაც ოქსფორდის ბიზანტიის ლექსიკონში არა უგვიანეს 625 წელია მითითებული [Baldwin..., 1991: 2044]); ჩვენ მოვიძიეთ 1921 წელს გამოცემული „სინას ისტორია“ [Eckenstein, 1921: 133], რომელიც მოკლე ცნობას გვაწვდის ფარანის, სავარაუდოდ, უკანასკნელ ეპისკოპოსსა და მონოთელიტური მოძღვრების მამამთავარ თეოდორეს შესახებ, რომლის აქტიური მხარდამჭერიც იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი სერგი (610-638). პატრიარქი თეოდორეს პროტექციას უწევდა პაპ ჰონორიუსთან, რომლის მოღვაწეობის პერიოდი 625-638 წლებით განისაზღვრება. ამგვარად, ამ ცნობის თანახმად, გამოდის, რომ თეოდორე ფარანელი 625 წელს, მართლაც, ჯერ კიდევ ცოცხალია.

თეოდორე რაითელსა და თეოდორე ფარანელს ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს კირილ ჰოვორუნი. მას ეკუთვნის ვრცელი გამოკვლევა ამ მოღვაწის შესახებ, ხოლო ჩვენთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავის კვლევაში მკვლევარი საერთოდ არ ახსენებს *De Sectis*-ს. მეტიც, იგი ხაზს გასდის ადნიშნავს, რომ ერთადერთი შრომა თეოდორე რაითელისა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია არის *Προπαρασκευή* („სამზადისი/მომზადება“), რომელიც, ზოგჯერ, იხსენიება, როგორც *Περί τῆς ἐνσαρκώσεως* ანუ „განკაცების შესახებ“ [ინტერნეტრესურსი 2].

De Sectis-ის ავტორთა შორის მონოთელიტ თეოდორე რაითელს არ მოიაზრებს არც მ. ვ. ესბროკი. მისი აზრით, ყველა ის პასაჟი, რომელიც შრომის შექმნის თარიღად VI ს-ის მიწურულს, ან VII ს-ის დასაწყისს გვაპარაუდებინებს, მოგვიანებით არის ჩამატებული [ინტერნეტრესურსი 1]. თუმცა საწინააღმდეგოს ფიქრობდა ს. რისი, რომელიც ამბა თეოდორეში, სწორედ, თეოდორე რაითელს შეიცნობდა [Rees, 1939: 359]. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ ს. რისი ტრაქტატის გვიანი დათარიღების (579-607 წლები) მომხრეა. გვიანდელი დათარიღების მომხრეა უვე მიქაელ ლენგიც, ოქსფორდის უნივერსიტეტის თეოლოგიის დოქტორი. მისი აზრით, ესბროკის არგუმენტები, *De Sectis*-ის შექმნის თარიღად შემოგვთავაზოს უფრო ადრეული, 543-551 წლები, საკმარისად დამაჯერებელი არ არის, რადგან ტექსტი გვაწვდის მყარ მტკიცებულებებს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ შრომა 580-608 წლებს შორის უნდა იყოს შექმნილი [Lang, 1998: 98].

ლეონტი ბიზანტიელი

ლეონტი ბიზანტიელის, *De Sectis*-ის სავარაუდო ავტორის/„რედაქტორის“ პიროვნებისა და მრწამსის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ტრადიციული ვერსიით, იგი იყო მტკიცე ქალკედონიტი, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მას ორიგენეს მიმდევრადც მიიჩნევს. საკითხავია, რამდენად ეხება აზრთა ეს სხვადასხვაობა ერთსა და იმავე პიროვნებას. იმ პერიოდისათვის, როდესაც ფ. ლოოფსი *De Sectis*-ის შექმნას ვარაუდობდა, ოცამდე ცნობილი ადამიანი მაინც ატარებდა ამ სახელს. მათ შორის არიან - ბერი ლეონტი ბიზანტიელი და ლეონტი იერუსალიმელი, რომელთაც ფ. ლოოფსი ერთ პიროვნებად მიიჩნევდა [Rees, 1939: 346]. თუმცა დღემდე არ არის საბოლოოდ დადგენილი, ამ მრავალ ლეონტითა შორის რომელი მათგანია *De Sectis*-ის სქოლიონების შესაძლო ავტორი/„რედაქტორი“.

ოქსფორდის ბიზანტიის ლექსიკონის მიხედვით, ლეონტი ბიზანტიელი და ლეონტი იერუსალიმელი სხვადასხვა პიროვნებაა [Baldwin..., 1991: 1213]. *De Sectis*-ის სავარაუდო ავტორად დასახელებულია ლეონტი ბიზანტიელი (გარდაცვალების თარიღი 543 წელი). იგი უნდა ყოფილიყო მოწაფე და თანამედროვე წმ. საბასი, რომელთან ერთადაც უმოგზაურია კონსტანტინოპოლში 531 წელს, თუმცა მათ შორის დაპირისპირება მოხდა მას შემდეგ, როცა საბამ ლეონტის ორიგენიზმისაკენ მიდრეკილება შეიტყო. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ლ. დათიაშვილი. მიუხედავად ქრონოლოგიური დაშვებულობისა, მას უჭირს, ერთმანეთთან გააიგივოს ავტორი *De Sectis*-ისა, მწვალებელთა მიმართ ერთობ კრიტიკული ტრაქტატისა, „საბას ცხოვრებისეულ“ ლეონტისთან, რომელიც მოიხსენიება, როგორც „განმხრწნელისა ოროგინჯს“ და დასახელებულია ერეტიკოსთა ყველაზე მძლავრ წარამომადგენელთა გვერდით [დათიაშვილი, 1989: 301].

ლ. დათიაშვილი, ვფიქრობთ, სწორი იყო, რადგან, როგორც გავარკვეით, „საბას ცხოვრებაში“ მოხსენიებული VI საუკუნის მოღვაწე, ორიგენეს მოძღვრების მიმდევარი ბერი ლეონტი ბიზანტიელი ავტორია ტრაქტატებისა *Contra N. et E; Epilysis* და *Triginta Capita*, მაგრამ არა *De Sectis*-ისა. „საბას ცხოვრების“ ლეონტი და *De Sectis*-ის ავტორი ლეონტი ერთი და იგივე პირი ვერ იქნება ს. რისის თანახმადაც. მისი აზრით, გარდა იმ ტექსტუალური და ქრისტოლოგიური სხვაობებისა, რაც *De Sectis*-სსა და ამ სამ ტრაქტატს შორის არსებობს, „საბას ცხოვრების“ ლეონტი ანაქრონიზმიდან გამომდინარეც ვერ იქნება საანალიზო ტექსტის ავტორი, რადგან კირილე სკვიტოპოლელის ცნობით, ლეონტი გარდაიცვალა დაახლ. 543 წელს, ხოლო *De Sectis*-ის ავტორს კი შრომა, ყველაზე ადრე, 579 წელს უნდა შეექმნა [Rees, 1939: 359]. თუმცა, ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი შრომის ლოოფსის, ანუ ადრეული დათარიღების მომხრენი ვართ (538-543), ვფიქრობთ, „საბას

ცხოვრებაში“ მოხსენიებული, 543 წელს გარდაცვლილი ლეონტი ბიზანტიელი, მაინც, ვერ იქნება შრომის ავტორი. ამ ვარაუდის საფუძველს შრომაში დასახელებული გვიანი პერიოდის მოღვაწეთა სახელები გვაძლევს (იუსტინიანე I და სხვ.).

ს. რისის პოზიციას იზიარებს ლეონტი ბიზანტიელის კიდევ ერთი მკვლევარი, დევიდ ევანსი. იგი ზემოხსენებულ სამ ტრაქტატს და, ასევე, შრომას - *Adversus fraudes Apollinaristarum* ანუ „აპოლინართა ცრურწმენის წინააღმდეგ“ (თუმცა უკანასკნელის ავთენტურობას ეჭვქვეშ აყენებს) „ლეონტის კორპუსად“ მოიხსენიებს, დეტალურად განიხილავს მათ და ამტკიცებს, რომ ამ შრომების ავტორის, ანუ ლეონტი ბიზანტიელის, ღვთისმეტყველება ორიგენისტულია [Evans, 1970: 1]. დ. ევანსის თანახმად, ლეონტიმ თავისი შემოქმედებით დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ თაობებზე - ლეონტი იერუსალიმელზე, პამფილიუსზე, მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელზე. სწორედ, ამ გავლენიდან გამომდინარევე მოხდა მისი აღრევა ჯერ ლეონტი იერუსალიმელთან, ხოლო შემდგომ უკვე *De Sectis*-ის ავტორ, ლეონტისთან [Evans, 1970: 3-4]. ამგვარად, ლ. დათიაშვილის სკეპტიციზმი, რომელიც *De Sectis*-ის ავტორის „საბას ცხოვრებისეულ“ ლეონტი ბიზანტიელთან გაიგივებით იყო გამოწვეული, არც თუ ისე უსაფუძვლო გამოდის. თითქოს, ყველაფერი ლაგდება, თუკი გავიხსნებთ მ. ვ. ესბროკის შენიშვნასაც, როდესაც ის იმ „გადაულახავ განსხვავებებზე“ საუბრობს, რომელიც ლეონტი ბიზანტიელსა და *De Sectis*-ის ავტორს შორის არსებობს, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც და ქრისტოლოგიური კუთხითაც. ესბროკი ამ სხვაობათა ახსნას კი ცდილობს ინტერპოლაციითა და გვიანი დროის ჩამატებებით [ინტერნეტრესურსი 1], თუმცა, შესწავლილი მასალების საფუძველზე, უფრო მართებულია, ვიფიქროთ, რომ საქმე უნდა გვქონდეს არა ინტერპოლაციასთან, არამედ ორ სხვადასხვა ლეონტი ბიზანტიელთან. ერთი ლეონტი არის ავტორი/„რედაქტორი“ *De Sectis*-ისა, ხოლო მეორე კი, ორიგენისტი ბერი, ავტორი ე.წ. „ლეონტის კორპუსისა“ .

დაბოლოს, გვინდა მოკლედ შევეხოთ ლეონტი იერუსალიმელის საკითხსაც, ავტორს მონოფიზიტთა და ნესტორიანელთა წინააღმდეგ დაწერილი ორი ნეოქალკედონური შრომისა (*Adversus Nestorianos* და *Contra Monophysitas*). კვლევის საწყის საფეხურზე ჩვენ ვუშვებდით ვერსიას, რომ *De Sectis*-ის ავტორი, შესაძლოა, სწორედ, ლეონტი იერუსალიმელი ყოფილიყო. ვფიქრობდით, რომ მისი გაიგივება ორიგენისტ ლეონტი ბიზანტიელთან არაერთი დამთხვევის გამო მოხდა: გარდა იმისა, რომ ორივე VI ს.-ის მოღვაწეა, ემთხვევა მათი გარდაცვალების თარიღიც - ორივე მათგანი გარდაიცვალა 543 წელს; ორივე მათგანი იუსტინიანე I-ის მიერ მოწვეულ, კონსტანტინოპოლის 532 და 536 წლების,

კრებებზე იღებდა მონაწილეობას [Hollingsworth, 1991: 1213]. დამთხვევა იმდენად ბევრი იყო, რომ სრულიად ბუნებრივი გვეჩვენა მრწამსით ორთოდოქსი ლეონტი იერუსალიმელის აღრევა ორიგენეს მოძღვრების მიმდევარ ლეონტი ბიზანტიელთან. *De Sectis*-ის შესაძლო ავტორად/„რედაქტორად“ კი პირველ მათგანს ვვარაუდობდით. თუმცა დამატებითი მასალების გაცნობის და ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, აზრი შევიცვალეთ. ვფიქრობთ, შრომის ავტორი არც ლეონტი იერუსალიმელია და არც ორიგენისტი ლეონტი ბიზანტიელი. სიმართლესთან ყველაზე ახლოს ს. რისის მოსაზრება უნდა იყოს, რომლის თანახმადაც, „ლეონტის სქოლიონების“, იმავე *De Sectis*-ის, ავტორი ვიღაც სხვა ლეონტია, ბიზანტიელი სქოლასტიკოსი, რომელიც უნდა იყოს თანამედროვე ამბა თეოდორესი და მისი ლექციების მსმენელი.

მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენი მოსაზრება *De Sectis*-ის ავტორთან დაკავშირებით, შემდეგია:

„დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერში თეოდორე აბუკურას შრომები 226r-256r და 288r-301r გვერდებზეა წარმოდგენილი, ხოლო *De Sectis*-ი კი 190v-202v-ზე. მიგვაჩნია, რომ არსენი იმ შემთხვევაში, თუკი „ყოვლად ღმრთის-მოყვარე მონაზონსა და უფრომსად ბრძენ ფილოსოფოს თეოდორეში“ თეოდორე აბუკურას იგულისხმებდა, სავარაუდოდ, ამ თხზულებასაც თეოდორე აბუკურას შრომათა რიგში განათავსებდა. გარდა ამისა, არსენი არსად არ ახსენებს ზედწოდებას - *აბუკურა*, არამედ მხოლოდ სახელს - თეოდორე: *თეოდორე, ყოვლად ღმრთის-მოყვარე მონაზონი და უფრომსად ბრძენი ფილოსოფოსი*. კონკრეტული პიროვნების ასე მოხსენიება სხვა პირების მიმართაც შეიძლება შეგვხვდეს, ამიტომ არ მიგვაჩნია, რომ არსენი აქ, მაინცდამაინც, თეოდორე აბუკურას გულისხმობს. გარდა ამისა, თეოდორე აბუკურას ავტორობა გამორიცხულია ანაქრონიზმის ფაქტიდან გამომდინარეც. *De Sectis*-ი შეტანილია კრებულში „მამათა მოძღვრება“, რომელიც 668-680 წლებს შორის არის შედგენილი, ხოლო თეოდორე აბუკურა კი VIII-IX საუკუნეების მოღვაწეა.

ტექსტში დასახელებული გვიანი პერიოდის მოღვაწეთა სახელების ფონზე, შრომის 579-607 ან 580-608 წლებში შექმნის ვერსიას ვემხრობით, ხოლო შრომის თავდაპირველი ვერსიის (რომელსაც ლეონტი თავის სქოლიონებში გადმოსცემს) ავტორად ამბა თეოდორეს მივიჩნევთ. ამ მოსაზრებას გვიმყარებს ხელნაწერთა მონაცემები: სახელი *თეოდორე* მოხსენიებულია უკლებლივ ყველა მათგანში (გარდა არასრული O ხელნაწერისა), არსენისეული თარგანის შემცველი ქართული ვერსიის ჩათვლით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტერმინი *ἀπὸ φαῖς* (რომელიც ორი ხელნაწერის - B, O - გარდა ყველა სხვა ხელნაწერში დასტურდება) ყველა შემთხვევაში მიემართება თეოდორეს. ვფიქრობთ, ეს ფაქტიც ამბა თეოდორეს ავტორობაზე მიუთითებს.

თავად ამბა თეოდორეზე კი ბევრი არაფრის თქმა არ შეგვიძლია. შრომის შექმნის თარიღიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ უნდა იყოს VI-VII საუკუნეების მოღვაწე, თუმცა თავს ვიკავებთ, დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია ამბა თეოდორესა და თეოდორე რაითელის იგივეობასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ საბოლოო დასკვნის გამოტანამდე, სულ მცირე, ჩასატარებელია *Προπαρασκευή*-ს ფილოლოგიური ანალიზი, ტექსტუალური კვლევა და შესაპირისპირებელია *De Sectis*-თან. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამბა თეოდორეს და თეოდორე რაითელის ერთმანეთისაგან განსხვავება ან ერთმანეთთან იდენტიფიცირება. თუმცა კი შევნიშნავთ იმას, რომ კ. ჰოვორუნის ცნობა, რომლის თანახმადაც 649 / 680-681 წლის საეკლესიო კრებების მიერ აიკრძალა და განადგურდა თეოდორე რაითელის ყველა შრომა⁵, გარდა ერთისა - *Προπαρασκευή*, გვაძლევს ეჭვის გამოთქმის საფუძველს, რომ ამბა თეოდორე და თეოდორე რაითელი სხვადასხვა პიროვნებაა.

De Sectis-ის ავტორ/„რედაქტორთან“ დაკავშირებით ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ორი ლეონტი: 1. ამბა თეოდორეს წინამორბედი, „საბას ცხოვრებაში“ მოხსენიებული ლეონტი ბიზანტიელი - ორიგენეს მიმდევარი, ავტორი ტრაქტატებისა *Contra N. et E* („ნესტორიანელთა და ევტეჩიანელთა წინააღმდეგ მიმართული სამი სიტყვა“) *Epilysis* (სევერუსის მიერ წამოყენებულ არგუმენტთა გაბათილება.); *Triginta Capita* („30 თავი სევეროსის წინააღმდეგ“) და *Adversus fraudes Apollinaristarum* („აპოლინარელთა ცრურწმენის წინააღმდეგ“). 2. ამბა თეოდორეს თანამედროვე ლეონტი ბიზანტიელი, მსმენელი მისი ლექციებისა. დავესესხებით ს. რისს და ვიტყვით, რომ, სწორედ, ეს ლეონტი უნდა იყოს პასუხისმგებელი თეოდორეს ლექციების, ანუ *De Sectis* -ის იმ ფორმით არსებობისა, რაც დღეს გვაქვს.

შრომების - *Adversus Nestorianos* („ნესტორიანელთა წინააღმდეგ“) და *Contra Monophysitas* („მონოფიზიტთა წინააღმდეგ“) ავტორია ლეონტი იერუსალიმელი, ასევე VI ს-ის მოღვაწე. დღეს გაზიარებული მოსაზრებით იგი დამოუკიდებელი ავტორია და არც ერთ ლეონტი ბიზანტიელთან (არც *De Sectis*-ის და არც „ლეონტის კორპუსის“ ავტორებთან) საერთო არ აქვს.

თუკი მ. ვ. ესბროკის მოსაზრება სწორია და არსენს წინ C ნუსხიდან წარმომავალი დედანი ედო, მაშინ ქართული თარგმანი ადასტურებს მ. რიშარის დაკვირვებას, რომ VIII საუკუნიდან ტერმინი *ἀπὸ φαῖς* აღნიშნავდა და მიემართებოდა მხოლოდ ავტორს. აქედან გამომდინარე, არსენი ტერმინს თარგმნის თავისი ეპოქის, XI-XII საუკუნეების, შესაბამისად. ანუ არა *თეოდორეს ზეპირი სწავლების მიხედვით*, არამედ *სიტყვები თეოდორესი*: „თეოდორე, ყოვლად ღმრთის-მოყუარისა მონაზონისა და

უფროდსად ბრძნისა ფილოსოფოსისა თუ ვითარ სათანადო არს გულისჯმის-ყოფად საღმრთოდსა და გარემისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ“.6 ეს კი ვფიქრობთ, უნდა მიუთითებდეს იმ ვერსიის სასარგებლოდ, რომ *De Sectis*-ის თავდაპირველი ვერსიის ავტორია ამბა თეოდორე და არა ლეონტი ბიზნატიელი.

[1]PG = Patrologia Graeca ანუ „ბერძნული პატროლოგია“, ეკლესიის მამათა ბერძნულენოვანი შრომების კრებული.

[2]მ. ვ. ესბროკის დროს არსენ იყალთოელი და არსენ ვაჩეს ძე ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთისაგან დიფერენცირებულნი. დღეს გაზიარებული მოსაზრებით კი არსენ იყალთოელი და არსენ ვაჩეს ძე სხვადასხვა პირია. „დოგმატიკონის“ შემდგენილია არსენ ვაჩეს ძე, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ კრებულში შესულ შრომათა ნაწილის მთარგმნელი არსენ იყალთოელიც იყოს.

[3]Σχόλια მრავლობითი ფორმაა ტერმინისა τὸ σχόλιον, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ის შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც კომენტარი, ინტერპრეტაცია, ასევე, შენიშვნა, სქოლიონი, სიტყვა, ლექცია. არსენი ამ ტერმინს თარგმნის, როგორც „სიტყვები“.

[4]სტატიაში გამოყენებულ იქნება ამ შრომების შემდეგი აბრევიატურები: Tres libri contra Nestorianos et Eutychianos = Contra N. et E. 2. Solutio argumentorum a Severo objectorum = Epilysis 3. Capita triginta contra Severum = Triginta capita.

[5]კ. ჰოვორუნის ცნობით, ზემოხსენებული კრებების მიერ თეოდორე რაითელი, რომელიც ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილია, მონონერგიზმში იქნა დადანაშაულებული. ამის გამო ის დაგმობილ იქნა, ხოლო მისი შრომები აიკრძალა და განადგურდა [ინტერნეტრესურსი 2].

[6]მეტი თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს შესაბამისი ადგილი ბერძნულად და ვურთავთ ჩვენ მიერ შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანს: (Σχόλια ἀπὸ φανῆς θεοδώρου τοῦ θεοφιλεστάτου Ἀββᾶ καὶ σιωφάτου φιλοσόφου τὴν τε θείαν καὶ ἐξωτικὴν ἄς χρη φιλοσοφήσαντος γραφὴν [Esbroeck, 1984: 40]; „სქოლიოები თეოდორესი (ან: სქოლიონები წარმოთქმული თეოდორესგან), ღვთისთვის ძალზე საყვარელი ამბასი და უბრძენესი ფილოსოფოსისა, რომელიც ფილოსოფოსობს როგორც საჭიროა როგორც საღვთო, ისე გარეშე ნაწერზე.“

ლიტერატურა:

დათიაშვილი ლ. ტრაქტატები და დიალოგები. თეოდორე აბუკურა. თბილისი, 1980

დათიაშვილი ლ. ლეონტი ბიზანტიელი თუ თეოდორე აბუკურა? // ლიტერატურული ძიებანი. 3 (XVIII). თბილისი, 1989

დათიაშვილი ლ. არსენ იყალთოელის თარგმანი თეოდორე აბუკურას ტრაქტატისა „სადმართოსა და გარემისა ფილოსოფოსობისათვის“. თბილისი : მეცნიერება, 1977

კეკელიძე კ. ეტიუდები. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. V. თბილისი, 1957

კეკელიძე კ. ეტიუდები. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. VI. თბილისი, 1960

კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. თბილისი, 1980

ლოლაშვილი ივ. არსენ იყალთოელი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი, 1978

სურგულაძე მ. საქართველო და ბიზანტიური თანამეგობრობა: პოლიტიკა, კულტურა და იდენტობა იმპერიის საზღვრებზე (XI საუკუნე). თბილისი, 2023

Baldwin B. Leontios of Byzantium. The Oxford Dictionary of Byzantium. volum 2, 1991

Baldwin B. Leontios of Jerusalem. The Oxford Dictionary of Byzantium. volum 2, 1991

Eckenstein L. History of Sinai. London, 1921

Esbroeck M. V. Le “De Sectis” attribué à Léonce de Byzance (CPG 6823) dans la version géorgienne d’Arsène Iqualtoeli. vol. 42. Paris, 1984

Esbroeck M. V. Online resource 1 La date et l’auteur D e S e c t i s attribué à Léonce de Byzance: http://krotov.info/libr_min/26_ae/sb/ruk_7.htm seen 07. 11. 2023.

Evans D. B. Leontius of Byzantium an Origeneist Christology. Washington, 1970

Hovorun C. Online resource 2 Theodore of Raith. https://lmu0-my.sharepoint.com/:b:/g/personal/serhiy_hovorun_lmu_edu/EQoO-ibKP-9MjmeNnV2Tn7sBjuEXnUihHNpoiluMfypWsA?e=zCdUOV seen 10. 11, 2023.

Lang U. M. The Date of the Treatise De Sectis Revisited, in *Orientalia Lovaniensia Periodica* 29, 1998

Otkhmezuri T. Medieval Georgian Literary culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, 2022

Outtier B. *Bedi Kartlisa*. vol. 40. Paris, 1982

Rees S. The De Sectis: A Treatise Attributed to Leontius of Byzantium. *The Journal of Theological Studies*. Volume 40. Issue 4., 1939

Richard M. ΑΠΟ ΦΩΝΗΣ. *Byzantion*. Vol. 20, 1950

Waegeman M. The Text Tradition of the Treatise De Sectis (Ps. Leontinus Byzantinus). *L'Antiquité Classique*. vol. 45-1, 1976

Waegeman M. *Het traktaat De Sectis (ps. Leontius Byzantius) Tskstkritische uitgava en vertaling*. Gent, 1982

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. გიორგი ლაბაძე.
ძალაუფლების ბალანსის ანგლო-ამერიკული გამოცდილების ასახვა ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობაში-----4
2. დარეჯან თვალთვაძე
ჩვაბიანის ოთხთავი (H-1791 და მესტიის მუზეუმში დაცული მისი ფრაგმენტი (სიემ N 491)-----12
3. კონსტანტინე (კოტე) ფიცხელაური
სახელმწიფოებრიობის სათავეებთან აღმოსავლეთ საქართველოში (იორ-ალაზნის ორმდინარეთის მაგალითზე)-----26
4. ნინო დონაძე. რელიგიური ტოლერანტობის გაღვივება ისტორიის სწავლებისას თანამედროვე შეერთებულ შტატებსა და საქართველოში-----39
5. პავლიკა ჯაგუნავა.
აშშ-ის ეკონომიკური ინტერესები საქართველოში (XX საუკუნის დასაწყისი)-----57
6. ჯულია ბენიძე.
მცხეთისა და მისი შემოგარენის სიძველეები დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის საარქივო მასალებში-----69
7. თეა შურღაია.
შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა და აღმოსავლური კონტექსტი-----79
8. კოტე ლომიძე.
ფატმანის სახის რეცეფცია ტიცინ ტაბიძის სონეტში-----97
9. სოფიო მენტეშაშვილი.
სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ დღემდე შეუსწავლელი ხელნაწერი – A-627-----111
10. ხვთისო მამისიმედიშვილი.
აფხაზური მისტერიის რეპრეზენტაცია გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“-----119
11. გვანცა მღვდელაძე.
ლიდერი და კომანდა ახალ ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში-----128
12. გვანცა ფოფხაძე.
ძველი ბერძნული მეტეოროლოგიური ტერმინოლოგიის ქართულ შესატყვისთა დადგენის თავისებურებები (კლავდიუს პტოლემეაიოსის ნაშრომების მაგალითზე)-----140

13.თამარ კვიციანი.	
ქართულ ტერმინთა წარმოების მეთოდები: ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების მაგალითზე-----	150
14.მანანა რუსიეშვილი; რუსუდან დოლიძე; სოფიო თოთიბაძე; მარიამ ქებურია.	
სიბუღის ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ქართულ და ინგლისურ ენებში-----	167
15.რიჩარდ კენდალი.	
თეოფორული სახელები წინარეგეტურ ოლბიაში-----	179
16.ფერიდე სანაია.	
ფერთა ტერმინების სტრუქტურული და ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართულ სიმბოლისტიკაში-----	202
17.ლელა ციხელაშვილი; ეკატერინე ნავროზაშვილი.	
ბიბლიური აბრაამისა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა - ტრანსლიტერაციის საკითხები-----	213
18.მერი სამაკაშვილი.	
ალენ გინზბერგის პოეზიის აღქმა ქართულ ლიტერატურაში (ლექსის „ყმული“ შოთა იათაშვილისეული თარგმანის მაგალითზე)-----	241
19. ნინო მღებრიშვილი.	
De Sectis-ის ავტორობის პრობლემა და თხზულების ძველი ქართული თარგმანი არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონში“-----	256